ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ასოციაცია „საგანძური“

გრიგოლ ბოგვერაძე

საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია 1918-1920 წლებში

ქუთაისი
2005

წინამდებარე ნაშრომი – „საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობის საკითხები 1918-1921 წლებში" ავტორის საკანდიდატო დისერტაციას წარმოადგენს. მასში მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული თუ უცხოური წყაროების ანალიზის საფუძველზე დეტალურადაა გაშუქებული აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული ყველა პრობლემატური საკითხი.

ნაშრომის წიგნად გამოშვება, გამომცემელთა მიერ საკითხისადმი მეცნიერული ინტერესის გარდა, გიგა ბოგვერაძის უკანასკნელი სურვილის აღსრულებადაც უნდა მივიჩნიოთ.

რედაქტორი: მ. სამსონაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები: ა. დაუშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
დ. ჭუმბურიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ლ. ნანიკაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გამოცემა მოამზადეს: ს. მუელაძე
ზ. ტყეშელაშვილმა

ISBN 99928-53-7

© ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველო–აზერბაიჯანის ურთიერთობებს 1918–1920 წლებში თავისი მნიშვნელობით გამორჩეული ადგილი უკავია ამ ორი ქვეყნის არსებობის ისტორიაში. აღნიშნულ პერიოდში ორი დამოუკიდებელი ქვეყნის პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული დაახლოება არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა. იგი პასუხობდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ინტერესებს, ემყარებოდა ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის მრავალწლოვან კეთილმეზობლურ ტრადიციებს, თუმცა ამ ურთიერთობას ხანდახან ჩრდილებიც ახლდა.

საკითხი აქტუალურია იმდენად, რომ 1918–1920 წლებში, შეიძლება ითქვას, ახალ ფაზაში შევიდა ქართულ–აზერბაიჯანული ურთიერთობები. თუ საუკუნეების განმავლობაში საქართველოს და აზერბაიჯანის ცალკეული პოლიტიკური ერთეულები ამყარებდნენ ერთმანეთში კავშირს, ამჯერად ორ დამოუკიდებელ და პოლიტიკურად ერთიან სახელმწიფოს შორის თანაარსებობის ცივილიზებული ფორმები დამყარდა.

სამოკავშირეო ურთიერთობები, რომლის საფუძვლები გასული საუკუნის პირველ ოცეულში დევს, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს თანამედროვე საქართველოსა და აზერბაიჯანის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს სახელმწიფოები რეგიონში ამჟამადაც სტრატეგიულ მოკავშირეებად გვევლინებიან. აქედან გამომდინარე საკვლევი საკითხის შესწავლამ ახალი დატვირთვა შეიძინა და აქტუალურია დღესაც.

საქართველოსა და აზერბაიჯანის პირველი რესპუბლიკების სამხედრო–პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ ჩვენი სამეცნიერო–პუბლიცისტური ლიტერატურა სიუხვით არ გამოირჩევა, ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა ყოველნაირად აბრკოლებდა ამდაგვარი საკითხების წინა პლანზე წამოწევას.

ზემოთნათქვამი არ ნიშნავს, რომ საქართველო–აზერბაიჯანის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით არაფერია

გაკეთებული. საბჭოთა პერიოდში საქართველოში, აზერბაიჯანში და რუსეთში გამოიცა მთელი რიგი ფუნდამენტური ისტორიული შრომები, რომლებიც 1918–1920 წლებში ამიერკავკასიაში არსებულ პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებას ასახავენ. ქართველი მეცნიერებიდან ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს პროფესორ ა. სურგულაძის ორი მონოგრაფია: 1. „ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში /1917–1918 წწ./ “, თბილისი 1957 წ; 2. „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში /1918–1921 წწ/“, თბილისი 1961 წ. ეს შრომები ქართულ ისტორიოგრაფიაში დღესაც ერთ–ერთ ძირითად სახელმძღვანელოდ ითვლებიან ხსენებული პერიოდის ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ გაუღენთილია საბჭოთა იდეოლოგიური პროპაგანდით. აეტორს კოლოსალური სამუშაო აქვს ჩატარებული, ეყრდნობა უამრავ საარქივო დოკუმენტურ წყაროს და სამეცნიერო ლიტერატურას. მართალია, იგი ტენდენციურად აშუქებს მოვლენებს და მწირ ცნობებს გვაძლევს საკვლევ საკითხზე, მაგრამ წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალა ობიექტური დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ა.სურგულაძის აღნიშნული შრომები უშუალოდ საქართველო–აზერბაიჯანის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს ფაქტობრივად არ ეხება, მაგრამ, თუ ყურადღებით დავაკვირდებით, თითქმის ყოველ თავში თუ ქვეთავში, ჩანს ქართულ–აზერბაიჯანული სამხედრო–პოლიტიკური ურთიერთობის ცალკეული ფაქტები, განსაკუთრებით კი, როცა მკვლევარი ეხება 1918 წელს ბაქოში ბოლშევიკური ხელისუფლების დამხობას, დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობების დენიკინთან დაპირისპირებასა და 1920 წელს აზერბაიჯანში მომხდარ ანტისაბჭოთა აჯანყებებს.

1960 წელს მოსკოვში გამოიცა სამხედრო მეცნიერებათა დოქტორის, პოლკოვნიკ ა.კადიშევის წიგნი. „Интервенция и гражданская война в Закавказье“. აეტორი სამხედრო არქივებზე დაყრდნობით მიმოიხილავს 1917–1921 წლებში ამიერკავკასიაში გამართულ საბრძოლო მოქმედებებს, სამივე დამოუკიდებელი რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს და მათ

ბრძოლისუნარიანობას, რეგიონში გერმანიის, თურქეთისა და ინგლისის ჯარების შემოსვლას, 1920 წელს აზერბაიჯანში და სომხეთში მომხდარ ანტისაბჭოთა გამოსვლებს. მართალია, ნაშრომი, როგორც ყველა საბჭოური გამოცემა, იდეოლოგიზირებული და ტენდენციურია, მაგრამ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ისტორიის კვლევის თვალსაზრისით იგი დღესაც უმთავრეს გამოკვლევას წარმოადგენს. ა.კადიშევის მონოგრაფიას აქვს სერიოზული ნაკლიც: რაკიღა იგი სამხედრო ისტორიკოსია და სამხედრო საკითხებს იკვლევს, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე არ აწყობდა რა საქართველო–აზერბაიჯანის სამხედრო თანამშრომლობის საკითხის პოპულარიზაცია, მის განხილვას შეგნებულად აარიდა თავი.

1954 წელს თბილისში საკმაოდ საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა ქართველმა ისტორიკოსმა დ.ენუქიძემ სახელწოდებით „Крах империалистической интервенции в Закавказье". ავტორი, საბჭოთა იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე, მიმოიხილავს დასავლეთის სახელმწიფოების გეგმებს ამიერკავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში, ადგილობრივ მოსახლეობასა და ინგლისელ სამხედრო მოსამსახურეებს შორის არსებულ დაპირისპირებას, ეხება აგრეთვე პარიზის საზავო კონფერენციაზე ქართველი დიპლომატების მოღვაწეობას. ამასთან, დ.ენუქიძე გვერდს უვლის ქართულ–აზერბაიჯანულ ურთიერთობებს, მაგრამ მის მიერ მოყვანილი რამოდენიმე საინტერესო ცნობა, რომელიც ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკას ასახავს, მეტად მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარი უმეტესად ყურადღებას საქართველოში განვითარებული მოვლენებს უთმობს.

ნაყოფიერი მუშაობა აქვს ჩატარებული დასავლეთის ქვეყნებთან საქართველოსა და ამიერკავკასიის ურთიერთობების კვლევის საქმეში გ.ღამბაშიძეს. 1960–იან წლებში გამოიცა მისი შრომების მთელი სერია: „Из истории политики США в отношении Грузии 1917-1921 гг.", „საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის ისტორიიდან 1917–1921 წწ", „ინგლისისა და აშშ აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ /1919 წ./", „იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული

პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ 1920 წელს"; მკვლევარი ერცლად განიხილავს დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკას ამიერკავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში, პარიზის საზავო კონფერენციაზე ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობის საკითხს. გ.ლამბაშიძის გამოკვლევებში, სხვებისაგან განსხვავებით, მიმოხილულია ქართველი და აზერბაიჯანელი დიპლომატების კოორდინირებული მუშაობა პოლიტიკური იზოლიაციონიზმის აღმოფხვრის საქმეში.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩვენ ვსარგებლობდით აკადემიკოს გ.ხაჭაპურიძის მონოგრაფიებით _ „ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის", თბილისი 1957 წ., და „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში", თბილისი 1954 წელი. საკვლევ საკითხთან დაკავშირებით აეტორი მეტად საინტერესო მასალებს გვაძლევს, კერძოდ, როცა ეხება აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე რამოდენიმე სერიოზული მეცნიერული ნაშრომი გამოაქვეყნეს აზერბაიჯანის ისტორიკოსებმა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ა.რაევსკის, ე.ტოკარჟევსკის და მ.ისკანდეროვის გამოკვლევები.

აღნიშნული ისტორიკოსებიდან ქართულ–აზერბაიჯანული ურთიერთობები ყველაზე ერცლად განიხილა ა.რაევსკიმ წიგნში „Англииская интервенция и Мусаватское правительство". გვინდა შევნიშნოთ, რომ არათუ აზერბაიჯანში, არამედ საქართველოშიც დღემდე არ არსებობს ნაშრომი, რომელშიც იმდენი ინფორმაცია იყოს თავმოყრილი საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. როგორც აქ არის წარმოდგენილი. წიგნი გამოიცა ბაქოში 1927 წელს, მიუხედავად იმისა, რომ იგი განეკუთვნება საბჭოურ პერიოდს, ნაკლებად არის იდეოლიგიზირებული. აეტორი თამამად გამოთქვამს თავის აზრს 1918–1920 წლებში აზერბაიჯანში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, საქართველოსა და აზერბაიჯანის სამხედრო–პოლიტიკური ინტერესების დაახლოებაზე და სხვა. მკვლევარს კანონზომიერად მიაჩნია 1919 წლის ორი ქვეყნის სამხედრო ინტერესთა თანხვედრა, რადგან აზერბაიჯანს,

დენიკინთან და სომხეთთან დაპირისპირების ფონზე სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. საერთო ჯამში ჩვენ შეგვიძლია დავეთანხმოთ ა.რაევსკის ამ შეხედულებებს.

1957 წელს პროფესორმა ე.ტოკარუევსკიმ გამოაქვეყნა ერცელი მონოგრაფია „Из истории иностранной интервенции и гражданской воины в Азербаиджане"; ნაშრომში, თუმცა ცალმხრივად, მაგრამ საფუძვლიანადაა განხილული ბაქოს სახკომსაბჭოს საქმიანობა 1918 წელს, ბოლშევიკური გამოსვლები აზერბაიჯანში, თურქეთისა და ინგლისის ჯარების მიერ ქვეყნის დაკავება, ეროვნული მთავრობის დამხობა 1920 წელს და სხვა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ის თავი, რომელშიც ავტორი მიმოიხილავს ეროვნულ განმათავისუფლებელ გამოსვლებს ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. ე.ტოკარუევსკიმ ისტორიკოსებიდან პირველად განიხილა საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების დამოკიდებულება ამ მოვლენების მიმართ და დაასაბუთა მისი მხარდაჭერა ეროვნული ძალებისადმი.

საკვლევ საკითხზე რამოდენიმე საინტერესო მასალა აქვს გამოქვეყნებული ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს მ.ისკანდეროვს 1958 წელს გამოცემულ წიგნში „Из истории борьбы коммунистической партии Азербаиджана за победу Советской власти"; ნაშრომი იმდენად გაჯერებულია კომუნისტური იდეოლოგიით, რომ მხოლოდ საარქივო მასალების გადმოტანა მოვახერხეთ. ძირითადად ვისარგებლეთ გამოკვლევის იმ ნაწილით, რომელიც 1920 წლის მოვლენებს ასახავს.

თემაზე მუშაობის პროცესში ესარგებლობდით აგრეთვე, ისეთი დიდი გამოკვლევებიდან და ენციკლოპედიური შრომებიდან, როგორიც არის: „История гражданской воины в СССР" (5 ტომეული); „История Азербаиджана" (3 ტომეული); „Советская военная энциклопедия" (ტომი 1, გამოიცა 1990 წ.); „Победа Советской власти в Закавказье" (გამოიცა თბილისში 1971 წ.); „Гражданская воина и военная интервенция в СССР", ენციკლოპედია /მოსკოვი 1987 წ./.

ამ ბოლო წლებში საქართველოსა და აზერბაიჯანში ნაყოფიერი მუშაობა ჩატარდა ჩვენთვის საინტერესო პერიოდის

შესწავლის თვალსაზრისით. გამოქვეყნდა რიგი შრომები, რომლებიც შეეხება საქართველოს და აზერბაიჯანის პირველი რესპუბლიკების ისტორიის ცალკეულ საკითხებს და მონაკვეთებს. საბჭოთა პერიოდის გამოცემებისაგან განსხვავებით მათში ობიექტურად არის გაშუქებული მოვლენები, მაგრამ ქართულ–აზერბაიჯანულ ურთიერთობებზე ძალიან მწირი ცნობები მოიპოვება. კვლევის პერიოდში ხშირად ვსარგებლობდით აზერბაიჯანელ ისტორიკოსთა ჯგუფის მიერ 1998 წელს ბაქოში გამოცემული მონოგრაფიით _ „Азербаиджанская демократическая республика /1918–1920/“. პოსტსაბჭოურ პერიოდში გამოსული მეცნიერული შრომებისაგან განსხვავებით აღნიშნულ წიგნში შედარებით უფრო ერცლად არის მოთხრობილი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, მაგრამ ეს ეხება ორი ქვეყნის სამხედრო–პოლიტიკური თანამშრომლობის მხოლოდ 1919 წლის ფაქტებს.

საინტერესო გამოკვლევა აქვს ჩატარებული რ.ცუხიშვილს საქართველო- ინგლისის ურთიერთობების*, დ.ჯოჯუას კი – საქართველო–იტალიის ურთიერთობების შესახებ**. მეცნიერებმა გამოაქვეყნეს ის მასალები, რომლებიც საბჭოთა წყობილების დროს ტაბუდადებული იყო. აქედან გამომდინარე, სულ ახალი თვალით არის დანახული დასავლეთის ქვეყნების დამოკიდებულება 1918–1920 წლებში საქართველოს და ამიერკავკასიის მიმართ. საკვლევ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალები აქვს მოყვანილი ლ.თოიძეს წიგნში _ „ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც ფაქტობრივი ანექსიაც“, რომელიც გამოიცა 1991 წელს. ავტორს ნათლად აქვს წარმოჩენილი საბჭოთა რუსეთის მზაკვრული პოლიტიკა, რომელსაც ის ატარებდა საქართველოსა და აზერბაიჯანის მიმართ 1920–1921 წლებში.

ქართული არმიის შექმნისა და ქართული სამხედრო პოლიტიკის საკითხების შესწავლას საკმაოდ საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ე.გურულმა. მისი ნაშრომი 1998 წელს

---

* რ.ცუხიშვილი, ინგლის–საქართველოს ურთიერთობა 1918–1921 წწ. თბ.; 1995 წ.

** დ.ჯოჯუა, საქართველო–იტალიის ურთიერთობა 1918–1921 წლებში, თბ.; 1997 წ.

გამოიცა სახელწოდებით „ახალი სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან /1917–1918 წწ/“. ავტორს საფუძვლიანად აქვს გაანალიზებული ყველა ის პრობლემა, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნას უკავშირდებოდა. იგი საარქივო მასალებზე დაყრდნობით განიხილავს საქართველოს ირგვლივ შექმნილ სამხედრო–პოლიტიკურ ვითარებას.

მუშაობის პროცესში ვიყენებდით ქართველ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეთა მოგონებებს, ნ.ჟორდანია, გ.ლორთქიფანიძე, გ.კვინიტაძე, რ.გაბაშვილი, ზ.ავალიშვილი, ა.ზაქარიაძე, ა.ჩხეიძე და სხვ. ასახავენ ორი ქვეყნის ურთიერთობების ცალკეულ ასპექტებს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო მათი შეფასებები 1920 წლის აპრილ–მაისში აზერბაიჯანში განვითარებული მოვლენებისა. ქართველი მემუარისტების აზრი ორად გაიყო: ნ.ჟორდანია,*** გ.ლორთქიფანიძე**** და ა.ზაქარიაძე,***** შეიძლება ითქვას, მომხრე იყვნენ იმისა, რომ მე–11 წითელი არმიის ჯარებთან აზრებაიჯანის საზღვარზეე შეწყვეტილიყო საბრძოლო მოქმედებები, ხოლო ოპოზიციურად განწყობილ გენერალიტეტს და პოლიტიკოსებს გ.კვინიტაძეს,****** რ.გაბაშვილს,******* ზ.ავალიშვილს,******** ა.ჩხეიძეს********* ამგვარი გადაწყვეტილება შეცდომად მიაჩნდათ. ისინი ბრალს სდებდნენ მთავრობას და ადანაშაულებდნენ მას უმოქმედობაში. მათი აზრით, საჭირო იყო აქტიური ზომების მიღება, კერძოდ უნდა მომხდარიყო მე–11 არმიის ნაწილების განდევნა აზერბაიჯანის ტერიტორიიდან. აქვე გვინდა შეენიშნოთ, რომ ორი ქვეყნის დიპლომატიური თანამშრომლობის ფაქტებსა და

*** ნ.ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ.; 1990 წ.

**** გ.ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ.; 1995 წ.

***** ა.ზაქარიაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1917–1921 წლებში, გამოქვეყნდა ჟურნალ „მხედარში“ 1992 წ. №1–2; 1994 წ. №1–4.

****** Г.Квинитадзе, Мой воспоминания в годы Независимости Грузии 1917-1921 гг, Париз, 1985.

******* რ.გაბაშვილი, რაც მახსოვს, „დაბრუნება“ ტ.ე.; თბ., 1992 წ.

******** ზ.ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918–1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1929 წ. /გამოყენებულია აგრეთვე რუსულ ენაზე პარიზში გამოქვეყნებული ოგივე ნაშრომი/

********* ა.ჩხეიძე, ქართული სამხედრო სკოლა, გამოქვეყნდა ჟურნალ „მხედარში“ 1991 წ. №1

პარიზის საზავო კონფერენციაზე არსებულ პერიპეტიებს საინტერესოდ აღწერს ზ.ავალიშვილი.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით საქართველოს და აზერბაიჯანის არქივსაცავებიდან მხოლოდ მცირე ნაწილია გამოქვეყნებული. ისინი ძირითადად თავმოყრილია დოკუმენტებისა და მასალების ისეთ კრებულებში: როგორიცაა: „Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии“, Тифлис 1919 “., „Борьба за Победу Советской власти в Грузии /документы и материалы/“, 1917-1921 гг თბილისი, 1958 წ. „Азербаиджанская республика /документы и материалы 1918-1920 гг./“, Баку 1998 г.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ის მასალები, რომლებიც ჩვენს ძიერ მოპოვებული იქნა 1918–1920 წლების ქართულ პერიოდულ პრესაში. ხელმისაწვდომი აღმოჩნდა მხოლოდ ოფიციალური ხელისუფლების ბეჭდვითი ორგანოები, როგორებიც იყო გაზეთები „ერთობა“ და „საქართველოს რესპუბლიკა“, ჟურნალები „მხედარი“ და „რესპუბლიკის ჯარი“.

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ უხვ მასალას მივაკვლიეთ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივ'ში. დავამუშავეთ რამოდენიმე ფონდი, აქედან ყველაზე მეტი მასალები ამოღებულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და საქართველოს სამხედრო საბჭოს შესახებ დაცული საქმეებიდან. პირველში ორი ქვეყნის პოლიტიკური დაახლოების ფაქტებია ასახული, მეორე'ში კი – სამხედრო თანამშრომლობისა. აზერბაიჯანში 1918–1920 წლებში მოღვაწე ქართველების შესახებ საინტერესო მასალები არის დაცული საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ფონდში. აღნიშნული მასალები მეტად მშრალია, მაგრამ მემუარულ ლიტერატურასთან და გამოკვლევებთან შეჯერებით მათი გამოყენება საგულისხმო შედეგს იძლევა. სამწუხაროდ ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა აზერბაიჯანის არქივსაცავებში დაცულ მასალებზე მუშაობა, რაც უსათუოდ გაამდიდრებდა და უფრო საინტერესოს გახდიდა წარმოდგენილ გამოკვლევას.

გვინდა შევნიშნოთ, რომ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს 1918–1920 წლებში ორი ქვეყნის სამოკავშირეო

ურთიერთობების შესწავლის პირველ ცდას და ბუნებრივია არ იქნება დაზღვეული მთელი რიგი ნაკლოვანებებისაგან, მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, გარკვეულწილად წინ წასწევს აღნიშნულ პერიოდში ამიერკავკასიის ისტორიის შესწავლის საქმეს.

თავი პირველი
ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის 1917–1918 წლებში

საქართველო–აზერბაიჯანის სამხედრო–პოლიტიკური ურთიერთობების აწმყო და წარსული მჭიდროდაა დაკავშირებული ორი მოძმე ხალხის – ქართველებისა და აზერბაიჯანელების ისტორიულ მეგობრობასთან. ორგანულად დაუკავშირდა ამ ორი ხალხის პოლიტიკურ–სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური ინტერესები მე–19 საუკუნესა და მე–20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც ამიერკავკასია რუსეთის ცარიზმის ბატონობისა და მძიმე კოლონიური ჩაგვრის ქვეშ მოექცა.

900–იანი წლების დამდეგიდან პოლიტიკურ მოვლენათა განვითარება მოწმობს, რომ რუსეთი სახალხო რევოლუციის ზღურბლთან იდგა. სოციალურმა დაპირისპირებამ მთელი იმპერია მოიცვა. რევოლუციური აქტივობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ამიერკავკასია და ბალტიისპირეთი, სადაც სახალხო მოძრაობას საყოველთაო ხასიათი მიეცა და მასში სახოგადოებრიობის მთელი დემოკრატიული ნაწილი აღმოჩნდა ჩაბმული. ამ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობა ეროვნული ნიშან–თვისებებით ხასიათდებოდა. მე–20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს და აზერბაიჯანის, როგორც ეკონომიკურ ისე პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, რამაც ხელი შეუწყო ეროვნული მოძრაობის აღმავლობას, პარტიების ფორმირებას და პოლიტიკურ არენაზე მთელი რიგი თვალსაჩინო საზოგადო–პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოჩენას.

როგორც ითქვა, მე–19 საუკუნიდან მოყოლებული საქართველო და აზერბაიჯანი პოლიტიკური, ეკონომიკური და ეროვნული ჩაგვრის სიმძიმეს განიცდიდა. ამ მხრივ კიდევ უფრო რთული მდგომარეობა იყო აზერბაიჯანში. აზერბაიჯანელებისათვის დაუფარავი რისხი იყო ის უპირატესობანი, რომლითაც ბაქოში რუსი ეროვნების მოსახლეობა სარგებლობდა. მეფის მთავრობა ხელს უწყობდა ეროვნული შუღლის გაღვივებას აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის. ამ ვითარებაში ჯერ კიდევ

ადრე შეიმჩნეოდა მუსულმანი მოსახლეობის ერთგვარი კარჩაკეტილობა, განდგომილობა რუსებისა და სომხებისაგან. პირველი მსოფლიო ომის წლებში მხარეებს შორის ურთიერთდაპირისპირება კიდევ უფრო გაიზარდა. თურქეთთან კონფრონტაციის გამო მთავრობამ მუსულმანებს ამიერკავკასიაში იმთავითვე ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა. მაშინ, როცა დაშნაკები სომეხი მოსახლეობისაგან მოხალისეთა პოლკებს ქმნიდნენ და სახსრებს აგროვებდნენ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მთავრობას აზერბაიჯანელ მოსახლეობაზე განსაკუთრებული მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული და მათ არმიაშიც კი არ იწვევდა. დაშნაკები, სარგებლობდნენ რა მთავრობის ასეთი განწყობილებით, მის წინაშე მლიქვნელობდნენ, ასმენდნენ მუსულმანურ მოსახლეობას, ამასთან მიისწრაფოდნენ კავკასიაში უპირატესი მდგომარეობის მოპოვებისაკენ /1, 395/. მეფის ოხრანკას მკაცრ კონტროლზე ჰყავდა აყვანილი აზერბაიჯანში არსებული პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორებიც იყო: მუსულმანურ სამყაროში პირველი სოციალ–დემოკრატიული პარტია „ჰუმეთი“, თურქ სოციალ–ფედერალისტების პარტია „გეირატი“, სომხეთ–აზერბაიჯანის დაპირისპირების ფონზე აღმოცენებული პარტია „დიფაი“, პარტია „მუდაფიე“ და სხვა. ამ პარტიებიდან 1917 წლამდე ყველაზე მრავალრიცხოვანი „დიფაი“ გახლდათ, რომელსედაც მეფის ხელისუფლებას განსაკუთრებული კონტროლი ჰქონდა დაწესებული /2, 5–17/.1911 წელს აზერბაიჯანში დაარსდა ეროვნულ–დემოკრატიული ძალების პარტია სახელწოდებით „მუსავატი“ /თანასწორობა/, რომელიც ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელად და მის სიმბოლოდ იქცა. პირველი მსოფლიო ომის წლებში მუსავატის პოლიტიკური აქტიურობა, მთავრობის საშინელი დევნის გამო, ერთობ სუსტი იყო /3, 6, 8/, მაგრამ 1918 წლისთვის სულ სხვა სურათი გამოიკვეთა და პარტია ქვეყანაში ერთ–ერთ გავლენიან პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

პირველმა მსოფლიო ომმა რუსეთის იმპერიაში უკიდურესად გაამწვავა ეკონომიკური, პოლიტიკური და ეროვნული კრიზისი. გააღრმავა კლასობრივი ბრძოლა მეფის

მთავრობასა და დემოკრატიულ ძალებს შორის, გააძლიერა ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა იმპერიის ჩაგრულ ხალხებში. რევოლუციური სიტუაცია, რომელიც შეიქმნა 1915 წლის ზაფხულში, უკიდურესად გაამწვავდა 1916 წლის ბოლოს და საერთოდ ეროვნული კრიზისის სახე მიიღო.

1917 წლის 27 თებერვალს რუსეთში გაიმარჯვა ბურჟუაზიულ–დემოკრატიულმა რევოლუციამ. სახელმწიფო სათათბიროს უარი განაცხადა დამორჩილებოდა სამეფო ხელისუფლებას. სათათბიროს დროებითმა კომიტეტმა ოფიციალურად მოსთხოვა მეფეს გადამდგარიყო ტახტიდან. მცირეოდენი ხნის შემდეგ ნიკოლოზ II იძულებული გახდა დათანხმებოდა ამ წინადადებას. ამით დასრულდა რომანოვების დინასტიის მეფობა და მონარქისტული წესწყობილების არსებობა რუსეთში. უმაღლესი ხელისუფლება გადავიდა დროებითი მთავრობის ხელში, რომელსაც უნდა ემართა ქვეყანა ახალი დამფუძნებელი კრების მოწვევამდე.

ამიერკავკასიაში სამოქალაქო ხელისუფლება 1917 წლის 6 მარტს გადაეცა „ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს“ /ოზაკომი/, რომელშიც შევიდნენ IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები. ოზაკომის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა რუსი კადეტი ბ.ა.ხარლამოვი, წევრებად: აზერბაიჯანელი კადეტი მ.ი.ჯაფაროვი /შემდგომში იგი მუსავატურ პარტიაში შეეიდა/, სოციალისტ–ფედერალისტი კ.აბაშიძე, სომეხი კადეტი მ.ი.პაპაჯანოვი და სოციალ–დემოკრატი ა.ჩხენკელი /4,416/. ამ ორგანოს ამიერკავკასიაში უნდა განეხორციელებინა დროებითი მთავრობის პოლიტიკა. სოციალ–დემოკრატები სხვებთან შედარებით კმაყოფილი დარჩნენ ოზაკომის შემადგენლობით, მათი წარმომადგენელი ა.ჩხენკელი ყველაზე აქტიურ როლს თამაშობდა კომიტეტში. მან ხელში აიღო საშინაო საქმეების მართვის სადაევები და ერთგულად იცავდა საფინანსო–სამრეწველო წრეების ინტერესებს.

ამავდროულად, როგორც თბილისში, ისე ბაქოში იქმნება მუშათა დეპუტატების საბჭოები. თბილისის საბჭოში უმრავლესობა სოციალ–დემოკრატიულმა პარტიამ დაიკავა, თავმჯდომარედ არჩეული იქნა ნოე ჟორდანია. ბაქოს მუშათა

დეპუტატების საბჭოში უმრავლესობა სოციალ–დემოკრატებმა და ესერებმა შეადგინეს, ოლონდ თბილისისაგან განსხვავებით ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ დაუსწრებლად იქნა არჩეული ამიერკავკასიელი სოციალ–დემოკრატების ბოლშევიკური ფრთის ერთ–ერთი ლიდერი სტეფანე შაუმიანი /5, 677/, აღნიშნულ თანამდებობაზე მისი არჩევა განპირობებული იყო იმით, რომ შაუმიანი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ბაქოს სოციალისტურ წრეებში. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ბაქოში ბოლშევიკური ორგანიზაციები, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანნი და ძლიერნი იყვნენ, ვიდრე საქართველოში ან სომხეთში. 1917 წლის მარტის პირველ რიცხვებში შეიქმნა აგრეთვე ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, როგორც თბილისში, ისე ბაქოში. მომდევნო დღეებში კი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ჩამოყალიბდა განჯაში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ჭიათურაში, შემახში, ლენქორანში, ნუხაში, შუშაში, ყუბაში, ნახჩევანში, გორში, ტყიბულსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში /1. 107/. 18 მარტს ოზაკომი თბილისში შეუდგა პრაქტიკულ მოღვაწეობას. საბჭოებმა თავისთვის ფორმალურად კონტროლის ფუნქცია დაიტოვეს, თუმცა არსებითად რეალური ძალაუფლება მათ ხელში იყო.

ამრიგად, რუსეთში სამეფო ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველოსა და აზერბაიჯანში. ისევე, როგორც მთელ რუსეთში, ორხელისუფლებიანობა მყარდება. ერთი მხრით, ყალიბდება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, მეორე მხრით დროებითი მთავრობის ორგანო და მისი პოლიტიკის გამტარებელი ამიერკავკასიაში – ოზაკომი.

თუ საქართველოში ახალი ხელისუფლების ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა სოციალ–დემოკრატიული პარტია და ბოლშევიკთა გაელენა სულ უფრო შესუსტდა, აზერბაიჯანში ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობა იყო. აქ ბოლშევიკთა და ეროვნულ ძალთა დაპირისპირებას სისხლისმღვრელი ომი მოჰყვა. საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით მიმოვიხილოთ აზერბაიჯანში იმ დროისათვის შექმნილი პოლიტიკური ვითარება.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი მოთხოვნებით მუსულმანური საყინანსო–

სამრეწველო ინტელიგენცია გამოეიდა, რომელიც მუსავატური პარტიის გარშემო იყო შემოკრებილი. ამ პარტიამ იატაკქვეშეთიდან გამოსვლის შემდეგ დაიწყო აქტიური მოქმედება და 1917 წლის შემოდგომისათვის აზერბაიჯანში ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ძალად იქცა. პარტიის მესვეურებმა მოახერხეს აზერბაიჯანის ეროვნულ–დემოკრატიული ძალების კონსოლიდაცია და მას სათავეში ჩაუდგნენ. ამის შემდეგ პარტიამ აზერბაიჯანის მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერაც მოიპოვა. იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნებოდა რუსეთის ფედერაციულ დემოკრატიული რესპუბლიკა, პარტია მუსავატს განსრახული ჰქონდა აზერბაიჯანისათვის „ეროვნულ–ტერიტორიული ავტონომიის“ მოთხოვნა წამოეყენებინა /6,24/.

თებერვლის რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებში განჯაში ჩამოყალიბდა ფედერალისტური პარტია. მისი ორგანიზატორი იყო შემდეგში აზერბაიჯანის პირველი რეს-პუბლიკის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ნასიბ ბეგ უსუბეკოვი. ფედერალისტების პარტიამ თავის პროგრამაში აღიარა დემოკრატიული რესპუბლიკა ეროვნულ ტერი-ტორიულ ფედერაციულ საწყისებზე, ხოლო აზერბაიჯანის, თურქმენეთის, ყირგიზეთისა და ბაშკირეთისათვის ტერიტორიული ავტონომია მოითხოვა.

1917 წლის 15 აპრილს მოწვეული იქნა მუსულმანების საერთო კავკასიური ყრილობა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მუსულმანურ ძალთა კონსოლიდაცია ამიერკავკასიაში. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ მუსავატელები, ფედერალისტები, „იტტიხადის“ წარმომადგენლები და ესერები. ყრილობას ესწრებოდნენ აგრეთვე „ჰუმეთის“ პარტიის ლიდერები: ნ.ნარიმანოვი, მ.აზიზბეკოვი, ჰ.სულთანოვი და რ.ნაგიევი.

გ.ტაგიევისა და სხვა მსხვილი აზერბაიჯანელი მრეწველების რჩევით ყრილობამ წამოაყენა აზერბაიჯანის ავტონომიის საკითხი. გ.ტაგიევმა ყრილობას ეროვნული ფონდის შექმნის მიზნით 50000 მანეთი შესწირა. აქვე, მუსულმანური სასულიერო პირების წარმომადგენლებმა საზეიმოდ გამოაცხადეს დაზავება შიიტებსა და სუნიტებს შორის და ყველას ეროვნულ ძალთა გაერთიანებისაკენ მოუწოდეს /1, 293/.

ყრილობაზე ეროვნული საკითხთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაში გატარებული იქნა ფედერალისტების შეხედულება აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული-ფედერაციულ საწყისზე მოწყობის შესახებ.

აღნიშნულმა ყრილობამ დიდი როლი ითამაშა ეროვნული ძალების კონსოლიდაციაში. 1917 წლის 3 ივლისს გაერთიანდა ფედერალისტური და მუსავატური პარტიები. გაერთიანებული პარტიას ეწოდა „თურქი ფედერალისტების დემოკრატიული პარტია „მუსავატი". ამის შემდეგ მუსავატი გადაიქცა ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზაციად. 1917 წლის ზაფხულიდან მოყოლებული იგი აზერბაიჯანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში დიდი გავლენით სარგებლობდა. სწორედ ეს პარტია გახდა აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური სულისჩამდგმელი და მებაირაღე. პარტიის მესვეურების ძალისხმევას უკვალოდ არ ჩაუვლია. 1917 წლის 22 ოქტომბერს ბაქოს მუშათა საბჭოს არჩევნებში მუსავატელებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს /6,37/, თუმცა ბოლშევიკები არ იჭობდნენ პოზიციებს და ხელისუფლებისთვის ბრძოლა სულ უფრო მწვავე ფორმასილებდა. დეკემბერში გამართულ ბაქოს მუშათა საბჭოს ხელახალ არჩევნებში ბოლშევიკებმა მოახერხეს მუსავატელების დამარცხება. ბოლშევიკების გააქტიურების გამო მუსავატელები იძულებული გახდნენ თავიანთი ცხოვრების ძირითადი ცენტრი ქ.განჯაში გადაეტანათ. 1917 წლის 18 დეკემბერს ე.ლენინმა ს.შაუმიანი ამიერკავკასიის საქმეთა კომისრად დანიშნა, ხოლო ბაქოს მუშათა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცნობილი ქართველი ბოლშევიკი პროკოფი ჯაფარიძე.

1917 წლის 25 ოქტომბერს პეტროგრადში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალება ამიერკავკასიის დემოკრატიულმა პარტიებმა /ცხადია, გარდა ბოლშევიკებისა/ ავანტიურად მიიჩნიეს და მას უნდობლობა გამოუცხადეს. იმის გამო, რომ არ სურდათ დამორჩილებოდნენ საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს და ცდილობდნენ გადაერჩინათ მხარე ანარქიისაგან, 1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში ამიერკავკასიის დემოკრატიულ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა

სამხარეო ცენტრების ინიციატიეით შედგა თათბირი, რომელმაც მიზანშეწონილად ცნო შექმნილიყო ადგილობრიეი მთავრობა მანამ ეიდრე რუსეთში ანარქია აღიკვეთებოდა. სოციალ–დემოკრატიის, დაშნაკციუთუნის, მუსავატის, სოციალისტ–ფედერალისტების და ესერთა პარტიების კოალიციის პრინციპზე 15 ნოემბერს შედგა მთავრობა – „ამიერკავკასიის კომისარიატი“. კომისარიატის თავმჯდომარედ დაინიშნა ე.გეგეჭკორი. წევრებად: ა.ჩხენკელი, დ.დონსკოი, ხ.კარჩიკიანი, შ.ალექსეევ–მესხიეი, მ.ჯაფაროვი, ხ.მელიქ ასლანოვი, ა.ნერუჩევი, გ.ტერ–გაზარიანი, ა.ოგანჯანიანი და ხ.ხას მამედოვი /7, 7–8/.

ამიერკავკასიის კომისარიატს რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მოუხდა მოღვაწეობა. საბჭოთა რუსეთის მთავრობა კომისარიატს კონტრრევოლუციურ, თვითნებურ წარმონაქმნად თვლიდა და საბჭოების მხარდამჭერ ძალებს აქეზებდა შეიარაღებული გზით დაემხოთ იგი. ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთვის ბრძოლის ხელმძღვანელობა ლენინის მთავრობამ ს.შაუმიანს დააკისრა. კომისარიატის დამხობის აქცია 1917 წლის დეკემბერში დაიგეგმა. ბოლშევიკები მთავარ იმედს ამყარებდნენ თურქეთის ფრონტიდან ერთბაშად უკან გამობრუნებულ რუსეთის არმიის ნაწილებზე, სადაც ბოლშევიკური განწყობილება ძლიერი იყო. ბოლშევიკებს იმის იმედიც ჰქონდათ, რომ თბილისის არსენალს ბოლშევიკური გარნიზონი იცავდა. ამიერკავკასიაში მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ იგი სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის წინაშე აღმოჩნდა. ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს ფრონტიდან რუსეთში მიმავალი ჯარისკაცები თავიანთ ინტერესებში გამოეყენებიათ და მათი მეშვეობით დაემხოთ ამიერკავკასიის ხელისუფლება. ეშელონებში მოთავსებული ჯარის ნაწილები თბილისისკენ დაიძრნენ. მათი ქალაქში შესვლა, არა მარტო მთავრობის დამხობას, არამედ ქალაქის სრულად აოხრებას გამოიწვევდა. ამ საშიშროებამ, უნდა ითქვას, ბოლშევიკური სამხარეო ცენტრის უმრავლესობასაც უკან დაახევინა, მან ძალაუფლების მოსაპოვებლად რუსეთის არმიის გამოყენება მიზანშეწონილად არ მიიჩნია. ფ.მახარაძე, ს.ქავთარაძე, მ.ორახელაშვილი და სხვები მხარს უჭერდნენ ხელისუფლების მოპოვებას საბჭოების გზით, ადგილობრივი ძალებით, თუმცა

თბილისის არსენალს, რომელსაც რუსული ბოლშევიკური ნაწილი იცავდა, ხელიდან არ უშვებდნენ. ამიერკავკასიის კომისარიატმა და თბილისის საბჭომ ეროვნული ნაწილების დახმარებით 1917 წლის 29 ნოემბერს ბოლშევიკურ გარნიზონს არსენალი ხელიდან გამოსტაცა. ე.გეგეჭკორის მთავრობამ თბილისის რუსული ჯარის ნაწილებისაგან დაცვა გენერალ–მაიორ გიორგი მაზნიაშვილს დააკისრა, რომელმაც შეძლო და რუსული ჯარის ეშელონები უმტკივნეულოდ, თბილისის გვერდის აცლით, საქართველო–აზერბაიჯანის საზღვრისაკენ გაატარებინა /8, 19/.

ამრიგად, 1917 წლის ბოლოს საქართველო გადაურჩა რუსეთის არმიის ოკუპაციას. კრემლში ეს მარცხი მძიმედ განიცადეს.

კომისარიატის მმართველობის პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ისეთი დიდი მნიშვნელობის საქმეს, როგორიც იყო ქართული და აზერბაიჯანული არმიების შექმნა. 1917 წლის 31 ოქტომბერს თბილისში ფორმირება დაიწყო ქართულმა, აზერბაიჯანულმა და სომხურმა კორპუსებმა. რუსეთის კავკასიის ფრონტის სარდლობა და ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო შეგნებულად აფერხებდნენ ეროვნული კორპუსების ფორმირების საქმეს /9,9/. 5 ნოემბრის ბრძანების მიხედვით რუსეთის არმიაში არსებული ქართული პოლკი უნდა დაკომპლექტებულიყო მხოლოდ ქართველებისაგან და ამიერიდან იწოდებოდა პირველ ქართულ მსროლელ პოლკად, ადგილსამყოფელით ქ.ქუთაისში. ამაკე ბრძანებით შეიქმნა სხვა ქართული ეროვნული შენაერთები. ჩამოყალიბდა აგრეთვე 2 ქართული ცხენოსანი პოლკი, რომელიც განლაგებულ იქნა ლაგოდეხსა და დედოფლისწყაროში, 1 საათო ცხენოსანთა ბატარეა, საინჟინრო ბატალიონი, სარეზერვო პოლკი; ყველა აღნიშნული ნაწილი გაერთიანდა ქართულ კორპუსად. კორპუსის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი სტეფან ახმეტელაშვილი, შტაბის უფროსად – შტაბს–კაპიტანი იოსებ გედევანიშვილი; შემდეგში ქართული ეროვნული ნაწილების შემადგენლობასა და დისლოკაციაში არსებითი ხასიათის ცვლილებები იქნა შეტანილი.

საქართველოსა და სომხეთისაგან განსხვავებით საკმაოდ გართულდა აზერბაიჯანული კორპუსის ფორმირება. იარაღისა და

ტყვია-წამლის გარდა, აზერბაიჯანი კატასტროფულად განიცდიდა ოფიცერთა კადრების სიმცირეს. როგორც თავში აღვნიშნეთ, მუსულმანებს რუსეთის იმპერიაში სამხედრო სამსახურში არ იწვევდნენ. მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის უმაღლეს სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში განათლების მიღება აზერბაიჯანის ბოსახლეობის მალალი ფენის წარმომადგენელთა მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა. 1914–1917 წლებში რუსეთის არმიაში 200-მდე აზერბაიჯანელი ოფიცერი მსახურობდა /10, 747/. აქედან აღნიშვნის ღირსი არიან რუსეთის არმიის სახელგანთქმული მეთაურები ს.მეხმანდაროვი, ა.შიხლინსკი და ჰ.ნახიჩევანსკი.

არტილერიის გენერალი სამედ ბეგ მეხმანდაროვი 1914 წელს, ლოძის ოპერაციის დროს, 21-ე ქვეით დივიზიას მეთაურობდა, შემდეგ კავკასიის მე-2 საარმიო კორპუსს. ომის ბოლოს კი სათავეში ედგა კორპუსების ჯგუფს. გენერალ-ლეიტენანტი ალი აღა შიხლინსკი რუსეთის არმიაში საარტილერიო საქმის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლებოდა. ეკავა დასაელეთის ფრონტის არტილერიის სარდლისა და მე-10 არმიის სარდლის თანამდებობები. აზერბაიჯანის არმიაში ა.შიხლინსკის არტილერიის გენერლის წოდება მიენიჭა. გენერალ-ლეიტენანტი ჰუსეინ ხან ნახიჩევანსკი კი პირველი მსოფლიო ომის დროს მსხვილ საკავალერიო შენაერთებს სარდლობდა.

აზერბაიჯანის ეროვნული კორპუსი ძირითადად „ველურ დივიზიაში“ შემავალი აზერბაიჯანული საკავალერიო პოლკის ბაზაზე შეიქმნა. ოფიცერთა სიმცირის გამო აზერბაიჯანის არმიაში მრავალი ქართველი ოფიცერი მსახურობდა. ქართველების მოხალისეობრივ აზერბაიჯანში თავისი ახსნა აქვს: რუსეთში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ თითქმის ყველა ქართველი ოფიცერი სამშობლოში დაბრუნდა, მათ უარი განაცხადეს წითელ არმიასა და თეთრგვარდიელ ჯარებში სამსახურზე. ცხადია, ამ რაოდენობის ოფიცერთა შემადგენლობა ფორმირების სტადიაში მყოფი პატარა ქართული არმიისათვის ზედმეტი აღმოჩნდა – არმიის ქვეით და საკავალერიო ნაწილებში ყოველ ოცდახუთ ჯარისკაცზე ერთი ოფიცერი მოდიოდა, ხოლო სპეციალურ და ტექნიკურ ნაწილებში კი – ერთი ოფიცერი ოც ჯარისკაცზე, შტაბის

ოფიცერთა ჩაუთელელად /11, 118/. ამის გამო ოფიცერთა ერთი ნაწილი საერთოდ სამსახურის გარეშე დარჩა, ნაწილმა კი მოახერხა აზერბაიჯანის არმიაში გადასვლა, სადაც ქართველებს გარდა სხვა ეროვნების ოფიცრებიც მრავალად იყვნენ /6, 163/. აზერბაიჯანის სამხედრო მინისტრი იძულებული გახდა ამასთან დაკავშირებით გამოეცა სპეციალური ბრძანებულება, რომლითაც აზერბაიჯანის არმიაში მომსახურე ყველა უცხოელ ოფიცერს დაეკალა ერთი თვის განმავლობაში შეესწავლა ბრძანების სიტყვები აზერბაიჯანულ ენაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დათხოვნილი იქნებოდნენ სამსახურიდან /12, 162/.

საქართველოს არმია, რომ ოფიცერთა კადრების ნაკლებობას არ განიცდიდა, ჩანს საქართველოს სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ინფანტერიის გენერლის ილია ოდიშელიძის მიერ 1919 წლის 3 თებერვალს შედგენილი დოკუმენტიდან, სადაც გენერალი წერს: „გენერალური შტაბის ოფიცერთა რიცხვი და საერთოდ უმაღლესი სამხედრო განათლების მქონე ოფიცერთა რაოდენობა, რომლებიც რუსეთის არმიაში მსახურობდნენ და ჰქონდათ ხანგრძლივი გამოცდილება, გაიარეს კარგი საბრძოლო სკოლა, საკმარისზე მეტი აღმოჩნდა, რომ შეევსოთ სამხედრო სამინისტროს ყველა განყოფილება, გენერალური შტაბი და ყველა სამხედრო შტაბი; გამოიძებნა აგრეთვე სამხედრო პედაგოგიურ საქმეში გამოცდილ ოფიცერთა შემადგენლობა თბილისში უკვე ჩამოყალიბებულ სამხედრო სასწავლებლისათვის“/13/.

აზერბაიჯანის არმიაში გადაეიდნენ ის ოფიცრებიც, რომლებიც 1918–1920 წლებში სხვადასხვა მიზეზის გამო მენშევიკური მთავრობის მიერ გარიცხული იქნენ ქართული არმიის რიგებიდან. ქართველი ოფიცრებიდან აზერბაიჯანის არმიაში ყველაზე მაღალი თანამდებობები ეკავათ პოლკოვნიკ ვ.კარგარეთელს, გენერლებს ა.მაყაშვილს, ს.ჩხეიძეს და მაღალოვს.

თბილისის გადარჩენის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ეშელონებში მოთავსებული რუსული ჯარის ნაწილების განიარაღების საკითხი. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ კომისარიატში მყოფი საქართველოსა და

აზერბაიჯანის წარმომადგენლები, ასევე მუშათა და ჯარისკაცთა სამხარეო ცენტრი. ცხადია, რომ რუსი ჯარისკაცების განიარაღებით ძნიშვნელოვან შეესებას მიიღებდნენ, როგორც იარაღით, ისე საბრძოლო მასალებით, ფორმირების სტადიაში მყოფი ქართული და აზერბაიჯანული კორპუსები. ს.შაუმიანი ამასთან დაკავშირებით 1918 წლის 2 თებერვალს გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნავდა: „არავისთვის არ არის ახლა საიდუმლო, რომ ამიერკავკასიაში არსებობს ქართულ–მუსულმანური კონტრრევოლუციური თავადური ბლოკი, ეს ბლოკი არსებობდა ცარისტული რეჟიმის დროსაც და ამ ბლოკის სული და გული იყო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი. ამჟამად კონტრრევოლუციური თავადური ბლოკის სული და გული გახლავთ აკაკი ჩხენკელი. ესეც არავისთვის არ არის აგრეთვე საიდუმლო“ /14,199/. რუსეთის არმიის ნაწილების განიარაღებით დაინტერესებული იყვნენ აგრეთვე დასავლეთის მოკავშირეებიც. მათ არ აწყობდათ ბოლშევიკურად განწყობილი ჯარის შეიარაღებული ერთეულების შესვლა რუსეთის ტერიტორიაზე, რაც უდავოდ ბოლშევიკური რეჟიმის გაძლიერებას გამოიწვევდა.

1918 წლის 4 იანვარს სამხარეო ცენტრის გაერთიანებულ სხდომაზე ნ.ჟორდანიამ დააყენა ეშელონებში მყოფი ჯარისკაცებისათვის იარაღის აყრის საკითხი. ხმათა უმრავლესობით საკითხი დადებითად გადაწყდა. ამიერკავკასიის კომისარიატმა სასწრაფოდ მიიღო ზომები ეშელონების განსაიარაღებლად. გაფრთხილებულ იქნა განჯის ეროვნული კომიტეტი, რომ წინასწარ მიეღო საჭირო ზომები აღნიშნული გეგმის განსახორციელებლად. ამ საფუძველზე 7 იანვარს ეროვნულმა კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ადილ ხან ზიატხანოვი, შაფი ბეგ რუსტამბეკოვი, ასლან ბეგ საფიკიურდსკი, ხუდატ ბეგ რაფიბეკოვი, ნ.უსუბეკოვი, ალკპერ ბეგ ხასმამედოვი, პოლკოვნიკი ეფენდიევი და როტმისტრი ულუბიევი, მიიღო დადგენილება განეიარაღებინა ეშელონები რადაც არ უნდა დაჯდომოდათ /14, 198/. სწორედ ამ დროს განჯაში იდგა ე.წ. „ველური დივიზიის“ ნაწილები პოლკოვნიკ

ლევან მაღალოვის* მეთაურობით. დივიზიის პირად შემადგენლობას კავკასიელი მუსულმანები შეადგენდნენ, ერთ-ერთი პოლკი ამ დივიზიიდან აზერბაიჯანული იყო. ველური დივიზიას სხვა ნაწილებისაგან განსხვავებით ბრძოლისუნარიანობა შენარჩუნებული ჰქონდა და ბოლშევიკურ მოძრაობას არ უთანაგრძნობდა. კომისარიატის მითითებით განიარაღების ოპერაცია ამ დივიზიას დაევალა. ველური დივიზიისათვის მხარი უნდა დაეჭირათ ქართული და აზერბაიჯანული ეროვნული კორპუსების ქვედანაყოფებს. ლ.მაღალოვის ჯარების დასახმარებლად თბილისმა ქართული ეროვნული კორპუსის შემადგენლობიდან ჯავშანმატარებელი გადაისროლა, რომელსაც პირველი მსოფლიო ომის გმირი, როტმისტრი აფხაზავა მეთაურობდა. კომისარიატს წინასწარ გათვალისწინებული ჰქონდა ყველა გართულება, რაც ამ განიარაღებას უნდა მოჰყოლოდა და ამიტომ იძლეოდა განკარგულებას დაცვის გაძლიერებაზე, რათა შამქორიდან იარაღის ჩაუბარებლად არც ერთი ეშელონი არ გასულიყო. ოპერაციის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრა რუსეთის არმიის კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს გენერალ-მაიორ ზაქარია მდივანს, ხოლო ადგილზე ჯარების სარდლობას ახორციელებდა პოლკოვნიკი ლ.მაღალოვი.

ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით ამ დროისათვის რკინიგზის სადგურ აღსტაფიდან შამქორამდე გაჩერებული იყო 20000 რუსი ჯარისკაცითა და არტილერიით დატვირთული 10 ეშელონი /16/. 7 იანვარს როტმისტრი აფხაზავა ლ.მაღალოვის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში წერდა: „მოდის ხუთი შეიარაღებული ეშელონი ქვემეხით, შეიპყრეს საბჭოს წარმომადგენლები, მოვდიეარ ჯავშნიანი მატარებლით წინააღმდეგობის გასაწევად, გთხოვთ დახმარებას ყოველი გვარეობის იარაღით" /1, 371/.

როტმისტრი აფხაზავა, რომელსაც კომისარიატიდან სპეციალური დავალება ჰქონდა – ჯავშნოსანი მატარებელი გამოეყენებინა იმ შემთხვევაში, თუ ეშელონები ნებით იარაღს არ

---

* *лацакиси ёлацакашенкиё клим куарсабис ыдб вдмдрак–ланири ё1918ёю ганбага 1979 ъкис 10 авеистис збикисшиб варганъечака 1926 ъкис 22 авеистис лиумюдмши ё15б 68ёю*

დათმობდნენ, 8 იანვარს განჯაში ჩავიდა. ამავე დღეს გენერალ ზ.მდივნისა და რუსეთის კავკასიის ფრონტის კომისრის ე.პ.გობეჩიას ხელმოწერით აფხაზავა და მაღალოვს თბილისიდან მოუვიდათ დეპეშა, რომელიც კელავ მოაგონებდა მათ რუსული შენაერთებისათვის იარაღის აყრის აუცილებლობას. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა კომისარიატის წარმომადგენლისა და პოლკოვნიკ მაღალოვის ტელეგრაფით საუბრის ჩანაწერი, რომელიც ნათლად ასახავს იმუამად შექმნილ მდგომარეობას.

„მე–სასახლე ვარ. ჩხენკელი არ არის. აპარატთან ზის მისი ამხანაგი ქარცივაძე და კანტემიროვი.

მაღალოვი: გადაეცით მათ, რომ საქმე შემდეგნაირადაა: დაახლოებით დღის პირველი საათისათვის სადგურ შამქორში მოვიდა ყველა ეშელონი, რომლებმაც, დაინახეს რა ჩვენი შეიარაღებული ძალების სიჭარბე, გადასწყვიტეს დაარწმუნონ ამხანაგები ჩაგვაბარონ იარაღი. დღეს სამი საათიდან დელეგატები პრინციპულად დაგვეთანხმენ ჩაგვაბარონ თავიანთი ეშელონების იარაღი. ორი საათის განმავლობაში ჩემთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, თუ რა პირობებში მოხდეს იარაღის ჩაბარება. ბოლოს, საღამოს 6 საათისათვის დელეგატებმა განმიცხადეს, რომ საბოლოო პასუხს ხვალ დილით მომცემენ. პასუხის მოლოდინში აუხაზავა ჯავშნიანი მატარებლით და მე, ღამეს ვათევთ შამქორში, ყველაფერი რაც სათქმელი მქონდა მოგახსენეთ.

სასახლე: ჩვენ საღამოზე გადმოქეცეს, რომ გზა შამქორსა და დოლიარს შორის აყრილია. მართალია თუ არა ეს?

მაღალოვი: მართალია, აყრილია.

სასახლე: ეის მიერ არის აყრილი? ეშელონებისა თუ ჩვენს მიერ.

მაღალოვი: საქმე ასეა: საღამოზე მიღებული იქნა ცნობა, რომ ეშელონებს განზრახული აქვთ ხელთ იგდონ ჯავშნიანი მატარებელი. ეს რომ თავიდან აგვეცდინა, გზა ჩვენ აეკარეთ.

სასახლე: გესაჭიროებათ თუ არა თქვენ რაიმე დახმარება, შევსება?

მაღალოვი: სადგურ დოლიარში 17 ეშელონია და სადგურ აქსტაფაში 3 ეშელონი. ეს უკანასკნელი სამი ეშელონი დღეს მოვიდა. თქვენის მხრივ დახმარება იქნებოდა ნავთლუღიდან

ეშელონების შემდგომი მოძრაობის დაუშვებლობა, ვიდრე განიარაღებული არ იქნება ეშელონები.

სასახლე: ამგვარად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეძლებთ ყველა 10 ეშელონის განიარაღებას.

მაღალოვი: საჭიროა ვიცოდეთ, ჰქონდა თუ არა სასახლეს მოლაპარაკება ბაქოს დელეგატებთან?

სასახლე: გაუგებარია, რომელი მოლაპარაკების შესახებ ლაპარაკობთ თქვენ.

მაღალოვი: ამ ეშელონების განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაზე.

სასახლე: ამ კითხვაზე პასუხს ეხლავე მიიღებთ /წავიდნენ გასარკვევად/. გვითხარით თქვენი აზრი მოლაპარაკების ხვალამდე გაჭიანურების შესახებ.

მაღალოვი: შეიძლება ვივარაუდოთ სხვადასხვა მიზეზები. ერთი მიზეზთაგანი ეს არის დავაგროვოთ უფრო მეტი რეალური ძალა ზედმეტი ეშელონების მოსვლის შემთხვევისათვის. მეორე მიზეზი – უთანხმოება ეშელონებს შორის იარაღის ჩაბარების საკითხზე. დაბოლოს – მოლაპარაკება გაჭიანურდა დაბნელებამდე, ხოლო სიბნელეში არ შეიძლება განიარაღების ჩატარება.

სასახლე: გვითხარით, ხომ არ არის საშიშროება ეშელონების მხრივ ღამით გამგზავრების შესახებ?

მაღალოვი: ეს გვაქვს მხედველობაში და ვიღებთ სათანადო ზომებს.

სასახლე: ასე, ნახვამდის. დელეგატებთან მოლაპარაკება არ ჰქონიათ, ასე, რომ არ ვიცით მათ გაიარეს თუ არა. მეტი არაფერი, ველოდებით სასიამოვნო ცნობას.

მაღალოვი: მესმის“ /1, 373/.

კომისარიატის წარმომადგენლებსა და ჯარისკაცთა დელეგატებს შორის გამართული მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. დელეგატებმა უარი განაცხადეს იარაღის ჩაბარებაზე. 9 იანვარს მაღალოვმა და აფხაზავამ რუს ჯარისკაცებს გაუმეორეს იარაღის ჩაბარების კატეგორიული მოთხოვნა, მაგრამ ამჯერადაც უარი მიიღეს. ამის შემდეგ ისინი შეუდგნენ ძალით განიარაღებას. კომისარიატის ჯარებმა ეშელონები ალყაში მოაქციეს. მაღალოვის ჯარებს, რომელთა რიცხვი 10000 კაცს შეადგენდა, სარკინიგზო

ხაზის ორივე მხარეს მომზადებული ჰქონდათ სანგრები და აფხაზავას ჯავშანმატარებელთან ერთად ელოდნენ ბრძანებას. ძალთა თანაფარდობა, როგორც ვხედავთ, აშკარად რუსი ჯარისკაცების მხარეზე იყო, ამიტომ ველურ დივიზიას და ქართულ–აზერბაიჯანული ეროვნული კორპუსების ქვედანაყოფებს უნდა ემოქმედათ სწრაფად, რათა ჯარისკაცებს ვერ მოესწროთ ეშელონებიდან გადმოსვლა და საბრძოლო პოზიციების დაკავება. ოპერაცია წარმატებით განხორციელდა. ჯარისკაცთა პირველ ეშელონს, რომელსაც უკრაინელები შეადგენდნენ, კომისარიატის ჯარებმა იარაღი არ აჰყარეს და ისე გაატარეს, დანარჩენ ეშელონებს კი ცეცხლი გაუხსნეს. ყველაზე მძიმე ბრძოლები 10 იანვარს გაიმართა, საარტილერიო ბატარეიის განიარაღებისას. რუსმა არტილერისტებმა მოასწრეს ქვემეხების ვაგონებიდან გადმოსვლა და ცეცხლი გაუხსნეს ქართული კორპუსის ჯავშან-მატარებელს. ბრძოლის დროს დაიღუპა ჯავშანმატარებლის უფროსი როტმისტრი აფხაზავა, ორი მისი უახლოესი თანაშემწე მაკარაშვილი, მაყაშვილი და რამოდენიმე ჯარისკაცი, ხოლო მატარებელი დიდი ხნით გამოვიდა წყობიდან. ბრძოლებმა 13 იანვრამდე გასტანა, თითქმის ყველა სარკინიგზო სადგური და ახლომდებარე სოფლები განადგურდა. შეტაკების დროს დაიღუპა 2000-მდე რუსი ჯარისკაცი და დაიჭრა რამდენიმე ათასი, მათ ჩამოერთვა 30 ქვემეხი, დაახლოებით 100 ტყვიამფრქვევი და 12000-ზე მეტი შაშხანა /Великая Октябрьская Социалистическая Революция /Энциклопедия/, Н., 1987 г. გვ. 587. ძირითადად ეს იარაღი აზერბაიჯანული კორპუსის ნაწილებმა გაინაწილეს. კომისარიატის ხელმძღვანელობას, როგორც ჩანს ბოლოს შეეშინდა, რომ ბრძოლებს ფართო მასშტაბის ხასიათი არ მის-ცემოდა და უბრძანა მაღალოვს გაეტარებია დანარჩენი ვაგონები. მაღალოვმა, როგორც კი მიიღო ბრძანება, შეწყვიტა ოპერაცია სამსახურიდან გადადგომა ითხოვა /17/.

შამქორთან გამართული ბრძოლების დროს ქართული და აზერბაიჯანული კორპუსების ნაწილებმა ერთობლივად მიიღეს საბრძოლო ნათლობა და შეიძლება ითქვას, რომ ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი ქართულ–აზერბაიჯანულ სამხედრო თანამეგობრობას 1918–1920 წლების ურთიერთობებში.

ამიერკავკასიის კომისარიატმა 1918 წლის 23 თებერვალს თბილისში მოიწვია ამიერკავკასიის სეიმი, რომლის მთავარი დანიშნულება იყო იურიდიულად გაეფორმებინა ამიერკავკასიის გამოყოფა საბჭოთა რუსეთისაგან. სეიმში შეევიდნენ დამფუძნებელი კრების დეპუტატები: 24 მენშევიკი, 24 დაშნაკი, 30 მუსავატელი, 4 მენშევიკ-ჰუმეთისტი, 3 რუსეთის მაპმადიანთა „სოციალისტური" ბლოკის წარმომადგენელი, 3 სოციალისტ-ფედერალისტი, 5 ესერი და 2 კადეტი. სეიმმა თავი საკანონმდებლო ორგანოდ გამოაცხადა. ამ პოლიტიკური მოელენის ფონზე ხელისუფლებისათვის ბრძოლამ აზერბაიჯანში სამოქალაქო ომის ფორმა მიიღო. ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ძალები ორ ბანაკად გაიყო. განჯაში თავი მოიყარეს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა. მათ მხარს უჭერდა ამიერკავკასიის კომისარიატი და სეიმი. ბაქოში კი მოქმედებდა მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელსაც ძირითადად ბოლშევიკები განაგებდნენ, ისინი საბჭოთა რუსეთის მთავრობაზე და ადგილობრივ სამხურ პოლიტიკურ და სამხედრო ორგანიზაციებზე დაყრდნობით ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას არამარტო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. 30–31 მარტს ბაქოში მიმდინარეობდა სისხლისმღერელი ბრძოლები, რის შედეგად მუსავატელთა ძირითადი ძალები ბაქოში განადგურებულ იქნა, ხოლო გადარჩენილებმა თავი განჯას შეაფარეს.

ბაქოში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების გამო მუსულმანურმა ფრაქციამ მოთხოვა ამიერკავკასიის სეიმს მუსულმანური მოსახლეობის დაცვის მიზნით ბაქოში ჯარების გაგზავნა. 3 აპრილს სეიმის სხდომაზე ფ.ხან ხოელმა განაცხადა, რომ თუ არ იქნებოდა მიღებული ზომები მუსულმანური მოსახლეობის დასაცავად მუსულმანი მინისტრები გავიდოდნენ მთავრობიდან /6,62/.

სეიმის პრეზიდიუმმა და ამიერკავკასიის მთავრობამ განიხილა ბაქოში ბოლშევიკების წინააღმდეგ შეიარაღებული ლაშქრობის საკითხი. ნოე რამიშვილი შეშფოთებით საუბრობდა, რომ ბოლშევიკურმა მოძრაობამ მძლავრად იჩინა თავი, არა მარტო ბაქოში, არამედ მხარის სხვა რაიონებშიც, მისი აზრით, ამიერკავ-

კასიის დემოკრატიული ხელისუფლებას საშიშროება ემუქრებოდა. ნ.რამიშვილმა გადაჭრით მოითხოვა ნაკრები საბრძოლო რაზმის შედგენა, რომლის ორგანიზაცია გენერალ–ლეიტენანტ ილია ოდიშელიძეს უნდა დაკისრებოდა. სხდომამ გამოიტანა დადგენილება: „დაევალოს მთავრობას სასწრაფოდ ჩამოაყალიბოს ნაკრები ინტერნაციონალური და ბრძოლისუნარიანი რაზმი ბაქოში ამიერკავკასიის მთავრობის ძალაუფლების აღსადგენად“. სეიმმა გარდა ამისა, გაიღო 100 ათასი მანეთი, ნაკრები რაზმის შემადგენლობისათვის გამოჰყო 2 თვითმფრინავი, ჯავშანმატარებელი, იარაღი და საჭურველი /18, 264/.

ნაკრები რაზმის შედგენა იოლი საქმე არ აღმოჩნდა. ჯერ ერთი, არმია აღარ იყო სანდო, ვინაიდან მასში დიდი იყო ბოლშევიკური განწყობილება. მეორეც, ამ დროს ბოლშევიკთა გამოსელები მოეწყო ლეჩხუმში, ოსეთში და სამეგრელოში. ნ.რამიშვილი რჩევას აძლევდა მთავრობას, რომ ნაკრებ რაზმს ჯერ დაემაყარებინა წესრიგი ოსეთში და იქიდან გადასულიყო ბაქოში. სანდო ძალების დაქსაქსულობის მიუხედავად, სეიმმა ნაკრები ლაშქრის შედგენა მაინც მოახერხა, მის მთავარ ძალას ეელური დივიზიის ნაწილები შეადგენდნენ. აღნიშნული საბრძოლო ჯგუფის შემადგენლობაში იყო აგრეთვე ქართული ქვეითი ნაწილი და მოხალისეების პატარ–პატარა რაზმები. სულ ჯგუფის შემადგენლობაში იყო 6000–მდე მებრძოლი, მეთაურობდა ჯარებს ამდროისათვის უკვე გენერალ–მაიორი ლ.მაღალოვი, რომელიც თბილისიდან განჯაში ყველაზე დიდი რწმუნებებით იყო მიელინებული /19, 144/.

განჯაში თავმოყრის შემდეგ ლ.მაღალოვის ჯარები დაიძრნენ ბაქოსკენ. ლ.მაღალოვმა თავისი შტაბი უჯარახში მოაწყო. 1918 წლის 7 იანვარს ს.შაუმიანმა ამასთან დაკავშირებით ი.სტალინს აცნობა: უჯარასში არის თავად მაღალოვის შტაბი, რომელიც მეთაურობს კიურდამირის რაზმს, აეანგარდს მეთაურობს პოლკოვნიკი ხლებოვი, მის განკარგულებაშია არტილერია, თათრების რაზმი და ქართული ნაწილები /Шаумян Ц.І`. Письма 1896–1918 гг, Ереван 1959 г. გვ. 87/. ამავე დროს ბაქოსკენ ჩრდილოეთიდან დაიძრან დაღესტნელთა რაზმი ნ.გოცინსკის მეთაურობით, მათ მიაღწიეს სადგურ ხურდალანამდე, რომელიც

ბაქოდან სულ 10 კილომეტრით იყო დაშორებული. ლ.მაღალოვის რაზმმა თავდაპირველად წარმატებით განახორციელა შეტევა და დაიკავა სადგური აჯიკაბული. მაგრამ 10 აპრილს ბოლშევიკებმა ამ მიმართულებით დიდ ძალებს მოუყარეს თავი და შეტევაზე გადავიდნენ. 20 აპრილს მძიმე ბრძოლების შემდეგ ნაკრები რაზმის ნაწილებისგან გაათავისუფლეს აჯიკაბული. მაღალოვის ჯარებმა ქურდამირისაკენ დაიხიეს. მალე ბოლშევიკთა ჯარები საერთო შეტევაზე გადავიდნენ და მაისის პირველი რიცხვებისათვის აზერბაიჯანის დიდ ნაწილსა და დაღესტანში ბოლშევიკური ხელისუფლება დამყარდა.

მარტ–აპრილის ბრძოლებში ბოლშევიკთა წარმატება ეროვნული ძალების საბოლოო მარცხს როდი ნიშნავდა, 1918 წლის ივნისში თურქეთის ჯარებისა და ქართული ნაწილების დახმარებით ისინი კვლავ გადავიდნენ შეტევაზე.

მძიმე ბრძოლები გაჩაღდა სოფელ კარამარიამთან, სადაც მუსავატელ მოხალისეებთან ერთად იბრძოდნენ ქართველი მოხალისეებიც.

ბაქოს ქართული დასახლების უმრავლესობამ ეროვნული საბჭოს მეშვეობით მჭიდრო კავშირი დაამყარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობასთან აზერბაიჯანში, ხოლო ნაწილი „ბაქოს კომუნას“ მიემხრო. 1918 წელს, ბაქოში უცხოელთა შემოსვლის შემდეგ, ბაქოს ქართული დასახლების მდგომარეობა დამძიმდა. „ბაქოს ქართველთა ეროვნული საბჭო“ /თავმჯდომარე ი.აგლაძე/ თბილისში გადავიდა. პროტესტის ნიშნად ბაქოს ქართულ სკოლაში 400 ქართველი შეიკრიბა, „ბაქოელ ქართველთა ეროვნულმა საბჭომ“ გააგრძელა მოღვაწეობა აზერბაიჯანში მყოფი თანამეამულეების დასაცავად შეიქმნა „მფრინავი რაზმი“ /ფ.სიხარულიძე, ბაქოს ქართული დასახლება, საქართველოს ენციკლოპედია, ტ.1, 1997 წ. გვ. 372/.

ამასობაში თურქეთის აგრესიამ ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ სეიმისა და ფედერაციული მთავრობის კრიზისი გამოიწვია. 1918 წლის 15 აპრილს თურქეთის ჯარებმა ბათუმი დაიკავეს და აგრძელებდნენ წინსვლას. საქართველოს მცირერიცხოვანი არმია ვერ ახერხებდა მათ შეჩერებას. 1918 წლის 26 მაისს ბათუმის მოლაპარაკების დროს თურქეთის საზავო დელეგაციის

თავმჯდომარემ ამიერკავკასიის ფედერაციულ მთავრობას წარუდგინა ულტიმატუმი – 72 საათის განმავლობაში გადაეწყვიტა ახალი საზღვრების, საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის ჯარების გატარების საკითხი. მთავრობა და სეიმი რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. მასში შემავალი პარტიების საგარეო ინტერესები ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდნენ. გამთიშველმა ძალებმა აქ უპირატესობა მოიპოვეს. 26 მაისს დილის სხდომაზე სეიმის დაშლის გარდაუვალობა ცხადი გახდა. მუსავატური პარტია თურქეთისადმი დათმობას მოითხოვდა. დაშნაკებმა მხარი დაუჭირეს ქართველი სოციალ–დემოკრატების მოთხოვნას სეიმის დაშლაზე. საბოლოო დადგენილებაში ნათქვამი იყო: „იმის გამო, რომ ომისა და ზავის საკითხებზე თავი იჩინა შეხედულებათა მკვეთრმა სხვადასხვაობამ იმ ხალხთა შორის, რომლებმაც ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა შექმნეს და ამიტომაც შეუძლებელი გახდა ერთი ავტორიტეტული ხელისუფლების არსებობა, რომელიც ამიერკავკასიის სახელით იღაპარაკებდა, სეიმი აღნიშნავს ამიერკავკასიის დაშლის ფაქტს და აბარებს თავის რწმუნებას“ /1, 330/.

სეიმის დაშლის დღესვე, მთავრობის სასახლის იმავე დარბაზში შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს გაფართოებული სხდომა ნ.ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ამ სხდომაზე საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქნა გამოცხადებული, ხოლო პოლიტიკური წყობილების ფორმად აღიარებული იქნა დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩამოყალიბდა პირველი მთავრობის შემადგენლობა, სადაც თავმჯდომარისა და შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა ნოე რამიშვილმა /7, 335/.

სეიმის მუსავატური ფრაქციის 27 მაისის სხდომაზე გადაწყდა ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელი აზერბაიჯანის მთავრობა. ჩატარდა მუსულმანური ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები. 28 მაისს თბილისის სასტუმრო „ორიანტის“ ერთ–ერთ ნომერში შეიკრიბა ეროვნული საბჭო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება აზერბაიჯანის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ. ამავე სხდომაზე არჩეულ იქნა პირველი მთავრობა, რომელსაც სათაეში

ჩაუდგა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ფათალი ხან ხოელი. მთავრობამ თავის რეზიდენციად აირჩია ქ.განჯა – ეროვნული ძალების ციტადელი. იენისის პირველ რიცხვებში მთავრობა განჯაში გადავიდა. ამით აღმოსავლეთ სამყაროში შეიქმნა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა /6, 1/.

როგორც ეხედავთ 1918 წლის ზაფხულის დასაწყის'ში აზერბაიჯან'ში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. აზერბაიჯანის აღმოსავლეთ რეგიონში /ბაქოს გუბერნია/ მოქმედებდა ბოლ'შევიკთა ხელისუფლება, ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს სახით. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში /განჯის გუბერნია/ კი ერცელდებოდა აზერბაიჯანის ეროვნული მთავრობის ხელისუფლება. აზერბაიჯანის მთავრობის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ბაქოს გუბერნიის გაწმენდა ბოლშევიკი „ჩეტნიკებისაგან". მთავრობამ დახმარებისათვის თურქეთს მიმართა, რომელმაც არ დაახანა და უკვე 27 მაისს განჯა'ში განლაგდა თურქეთის არმიის შტაბი გენერალ–ლეიტენანტ ნური ფაშას მეთაურობით. 5 იენისს განჯაში შევიდა თურქეთის არმიის მე–5 დივიზიის ჯარები გენერალ მურსელ ფაშას მეთაურობით, აქვე იქნა გადმოსროლილი თურქეთის არმიის 7000 კაციანი რაზმი ნაზიმ ბეის მეთაურობით. მალე ამ ჯარებს შეუერთდნენ აგრეთვე თურქეთის მე–9 და მე–15 დივიზიები. ნური ფაშამ გააერთიანა თურქული და აზერბაიჯანული ჯარები ერთ არმიად, რომელსაც „კავკასიის ისლამური არმია" ეწოდა. ამ არმიის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე ქართული და აზერბაიჯანული ნაწილებისაგან დაკომპლექტებული ზემოთხსენებული რაზმი გენერალ ლ.მაღალოვის მეთაურობით, რომლებმაც დაღესტნელ მოხალისეებთან ერთად მძიმე ბრძოლები აწარმოეს ბოლშევიკთა რაზმების წინააღმდეგ 16 იენისს გეოკჩაის რაიონ'ში /18, 301/.

კავკასიის ისლამური არმია, ნური ფა'შას სარდლობით, მალე საერთო შეტევაზე გადავიდა. ამ ბრძოლებში ნური ფაშას მხარს უჭერდა გერმანია, რომელიც ასევე დაინტერესებული იყო ბაქოს ნავთობსარეწებით. 16 იელისს ქ.განჯაში კავკასიის ისლამური არმიის შტაბში ჩავიდა ამიერკავკასიაში მყოფი გერმანიის სამხედრო–დიპლომატიური მისია გენერალ–მაიორ

ფრიდრიხ ფონ კრესენშტაინის მეთაურობით. გერმანელი გენერალი შეხვდა აზერბაიჯანის მთავრობის წევრებს და ნური ფაშას. ფ.კრესენშტაინი ამ შეხვედრებს შემდეგნაირად აღწერს თავის მოგონებებში: „16 ივლისს საღამოს ჩემი ამალით ელიზავეტოპოლ'ში გაეემგზავრე აზერბაიჯანის მთავრობისათვის რწმუნების სიგელების გადასაცემად. აქასთან, მინდოდა, თურქეთის მთავრობის წარმომადგენელს აზერბაიჯან'ში ნური–ფაშასაც ეწვეოდი... აზერბაიჯანის მთავრობასთან ვიზიტი ურთიერთთავაზიანობის დადასტურებით შემოიფარგლა მხოლოდ და არაფერი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. მთავრობას, ჩანს, ძალიან ცოტა გავლენა აქვს მოვლენებზე და ფაქტიური დიქტატორი ნური–ფაშაა. მე განსაკუთრებული დაბეჯითებით მარწმუნებდნენ, რომ აზერბაიჯანი ბაქოს გარეშე არასიცოცხლისუნარიანია – 'შეხედულება, რომელსაც, ბუნებრივია, ნურიც იზიარებდა /20, 100/.

გერმანელებს იმ დროისათვის ბაქოს აღება საკუთარი სამხედრო ძალების სიმცირის გამო ცხადია, რომ არ შეეძლოთ. ამის გამო გერმანიის გენერალიტეტი ამ ოპერაციაში იმედს მთლიანად კავკასიის ისლამური არმიის ჯარებზე ამყარებდა, სადაც მათ მივლინებული ჰყავდათ საშხედრო ინსტრუქტორები და არტილერიის ოფიცრები /18, 299/.

ნური ფა'შას არმიის ჯარებმა წარმატებით განახორციელეს შეტევა და 1918 წლის ივლისის ბოლოს დასავლეთიდან ძალიან ახლოს მიუახლოვდნენ ბაქოს. ინგლისის ხელისუფლებას, რასაკვირველია, არ აწყობდა, რომ ბაქო გერმანია – თურქეთის ბლოკს ჩავარდნოდა ხელში, ამიტომ მან კონტრზომები მიიღო და ბაქოს დაკავების მიზნით მესოპოტამიიდან დაძრა მცირერიცხოვანი ინგლისური რაზმი გენერალ–მაიორ ლ.დენსტერვილის მეთაურობით. ლ.დენსტერვილის ამოცანა იყო დაყრდნობოდა ადგილობრივ ძალებს და არ დაეშვა ბაქოში თურქეთის ჯარების შესვლა. გენერალი 'დენსტერვილი თავის მოგონებებში ამასთან დაკავშირებით წერს: „ბაქოს ხელში ჩაგდება ჩვენ შემდეგ შეღეგებამდე მიგვიყვანდა: მტრისთვის დაიხურებოდა ნავთობის მარაგისა და ცენტრალური აზიის კარები. ჩვენს მიერ ნავთობის მარაგის ხელში ჩაგდება შეაჩერებდა მოძრაობას აქიერკავკასიის

რკინიგზაზე, რადგან ეს გზები ჩვეულებრივ ბაქოს ნავთობის წყაროებით იკვებებოდნენ. ამრიგად, ჩვენი გეგმა უმიზნებდა კასპიის ზღვაზე ბატონობას და რადგანაც ჩვენ შეგვეძლო გაგვეხორციელებინა ეს მხოლოდ და მხოლოდ ბაქოს ოკუპაციით, აუცილებელი იყო დაგვეცვა ეს ქალაქი მოწინააღმდეგის დაპყრობისაგან. ბაქოს მნიშვნელობა უდიდესი იყო და ყოველგვარი რისკი მისი ხელში ჩაგდებისათვის, თავისთავს ამართლებდა“ /21, 122–123/. 1918 წლის 25 ივლისს ბაქოს საბჭოს სხდომაზე ყველა პოლიტიკურმა პარტიამ /ბოლშევიკების გარდა/ მხარი დაუჭირა ინგლისელების მოწვევას ბაქოში /22,211/. ს.შაუმიანი იმ დღეებში წერდა, რომ ბაქოს სახკომსაბჭო ვერ შეთანხმდებოდა ინგლისის იმპერიალიზმთან ისევე, როგორც ვერ დაიწყებდა საზაფო მოლაპარაკებას გერმანია–თურქეთის იმპერიალიზმთან. 31 ივლისს ბაქოს საბჭოს სხდომაზე სახკომსაბჭომ ს.შაუმიანის მეთაურობით მოიხსნა თავისი რწმენებები /23, 18/.

საბჭოთა რუსეთის მთავრობა ძალზედ მოწადინებული იყო, რომ ბაქოში ბოლშევიკური ხელისუფლება შენარჩუნებულიყო, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობის გამო ბაქოელ კომისრებს ვერანაირ დახმარებას ველარ უწევდა. ვ.ლენინი იმ დღეებში ასტრახანის დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარეს წერდა:

„მდგომარეობა ბაქოში ჩემთვის მაინც გაურკვეველია.

ვის ხელშია ძალაუფლება?

სად არის შაუმიანი?

შეეკითხეთ სტალინს და იმოქმედეთ ყველა გარემოების გათვალისწინებით; თქვენ იცით, რომ მე სავსებით ვენდობი შაუმიანს. აქედან შეუძლებელია გავერკვეთ მდგომარეობაში და არა გვაქვს შესაძლებლობა მალე დავეხმაროთ“ /24, 75/.

ამრიგად 31 ივლისს ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება დაემხო. 1 აგვისტოს ესერებმა, მენშევიკებმა და დაშნაკებმა ბაქოში შექმნეს მთავრობა სახელწოდებით „ცენტროკასპიის დიქტატურა“. 4 აგვისტოს ინგლისის ჯარები ბაქოში შეიჭრნენ.

ბოლშევიკური ხელისუფლების დამხობისა და ბაქოში ინგლისელთა ჯარების შესვლის მიუხედავად, აზერბაიჯანის

ეროვნული ძალები, თურქეთის არმიის ნაწილებთან ერთად, აგრძელებდნენ ბრძოლებს ბაქოს განსათავისუფლებლად. 1918 წლის 14 სექტემბერს გენერალი ლ.დენსტერვილი იძულებული გახდა გაეყვანა თავისი ჯარები ბაქოდან ენზელში. 15 სექტემბერს ბაქოში კავკასიის ისლამური არმიის ჯარები შეიჭრნენ, 17 სექტემბერს კი განჯიდან ბაქოში გადავიდა ეროვნული მთავრობა. 7 დეკემბერს გაიმართა აზერბაიჯანის პარლამენტის პირველი სხდომა. პარლამენტის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ა.თოფჩიბაშევი, მოადგილედ გ.აგაევი. საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი იყო 9 ფრაქცია, აქედან ყველაზე დიდი მუსავატური გახლდათ, რომელიც 23 წევრს ითვლიდა.

დღევანდელი გადასახედიდან ჩვენ შეგვიძლია თამამად განეცხადოთ, რომ 1918 წლის 28 მაისის შემდეგ 15 სექტემბერი უმნიშვნელოვანესი დღეა აზერბაიჯანის პირველი რესპუბლიკის ისტორიაში. სამთვიანი სისხლისმღვრელი ბრძოლები აზერბაიჯანში ეროვნული ძალების გამარჯვებით დამთავრდა. თურქეთის არმიის დახმარებით აღდგენილ იქნა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. ამ საქმეში, როგორც ვხედავთ თავისი წვლილი შეიტანეს აგრეთვე ქართველმა სამხედრო ერთეულებმაც. ბაქოს განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში ქართველმა ოფიცრებმა, ჯარისკაცებმა და მოხალისეებმა გენერალ ლ.მაღალოვის მეთაურობით თვალსაჩინო ფურცელი ჩაწერეს საქართველო–აზერბაიჯანის საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიაში.

ბაქოს განთავისუფლების შემდეგ, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა ეროვნული მთავრობის იურისდიქცია, მაგრამ ამან ახალი პრობლემა წარმოშვა; საკმაოდ დაიძაბა ურთიერთობები ქვეყანაში დისლოცირებული თურქეთის არმიის სარდლობასა და აზერბაიჯანის მთავრობას შორის. რესპუბლიკაში რეალურ ძალაუფლებას გენერალი ნური ფაშა ფლობდა, მან ვერ აიტანა ის გარემოება, რომ ქვეყნის მართვის სადავეების ხელში აღება დაიწყო ეროვნულმა მთავრობამ. ნური ფაშას სახელზე გაგზავნილ მიმართვაში მთავრობის თავმჯდომარე ხ.ხოჯალი აღნიშნავდა: „უკანასკნელ დროს სულ უფრო და უფრო გახშირდა ოსმალეთის იმპერიის სამხედრო ჩინოსნების მიერ აზერბაიჯანის

საშინაო საქმეებში ჩარევის შემთხვევები და მთლიანად არის იგნორირებული აზერბაიჯანის ხელისუფლება“ /6, 97/.

აზერბაიჯანის მთავრობისა და თურქეთის არმიის სარდლობის დაპირისპირებას ბოლო მოუღო მუდროსის ხელშეკრულებამ. 1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის ნავსადგურში ბრიტანეთის სარდლობისა და თურქეთის მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რაც მოასწავებდა თურქეთის სრულ კაპიტულაციას ანტანტის წინაშე. მუდროსის ზავის თანახმად თურქეთს უნდა მოეხდინა თავისი ჯარების ევაკუაცია არაბეთის ოლქებიდან, ირანიდან და ამიერკავკასიიდან. ბაქოს და ბათუმის ნავსადგურებს იკავებდნენ ინგლისის ჯარები. 1918 წლის დეკემბრის ბოლოს საქართველო გერმანიის ჯარებმაც დატოვეს.

ამ პერიოდში საქართველოს მთავრობა გამოდის საკმაოდ საინტერესო ინიციატივით. კავკასიის ირგვლივ შექმნილი რთული პოლიტიკური მდგომარეობის გამო იგი, მოითხოვს კავკასიის კონფერენციის მოწვევას და სთავაზობს აზერბაიჯანის, სომხეთის და მთიელთა რესპუბლიკის მთავრობებს სამხედრო კავშირის დადებას. ზემოთხსენებული სახელმწიფოების მთავრობების სახელზე გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნული იყო: „ჩვენი მთავრობის წინადადება, თუ ის განხორციელდა მოასწავებს პირველს მნიშვნელოვანს ნაბიჯს სამხედრო კავშირის შესაქმნელად, რადგან უკეთუ აღნიშნული სახელმწიფოები პირობას დადებენ, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ სხვა სახელმწიფოს არ შეუთანხმდებიან და სადაო საქმეებს მორიგებით გადასწყვეტენ, თავის თავად დაისმის საკითხი ურთიერთის დახმარებისა რომელიმე მესამე ძალის წინააღმდეგ. და თუ ასეთი სამხედრო კავშირი შეიკერება და მისი მონაწილენი გულწრფელად და პირნათლათ მოისურვებენ ნაკისრ მოვალეობის ასრულებას, სამხედრო კავშირს მოჰყვება ეკონომიური შეთანხმებაც“ /25/.

აზერბაიჯანმა და სომხეთმა მხარი არ დაუჭირეს საქართველოს ინიციატივას, ვინაიდან ამ რესპუბლიკებს საგარეო კურსი სულ სხვა მიმართულებით ჰქონდათ აღებული, ერთი თურქული, ხოლო მეორე რუსულ ორიენტაციას ადგა.

1917 წლის 17 ნოემბერს აზერბაიჯანში შეიდნენ ინგლისელთა ჯარები გენერალ–მაიორ ე.ი.ტომსონის მეთაურობით. ე.ტომსონმა ბაქოს გენერალ–გუბერნატორის პოსტი დაიკავა. ინგლისელები თავიდანვე ისე გრძნობდნენ თავს აზერბაიჯანში, როგორც კოლონიურ ქვეყნებში. ბაქოში ინგლისელთა ჯარების შესვლის დროს აზერბაიჯანის მთავრობამ მათ შესახვედრად ნავსადგურში ინგლისის, აშშ, საფრანგეთის და იტალიის დროშებთან ერთად გამოფინა ეროვნული დროშაც. გენერალმა ე.ტომსონმა შეამჩნია რა ეს, მაშინვე გასცა ბრძანება ჩამოეხსნათ აზერბაიჯანის დროშა /6,102/.

ინგლისელთა ასეთი დამოკიდებულება სუვერენული ქვეყნის მიმართ სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა საქართველოს ხელისუფლებაში. 1918 წლის დეკემბრის დასაწყისში საქართველო ჯერ კიდევ არ იყო ოკუპირებული ინგლისური ჯარების მიერ, მაგრამ მთავრობა მათ შემოსვლას დღე–დღეზე მოელოდა. საქართველო, ცხადია, ვერ გამოთქვამდა პროტესტს ინგლისური ნაწილების შემოსვლასთან დაკავშირებით, მაგრამ ცდილობდა მიელო მათგან ოკუპაციის უფრო ხელსაყრელი პირობები. ამ კუთხით იგი სთავაზობდა აზერბაიჯანს ერთობლივი სამოქმედო გეგმის შემუშავებას. 1918 წლის 25 დეკემბერს, საქართველოში აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლის მოადგილე ფ.ვექილოვი თბილისში ინგლისელთა შემოსვლასთან დაკავშირებით თავის მთავრობას აცნობებდა: „საქართველოს მთავრობამ წამოაყენა გარკვეული მოთხოვნები, რომლის დაცვას ის აპირებს გაფიცვების მოწყობითაც კი. ამის გამო გვთავაზობს ინგლისელთა წინააღმდეგ საერთო მოქმედების გეგმას“ /25, 46/.

აზერბაიჯანის მთავრობამ უარით უპასუხა საქართველოს წინადადებას, რადგან დეკემბრის ბოლოს მან მიაღწია გარკვეულ წარმატებებს ინგლისის ჯარების სარდლობასთან გამართულ მოლაპარაკებებზე. 29 დეკემბერს გენერალმა ე.ტომსონმა აღიარა ხ.ხოვლის მთავრობა ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად აზერბაიჯანის ფარგლებში /26, 47/.

1918 წლის შემოდგომიდან შეიმჩნევა საქართველოს და აზერბაიჯანის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების თანხვედრა. მთავრობები, როგორც ჩანს, ორ სუვერენულ ქვეყანათა

შორის ახლო ურთიერთობების დამყარებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობამ თავის დიპლომატიურ წარმომადგენლობას აზერბაიჯანში საკმაოდ დიდი შტატი გამოუყო, ხოლო მას სათავეში ჩაუყენა გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე ნიკოლოზ ქარციევაძე. აზერბაიჯანის მთავრობამ თავის წარმომადგენლად საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული პოლიტიკოსი მ.ი.ჯაფაროვი გაამწესა, მის მოადგილედ დანიშნა ფარის ბეგ ვექილოვი, ხოლო სამხედრო ატაშედ – პოლკოვნიკი ალიევი.

1918 წლის 26 დეკემბერს საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენლებმა ბაქოში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც ორ ქვეყანას შორის ტვირთების მოძრაობაზე თავისუფალი ტრანზიტი დაწესდა. აზერბაიჯანის მთავრობა თანახმა იყო, რომ საქართველოში გადაზიდულიყო ნავთობი და მაზუთი საქართველოს მოსახლეობისა და სარკინიგზო გზების საჭიროებისათვის. საქართველოს მთავრობა, თავის მხრივ, ნებას რთავდა საბაჟო გადასახადის გარეშე აზერბაიჯანში გაზიდულიყო სარკინიგზო გზების საჭიროებისათვის ქვანახშირი და ხე-ტყის მასალა. ხელშეკრულებას აზერბაიჯანის მხრიდან ხელი მოაწერა ეაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა ბეხმუდ ხან ჯევანშირმა, საქართველოს მხრიდან კი დიპლომატიურმა წარმომადგენელმა აზერბაიჯანში – ნ.ქარციევაძემ /12, 126–127/.

სომხეთ–საქართველოს ომის დროს /1918 წ. დეკემბერი. 1919 წ. იანვარი/ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, იგი მოუწოდებდა მხარეებს შეეწყვიტათ საბრძოლო მოქმედებები და სადაო საკითხები მოლაპარაკების გზით გადაეჭრათ /12, 116–117/, მაგრამ თუ დაეეჭვდნობით თბილისის გუბერნატორის შ.მალლაკელიძის მოგონებებს ყარაიაში მცხოვრებ მუსულმან მოსახლეობას აქტიური მონაწილეობა მიუღია სომხეთ–საქართველოს ომში, კერძოდ, ფაშისტური არმიის გენერალი აღნიშნავდა: „მინდა გითხრათ, რომ ჩაგათ გადაჭრეს ჩვენი ბედი, თორემ გათავებული იყო ჩვენი საქმე, თბილისში შემოვიდნენ“ /27, 69/.

საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს შორის გარკვეული უთანხმოება წარმოშვა 1919 წლის დასაწყისში ახალციხეში განვითარებულმა მოვლენებმა. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ რელიგიური მოსაზრების გამო მხარი დაუჭირა თურქეთის არმიის ოფიცერ–ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით შემდგარ ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან დაკომპლექტებულ შეიარაღებულ რაზმებს, რომლებიც ცდილობდნენ ქართული ადმინისტრაციისა და არმიის ნაწილების განდევნას მაზრის ტერიტორიიდან. მაგრამ ამ ურთანხმოებას რაიმე სერიოზული გართულება არ მოჰყოლია, მხარეები მხოლოდ ერთმანეთისათვის შედარებით მკაცრი ხასიათის ნოტების გაგზავნით შემოიფარგლნენ /28/.

როგორც ვხედავთ 1917–1918 წლები ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხისათვის მეტად მძიმე, მაგრამ ამავე დროს სასიკეთო მოვლენებით დატვირთული გამოდგა. მომავალი წელი კიდევ უფრო დიდ განსაცდელს უქადდა ახლადშექმნილ რესპუბლიკებს.

თავი მეორე
გენერალ ა.დენიკინის აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და აზერბაიჯანის მიმართ და დიდი ბრიტანეთი

1918 წლის ბოლოსა და 1919 წლის დასაწყისში ჩრდილო კავკასიაში მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ თეთრგვარდიელი ძალები. 1919 წლის 8 იანვარს სტანიცა ტორგოვაიაში მოხალისეთა არმიის სარდალმა გენერალ–ლეიტენანტმა ა.დენიკინმა და სრულიად დონის შეიარაღებული ძალების საჯარისო ატამანმა გენერალ–ლეიტენანტმა პ.კრასნოვმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას გაერთიანების შესახებ. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალები /სრშძ/. მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი ა.დენიკინი, შტაბის უფროსად – გენერალ–ლეიტენანტი ი.რომანოვსკი. გერმანიაზე ორიენტირებული პ.კრასნოვი იძულებული გახდა ეცნო ა.დენიკინის უზენაესობა, ვინაიდან ეს უკანასკნელი ანტანტის სახელმწიფოთა ძალებს ეყრდნობოდა. სრშძ–ის შემადგენლობაში შედიოდა მოხალისეთა არმია გენერალ–ლეიტენანტ ვ.მაი–მაევსკის სარდლობით, ყირიმ–აზოვის არმია, მე–3 ცალკეული საარმიო კორპუსი, გენერალ ი.ერდელის ჩრდილო–კავკასიის ჯარები, კავკასიის არმია და შავი ზღვის ფლოტი. მთელი ეს ძალები 1919 წლის იანვარში ითვლიდა 51000 ხიშტს, 34200 ხმალს, 204 ქვემეხს, 682 ტვიამფრქვევს, 6 ჯავშანმატარებელს /5,114/.

ა.დენიკინის ხელისუფლება უმთავრესად ეყრდნობოდა კადეტებს, მონარქისტებს, მემამულეებს, მსხვილ ფინანსურ სამრეწველო წრეებსა და ოფიცრობას. თეთრგვარდიელი გენერლის უმთავრესი მიზანი იყო რუსეთის აღდგენა იმ საზღვრებში, რომელშიდაც მეფის რუსეთი არსებობდა. დასავლეთის სახელმწიფოების დახმარებით იგი რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და ძველი წესწყობილების აღდგენას ფიქრობდა. ა.დენიკინი არ ცნობდა ამიერკავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობას, ეს რეგიონი მას რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა და ვერ ითმენდა აქ შექმნილ მთავრობებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინიც თავის მხრივ დაპირისპირებული

იყვნენ ბოლშევიკებთან. ა.დენიკინი რუსეთის საკუთრებად თვლიდა ყველაფერ იმას, რაც ამიერკავკასიაში ცარიზმის ბატონობის წლებში იყო შექმნილი, იგი განსაკუთრებით პრეტენზიას აცხადებდა სამხედრო ქონებაზე, რომელიც ამიერკავკასიაში იყო თავმოყრილი პირველი მსოფლიო ომის წლებში. 1919 წლის იანვარში მან განსაზღვრა სრშძ–ის საგარეო და საშინაო პოლიტიკის რამოდენიმე ძირითადი მიმართულება, რომელშიც ერთ–ერთ მთავარ ამოცანად ნაგულისხმევი იყო ამიერკავკასიის ქვეყნების შესვლა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში /5,184/.

1919 წლის იანვრის ბოლოს სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაასრულეს ჩრდილო კავკასიაში მე–11 წითელი არმიის ჯარების განადგურება, დაიკავეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ტერიტორიები, მათ შორის ქალაქები: გიორგიევსკი, მინერალური წყლები, კისლოვოდსკი, პიატიგორსკის გარეუბნები. თეთრგვარდიელებმა ხელთ იგდეს დიდი სამხედრო ნადავლი და ტყვედ აიყვანეს 600 კაცი /29/. ამის შემდეგ მოხალისეთა არმიის ნაწილები დაეშუქრნენ ქ.სოჭს და მის ოლქს, სადაც მოქმედებდა ქართული ადმინისტრაცია და განლაგებული იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების გარნიზონი. სოჭში პროდენიკინურმა ძალებმა შექმნეს „რუსული ეროვნული საბჭო", რომელიც სომეხ მოქალაქეებთან ერთად ამზადებდა პირობებს ოლქში თეთრგვარდიული ჯარების შეჭრისათვის. სახარბიელო მდგომარეობა ამ მხრივ საქართველოს ხელისუფლებას არც სხვა რეგიონებში ჰქონდა. კერძოდ, სოხუმში, ბათუმსა და თბილისში მოქმედებდნენ რუს თეთრგვარდიელ ოფიცერთა ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ა.დენიკინის შტაბთან და ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას.

საქართველოს მთავრობის მოთხოვნით ინგლისელებმა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით კონკრეტული წინადადება შეიმუშავეს. 1918 წლის 28 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი და ინგლისის პოლიტიკური მისიის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი ჯორდანი შეთანხმდნენ სოჭის ოლქი – სადაო ტერიტორია – საერთოდ გაენთავისუფლებინათ, როგორც

ქართული, ასევე მოხალისეთა სამხედრო ნაწილებისაგან. საქართველოს მთავრობამ უბრძანა თავის საგანგებო რწმუნებულს სოჭის ოლქში მუხრან ხოჭოლავას, მოეხდინა სოჭის ევაკუაცია, რადგანაც მოკავშირეთა მთავარსარდლობა გარანტიას იძლეოდა, რომ არ დაუშვებდა მოხალისეთა არმიის მხრიდან მტრულ მოქმედებას. გენერალი ა.დენიკინი კი არ ცნობდა აღნიშნულ შეთანხმებას და განაგრძობდა ძალების თავმოყრას სოჭის ოლქში /30, 42–43/.

საქართველოს ხელისუფლებამ, იგრძნო რა რეალური საფრთხე, 1919 წლის 28 იანვარს შეკითხვით მიმართა დიდი ბრიტანეთის მისიის შტაბის უფროსს. ქართული მხარე თხოვდა მას განემარტა, თუ რა მიზეზით იყო გამოწვეული ა.დენიკინის ჯარის ნაწილების კონცენტრაცია სოჭის ოლქში და ხომ არ მოხდებოდა ამ ნაწილების გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ. მისიის შტაბის უფროსმა დააიმედა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, რომ მოხალისეთა არმიას არავითარი აგრესიული ზრახვები არ გააჩნდა საქართველოს მიმართ და, თუ კი ასეთი რამ მაინც მოხდებოდა, დიდი ბრიტანეთის მისია მიიჩნევდა ამ ფაქტს, მოკავშირეთა სახელმწიფოების წინააღმდეგ მიმართულ მტრულ მოქმედებად /31/.

დაახლოებით ამგვარი შინაარსის მიმართვა საქართველოს მთავრობამ გაუგზავნა აგრეთვე ამიერკავკასიაში ბრიტანეთის მისიის თავმჯდომარეს 29 იანვარს. ბრიტანეთის მისიის მთავარსარდალმა გენერალმა ფორესტ–უოკერმა 3 თებერვლის პასუხში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ ბრიტანეთის მთავრობამ მოითხოვა გენერალ ა.დენიკინს თავი შეეკავებინა და არ ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში /32/.

რამოდენიმე დღის შემდეგ გენერალმა უოკერმა აცნობა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ საქართველოს მთავრობასა და მოხალისეთა არმიის ნაწილებს შორის არსებული გაუგებრობის გარკვევის მიზნით, სოჭში გაიგზავნა პოდპოლკოვნიკი უაიტი /33/.

უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ამიერკავკასიაში ბრიტანეთის მთავარსარდლობის დაპირებებისა, მათი

განცხადებები არ წარმოადგენდნენ საქართველოსათვის ოფიციალურ მტკიცე გარანტს და მასზე დაყრდნობა არ შეიძლებოდა, ყოველ შემთხვევაში არ იყო მიზანშეწონილი, მაგრამ, საქართველოს მთავრობამ, ინგლისის პოლიტიკურ ძისიასთან ცალმხრივი შეთანხმების საფუძველზე, დაიწყო სამხედრო ძალების ევაკუაცია სოჭის ოლქიდან მაშინ, როცა მის ხელთ არსებული სარწმუნო ინფორმაციებით, მოწინააღმდეგე, პირიქით, ჯარების დაჯგუფებას ახდენდა და სოჭის ოლქში შესაჭრელად ემზადებოდა /34, 6–7/. ამ, უთუოდ, გაუმართლებელი მოქმედების შედეგად, სოჭის ოლქში დარჩა მცირერიცხოვანი რაზმი წესრიგის დაცვის მიზნით, რომელთა საერთო რაოდენობა 500 კაცამდეც კი არ აღწევდა, ხოლო თვით ქ.სოჭში თებერვლის პირველი რიცხვებისათვის მხოლოდ 35 ქართველი მებრძოლი იმყოფებოდა /30, 44/.

საქართველოს მთავრობა ინგლისელების დაპირებებს დაეყრდნო, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და მოხალისეების საომარი მზადების პირობებში მოახდინა ძირითადი სამხედრო ძალების ევაკუაცია სოჭის ოლქიდან.

ასეთ ვითარებაში, 6 თებერვალს, დილით, მოხალისეთა არმიის ნაწილები გენერალ–მაიორ ბურნეიჩის მეთაურობით მუხანათურად დაესხნენ თავს საქართველოს ჯარის ნაწილებს, სადგურ ლოსთან გაანადგურეს ქართული სადარაჯო რაზმი, ნაწილი კი ტყვედ აიყვანეს. შემდეგ თეთრგვარდიელები სომეხ მცხოვრებთა შეიარაღებულ რაზმებთან ერთად დაიძრნენ სოჭისაკენ, იმავდროულად მოხალისეებმა დესანტი გადასხეს ქართული ჯარების ზურგში და უკან დასახევი გზა მოუჭრეს მათ. ქართული არმიის ნაწილები გენერალ–მაიორ ალექსანდრე კონიაშვილის, პოლკოვნიკების სიმონ წერეთლის და პეტრიაშვილის მეთაურობით ალყაშემორტყმული აღმოჩნდნენ სოჭში. გენერალმა ბურნეიჩმა ულტიმატუმი წაუყენა გენერალ ა.კონიაშვილს ზედმეტი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად ქართულ არმიას დაეყარა იარაღი /36/. მალე მოხალისეთა არმიამ სოჭის ოლქი და გაგრაც დაიკავა. ქართველებმა მდ. ბზიფისაკენ დაიხიეს და მის მარცხენა ნაპირზე გამაგრდნენ, სამხედრო კონფლიქტმა პერმანენტული ომის ხასიათი მიიღო.

ზღვისპირეთში მიმდინარე ბრძოლების პარალელურად შეიარაღებულ შეტაკებებს ქართულ რაზმებსა და მოხალისეთა ნაწილებს შორის ადგილი ჰქონდა აგრეთვე მამისონის უღელტეხილზეც, ანუ, როგორც მას მთავრობა უწოდებდა, – „ონის ფრონტზე“. ამ რაიონში ქართული არმიის ნაწილებს მეთაურობდა პოლკოვნიკი ინწკირველი. 1919 წლის 28 ივლისს საქართველოს სამხედრო საბჭომ მიიღო დადგენილება ონის ფრონტის გაძლიერების მიზნით მამისონის უღელტეხილზე გადაესროლა გურიაში განლაგებული ჯარის ნაწილები, ამასთან უზრუნველყო ჯარები და ადგილობრივი მოსახლეობა სურსათ–სანოვაგით და სატვირთო აეტომობილებით /37/. აღნიშნული დადგენილების თანახმად, დამატებითი ძალებით გაძლიერდა აგრეთვე დარიალის ხეობაში განლაგებული ჯარის ნაწილები, რომლებსაც პოლკოვნიკი დავით სრესელი მეთაურობდა.

საქართველოს მთავრობა ენდო ინგლისის მთავრობის დაპირებებს, ინგლისელებმა აშკარად მოატყუეს ქართული მხარე. ნ.ჟორდანიას ხელისუფლების მოქმედებას არავითარი გამართლება არ ჰქონდა და იგი გულუბრყვილობად შეიძლება ჩაითვალოს.

საქართველოს მთავრობამ დაიწყო სერიოზული მზადება, რათა ოკუპირებული ტერიტორიიდან განედევნა მოხალისეთა არმიის ნაწილები. სპეციალური დადგენილებით სოხუმისა და გაგრის ოლქებში გამოცხადებულ იქნა სამხედრო წესები. გენერალ–გუბერნატორად დაინიშნა გენერალ–მაიორი იოსებ გედევანიშვილი. ქუთაისის გუბერნიაში დაიწყო 1892–93 წლებში დაბადებულ მამაკაცთა მობილიზაცია /38/. ამასთან ხელისუფლებამ მკაცრ კონტროლზე აიყვანა რესპუბლიკის შიგნით მოქმედი ყველა თეთრგვარდიული ორგანიზაცია, განსაკუთრებით კი მათი ხელმძღვანელები. სამხედრო მინისტრის ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან რიცხავდნენ ყველა იმ ოფიცერს, რომელიც ა.დენიკინის მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი. ამ მოტივით იქნა დათხოვნილი სამსახურიდან პოლკის მეთაური, ცნობილ ქართველ კავალერისტთა გენერალი რატიშვილი /39/. 28 ივნისს კი ბათუმში მოკლეს მოხალისეთა არმიის წარმომადგენელი კავალერიის გენერალი ნათიევი /ნათიშვილი/ /40/, რომელიც დენიკინელ ოფიცრებს შორის

ყველაზე უფრო აქტიური იყო და რუს გენერლებსაც უსწრებდა თავისი იმპერიული შეხედულებებით. ნათიევის მკელელობა, ბათუმში გამოჩავალმა დენიკინელების გაზეთმა „ნაშ კრაი“–ამ საქართველოს მთავრობას დააბრალა /41, 43/.

15 თებერვალს საქართველოს მთავრობის წევრები შეხვდნენ ამიერკავკასიაში მოკავშირეთა ჯარების სარდლობას. შეხვედრის მთავარი თემა იყო სოჭის ოლქში მიმდინარე მოვლენები. საუბარი საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ნ.ჟორდანიამ კატეგორიულად მოსთხოვა გენერალ უოკერს, რომ მოხალისეთა არმიას დაეტოვებინა გაგრის რაიონი და მიუთითა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა თავის ძალებით გაათავისუფლებდა მას. რაც შეეხება სოჭის ოლქს, თბილისი აღარ აცხადებდა პრეტენზიას მასზე /42, 25–26/.

ნ.ჟორდანიას და უოკერის საუბრის ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ მთავრობის მეთაური უარყოფითად აფასებდა ინგლისელთა მოქმედებას საქართველოში. მან პირდაპირ დაუკავშირა ქვეყანაში ბოლო ჟამს არსებული დაძაბული მდგომარეობა მოკავშირეების მოსელას: „ჩვენ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ 1918 წლის 26 მაისს და მოკავშირეების მოსელამდე დაკავებული ვოკავით მხოლოდ ჩვენი ახალი სახელმწიფოს მშენებლობით. ჩვენ არავისთან არ ვომობდით და არსად არ გვყავდა მტრები... ვიმეორებ, რომ ყველა გარშემომყოფებთან ეცხოვრობდით მშვიდობიანად. მოკავშირეების მოსელის შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა: ჩვენ სულ ვომობთ“ /42, 27–28/.

არავითარი პოზიტიური ძერები ამ შეხვედრას არ მოჰყოლია. ამიერკავკასიაში ბრიტანეთის ჯარების მთავარსარდლობამ, შეიძლება ითქვას, ხელი დაიბანა. ზემდგომი ინგლისური ინსტანცია–კონსტანტინოპოლის მთავარსარდლობა, გენერალ ჯორჯ მილნის სახით, კი საეჭვო პასიურობას იჩენდა, ამიერკავკასიის მთავარსარდლობის მეშვეობით ცრუ იმედებს აძლევდა საქართველოს ხელისუფლებას და სინამდვილეში კონფლიქტის სამართლიანი მოწესრიგების საქმეს აჭიანურებდა. ქართული მხარე მოტყუებული და იმედგაცრუებული აღმოჩნდა. საქართველოს ისტორიულ მიწა–წყალს დაკარგვის სერიოზული საშიშროება დაემუქრა.

ინგლისელების ამგვარი დამთმობლური პოლიტიკა თეთრგვარდიელი გენერლისადმი განპირობებული იყო იმით, რომ ა.დენიკინის არმიები იმ დროისათვის ბოლშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლ ერთ–ერთ მთავარ ძალას წარმოადგენდნენ. რუსეთის სამოქალაქო ომში თეთრგვარდიელების გამარჯვება ინგლისის ინტერესებში შედიოდა. ცხადია ამის ფონზე ამიერკავკასიის ახალგაზრდა რესპუბლიკების ინტერესებს და მისწრაფებებს ბრიტანეთის ხელისუფლება მეორეხარისხოვან საკითხად მიიჩნევდა.

ასეთ პირობებში ინგლისის პოზიციამ საქართველო – დენიკინის ურთიერთობაში ცუდად შენიღბული ანტიქართული ხასიათი მიიღო.

ტყუილად უცდიდა საქართველოს ხელისუფლება იმას, რომ ინგლისელები აიძულებდნენ ა.დენიკინს გაეყვანა თავისი ჯარები საქართველოს ოკუპირებული რაიონებიდან. ხანგრძლივი, სამთვიანი ლოდინის და იმედგაცრუების შემდეგ, მისი მოთმინების ფიალაც აივსო. საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები მას აქტიური გადაუდებელი მოქმედებისაკენ უბიძგებდა. ნ.ჟორდანიას მთავრობამ, საესებით სამართლიანად გადაწყვიტა უარეყო ინგლისის მოთხოვნები და წამოიწყო შეტევა გაგრის რაიონში მდ. მეხადირის მიმართულებით, რათა დემორალიზაციისაგან გადაერჩინა მდ. ბზიფზე სამ თვეზე მეტ ხანს უმოქმედოდ მდგარი ქართული ჯარის ნაწილები, გაეთავისუფლებინა მოხალისეების მიერ თვითნებურად დაკავებული საქართველოს ტერიტორია და ამით აღედგინა ისტორიული სამართლიანობა სოხუმის ოლქში.

16 აპრილს სახალხო გვარდიამ გადალახა მდ. ბზიფი და დაიწყო შეტევა გაგრის მიმართულებით. მალე ქართულმა ნაწილებმა დაასრულეს გაგრის რაიონის განთავისუფლება, მიაღწიეს მდ.მეხადირამდე და შეჩერდნენ მის მარცხენა სანაპიროზე. ქართველებმა ტყვედ აიყვანეს ასეულობით დენიკინელი ოფიცერი და ჯარისკაცი, ხელთ იგდეს სამხედრო აღჭურვილობა /43, 139–144/.

ამ გარემოებამ ბრიტანელი მთავარსარდლობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, ისინი ქართული მხარისაგან მოითხოვდნენ შეტევითი ოპერაციების შეჩერებას. ამას თან

დაერთო ერთი უბედური შემთხვევაც: 19 აპრილს თბილისში გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს ინგლისელი კაპიტანი მაგოველი. ყოველივე ამის გამო აღშფოთებულმა გენერალმა ჯ.მილნმა, რომელიც აპრილის ბოლოს ჩამოვიდა თბილისში, უხეში შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოს მთავრობას: არ მიიღო საპატიო ყარაული თბილისის რკინიგზის სადგურზე, 2 მაისს უარი განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიღებაზე და ფაქტობრივად შეწყვიტა ყოველგვარი მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან.

ამდენად, თბილისისა და ბრიტანეთის მთავარსარდლობის ურთიერთობამ უაღრესად დაძაბული ხასიათი მიიღო.

21 მაისს დაიწყო მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასა და მოხალისეებს შორის. საგულისხმოა, რომ დენიკინის სახელით ამ მოლაპარაკებაზე გამოცხადდა ბრიტანეთის მთავარსარდლობის წარმომადგენელი მოხალისეთა არმიაში გენერალი ჩარლზ ბრიგსი. იგი აშკარად იცავდა ა.დენიკინის ინტერესებს და საქართველოს მთავრობისაგან დაჟინებით მოითხოვდა მისი პრეტენზიების დაუყოვნებლივ 'მესრულებას, რაც, არსებითად, საქართველოს ჯარის მიერ გაგრის რაიონის დაცლას და მდ. ბზიფამდე უკან დახევას ნიშნავდა /30, 49/.

ნ.ჟორდანიამ ამ მოლაპარაკებებზე საკმაოდ გაბედული განცხადება გააკეთა: „თუ გენერალი დენიკინი თავს უფლებას მისცემს საქართველოზე შეტევის დროს ისარგებლოს ბრიტანეთის ტანკებით, აეროპლანებითა და კრეისერებით, მაშინ საქართველოს მთავრობა ჩათვლის ამას ინგლისელების გამოსვლად ჩვენს წინააღმდეგ და დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის მთავრობას“. ნ.ჟორდანიამ ისიც აღნიშნა, რომ დენიკინის შემოსევა საფრთხის ქვეშ აყენებს ამიერკავკასიის ყველა ხალხს და იცოდეთ, რომ „მომავალ ბრძოლაში ჩვენ მარტო არ ვიქნებით“–ო /ა.ბენდინიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბ., 2001 წ. გვ. 290/.

როგორც ეხედავთ, ინგლისელებმა იმთავითვე აღიარეს მოხალისეების გავლენის სფეროდ საქართველოს ტერიტორიის ჩრდილო–დასავლეთის ნაწილი მდ.ბზიფამდე. მათი მთელი მცდელობა 1919 წლის პირველ ნახევარში მიმართული იყო

იქითკენ, რათა განემტკიცებინათ მოხალისეების პოზიციები სოჭის ოლქსა და გაგრის რაიონში. ამ მიზნის მისაღწევად ისინი სხვადასხვა მეთოდებს იყენებდნენ, მუქარასაც კი, ხოლო აპრილის მოვლენების შემდეგ, თბილისზე აშკარა დაწოლა დაიწყეს და გარკვეულ შედეგებსაც მიაღწიეს. მათ აიძულეს საქართველოს მთავრობა წასულიყო მნიშვნელოვან დათმობებზე. ქართული მხარე ფაქტობრივად დასთანხმდა ინგლისელთა, უფრო სწორად, ა.დენიკინის პირობებს, რაც გულისხმობდა, საქართველოს ჯარების უკან დახევას მდ. ბზიფამდე, მოხალისეები თავის მხრივ არ უნდა გადმოსულიყვნენ მდ.მეხადირზე, ხოლო ორ მდინარეს შორის ნეიტრალურ ზონას დაიკავებდნენ ინგლისის ჯარები /30, 50/. 25 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ამის შესახებ აცნობა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და აშშ მისიებს საქართველოში, ხოლო 6 ივნისს გაუგზავნა რადიოგრამა ლოიდ ჯორჯს.

საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების პარალელურად მოხალისეთა არმიის ნაწილებმა წარმატებით განაგითარეს შეტევითი ოპერაციები ჩრდილო კავკასიაში. 1919 წლის ივნისისათვის დაღესტნის დიდი ნაწილი უკვე დენიკინელების ხელში აღმოჩნდა, ამიერკავკასიას ოკუპაციის რეალური საფრთხე დაემუქრა /44, 268/, უპირველეს ყოვლისა კი ბაქოს /45, 198/.

ახლად დაკავებულ პეტროვსკში /მახაჩკალა/ ა.დენიკინმა თავი მოუყარა ჯარების დამკერელ დაჯგუფებას, დაიძრა სამხრეთისაკენ და აზერბაიჯანის ჩრდილოეთის საზღვრებს მიადგა. მთიელთა რესპუბლიკის პარლამენტი და მთავრობა დათხოვნილ იქნა, მთავრობის წევრებმა თბილისს შეაფარეს თავი /5, 155/. მთიელთა რესპუბლიკა ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ყველა მთიელ ხალხს აერთიანებდა /46, 34/ და ერთგვარ ბუფერულ სახელმწიფოს წარმოადგენდა აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის, ამდენად, მისი ლიკვიდაცია პირდაპირი საშიშროება იყო აზერბაიჯანისათვის. მთიელთა რესპუბლიკა აზერბაიჯანის სტრატეგიულ ინტერესებში იჯდა და მუსავატური მთავრობა მის დასაცავად გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებდა.

გარდა ამისა, ნ.უსუბეკოვის მთავრობას თავისი ინტერესები ჰქონდა დაღესტანში. ამიერკავკასიაში მყოფ ინგლისელ გენერალთა ინიციატივითა და მათივე მხარდაჭერით იგი ცდილობდა აზერბაიჯანისათვის დაღესტნის მიერთებას. ინგლისელთა ეს ქმედება სულაც არ მიუთითებდა იმაზე, რომ ისინი განსაკუთრებულად თანაუგრძნობდნენ აზერბაიჯანს და დაინტერესებული იყვნენ მის გაძლიერებაში. უბრალოდ, წარმოდგენილი გეგმა დიდი ბრიტანეთის ექსპანსიური პოლიტიკის გაგრძელება იყო. ბრიტანელი გენერლების პირველად მიზანს ჩრდილო კავკასიაში, წარმოადგენდა დაღესტნის სანაპიროების დაკავება, საიდანაც შემდგომში გაიშლებოდა დიდი პერსპექტივები და შესაძლოა გროზნოს ნავთობსარეწების დაკავებაც მომხდარიყო /26, 97/.

დაღესტნის საკითხი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო, იგი ან ა.დენიკინის მიერ იქნებოდა ოკუპირებული, ან აზერბაიჯანს უნდა შეერთებოდა, ორივე ძალა, ცხადია, ინგლისის გავლენის სფეროში შედიოდა. ამ ვითარებაში ინგლისელები დადგნენ ერთგვარი არჩევანის წინაშე. მათ უნდა გადაეწყვიტათ რომელი ვარიანტი უფრო მომგებიანი იყო მათთვის. ამიერკავკასიაში ბრიტანეთის ჯარების მხედართმთავრობამ ამ შემთხვევაში არჩევანი აზერბაიჯანზე შეაჩერა, ვინაიდან მისი სუსტი მთავრობა უფრო მართვადი იყო, ვიდრე გაძლიერებული თეთრგვარდიელი გენერალი, რომელიც გარკვეულ მომენტებში უგულებელყოფდა მოკავშირეთა მოთხოვნებს.

დაღესტნის საკითხზე აზერბაიჯანმა აქტიური მუშაობა დაიწყო. მუსავატური მთავრობა ამზადებდა ჯარებს იქ შესაყვანად, დაღესტანში წინასწარ გაგზავნეს სპეციალურად შერჩეული ემისრები, რომლებსაც დაევალათ მოემზადებინათ საზოგადოებრივი აზრი, რათა მოსახლეობისათვის მოულოდნელი და უცხო არ ყოფილიყო ქვეყანაში აზერბაიჯანული ჯარის ნაწილების გამოჩენა /46, 34/.

ა.დენიკინისთვის, რაღა თქმა უნდა, ცნობილი იყო ინგლისისა და აზერბაიჯანის გეგმები, გენერალმა ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით, დაასწრო მათ და დაღესტანი ელვის სისწრაფით დაიკავა. ა.დენინიკმა ფაქტის წინაშე დააყენა

ინგლისელები, რომლებმაც იმ მიზეზით, რომ არ სურდათ დაღესტნის საკითხის გამო თეთრგვარდიელი გენერლის განაწყენება, ძველი გადაწყვეტილება შეცვალეს და დაღესტანი მოხალისეთა არმიის გაელენის სფეროდ აღიარეს /46, 35/.

აზერბაიჯანის საზღვარზე გასელის შემდეგ მოხალისეთა არმიის ნაწილებმა ზოგიერთ მონაკვეთზე გადაკვეთეს საზღვარი და სადგურ იალამასთან დადგნენ. დღის წესრიგში იდგა აზერბაიჯანის ოკუპაცია /47, 213/. გარდა აბისა, ა.დენიკინს, როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანშიც, საკმაოდ ძლიერი დასაყრდენი ჰქონდა. რუსი გენერალი ორივე რესპუბლიკაში ერთი ხელწერით მოქმედებდა. აზერბაიჯანის მსხვილ ქალაქებში შექმნილი იყო თეთრგვარდიელ ოფიცერთა ორგანიზაციები და რაზმები, რომლებიც ახდენდნენ სხვადასხვა ეროვნების ოფიცრების მობილიზაციას და ა.დენიკინის არმიებში გადაგზავნას, ამზადებდნენ ნიადაგს ქვეყანაში მოხალისეთა არმიის შეჭრისათვის. ბაქოს რუსული ეროვნული საბჭო, რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობდნენ ბაქოელი ესერები, გადაქცეული იყო შპიონაჟის ცენტრად და ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას /48, 195–196/. აზერბაიჯანის მთავრობამ გარკვეულ კონტრ–ღონისძიებებს მიმართა, კერძოდ, ნოტა გაუგზავნა გენერალ ე.ტომსონს. ბაქო ითხოვდა დაუყოვნებლივ გაეყვანათ თავისი რესპუბლიკიდან თეთრგვარ-დიელთა რაზმები და ორგანიზაციები /26, 93–94/. ინგლისელებმა დააკმაყოფილეს მუსავატელების მოთხოვნები. ჯერ კიდევ 1919 წლის დასაწყისში გენერალ ე.ტომსონის მიერ დაწესებული იქნა სადემარკაციო ხაზი, რომელიც გადიოდა კავკასიის მთების გასწვრივ და დაღესტანის ჩრდილოეთ ნაწილში /6, 134/; აზერ-ბაიჯანიდან საქართველოში, იქედან კი ნოვოროსიისკში გაყვანილ იქნა პოლკოვნიკ ლ.ბიჩერახოვის 608 კაციანი კაზაკთა რაზმი 36 რუს ოფიცერთან ერთად /49, 33/. ცოტა ხნის შემდეგ აზერბაიჯანის ტერიტორია გენერალ მ.ა.პრუეალსკის თეთრგვარ-დიელმა ნაწილებმაც დატოვეს /26, 95/. 1 მარტისათვის ბაქოში ა.დენიკინის არცერთი ჯარისკაცი არ იმყოფებოდა /46, 30–31/.

ინგლისელი გენერლების ამგვარ მოქმედებას მოხალისეთა არმიის სარდლობა არ ელოდა და შეშფოთებული იყო

აზერბაიჯანიდან ბიჩერახოვისა და პრეევალსკის რაზმების გამო-
დევნით. დენიკინელები უკმაყოფილო იყვნენ იმით, რომ
აზერბაიჯანში და საქართველოში ერთდროულად მიმდინარეობდა
ადგილობრივი თეთრგვარდიული ორგანიზაციების შეეიწროება და
დევნა, ბრიტანელთა მხარდაჭერამ აზერბაიჯანზე კი სულ მთლად
გააოგნა ისინი. 19 მარტს მოხალისეთა არმიის საიდუმლო აგენტი
კაპიტანი ჩერნიშოვი სადაზვერვო ცნობა'ში წერდა: „დღეისათვის
უდაეო ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ ინგლისელები მხარს
უჭერენ და ხელს უწყობენ ამიერკავკასიის ეთნოგრაფიული
ჯგუფების სეპარატიზმს". და იქვე გულისწყვეტით აღნიშნავდა:
„შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანი საქართველოს გზას დაადგა,
მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დაელოდა ამიერკავკასიაში
ამჟამად გაბატონებული ძალების მხრიდან მონაბერ ზურგის ქარს"
/26, 95/.

ამრიგად, როგორც ეხედავთ ინგლისის სარდლობა
თითქოსდა მოწადინებული იყო დაეცვა აზერბაიჯანი, მაგრამ
შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ა.დენიკინი ინგლისელებმა
ვერ შეაჩერეს. ეროვნული მთავრობა შიშმა მოიცვა, რადგან
თეთრგვარდიელების შემდგომი სამიზნე ბაქოს ნავთობი იყო.

აზერბაიჯანის დასაკავებლად ა.დენიკინს 1919 წლის
საფხულ'ში საკმაო ძალები ჰყავდა. მისი არმიები ამ დროისათვის
კიდევ უფრო გაძლიერდნენ და თავიანთ 'შემადგენლობაში
ითვლიდნენ 104000 ხიშტს, 56200 ხმალს, დაახლოებით 600
ქვემეხს, 1500 ტვიამფრქვევზე მეტს, 34 ჯავშანმატარებელს, 19
თვითმფრინავს, 1 კრეისერს, 5 ესმინეცს, 4 წყალქვეშა ნავს და 20
შეიარაღებულ გემს /5, 114/.

1919 წლის 26 მაისს აზერბაიჯანის პარლამენტის
სხდომაზე განხილულ იქნა ფრაქცია მუსავატის მიერ შემოტანილი
საკითხი, რომელიც ეხებოდა მოხალისეების მიერ პეტროვსკის და
დერბენტის დაკავებას. ფრაქცია მოითხოვდა, რესპუბლიკის
დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით, ქმედითი ღონისძიებების
გატარებას. ნიშანდობლივი იყო ამ კუთხით ფრაქციის ლიდერის
მ.რასულზადეს გამოსელა, რომელმაც აღნი'შნა, რომ დაღესტანი
წარმოადგენდა ერთგვარ კარიბჭეს, არამარტო
აზერბაიჯანისათვის, არამედ სხვა ახლად შექმნილი რეს-

პუბლიკებისათვისაც. მთავრობის სახელით მოხსენება გააკეთა პრემიერ– მინისტრმა ნ.უსუბეკოვმა, მან დეპუტატებს გააცნო ის კონკრეტული ღონისძიებები, რომელსაც ახორციელებდა მთავრობა სახელმწიფო საზღვრების უსაფრთხოებისათვის. პარლამენტმა მოიწონა მთავრობის გადაწყვეტილებები და მხარდაჭერა აღუთქვა მას /6, 134–135/.

ა.დენიკინის ხელისუფლება თვალთმაქცობდა: 3 ივნისს მოხალისეთა არმიის წარმომადგენელმა ინგლისელთა ჯარების შტაბ'ში, პოლკოვნიკმა ლაზარევმა, ა.დენიკინის სახელით აზერბაიჯანის მთავრობას აცნობა, რომ მოხალისეთა არმიის სარდლობა არავითარ აგრესიულ ქმედებას არ გეგმავდა აზერბაიჯანის მიმართ და აღიარებდა მის დამოუკიდებლობას /26, 105/. რამდენიმე დღის შემდეგ, ახალი ნოტა გაეგზავნა აზერბაიჯანის მთავრობას, სადაც ისევ იქნა დადასტურებული 3 ივნისის ცნობა, ამგვარი ახალი ნოტაში მოხალისეთა არმიის წარმომადგენელმა სხვათაშორის მიუთითა, რომ ა.დენიკინი მუსავატური რესპუბლიკის საზღვრებს ცნობდა ზაქათალა–სადგურ ყიზილ–ბურუნის ხაზის გასწვრივ, რითაც ფაქტიურად ხაზი გადაესვა ა.დენიკინის ყველა ადრინდელ სამშვიდობო განცხადებებს. ყიზილ–ბურუნი ბაქოდან ჩრდილოეთით მიმავალი სარკინიგზო გზის მეოთხე სადგური იყო, აქედან გამომდინარე ა.დენიკინი თვლიდა, რომ მოხალისეთა არმიას უნდა დაეკავებია რესპუბლიკის მთელი ერთი მაზრა, რომელიც ბაქოს ჩრდილოეთით მდებარეობდა. დენიკინელების განზრახვა რომ რეალური იყო, ამას მოწმობს სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების ჩრდილო–კავკასიის ჯარების ჯგუფის სარდლის, კავალერიის გენერალ ივანე ერდელის მოხსენება, სადაც ის აცხადებდა, რომ მოხალისეები გავიდოდნენ ყიზილ–ბურუნ–ზაქათალის ხაზზე და, თუ კი აზერბაიჯანელები წინააღმდეგობას გაუწევდნენ მათ წინსვლას, ეს ომის გამოცხადების ტოლფასი იქნებოდა /26, 106/. აზერბაიჯანის მთავრობისათვის ცხადზე ცხადი იყო, რომ მეფის გენერლები მათ სამშობლოს რუსეთის განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ, მიღწეულით არ დაკმაყოფილდებოდნენ და აღნიშნულ ხაზზე გასვლის შემდეგ ბაქოში მოხალისეების შეჭრა გარდაუვალი იქნებოდა.

აზერბაიჯანის ხელისუფლება და ხალხი გააერთიანა თეთრგვარდიელების აგრესიამ. 1919 წლის მაისის ბოლოს რესპუბლიკაში მობილიზაცია გამოცხადდა /50/. მთავრობამ ა.დენიკინს მტკიცე პროტესტი განუცხადა და მოსთხოვა, შეეწყვიტა საბრძოლო მოქმედებები საზღვარზე, ამავდროულად მუსავატელებმა ნოტა გაუგზავნეს საქართველოსა და სომხეთის მთავრობებს „საერთო საშუალებათა გამოძებნის შესახებ მტრისაგან თავდაცვის საქმეში“ /51/.

ქართველი ხალხი აღაშფოთა მეზობელ რესპუბლიკაზე თაედასხმამ და მათდამი თანადგომის გრძნობით განიმსჭვალა. გაზეთი „ერთობა“ გამოეხმაურა რა ამ ფაქტს, აღნიშნავდა: „ადერბეიჯანში მობილიზაცია გამოცხადდა... უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში დიდძალი ახალგაზრდობა მიდის თფილისიდან ადერბეიჯანისაკენ“ /50/.

შექმნილი რთული მდგომარეობის გამო, აზერბაიჯანის პარლამენტი იძულებული გახდა 5 ივნისს ხელახლა მიბრუნებოდა ა.დენიკინის საკითხს. დეპუტატებმა მოსთხოვეს მთავრობას უფრო ქმედითი და რადიკალური ზომები მიეღო სახელმწიფო ინტერესების დაცვისათვის. მთავრობის თავმჯდომარემ ნ.უსუბეკოვმა აცნობა პარლამენტს, რომ იგი შეხვდა ამიერკავკასიაში მოკავშირეთა ჯარების ახალ სარდალს გენერალ გ.კორეს, რომელმაც აზერბაიჯანის საზღვრების ხელშეუხებლობის გარანტია მისცა მას, მაგრამ პრემიერ მინისტრის თქმით, მთავრობა მაინც არ ენდობოდა ინგლისელი გენერლის დაპირებებს და უფრო მეტად საკუთარ ძალებს ეყრდნობოდა /6, 135/.

შემდეგ მოხსენება გააკეთეს ფრაქციის ლიდერებმა, მათი გამოსელები გამსჭვალული იყო ეროვნული პატრიოტიზმით. ამ დღეს იშვიათი ერთსულოვნება სუფევდა მთავრობას, პარლამენტსა და საზოგადოებრივ აზრს შორის. სხდომას ესწრებოდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანში ნ.ქარციეაძე, რომელსაც დეპუტატებმა ორჯერ გაუმართეს ოვაცია /52/. აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების სახელით პარლამენტს მიმართა ბაქოს ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ, აზერბაიჯანის პარლამენტის ერთადერთმა

ქართველმა დეპუტატმა ელადისლავ ბაქრაძემ. მან თავისი მოხსენება შემდეგი სიტყვით დაიწყო: „მოქალაქენო, პარლამენტის წევრნო! მე ბედნიერი ვარ, რომ ისეთ დროს მიხდება ადერბეიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველების სახელით გამოსვლა, როცა კავშირი ამ ორ მეზობელ და მეგობრულათ განწყობილ ხალხთა შორის მტკიცდება საერთო საფრთხის წინაშე, როცა ინტერესთა ერთობა და აუცილებლობა, შეთანხმებულად მოქმედებისა აუცილებელ საჭიროებათ არის აღიარებული.

მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტში შემიძლია გადავცე ადერბეიჯანის ხალხის ინტერესების უზენაეს გამომხატველ ორგანოს ის გრძნობა, რომელიც ასულდგმულებს ქართველებს არა მარტო ადერბეიჯანის საზღვრებში არამედ მისი საზღვრების იქითაც“. ვ.ბაქრაძე იმედოვნებდა, რომ ჩრდილოეთის რეაქციასთან ბრძოლაში აზერბაიჯანი მარტო არ დარჩებოდა და მას გვერდში ამოუდგებოდა მთელი ამიერკავკასია, მან ამიტომაც განაცხადა: „პირველ რიგში გამოვა საქართველოს დემოკრატია და ქართველი პოლკები, თავისუფლებისათვის და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გაკაუებულნი... სწრაფად გაეშურებიან დასახმარებლად მოძმე ხალხისა, რომელიც იცავს თავის უფლებებს, თავის კერას და დამოუკიდებლობას“ /53/.

როგორც ვხედავთ ბოლო ციტატიდან, აზერბაიჯანის პარლამენტში გაკეთდა მინიშნება იმაზე, რომ არ იყო გამორიცხული ქართული ჯარების გაგზავნა აზერბაიჯანში.

პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომ მთავრობას უნდა გამოყოფოდა განსაკუთრებული ორგანო, რომელიც აღიჭურვებოდა ფართო უფლებებით. დეპუტატებმა მოუწოდეს ამიერკავკასიის ხალხებს გაერთიანებულიყვნენ ერთი მიზნის გარშემო: „პარლამენტს ღრმად სწამს, რომ ამიერკავკასიის ყველა ხალხები შეკავშირდებიან და იბრძოლებენ საერთო მტრის წინააღმდეგ თავის თავის დამოუკიდებლობის დასაცავად და თავისუფალ განვითარების უზრუნველსაყოფად“ /52/. პარლამენტმა მიმართვა გაუგზავნა აგრეთვე პარიზის საზავო კონ-ფერენციას მხარი დაეჭირა ახლადშექმნილი რესპუბლიკების დამოუკიდებლობისთვის /6, 136/.

საქართველოს ხელისუფლებამ იგრძნო რა მდგომარეობის გამწვავება მეზობელ რესპუბლიკაში, გადაწყვიტა აზერბაიჯანში დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან სამხედრო ატაშედ ჰყოლოდა მაღალი რანგის პროფესიონალი ოფიცერი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე 1919 წლის 20 იანვარს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს აზერბაიჯანში ნიკოლოზ ქარციკაძეს წერდა: „შექმნილ რთულ პოლიტიკურ პირობებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და, კერძოდ, აზერბაიჯანში, განსაკუთრებით ბაქოს რაიონში, სადაც გადახლართულია სხვადასხვა ინტერესები და მწიფდება დიდი სამხედრო მოვლენები, აუცილებლად გვესახება თქვენს მიერ წარმოდგენილ დიპლომატიურ მისიასთან გვყავდეს სპეციალური დიპლომატიური წარმომადგენლობა. ამ დროიდან თქვენთან სამხედრო წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა მარღანაძემ, უეჭველია დიდი სამსახური გაუწია რესპუბლიკას, მაგრამ შექმნილ პირობებში, როდესაც წინა პლანზე გამოდის სუფთა სამხედრო, სტრატეგიული ინტერესები, აუცილებელია ბაქოში სამხედრო წარმომადგენლად გვყავდეს პირი სპეციალური უმაღლესი სამხედრო განათლებით. ე.ი. გენერალური შტაბის ოფიცერი. ჩემდამი რწმუნებულ სამინისტროში უკვე შემუშავებულია და ჩემს მიერ დამტკიცებულია ბაქოში ახალი სამხედრო წარმომადგენლობის შტატები და თქვენი თანხმობის შემთხვევაში ისინი შეიძლება შევიყვანოთ მოქმედებაში, ხოლო, რაც შეეხება ბატონ მარღანაძეს, რასაკვირველია, მას, თავისი დამსახურების გათვალისწინებით, მიეცემა სათანადო ადგილი სამხედრო უწყებაში“ /54/.

მალე სამხედრო ატაშედ გაიგზავნა მე–2 ქართული დივიზიის უფროსი /მეთაური/ პოლკოვნიკი ვასილ კარგარეთელი.

საქართველოს ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ აზერბაიჯანის ოკუპაციის შემდეგ ა.დენიკინი აუცილებლად გამოილაშქრებდა საქართველოზე და მეორე ფრონტს გახსნიდა მის წინააღმდეგ. დამფუძნებელი კრების I იენისის სხდომა ამ საკითხის განხილვას მიეძღვნა. უნდა აღინიშნოს ის, რომ აზერბაიჯანის პარლამენტის 5 იენისის სხდომა თავის შინაარსით

და მიღებული რეზოლუციებით ძალზედ წააგავს საქართველოს დამფუძნებელი კრების 1 ივნისის სხდომას.

დამფუძნებელი კრების 1 ივნისის სხდომას დაესწრო აზერბაიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენელი საქართველოში მ.ჯაფაროვი, რომელსაც კრების წევრები აპლოდისმენტებით მიესალმენ. კრებას მთავრობის სახელით მიმართა და აღმასრულებელი ხელისუფლების პოზიცია გააცნო საგარეო საქმეთა მინისტრმა ე.გეგეჭკორმა. მან დააიმედა მსმენელები, რომ საქართველო ა.დენიკინთან ბრძოლაში უეჭველად გამარჯვებული გამოვიდოდა, მას სჯეროდა მოწინავე ქვეყნების მხარდაჭერის და საჭიროდ მიაჩნდა ამ ქვეყნების გავლენის უფრო ეფექტურად გამოყენება. ე.გეგეჭკორი ამასთან შეეხო ამიერკავკასიაში ერთიანი ანტიდენიკინური ფრონტის ჩამოყალიბებას და აღნიშნა: „ჩვენ შეგვიძლიან ესთქვათ, რომ ქართველი ხალხი ამ შებრძოლებაში განმარტოებული არ სდგას. ჩვენ უკვე გვაქვს უტყუარი საბუთი იმისა, რომ ადერბეიჯანის რესპუბლიკა ჩვენთან ერთად არის... ადერბეიჯანის მთავრობამ ჩვენი ცნობით უკვე წარგზავნა თავის საზღვარზე ჯარები, რომელნიც ადერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვრებს მედგრად დაიცავენ“ /55/.

საგარეო საქმეთა მინისტრის აზრი განავრცო თავის მოხსენებაში სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ.რამიშვილმა, რომელმაც განუცხადა კრების წევრებს, რომ ა.დენიკინთან ბრძოლაში საქართველოს გვერდით ედგა არა მარტო აზერბაიჯანი, არამედ მთიელებიც /55/.

თავის გამოსვლაში საქართველოში მოქმედი თეთრგვარდიელი ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს შეეხო შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი /მოადგილე/ ნიკოლოზ /პარმენ/ ჭიჭინაძე. მისი თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებდა მთელ რიგ ღონისძიებებს ამ საკითხთან მიმართებაში დამნაშავე ელემენტების გამოსაელენად და დასაკავებლად, დახურული იქნა რამოდენიმე გაზეთი, რომელიც თეთრგვარდიული რუსეთის პროპაგანდას ეწეოდა /55/.

კრების წინაშე სიტყვით წარსდგა აგრეთვე სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე ვ.ჯუღელი. მან გამოთქვა იმედი, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები

შეძლებდნენ ესოდენ რთული ამოცანის შესრულებას და დაამარცხებდნენ აგრესორს. გამომსველელი იმავე დღესვე გაემგზავრა სოჭის ფრონტზე საბრძოლო დავალების შესასრულებლად /56/.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდნენ ფრაქციათა წარმომადგენლები: შ.მესხიშვილი /სოციალისტ–ფედერალისტები/, ი.გობეჩია /ესერები/, ს.კედია /ეროვნულ–დემოკრატები/ და რ.არსენიძე /სოციალისტ–დემოკრატები/. ყველა გამოსველელმა მხარი დაუჭირა მთავრობის მოქმედებას და თავიანთი პარტიების სახელით დახმარება აღუთქვა მას /55/. ნიშანდობლივი იყო სოციალ–დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარის რაუდენ არსენიძის გამოსვლა, რომელშიც საკმაოდ თამამი მოწოდება გაისმა: „ადერბეიჯანის დემოკრატიას, იმ გლეხებს და მუშებს, რომელთაც სურთ და უყვართ თავისუფლება, მათ უძღვნათ სალამი და მათთან ერთად გავწიოთ წინ“ /56/.

ბოლოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო რეზოლუცია, სადაც დაგმობილი იყო თეთრგვარდიელების იმპერიული პოლიტიკა. რეზოლუციაში ამასთან ერთად, ხაზგასმული იყო: „დამფუძნებელი კრება ღრმად დარწმუნებულია, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკები და მათი დემოკრატია ამ საერთო საფრთხის წინაშე ერთად დადგებიან და მას საერთო ძალით ეკეთებიან“ /55/.

ა.დენიკინის აგრესიაზე პროტესტს გამოთქვამდნენ საქართველოს და აზერბაიჯანის სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციები. 31 მაისს თბილისის მუშათა საბჭომ მოუწოდა მთელ დემოკრატიულ საზოგადოებას, განურჩევლად რწმენისა, მიმართულებისა და ეროვნებისა, გაერთიანებულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად /55/. თავის მხრივ ბაქოს მუშათა კონფერენციამ მშრომელთა მასების გაერთიანებული მოქმედების გეგმის შესადგენად სთხოვა თბილისის მუშათა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტს, რომ სასწრაფოდ მოეწვიათ ამიერკავკასიის მუშათა დეპუტატების კონფერენცია /57/.

როგორც ვხედავთ, მაისის ბოლოდან უკვე აშკარად იგრძნობა საქართველოს და აზერბაიჯანის პოლიტიკური

ინტერესების დაახლოება. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ჩანაწერი გააკეთა თაეის მოგონებებში ცნობილმა ქართველმა დიპლომატმა და მეცნიერმა ზურაბ ავალიშვილმა: „... აზერბაიჯანს, თუ მეტით არა, ისე მაინც ეშინოდა ჩრდილოეთის შემოსევისა, როგორც საქართველოს. ეს, რა თქმა უნდა იწვევდა ამ ორი რესპუბლიკის პოლიტიკურ დაახლოებას, რაც, საერთოდ ბუნებრივია, რაც აიხსნება მრავალი მიზეზით, ინტერესითა და მისწრაფებით, ხოლო 1919 წელს მით უფრო ადვილათ შესასრულებელი იყო ამ დაახლოების განხორციელება, რომ ოსმალოების დაცემისა და მათი აზერბაიჯანიდან წასვლის შემდეგ უკანასკნელი უბრუნდება თაეის კავკასიის წრეს“ /58, 166/.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უკვე აწარმოებდა საბრძოლო მოქმედებებს მოხალისეთა არმიასთან სოჭის ფრონტზე, რეალური საშიშროება ხელისუფლებამ მაინც აღმოსავლეთიდან იგრძნო. ამას მოწმობს მთავრობის თავმჯდომარის ნ.ჟორდანიას საუბარი ამიერკავკასიაში ბრიტანეთის ჯარების სარდალ გენერალ გ.კორესთან, რომელიც 1919 წლის 31 მაისს გაიმართა. გენერალ გ.კორეს შეკითხვაზე, იცოდა თუ არა საქართველოს მთავრობამ, რომ ა.დენიკინი ნამდვილად აწარმოებდა ომს საქართველოს წინააღმდეგ, მთავრობის თავმჯდომარემ უპასუხა: „ეს უთუოდ ასეა, და ამ მომენტში საფრთხე გვემუქრება ბაქოს მხრიდან“ /42, 75/.

საქართველოს ხელისუფლებამ დენიკინის აგრესია ჩათვალა, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფის მცდელობა და სრული მხარდაჭერა განუცხადა მეზობელ რესპუბლიკას. მალე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები აზერბაიჯანის დასახმარებლად, კერძოდ, საქართველო არ მოერიდა ინგლისელებთან ურთიერთობის გამწვავებას და 30 მაისს თბილისის სადგურში დააკავა ბაქოში მიმავალი ინგლისელთა მატარებელი, რომელსაც რუსული შეიარაღება და საბრძოლო მასალები გადაჰქონდა ყარსის ციხესიმაგრიდან მოხალისეთა არმიაში /59, 87/. ბაქოდან ეშელონი პეტროვსკში უნდა გადასულიყო. ნ.ჟორდანიას მთავრობისათვის ცხადი იყო, რომ ა.დენიკინი აღნიშნულ იარაღს აზერბაიჯანის და საქართველოს წინააღმდეგ შემოაბრუნებდა. ეშელონის დაკავებამ ძალზედ გააღიზიანა ბრიტანეთის ჯარების

სარდლობა ამერიკაკავკასიაში. გენერალ გ.კორეს და ნ.ჟორდანიას საუბარი საკმაოდ დაძაბული გამოდგა, გენერალი კატეგორიულად მოითხოვდა მატარებლის განთავისუფლებას. მოვიყვანთ მცირე მონაკვეთს მათი საუბრიდან:

„გენერალი კორე ეკითხება მთავრობის თავმჯდომარეს: – პირველი შემთხვევაა, რომ დააკავეს ინგლისური ეაგონები?

ნ.ჟორდანია: დიახ.

გენერალი კორე: და უკანასკნელად?

ნ.ჟორდანია: იმედი მაქვს.

გენერალი კორე /ღიმილით/: იმედი მაქვს კი არა, უეჭველად“ /42, 74/.

2 ივნისს საქართველოს სამხედრო საბჭომ მიიღო დადგენილება აზერბაიჯანის დასახმარებლად საქართველოს შეიარაღებული ძალების მთლიანი შემადგენლობიდან გამოყოფილიყო ჯარის სამივე სახეობისაგან დაკომპლექტებული პატარა რაზმი /60/.

ამრიგად, საქართველოს და აზერბაიჯანის ხელისუფლებისთვის 1919 წლის მაისის ბოლოს უკვე ნათელი გახდა, რომ აუცილებელი იყო გაერთიანებული ძალებით მოქმედება. მათ დაიწყეს ამ კუთხით კონკრეტული ღონისძიებების გატარება, მუშაობის პროცესში კვლავ სამხედრო კავშირის დაარსების საკითხი დადგა დღის წესრიგში.

თავი მესამე
ბრძოლა ანიტიდენიკინური ფრონტის შექმნისათვის და საქართველო–აზერბაიჯანის 1919 წლის 16 ივნისის სამხედრო ხელშეკრულება

1919 წლის 27 აპრილს თბილისში მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთავრობათა კონფერენციამ, რომელიც სამ რესპუბლიკას შორის არსებულ სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებს იხილავდა. 9 ივნისს ჩატარდა კონფერენციის მორიგი სხდომა. სწორედ ამ სხდომაზე საქართველოს მთავრობამ დააყენა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის სამხედრო კავშირის დაარსების საკითხი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა აგრეთვე მთიელთა რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაციაც. საქართველოს სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ.რამიშვილმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამხედრო და დიპლომატიური ძალების გაერთიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ იგივე ბედი ეწვეოდათ, რაც მთიელთა რესპუბლიკას. საქართველოს დელეგაციის სახელით, მან კონფერენციის მონაწილეებს სთხოვა დაემტკიცებიათ შემდეგი რეზოლუცია: „ვაცხადებთ რა უსასტიკეს პროტესტს პარიზის საზაეო კონფერენციისა და ნეიტრალ ქვეყნების წინაშე გენერალ დენინიკნის დაპყრობითი თვითგამორკვეულ კავკასიის ერთა უფლებათა შელახვის სურვილების წინააღმდეგ, კონფერენცია ადგენს, გაერთიანდეს ამიერკავკასიის ერთა სამხედრო დიპლომატიური ძალები მომდგარ საფრთხის დასაძლევად და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად“. /57/

აზერბაიჯანისა და მთიელთა რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელებმა ფ.ხან–ხოელმა და კანტემიროვმა მხარი დაუჭირეს საქართველოს მთავრობის წინადადებას. სომხეთის სამთავრობო დელეგაციამ კი სრულებით განსხვავებული პოზიცია დაიკავა. იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ უპირველეს ყოვლისა, უნდა მოგვარებულიყო ის პრობლემები, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიულ და საზღვრების გამიჯვნასთან იყო დაკავშირებული. მათი აზრით, მხოლოდ ამ პრობლემების

გადაჭრის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი სომხეთის მხარის მონაწილეობა დასმული საკითხის განხილვაში. სომხეთის მთავრობის ეს მოთხოვნა ნათლად ჩამოაყალიბა თავის გამოსვლაში სომხეთის დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელმა ს.ტიგრანიანმა – „დამოუკიდებლობის დაცვა გულისხმობს ტერიტორიის დაცვას და, როგორ გსურთ ამ ტერიტორიის დაცვა, როდესაც ტერიტორიალური გამიჯვნა არ მომხდარა. თქვენ იცით, ალბათ, ყარაბახში მომხდარი ამბები და გეკითხებით, ვინ უნდა დაიცვას იგი ადერბეიჯანმა თუ სომხეთის ჯარმა? ვინაიდან ეს საკითხები საბოლოოთ არ გადაწყვეტილა, ლაპარაკი საერთო გამოსელისათვის, ჩემი აზრით, საკმაოთ გართულდება“ /61/.

ს.ტიგრანიანი ცდილობდა კონფერენციის მონაწილეების დარწმუნებას, რომ ა.დენინიკინის მიზნებში არ შედიოდა ამიერკავკასიის დაკავება. მისი აზრით, რეგიონისათვის ყველაზე საშიში მტერი თურქეთი იყო და საჭიროდ მიაჩნდა მუშაობის უფრო მეტად ამ პრობლემის ირგვლივ წარმართვა.

9 ივნისის პლენარულ სხდომაზე ე.ვეგეჭკორმა თანაგრძნობა გამოუცხადა მთიელთა დელეგაციას და წამოაყენა პროექტი ანტანტის პარიზის კონფერენციისადმი მტკიცე პროტესტის გამოცხადების შესახებ: რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა მხოლოდ სამხრეთის წარმომადგენელმა ორი მოტივით: 1) დენიკინის საფრთხე გაზეიადებულია და სომხეთს საშიშროება მხოლოდ ოსმალეთის მხრიდან მოელის, 2) დელეგაციას ერევნიდან არაკითარი დირექტივები არ მიუღია ამ საკითხზე და ამიტომ იგი ვერ გადააწყვეტს თავის კომპეტენციას.

სომხური დელეგაციის პოზიცია მკაცრად გააკრიტიკა ქართულმა პრესამ. გაზეთი „სახალხო საქმე“ ამ ფაქტთან დაკავშირებით წერდა: „სომხების პოლიტიკა ერთი უმთავრესი საკითხია ამჟამად ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისათვის. ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა არსებითად უნდა აგრძნობინონ სომხებს, რომ დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლა ლამანტაცია როდია, ხოლო საქართველო და აზერბაიჯანი ლათაიებით არ დაკმაყოფილდება ყოველ დენიკინელის მომხრესთან ბრძოლაში /ნ.ვაშაყმაძე, სახელმწიფოებრიეი საზღვრების საკითხი

საქართველო–სომხეთის ურთიერთობაში 1917–1921 წლებში, ქუთაისი, 2002 წ. გვ. 83/.

ივნისის შუა რიცხვებში აზერბაიჯანსა და მოხალისეთა არმიას შორის კიდევ უფრო დაიძაბა მდგომარეობა, გარდა ამისა, უკიდურესად მძიმე იყო თვით რესპუბლიკაში შექმნილი შიდა პოლიტიკური ვითარება. აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტი 1918 წლის 28 მაისიდან მოყოლებული ამ დრომდე სამჯერ შეიცვალა. ხელისუფლების თითქმის ყველა უწყებაში ხელმძღვანელი თანამდებობები მეფის რუსეთის ძველ მოხელეებს ეკავათ. მათი უმრავლესობა ა.დენიკინის სასარგებლოდ მოქმედებდა და სულმოუთქმელი ელოდა მოხალისეთა არმიის შეჭრას აზერბაიჯანში; ბაქო სავსე იყო ა.დენიკინის აგენტებით. მთავრობა უძღური იყო და მათ ასალაგმავად ვერაფითარ ზომებს ვერ ღებულობდა. ქვეყანაში თავდაცვითი ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით, პარლამენტის 5 ივნისის დადგენილების საფუძველზე, მთავრობის შემადგენლობაში 1919 წლის 11 ივნისს ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ორგანო – თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც აღიჭურვა საგანგებო უფლებებით, მათ შორის მას შეეძლო ჩამოეყალიბებინა მოხალისეთა შეიარაღებული რაზმები, გამოეცხადებინა მთელს რესპუბლიკაში ან მის გარკვეულ რეგიონში სამხედრო ან საალყო მდგომარეობა. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობაში შეეიდნენ: მთავრობის თავმჯდომარე ნ.უსუბეკოვი /კომიტეტის თავმჯდომარე/, სამხედრო მინისტრი გენერალი ს.მეხმანდაროვი, საგარეო საქმეთა მინისტრი მ.ჯაფაროვი, იუსტიციისა და შრომის მინისტრი ა.საფიკიურდსკი და გზების მიმოსვლათა მინისტრი ხ.მელიქ–ასლანოვი.

11 ივნისს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო „საგანგებო დადგენილება“ რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სამხედრო წესების გამოცხადების შესახებ. დადგენილებაში დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი დანაშაულობები, რომლის ჩამდენებს მოქმედი სამხედრო კანონების თანახმად მკაცრი სასჯელი ელოდათ. ასეთ დანაშაულებებად კომიტეტის მიერ მიჩნეული იყო: აჯანყება, რომელიც ქვეყნის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული, სახელმწიფო ღალატი,

სამთავრობო სტრუქტურებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობების გაწევა, თავდასხმა სამხედრო ნაწილებზე და ქვეყნის სასიცოცხლო ობიექტებზე, სარკინიგზო გზების აყრა, ხიდების დანგრევა, ყალბი ინფორმაციების გავრცელება, უნებართვოდ ცეცხლსასროლი იარაღის ტარება და შენახვა. საგანგებო შენიშვნის თანახმად აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდებოდა აზერბაიჯანის არმიისა და მოკავშირე არმიების სამხედრო მოსამსახურეებზე /12, 245/, სავალდებულო დადგენილება ძალაში შევიდა მეორე დღესვე 12 ივნისს.

დიდი ბრიტანეთი იძულებული იყო დაეთმო ა.დენიკინისათვის. ამის საფასურად ის ცდილობდა დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობების ნორმალიზებას. 1919 წლის 11 ივნისს ინგლისელებმა დააწესეს ახალი სადემარკაციო ხაზი მოხალისეთა არმიასა და ამიერკავკასიის ორ რესპუბლიკას შორის. კავკასიაში ინგლისის ჯარების სარდლის გენერალ–მაიორ კორეს ცნობით, სადემარკაციო ხაზი გადიოდა მდინარე ბზიფის შესართავიდან ჩრდილოეთით, ამ მდინარის ხაზის გაყოლებით სოხუმის ოლქის საზღვრებამდე. შემდეგ ხაზი გატარებული იქნა თბილისის და ქუთაისის გუბერნიების საზღვრებზე, ჩრდილოეთით დაღესტნის ოლქის საზღვარზე, რომელიც 10 კილომეტრამდე იყო დაშორებული პეტროვსკ–კავკავის რკინიგზიდან. იქიდან ხაზი გადიოდა კასპიის ზღვის სანაპირობზე, რომელიც ქ.პეტროვსკიდან დაშორებული იყო სამხრეთით დაახლოებით 5 კილომეტრის მანძილით. გენერალმა ა.დენიკინმა მიიღო წერილობითი ბრძანება, რომ არ დაეშვა მისი ჯარების წინსვლა აღნიშნული ხაზის სამხრეთით, საქართველოს და აზერბაიჯანს კი ეკრძალებოდათ დაწესებული ხაზის გადაკვეთა ჩრდილოეთით /26, 99/, ამასთან ერთად ისინი ვალდებული იყვნენ არ დაებრკოლებინათ მოხალისეთა არმიისათვის ნავთის მიწოდება, მიეღოთ ყველა ზომები იმისათვის, რომ არანაირი სურსათ–სანოვაგე არ მოხვედრილიყო ბოლშევიკთა ხელში. თუ ეს მოთხოვნები არ შესრულდებოდა, მაშინ ბრიტანეთის მთავრობა პასუხისმგებლობას იხსნიდა ნაკისრ ვალდებულებებზე და ეელარ აღკვეთდა ა.დენიკინის ჯარების წინსვლას სამხრეთით /62/.

ისტორიაში აღნიშნული სადემარკაციო ხაზი ცნობილია, როგორც „კორეს ხაზი“.

კორეს ხაზი ამიერკავკასიის ორივე რესპუბლიკას წამგებიან მდგომარეობაში აყენებდა, განსაკუთრებით კი საქართველოს. დადგენილების თანახმად ქართულ ჯარებს უკან უნდა დაეხიათ მდინარე ბზიფიდან სამხრეთით. საქართველოს მთავრობამ საგარეო საქმეთა მინისტრის ე.გეგეჭკორის სახით სპეციალური წერილი გაუგზავნა ინგლისის პრემიერ მინისტრს ლოიდ ჯორჯს, სადაც არ გამორიცხავდა მოხალისეთა არმიის მხრიდან ახალი შეტევის საშიშროებას – „მთავრობამ აღუთქვა ბრიტანეთის სარდლობას, რომ ის მზათ არის გამოიყვანოს ჯარი ნაჩვენებ ხაზამდე, მაგრამ ამით საკითხი არ წყდება. არ არის გარანტია იმისა, რომ ახალი შეტაკება არ მოხდება, ჩვენ მიერ ჯარების უკან წამოყვანის შემდეგ“ /63/.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ბრიტანეთის მთავრობამ 11 ივნისის გადაწყვეტილებით ფაქტიურად ცნო მოხალისეთა არმიის მიერ სოჭის ოლქის და დაღესტნის დიდი ნაწილის დაპყრობა. მიუხედავად ამისა, ა.დენიკინი არ ცხრებოდა და აგრძელებდა თავის ექსპანსიურ პოლიტიკას. მისმა ჯარებმა არაერთხელ დაარღვიეს სადემარკაციო ხაზი, მთლიანად დაიკავეს დაღესტანი და აზერბაიჯანში მათი შეჭრის საშიშროება სულ უფრო რეალური გახდა.

თეთრგვარდიელების მსგავსად კორეს ხაზი, როგორც ჩანს, საქართველოს მხარემაც დაარღვია; ზ.ავალიშვილი თავის წიგნში აღნიშნავდა, რომ საქართველოს მთავრობამ ნაწილობრივ შეასრულა ინგლისელთა მოთხოვნები და მხოლოდ მცირე მანძილით დაახევინა თავის ჯარებს მდინარე ბზიფიდან /64, 200/.

აზერბაიჯანის სოციალისტებმა ბრალი დასდეს მთავრობას გაუბედაობა მოქმედებებისათვის, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლება არ რეაგირებდა ინგლისელთა სარდლობის მუხანათურ პოლიტიკაზე, რომელიც ორმაგ თამაშს ეწეოდა და მხარს უჭერდა თეთრგვარდიელებს. ინგლისელთა ამგვარმა პოზიციამ აზერბაიჯანის მოსახლეობაში სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. 1919 წლის 8 ივნისს ქ.ბაქოს რიგ რაიონებში ჩატარდა დიდი მიტინგები. მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს

რეზოლუციები, სადაც მკაცრად იყო დაგმობილი კავკასიაში და, კერძოდ, ბაქოში მყოფი ინგლისის ჯარების სარდლობის საქმიანობა. 13 ივნისს ბაქოში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელიც მიმართული იყო აზერბაიჯანში დისლოცირებული ინგლისის საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ /6,136/. დემონსტრანტებს ხელში ეჭირათ ლოზუნგები, რომლებზედაც ეწერა: „ძირს ინგლისელთა სარდლობა“ და „სიკვდილი დენიკინს“ /65, 150/. ამასთან 1919 წლის ივნისი–აპრილში ბაქოს 31 საწარმოში გაფიცვა მოხდა, რომელშიც 5 ათასამდე კაცი მონაწილეობდა /66, 323/.

თავის მხრივ აზერბაიჯანის მთავრობაც ცდილობდა ფრთხილი, დიპლომატიური ნაბიჯებით შეესუსტებინა ინგლისელთა პოზიციები ბაქოში. ჯერ კიდევ 1919 წლის 12 თებერვალს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დააკანონა აზერბაიჯანის დიპლომატიურ მისიას პარიზის საზავო კონფერენციაზე მოეთხოვა ბაქოში არსებული ინგლისის საგუბერნატორო სტრუქტურის გაუქმება. ამავდროულად აზერბაიჯანის ხელისუფლება ერიდებოდა დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობის გართულებას და მიუთითებდა დიპლომატიურ მისიას, რომ საგუბერნატორო მმართველობის გაუქმების მიზეზად მხოლოდ ქვეყანაში არსებული ორხელისუფლებიანობა უნდა დასახელებულიყო /6, 137/.

საკითხისადმი ასეთი მიდგომის მიუხედავად, ინგლისის საოკუპაციო ჯარების სარდლობასა და აზერბაიჯანელ მხედართუფროსებს შორის მაინც დაიძაბა მდგომარეობა. ამაზე ნათლად მიუთითებს სამხედრო მინისტრის გენერალ ს.მეხმანდაროვის პატაკი, რომელიც მან წარუდგინა მთავრობის თავმჯდომარეს ნ.უსუბეკოვს. პატაკის შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, სამხედრო მინისტრი საკმაოდ აგრესიულად იყო განწყობილი ინგლისელებისადმი და პირდაპირ ადანაშაულებდა მათ თავისი ქვეყნის მიმართ ჩადენილ ბოროტმოქმედებებში: „... მე სრულებით არ მაკვირვებს მოხალისეთა არმიის მოქმედება, რომლის განზრახვა სავსებით გასაგებია, მე მხოლოდ მაოცებს ინგლისის სარდლობის ორმაგი პოლიტიკა და ცრუ დაპირებები, თითქოს მათ აზერბაიჯანთან აქვთ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. თქვენ თვითონ განსაჯეთ: ერთი მხრივ

ინგლისის სარდლობა გვარწმუნებს, რომ არ დაუშვებს სამურჩაისთან სახლვრის გადაკვეთას და, რომ თითოეულ ასეთ დამნაშავეს, დააპატიმრებს, ხოლო მეორე მხრივ, ხაჩმაზში ინგლისელ კაპიტან დელთან ერთად მოდის მოხალისეთა არმიის ოფიცერი, ე.ი. აზერბაიჯანის მტერი და ინგლისის სარდლობის განკარგულების საფუძველზე აყენებს მოთხოვნებს დაუშვან ისინი აზერბაიჯანის ჯარებისა და პოზიციების დასათვალიერებლად, მან გამოიკითხა აგრეთვე დანალმული იყო თუ არა ხიდები. ე.ი. კრებს მასალებს, რომლის საფუძველზე უნდა იმოქმედოს მოხალისეთა არმიამ... ეს მეთოდები ინგლისის სარდლობის ხელშეწყობით წარმოებული, აშკარა ურცხვი შპიონაჟია და ჩვენი მხრიდან მოითხოვს ენერგიულ პროტესტს". ს.მეხმადაროვმა ამასთან ერთად მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგინა მოქმედების კონკრეტული გეგმა, რომელიც გულისხმობდა მოხალისეთა არმიის შეტევისაგან ქვეყნის ჩრდილოეთის საზღვრების დაცვას და ინგლისელთა სამხედრო მოსამსახურეების თავგასულობის აღკვეთას. გენერალი აგრეთვე სთავაზობდა მთავრობის მეთაურს განეცხადებინა კატეგორიული წერილობითი პროტესტი ინგლისის სარდლობისათვის, რადგან ისინი თავიანთი ულირსი ქცევებით არად აგდებდნენ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას. პატაკის დასკვნაში ს.მეხმანდაროვი წერდა, რომ თბილისიდან დაბრუნების შემდეგ ის გადასცემდა ნ.უსუბეკოვს თავის ინგლისურ ორდენს და ამასთან სთხოვდა მას დაებრუნებინა ეს ორდენი ინგლისელებისათვის შემდეგი განცხადებით: „მე არ მსურს ეატარო იგი, როგორც ასეთი, რადგან ვთვლი მათ აზერბაიჯანის მტრებად". /67, 398/

ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოც. ინგლისელები ისე იქცეოდნენ საქართველოში, როგორც დაპყრობილ რეგიონში, უგულველყოფდნენ ადგილობრივ კანონებს, ინგლისელ ჯარისკაცებს და ოფიცრებს არაერთხელ მოუხდათ ინციდენტი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მოსახლეობასთან /68, 150–151/. ინგლისის სამხედრო მოსამსახურეების მიმართ ჩამოყალიბებული ანტაგონიზმი, როგორც ჩანს, მალე ანტანტის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებზეც გავრცელდა. 1919 წლის თებერვალში საკ-

მაოდ დაიძაბა მდგომარეობა საფრანგეთის მისიის წევრებსა და თბილისში განლაგებულ ქართული ჯარების სარდლობას შორის, საქმე იქამდე მივიდა, რომ 7 თებერვალს საფრანგეთის მისიის ავტომობილიდან საფრანგეთის დროშა ჩამოგლიჯეს თბილისის გარნიზონის ჯარების უფროსმა გენერალ–მაიორმა სტეფანე ახმეტელაშვილმა. ამ ფაქტს შესაძლოა დიდი სკანდალი მოჰყოლოდა, რომ არა საქართველოს მთავრობის სწრაფი რეაქცია. იმავე დღეს მთავრობის დავალებით საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი შეხვდა საფრანგეთის მისიის უფროსს პოლკოვნიკ შარდინს და ბოდიში მოუხადა მომხდარი ინციდენტის გამო. ხელისუფლება ცდილობდა გარკვეულ წილად შეემსუბუქებინა კონფრონტაცია და, თავის მართლების მიზნით, მან საკმაოდ უსუსური არგუმენტი წამოაყენა – ვითომდაც ქართველ გენერალს ვერ გაერკვიოს, თუ რომელი სახელმწიფოსი იყო დროშა. ამის შემდეგ ფრანგ პოლკოვნიკს ბოდიში მოუხადა სამხედრო მინისტრის პირველმა თანაშემწემ გენერალ–მაიორმა ალექსანდრე გედევანიშვილმა და თვით გენერალმა ს.ახმეტელაშვილმაც. საქართველოს სამხედრო მინისტრის ბრძანებით გენერალი ს.ახმეტელაშვილი უმალვე იქნა განთავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილი იქნა სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში /69/.

ამგვარად, საქართველოს და აზერბაიჯანის ხელისუფლებისთვის ცხადი იყო, რომ ა.დენიკინთან ბრძოლაში მოკავშირეთა საბჭოსაგან ისინი ვერ მიიღებდნენ ეფექტურ დახმარებას. თავის მხრივ აზერბაიჯანის რესპუბლიკა თურქეთის ხელისუფლების მხრიდანაც ასევე ვერ გრძნობდა მხარდაჭერას. მსოფლიო ომში დამარცხებული თურქეთის იმპერია ამ დროისათვის თავად ჩავარდა რთულ შიდა პოლიტიკურ მდგომარეობაში, ამას თან ერთოდა ომი საბერძნეთთან და პარტიზანთა საბრძოლო მოქმედებები საფრანგეთის ჯარებთან. თურქეთი უპირველეს ყოველისა, ცდილობდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა დაახლოებოდა საბჭოთა რუსეთს, დაემყარებია მასთან სავაჭრო ურთიერთობები და ამით მოეხსნა მოკავშირეების მიერ დაწესებული ბლოკადა. თურქეთთან დაახლოებაში დაინტერესებული იყო თავად საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებაც. 1919

წლის გაზაფხულზე ოდესაში საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლები ა.ზ.ეინოგრადოვი და დ.ი.ჰოპნერი შეხვდნენ თურქეთის კონსულს ატა–ბახას. მხარეები შეთანხმდნენ თურქეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის საეკონომიო კავშირის დამყარების თაობაზე /70, 92–93/.

ძირითადი მიზეზი, რამაც გამოიწვია საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის ინტერესების თანხვედრა, იყო ის, რომ მათ ჰყავდათ საერთო მოწინააღმდეგე – ანტანტის სახელმწიფოები. ყოველივე ამის გამო აზერბაიჯანი მეორეხარისხოვან საკითხად ითვლებოდა თურქეთისათვის და ის განიხილებოდა საბჭოთა რუსეთთან შეთანხმების საერთო ჭრილში. „სტამბულს დაეძინა საფრთხის წინ“. აი, ასე პოეტურად კიცხავდნენ თურქეთის ხელისუფლებას აზერბაიჯანში /26, 107/.

ა.დენიკინის წინააღმდეგ იმ დროისათვის მძიმე ბრძოლებს აწარმოებდა საბჭოთა რუსეთი, მაგრამ საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს მისთვის დახმარება არ უთხოვიათ. საქმე იმაში იყო, რომ საბჭოები დახმარების საფასოდ ითხოვდნენ საქართველოში და აზერბაიჯანში ბოლშევიკური იდეების პროპაგანდის წარმოების ნებართვას. სოციალ–დემოკრატიულმა პარტიამ ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „ბოლშევიკებიც ებრძვიან დენიკინს, ჩვენც. მაგრამ აქედან მაინც არ შეგვიძლია მათთან სრული ერთობა, ის იდილიური განწყობილება დავაჭიროთ, რომელსაც ისინი მოითხოვენ – მოგვეცით საშუალება აშკარა აგიტაციისაო“ /71/.

საქართველო და აზერბაიჯანი იძულებული იყვნენ ა.დენიკინთან ბრძოლაში მხოლოდ საკუთარ ძალებს დაყრდნობოდნენ. ორივე რესპუბლიკის მთავრობის წევრები სამხედრო შეთანხმებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ამ მიმართებით ინტენსიური მუშაობა მათ 1919 წლის ივნისში გააჩაღეს.

1919 წლის 16 ივნისს თბილისში საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენლებს შორის დაიდო სამხედრო ხელშეკრულება. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს წამყვანი სამინისტროების ხელმძღვანელებმა და მალალი რანგის მხედართუფროსებმა: საგარეო საქმეთა

მინისტრმა ე.გეგეჭკორმა*, სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრმა, რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარემ ნ.რამიშვილმა**, სამხედრო მინისტრის პირველმა თანაშემწემ*** გენერალ-მაიორმა ალექსანდრე გედევანიშვილმა, რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ინფანტერიის გენერალმა ილია ოდიშელიძემ. აზერბაიჯანის მხრიდან ხელს აწერდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი მამედ იუსუფ ჯაფაროვი, სამხედრო მინისტრი არტილერიის გენერალი სამედ ბეგ მეხმანდაროვი და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი მ.ა.სულკევიჩი.

ხელშეკრულების ტექსტი შედგენილი იყო რუსულ და თურქულ ენებზე, შედგებოდა 12 მუხლისაგან. მოგვყავს დამფუძნებელი კრების იურიდიული კომისიის მიერ თარგმნილი ხელშეკრულება სრული სახით, სტილი დაცულია:

„იმ სერიოზულ საკითხის გამო, რომელიც მოელის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას, დასდეს შეთანხმება ესე შემდეგ საფუძველზე:

1. ამ შეთანხმების დამდები სახელმწიფონი ვალდებული არიან ერთად გამოვიდნენ ყველა თავის შეიარაღებული ძალებით და სამხედრო საშუალებით ყოველგვარ თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება შეთანხმების მონაწილე ერთს ან ორსავე რესპუბლიკათა დამოუკდებლობას ან ტერიტორიალურ ხელშეუხებლობას.

შენიშვნა: პარაგრაფი ესე არ ერცელდება კონფლიქტებზე, რომელიც შესაძლოა ასტყდეს საზღვრების გამო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიის ჯერ კიდევ დაუმოაერებელ გადამიჯვნის ნიადაგზე.

2. უკეთუ რომელიმე მეზობელი სახელმწიფო, უკვე დაწყებულ, პირველ პარაგრაფით ნაგულისხმევ სამხედრო მოქმედების დროს თავს დაესხმის ერთს ან ორივე

---

* ე.გეგეჭკორს იმავდროულად ეკავა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის და იუსტიციის მინისტრის თანამდებობები /72, 73/.

ნ.რამიშვილს იმ პერიოდში შეთავსებული ჰქონდა აგრეთვე განათლების მინისტრის თანამდებობა /74, 61/.

*** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო უწყებაში მოადგილის თანამდებობა არ არსებობდა, თანაშემწე იგივე იყო, რაც მოადგილე.

მოკავშირეს საზღვრის გამო დავის იარაღით გადაჭრის მიზნით, ასეთი სახელმწიფო მეომარ მხარეთ ჩაითვლება.

3. ამ შეთანხმებას აქვს მარტოოდენ თავდაცვის ხასიათი და უკეთუ ერთი მხარეთაგანი თავის ინიციატივით, – წინასწარ შეუთანხმებლად, ომს გამოუცხადებს ან სამხედრო მოქმედებას დაიწყებს, ამ შეთანხმების დამდები მეორე მხარე ვალდებული არ არის მონაწილეობა მიიღოს ამ სამხედრო მოქმედებაში.

4. ამ შეთანხმების დამდები მხარენი ვალდებული არიან ყოველი უთანხმოება, რომელიც შესაძლოა ჩამოვარდეს მათ შორის საზღვრების გამო, შეთანხმებით ან არბიტრაჟის საშუალებით, გადასწყვიტონ და ეს გადაწყვეტილება უნდა მიჩნეულ იქნეს საბოლოოდ და სავალდებულოდ ორივე მხარისათვის.

5. შეთანხმება ესე დადებულია სამი წლის ვადით. ერთი წლის წინ, ამ ვადის გასვლამდე, თვითოეულ შეთანხმების დამდებ მხარეს უფლება ენიჭება განაცხადოს თავისი სურვილი შეთანხმების განგრძობისა ახალი ვადით ან შეთანხმებაზე უარის თქმისა; უკანასკნელ შემთხვევაში შეთანხმება ჰკარგავს ძალას მხოლოდ დადებულ ვადის გასვლისას.

6. შეთანხმების დამდები მხარენი ვალდებული არიან სოლიდარულად გამოვიდნენ და აწარმოონ დიპლომატიური მოლაპარაკება, მიმართული ორივე სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენულ უფლებათა დაცვისათვის.

7. უკეთუ პირველისა და მეორე პარაგრაფში აღნიშნული პირობები შეიქმნა, შეთანხმების დამდები სახელმწიფონი ვალდებული არიან სეპარატიული ზავი არ შეკრან.

8. შეთანხმების დამდები მხარენი ვალდებული არიან სხვა სახელმწიფოსთან სამხედრო კონვენციები არ შეჰკრან მოკავშირესთან წინასწარ შეუთანხმებლად.

9. უკეთუ მეხუთე პარაგრაფში აღნიშნულ ვადის გასვლამდე დაარსდა ხალხთა ლიგა, რომელიც

უზრუნველყოფს ყველა მის მონაწილე სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას და საზღვრების ხელშეუხებლობას, იმ მომენტიდან, როდესაც ამ შეთანხმების დამდები რესპუბლიკები შეევლენ ხალხთა ლიგაში, ეს შეთანხმება ჰკარგავს ძალას.

10. ამიერკავკასიის მესამე რესპუბლიკას, სომხეთს, უფლება ენიჭება, ორი კვირის განმავლობაში, ამ შეთანხმების ოფიციალურად შეტყობინების დღიდან განაცხადოს, რომ თანახმაა ამ შეთანხმებას შემოუერთდეს.

11. რატიფიკაციის გაცვლა უნდა მოხდეს ქალაქ ბაქოში ორი კვირის განმავლობაში დღიდან ხელის მოწერისა.

12. ეს შეთანხმება შედგენილია ორ დედნათ"/75/.

ხელშეკრულების რუსულენოვანი ტექსტი, საიდანაც იურიდიულმა კომისიამ გააკეთა თარგმანი, ამჟამად ინახება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში/76/.

აღნიშნული ხელშეკრულება მცირეოდენი სტილისტური შესწორებებით, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, გამოქვეყნებული იყო საქართველოს პერიოდულ პრესაში.

საქართველოს მთავრობამ 18 ივნისს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს, რატიფიკაციის მიზნით გადასცა ხელშეკრულების რუსულენოვანი ტექსტი /77/, რამოდენიმე დღის შემდეგ იურიდიულმა კომისიამ საგარეო საქმეთა კომისიასთან ერთად დამფუძნებელ კრებას წარუდგინა იგი დასამტკიცებლად.

1919 წლის 22 ივნისს, კვირა დღეს შეიკრიბა საქართველოს დამფუძნებელი კრება. დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი – საქართველო–აზერბაიჯანის სამხედრო ხელშეკრულების რატიფიკაცია. სხდომას უძღვებოდა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი, სოციალ–დემოკრატიული პარტიის ერთერთი ლიდერი ალექსანდრე ლომთათიძე. საკითხის ირგვლივ ერცელი მოხსენება გააკეთა და კრების წევრებს

ხელშეკრულების ტექსტი გააცნო დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგმა, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრმა სიმონ მდივანმა.

ს.მდივანმა თავის გამოსელაში ისაუბრა ხელშეკრულების აუცილებლობაზე, მისი თქმით, ეს იყო პირველი ნაბიჯი გადადგმული იმ მიზნისაკენ, რომლისკენაც ისწრაფეოდა საქართველოს რესპუბლიკა დღიდან მისი დამოუკიდებლობისა – დაემყარებია კეთილმეზობლური ურთიერთობები და შეექმნა დემოკრატიული კავშირი ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან. ს.მდივნის აზრით, საქართველო ისტორიულად ცდილობდა, რომ ამიერკავკასიის ხალხებს ჰქონოდათ ერთიანი პოლიტიკა საერთო მტრის დასაძლევად, თეთრგვარდიელი გენერლის აგრესია კი გახდა ძირითადი მიზეზი ამგვარი პოლიტიკის გატარებისა – „ჩრდილოეთის რეაქციამ და საფრთხემ დააჩქარა ის აქტი, რომელიც ისედაც უნდა მომხდარიყო. ეს იყო ერთგვარი საბაბი იმ მოელენისა, რომელსაც საფუძველი წარსულში აქვს და ამ საფუძველმა მოგეცა საშუალება, რომ ეს ხელშეკრულება დადებული ყოფილიყო“/78/. შეეხო რა ხელშეკრულების ნაკლს, გამომსველელმა აღნიშნა, რომ სომხეთის რესპუბლიკამ უარი განაცხადა შეერთებოდა საქართველო-აზერბაიჯანის შეთანხმებას, მაგრამ ამასთან ერთად იმედს გამოთქვამდა, რომ მალე სომხეთის მთავრობა მოეგებოდა გონს და დადგებოდა ორი მეზობელი რესპუბლიკის გვერდით.

დასავლეთის პოლიტიკოსთა და ჟურნალისტთა ერთ ნაწილში იმ პერიოდში გაბატონებული იყო აზრი, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებს არ შეეძლოთ დამოუკიდებლად არსებობა, მათ აუცილებლად შეექმნებოდათ პრობლემები, როგორც ერთმანეთ'ში, ისე მეზობელ ქვეყნებთან. ამას შესაძლოა ამიერკავკასია გადაექცია ახალი ომის კერად. გამოსავალს ისინი ხედავდნენ მხოლოდ იმაში თუ ამიერკავკასიის რესპუბლიკები მოექცეოდნენ ერთი რომელიმე დიდი სახელმწიფოს გაელენის სფეროში. ამ აზრის საწინააღმდეგოდ ს.მდივანმა საკმაოდ თამამი განცხადება გააკეთა: „ყოველ დღე შაეი ყორნები თავს

დაგეტრიალებენ და დაგვჩხაეიან არც საქართველოს, არც ადერბეიჯანს დამოუკიდებლად არ შეუძლიანთ ცხოვრებაო... მაგრამ ეს საბუთი, ეს ხელშეკრულება უტყუარი მოწმე არის იმისი, რომ ჩვენ დემოკრატიას და ადერბეიჯანის დემოკრატიას შეუძლიანთ მოწესრიგება თავის საქმეების სხვის დაუკითხავად, სხვის დაუხმარებლივ, ამ ხელშეკრულებით ჩვენ ვაიძულებთ ყველას, ვინც კი აქამდე ჩვენდამი მტრულად არის განწყობილი, სთქვას ერთი წელია რაც თავისუფალი რესპუბლიკები დაარსდა და უკვე ფაქტია ის შეთანხმება, რაიც ჩვენი სიმწიფის მაჩვენებელია"./79/

საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა, რომ ხელშეკრულება შესაბამისი ყოფილიყო დასავლეთის დემოკრატიის ძირითად პრინციპისა. ს.მდივანმა თავის გამოსელაში ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: „დღეს ყველას მიპყრობილი აქვს თვალი პარიზის კონფერენციაზე. ნაწილი საზოგადოებისა მოელის, რომ პარიზის კონფერენცია მისცემს ყველა საკითხზე გადაჭრილ პასუხს... მაგრამ, გარდა პარიზის კონფერენციისა ჩვენ გვაქვს საქმე აგრეთვე ევროპის დემოკრატიასთან, რომელიც ჯერჯერობით კორექტივია პარიზის კონფერენციისა, მომავალი კი ამ დემოკრატიისაა და ამ დემოკრატიასაც ეს ხელშეკრულება ექნება უმნიშვნელოვანეს აქტად, რომელიც მიიყვანს მასთან, ევროპის დემოკრატიასთან, საქართველოს და ადერბაიჯანის დემოკრატიას"/80/, სწორედ ამ აზრს ანვითარებდნენ 1919 წლის 24 ივლისს პარიზის საზავო კონფერენციის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ ერთობლივ ნოტაში საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციის ხელმძღვანელები ნიკოლოზ ჩხეიძე და ალი მარდან ბეგ თოფჩიბაშევი /81/.

ს.მდივანმა გამოსვლის ბოლოს მოუწოდა კრების წევრებს დაემტკიცებინათ წარმოდგენილი ხელშეკრულება და წაუკითხა მათ ხელშეკრულების რუსულენოვანი ტექსტი.

ს.მდივანის შემდეგ, საქართველოს მთავრობის სახელით მოხსენება გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრმა ე.გეგეჭკორმა. მის გამოსელაში ხაზგასმული იყო, რომ

საქართველოს მთავრობის მთავარი პოლიტიკური კურსი მიმართული იყო ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანებისაკენ და, რომ მთავრობა ყოველგვარ ძალას ხმარობდა ამ მიზნის მისაღწევად. ე.გეგეჭკორი თავის გამოსელაში შეეხო აგრეთვე ხელშეკრულების კონკრეტულ მუხლებს, აღნიშნა, რომ შეთანხმებას ჰქონდა მხოლოდ თავდაცვითი მიზნები: „დღეს–დღეობით ორმა ხალხმა შეპკრეს კავშირი. ხელშეკრულება, რომელიც თქვენს წინაშე არის წარმოდგენილი, მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც მოისურვებს ამ ორ რესპუბლიკათა დემოკრატიის განადგურებას“/39/. დასასრულს მინისტრმა დამფუძნებელ კრებას მოუწოდა რატიფიკაცია მოეხდინა საქართველო–აზერბაიჯანის ხელშეკრულებისთვის და აღუთქვა კრების წევრებს, რომ ამ ხელშეკრულებას მთავრობა გამოიყენებდა მხოლოდ თავისი ქვეყნის და ხალხის ინტერესების დასაცავად.

საინტერესო მოხსენებით წარსდგა კრების წევრების წინაშე სოციალისტ–რევოლუციონერების /ესერების/ ფრაქციის წევრი, ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლეონ შენგელაია /ლეო ქიაჩელი/. როგორც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა მან მოიწონა და მხარი დაუჭირა საქართველო–აზერბაიჯანის ხელშეკრულებას. ლ.შენგელაიას თქმით, პირველმა მსოფლიო ომმა საქართველო ყველა სახელმწიფოსაგან განსხვავებით იზოლაციაში მოაქცია და საშველი აქედან გამოსელისა იყო წარმოდგენილი ხელშეკრულება: „საქართველოს დემოკრატია, მხოლოდ ქართველი ერი, იდგა ბრძოლის ველზე განცალკავებული, მას ჰყავდა ერთადერთი მოკავშირე – სიმართლე, მას ასულდგმულებდა ერთადერთი იმედი – იმედი გამარჯვებისა. გავიდა წელიწადი, წელიწადი აღსავსე სურპრიზებით და კატასტროფიული მომენტებით და მხოლოდ დღეს გვაქვს ჩვენ შემთხვევა ვუძღვნათ სალამი ჩვენს პირველ მოკავშირეს, ჩვენ ახალ მეგობარს ადერბეიჯანის ხალხს... დღეს ჩვენი რესპუბლიკის საერთაშორისო ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა, დღეს ჩვენ ბრძოლის ველზე მარტოკანი აღარ ვართ, ჩვენ უკვე გეყავს მოკავშირე, გეყავს

მეგობარი! ამნაირად წარმოდგენილი კონფედერაციით იწყება ლიკვიდაცია ჩვენი ერის იზოლაციისა და ეს არის დიდი ფაქტორი, წყარო ახალი იმედების, თავდები ახალი გამარჯვების!“ /82/

გამოსელის ბოლოს ესერთა პარტიის ლიდერმა გააფრთხილა საქართველოს ხელისუფლება, რომ წარმოდგენილ შეთანხმებას, მართალია, ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, მაგრამ არ იყო საჭირო ერთგვარი ილუზიების შექმნა ახალი კავშირის სიძლიერეზე და ურღვევობაზე – „გადაჭარბებული წარმოდგენა არ უნდა გექონდეს არც ჩვენ ძალაზე და არც სხვის ძალაზე. ჩვენ უნდა გექონდეს გათვალისწინებული ყოველგვარი შესაძლებლობა, ყოველგვარი სურპრიზები, მითუმეტეს, რომ ამა თუ იმ მთავრობის სოციალური ბუნება კლასობრივი ინტერესები ძლიერ ხშირად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ესა თუ ის ხელშეკრულება, ესა თუ ის კავშირი“/83/.

სოციალისტ–ფედერალისტების ფრაქციის სახელით კრების წევრებს მიმართა პარტიის ლიდერმა გიორგი ლასხიშვილმა. მის გამოსელაში ძირითადათ გაგრძელდა ის პათოსი, რაც ახასითებდათ წინა გამომსელელებს. მან დასაწყისშივე შემდეგი განცხადება გააკეთა: „მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო! ჩვენ წინაშე წარმოდგენილია დიდი მნიშვნელობის ისტორიული აქტი და 16 ივნისის დღეს, რაც ეს ხელშეკრულება შეიკრა, ბრწყინვალე დღეთ დარჩება ჩვენი ქვეყნის და საერთოდ კავკასიის ერთა ახალ პოლიტიკურ ისტორიაში“/84/. გ.ლასხიშვილმა, ისევე როგორც მისმა თანაფრაქციელმა ს.მდივანმა, გააკრიტიკა დასავლეთის ქვეყნების ზოგიერთი წარმომადგენელი და აღნიშნა: „თქვენ გახსოვთ, მოქალაქენო, რომ, ამას წინად ერთმა უცხოელმა გენერალმა ჩვენს წარმომადგენლებს უწინასწარმეტყველა, როცა ჩვენ აქედან წავალთ, თქვენ, კავკასიის ერები, ერთმანეთს ყელს გამოსჭამთო. თქვენ გახსოვთ აგრეთვე, რომ გავლენიანი „ტაიმსი“ ამასვე იმეორებდა და ამით ამტკიცებდა – საქართველოს და ადერბეიჯანს არ შეუძლიათ დამოუკიდებელი ცხოვრებაო. ისიც გახსოვთ,

რომ, როცა დენიკინის შავი რეაქციის საშიშროება მოგვევლინა, მისი აგენტები და პროვოკატორები სცდილობდნენ ჩვენსა და ადერბეიჯანს შორის შუღლის და უთანხმოების ჩამოგდებას. და აი, ამის საპასუხოდ, ჩვენ მივართმევთ უცხო სარდლებსაც, გაზეთებსაც და რეაქციის აგენტებსაც ამ ჩვენს ხელშეკრულებას და ვიტყვით, რომ შეგვიძლია საერთო ხიფათის შეგნება და ჩვენი ძალების კოორდინაცია ყოველგვარ თავდასხმის თავდასაცავად!"/85/ და ბოლოს, გამომსველელმა, თავისი ფრაქციის სახელით, მოუწოდა დამფუძნებელი კრების წევრებს დაეშტკიცებინათ მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულება.

სოციალისტ–ფედერალისტების გაზეთი „სახალხო საქმე" იმ დღეებში აღნიშნავდა: „ეს ხელშეკრულება, ეს კავშირი გაიზრდება, გაფართოვდება, გაძლიერდება და მის ფრთებს ქვეშ აყვავდება კავკასიის ყველა ერის თავისუფლება" /86/.

ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის თვალსაზრისი კრების წევრებს გააცნო ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ სპირიდონ კედიამ. ოპოზიციური ფრაქციის წარმომადგენლის შეფასებით, დადებული ხელშეკრულება გასული წლის შეცდომებზე მიღებული გამოცდილებების შედეგი და ამავე დროს ქართული სახელმწიფოებრიობის სიმწიფის მაჩვენებელი იყო. საქართველოს ხელისუფლებამ, მისი თქმით, ამ ხელშეკრულებით აღიარა დაშვებული შეცდომები და, საბოლოოდ, ქვეყნის განვითარების სწორ გზას დაადგა. გამომსველელი შეთანხმებას დაგვიანებულად მიიჩნევდა და ბრალს ამაში სოციალ–დემოკრატიულ პარტიას დებდა – „ეს ხელშეკრულება მოწმობს, რომ ჩვენმა პასუხისმგებელმა მესვეურებმა თავიდან მოიშორეს ის პარტიული პრინციპები, რომელიც დღემდე ხელს უშლიდა საქართველო–აზერბაიჯანის კავშირს. ეიმეორებ, ეს გარემოება მეტათ სასიხარულოა და თან იმას მოწმობს, რომ ჩვენ თანდათან მიუახლოვდით ნამდვილ სახელმწიფოებრივ

კონცეპციის შეთვისების მომენტს. ამ მხრივ დატა[1] ამ ხელშეკრულების დადებისა, დატაა ჩვენი სახელმწიფოებრივი გეზისა და ხაზის გამოსწორებისა"/87/.

სომხეთის პოზიციასთან დაკავშირებით გამომსვლელმა აღნიშნა, რომ სომხეთის მთავრობის პოლიტიკამ ხელი შეუშალა ამიერკავკასიის ქვეყნებს 'შეექმნათ ერთიანი ძლიერი კავშირი, რომელიც დამოუკიდებლობის შენარჩუნების ძირითადი საშუალება იქნებოდა – „ეს ნაკლი აქეს დღევანდელ დღეს და საერთო მიზანს. ამით კი ფრონტი კავკასიისა გაწყვეტილია და დარღვეული. შუაგულ ადგილას დარჩენილია ერთნაირი ხარვეზი ცარიელი სივრცე; ეს ადგილი უნდა იქნეს შევსებული. ჩვენ უცდით. სომხეთის ერს მართებს დაფიქრება; იცოდეს კარგათ, რომ იზოლაციაში განმარტოებით და ყველას წინააღმდეგ მას კავკასია'ში არსებობა არ შეეძლება. ჩვენ გვინდა ვიწამოთ, რომ ის მდგომარეობას შეიგნებს და მოღალატეობას არ დააღგება. უკეთუ ეს არ მოხდა, ჩვენ–ჩვენი გზა და მოვალეობა გვეცოდინება"/88/.

თვით ხელშეკრულება ეროვნულ–დემოკრატიულმა პარტიამ მოიწონა, გამომსვლელს არცერთ მუხლზე შენიშვნა არ გამოუთქვამს. ს.კედიამ თავის გამოსვლა საკმაოდ ამაღლებულ ნოტაზე დაასრულა – „დღეს, საქართველოს დამფუძნებელი კრება მიუძღვნის მხურვალე სალამს თავის ახალ მოკავშირეს. ამ ხელშეკრულებით საქართველოს დამფუძნებელი კრება ფიცის ქაღალდს უგზავნის აზერბაიჯანის პარლამენტს და ხალხს, რომ მასთან ერთად იომებს საერთო მტრის წინააღმდეგ. ჩვენ გვწამს, რომ აზერბაიჯანის ხალხი ჩვენთან ერთად იტყვის: „ან გამარჯვება, ან სიკვდილიო"/89/.

გამომსვლელთა შორის იყო აგრეთვე დამფუძნებელი კრების იურიდიული კომისიისა და სოციალ–დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე რაჟდენ არსენიძე. აღარ

---

[1] გამომსვლელი აქ გულისხმობს ხელშეკრულების ხელმოწერის რიცხვს - 16 ივნისს.

გავამახვილებთ ყურადღებას ცნობილი ქართველი იურისტის მოხსენებაზე, რადგან, როგორც მოსალოდნელი იყო, მან თავისი ფრაქციის სახელით მხარი დაუჭირა მთავრობის მიერ შემოტანილ ხელშეკრულებას და გამოთქვა იმედი, რომ კრება დაამტკიცებდა ასეთი დიდი მნიშვნელობის აქტს.

მსჯელობის დასრულების შემდეგ ჩატარდა კენჭისყრა. დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად დაამტკიცა საქართველო–აზერბაიჯანის სამხედრო ხელშეკრულება. ბოლოს დეპუტატებმა დარბაზში მყოფ აზერბაიჯანის, ჩეჩნეთის და ინგუშეთის წარმომადგენლებს მხურვალე ოვაციები გაუმართეს /90/.

1919 წლის 27 ივნისის საგანგებო სხდომაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის პარლამენტმა საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს შორის დადებული სამხედრო ხელშეკრულება განიხილა. სხდომას საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ – მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანში ნიკოლოზ ქარცივაძე, მისი მოადგილე გრიგოლ ალშიბაია* და სამხედრო ატაშე აზერბაიჯანში, პოლკოვნიკი ვასილ კარგარეთელი.

ამ დღეს აზერბაიჯანის საკანონმდებლო ორგანოში ისეთივე ამაღლებული და მეგობრული განწყობილება სუფევდა, როგორც საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე 22 ივნისს. დასაწყისში პარლამენტის მდივანმა დეპუტატებს თურქულ და რუსულ ენებზე ხელშეკრულების ტექსტი წაუკითხა. მთავრობის სახელით საკითხის ირგვლივ ვრცელი მოხსენება გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრმა მ.ჯაფაროვმა. მან თავშივე მიუთითა ხელშეკრულების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და განუცხადა დეპუტატებს, რომ აზერბაიჯანის მთავრობის საგარეო პოლიტიკის

---

* 1919 წლის ოქტომბერში ნ.ქარცივაძე გადაყვანილი იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ, მის თანამდებობაზე კი დანიშნული იქნა გ.ალშიბაია /91/.

მთავარი ხაზი იყო კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოსთან.

გამომსველელის აზრით, გენერალ ა.დენიკინის თეთრგვარდიელი არმიის საფრთხემ განაპირობა საქართველოსა და აზერბაიჯანის შეკავშირება. მხოლოდ ორი ქვეყანა არ მოემხრო ხელეშკრულებას. ესენი იყვნენ მთიელთა და სომხეთის რესპუბლიკები. მთიელებს ჰქონდათ გასასამართლებელი საბუთი, რადგან მათ უკვე ამ დროისთვის დაკარგული ჰქონდათ დამოუკიდებლობა. სომხეთის მთავრობამ კი თავი აარიდა შეერთებოდა წარმოდგენილ ხელშეკრულებას. მიუხედავად ამისა, მ.ჯაფაროვი არ კარგავდა იმედს, რომ სომხეთის ხელისუფლება მოეგებოდა გონს და ისარგებლებდა თავისი უფლებებით.

ხელშეკრულების რატიფიკაციის შემთხვევაში საგარეო საქმეთა მინისტრი აღუთქვამდა პარლამენტს, რომ უფრო ადვილად მოხერხდებოდა მეზობელ ქვეყნებთან სადაო საკითხებზე შეთანხმება – „საქართველოს და აზერბაიჯანის ხალხს უნარი შესწევთ, საერთო საფრთხის წინაშე, დაიცვენ ყოველივე წვრილმანი სადავო საქმეები და მთელი ძალღონით დაიცვან თავიანთი უფლებები“/92/. შემდეგ გამომსვლელი შეეხო ხელშეკრულების პუნქტებს და განაცხადა, რომ შეთანხმებას არავითარი აგრესიული ზრახვები არ გააჩნდა და მხოლოდ თავდაცვითი ხასიათის იყო – „ჩვენ გესურს დამოუკიდებელი კულტურული ცხოვრება, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველოს და ადერბეიჯანს შორის ტერიტორიალური სადავო საკითხები ერთმანეთის დათმობით გადასწყდება“/92/. გამოსვლის ბოლოს მ.ჯაფაროვმა იმედი გამოთქვა, რომ აზერბაიჯანი თავის მხრივ დაიცავდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რაც გარანტი იქნებოდა აზერბაიჯანის დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოს ძლიერების.

საგარეო საქმეთა მინისტრის შემდეგ ტრიბუნაზე ფრაქცია „მუსავატის“ თავმჯდომარე მამედ ემინ რასულზადე ავიდა. მან 27 ივნისი ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიაში დიდი მნიშვნელობის დღედ მიიჩნია და

განაცხადა, რომ აზერბაიჯანის ხალხი ყოველთვის მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო ქართველ ხალხთან, აქედან გამომდინარე ხელშეკრულებას, რომელსაც დაამტკიცებდა პარლამენტი, მთელი აზერბაიჯანის მოსახლეობა დაუჭერდა მხარს. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის თქმით, აზერბაიჯანისა და საქართველოს ურთიერთობებში არ ჩამოყარდნილა შუღლი და მტრობა, რასაც იმედოვნებდნენ მათი მტრები, პირიქით, ორი ახალგაზრდა რესპუბლიკა შეკავშირდა და საერთო ძალისხმევით სურდათ მოეგერიებინათ აგრესორი. შემდეგ ის შეეხო ხელშეკრულების შინაარსს და განაცხადა, რომ სასურველი იქნებოდა, თუ ამ თავდაცვით ხელშეკრულებას შეუერთდებოდა სომხეთის ხელისუფლებაც, თავის გამოსვლა მ.რასულზადემ შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „მე მინდა შეგახსენოთ თქვენ, რომ გასულ წელს, ზუსტად ერთი წლით ადრე საქართველოსთან ხელშეკრულების დადებამდე, სწორედ 16 იენისს განჯაში შეიქმნა პირველი აზერბაიჯანული მთავრობა. ახლა კი, როდესაც გავიდა ერთი წელი, აზერბაიჯანის დემოკრატიამ დადო ხელშეკრულება მეზობელ საქართველოსთან, რათა დაიცვას თავისი თავისუფლება. ნება მიბოძეთ, დავინახო ამაში არა რიცხვების შემთხვევითი დამთხვევა, არამედ რაღაც სიმბოლო. ნება მიბოძეთ გამოვთქვა სურვილი, რომ ჩვენს მიერ დღეს რატიფიცირებული ხელშეკრულება იქნება პირველი ნაბიჯი ამიერკავკასიის ხალხების უფრო მჭიდრო და მუდმივი თანამშრომლობის გზაზე“/12, 250–251/.

უპარტიო დეპუტატთა ფრაქციის სახელით მოხსენება გააკეთა იუსუფ ახმედოვმა. მან მხარი დაუჭირა ხელშეკრულების რატიფიკაციას, იმედი გამოთქვა, რომ მიღწეული შეთანხმება არ დარჩებოდა ქაღალდზე და მოხდებოდა მისი ცხოვრებაში გატარება/92/.

სოციალისტური ფრაქციის წარმომადგენელმა იბრაჰიმ აბილოვმა თავის სიტყვაში ძირითადი ყურადღება დაუთმო გენერალ ა.დენიკინის ჯარებთან ბრძოლის საკითხს. როგორც სოციალისტებს ჩვეოდათ, მან დეპუტატებს პირველ

რიგში რევოლუციის მონაპოვრის დაცვისაკენ მოუწოდა: „დენიკინის შაემა რეაქციამ ჩვენ შეგვაკავშირა. ჩვენ ვიცით, რომ დენიკინს სურს აღადგინოს მთლიანი რუსეთი და, თუ შეძლებს რუსეთში რევოლუციის დამარცხებას, მისი მახვილი ჩვენსკენ იქნება მომართული, საჭიროა ამიერკავკასიის ერებს შორის მტკიცე კავშირის დამყარება შაეი რეაქციის მოსაგერიებლად“/92/.

საქართველო–აზერბაიჯანის ხელშეკრულებას მხარი დაუჭირა აგრეთვე ფრაქცია „ეხრარმა“ /„თავისუფალი ხალხი“/. მოვიყვანთ ამ ფრაქციის წევრის მუხტარ ეფენდი ეფენდიზადეს მოხსენებიდან ერთ საგულისხმო ციტატას: „ჩვენი პარტიის პროგრამაში არის მუხლი ერთა სოლიდარობისა და ეს კავშირი სწორედ სოლიდარობის მაჩვენებელია და ჩვენც ეულოცავთ და მხარს ვუჭერთ მას“/92/.

.აზერაბიჯანში მცხოვრები ქართველების სახელით დეპუტატებს მიმართა ბაქოს ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ, ვლადისლავ ბაქრაძემ. იგი, როგორც სოციალ–დემოკრატიული პარტიის წევრი, გაერთიანებული იყო სოციალისტთა ფრაქციაში.

ვ.ბაქრაძის გამოსვლაში ხაზგასმული იყო, რომ 16 ივნისი ისტორიულ დღედ დარჩებოდა საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობებში. შეეხო რა ხელშეკრულების დანიშნულებას, განაცხადა: „ამ ხელშეკრულებას არავითარი აგრესიული მიზნები არ აქვს, მას მხოლოდ თავდაცვითი ხასიათი აქვს და მისი მიზანი არის ამ ორი ერის სუვერენული უფლებების დაცვა და ტერიტორიის ხელშეუხებლობა“/92/. ვ.ბაქრაძის თქმით, აღნიშნული ხელშეკრულება სრულებით განსხვავედებოდა სხვა ხელშეკრულებებისაგან, რომლებიც მხოლოდ აგრესიულ ხასიათს ატარებდნენ. აგრესიული ხელშეკრულება სახელმწიფოებს შორის ხშირად იდებოდა მოსახლეობის ზურგს უკან და მათი ინტერესების საზიანოდ, 16 ივნისის შეთანხმება კი წარედგინა ხალხს და მარტო მათ შეუძლიათ დაამტკიცონ ან უარყონ იგი – „აუცილებელია, რომ თავად ხალხი განიმსჭვალოს ამ კავშირის დაცვის

აუცილებლობის შეგნებით მტრებისაგან, რომლებიც ცდილობენ ხელყონ მათი სუვერენული უფლებები“/12, 251/.

თავისი შეხედულება გაუზიარა დეპუტატებს აგრეთვე ფრაქცია „იტტიხადის“ /„ისლამის ერთობა“/ ლიდერმა კარაბეკ კარაბეკოვმა. მან თავისი ფრაქციის სახელით მხარი დაუჭირა საქართველო–აზერბაიჯანის ხელშეკრულებას და ამასთან ერთად მკაცრად გააკრიტიკა ევროპის ქვეყნები, რომლებიც მისი თქმით, ყოველთვის იყენენ პატარა მუსულმანური ქვეყნების მტრები. ხალხთა ლიგა კი მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა და ვერავითარ ზომებს ვერ ღებულობდა/92/.

მოხსენებების დამთავრების შემდეგ გაიმართა კენჭისყრა. პარლამენტმა ერთხმად დაამტკიცა საქართველო–აზერბაიჯანის ხელშეკრულება. დეპუტატებმა სხდომის მსელელობის დროს რამდენიმეჯერ ფეხზე ადგომით ხანგრძლიეი ოვაციები გაუმართეს დიპლომატიურ ლოჟაში მყოფ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს.

როგორც შეთანხმების მეთერთმეტე მუხლით იყო განსაზღვრული რატიფიცირებული ხელშეკრულების გაცელა უნდა მომხდარიყო ბაქოში ხელის მოწერის დღიდან ორი კვირის განმავლობაში. ამ მიზნით 30 ივნისს აზერბაიჯანში ჩავიდნენ საქართველოს სამხედრო მინისტრი ნ.რამიშვილი, რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ინფანტერიის გენერალი ი.ოდიშელიძე და სხვა ოფიციალური პირები. 2 ივლისს აზერბაიჯანის მინისტრთა საბჭოს შენობაში საქართველოს და აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაცვალეს ხელშეკრულებები. აზერბაიჯანის მხრიდან ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო მინისტრთა საბჭომ სრული შემადგენლობით, აქვე იყვნენ აგრეთვე პარლამენტის წევრები და სამხედრო უწყების ხელმძღვანელები. ოფიციალური ცერემონიის დასრულების შემდეგ გაიმართა ბანკეტი, რომელიც ქართულ–აზერბაიჯანული თანამეგობრობის ატმოსფეროში ჩატარდა/93/.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, 1919 წლის სამხედრო ხელშეკრულებას მოწინააღმდეგე არც საქართველოს დამფუძნებელ კრებაში და არც აზერბაიჯანის პარლამენტში არ გამოუჩნდა. სოციალ-დემოკრატიულ და მუსავატურ მმართველ პარტიებთან ერთად ხელშეკრულების რატიფიკაციას ყველა საპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიამ დაუჭირა მხარი. სამწუხაროდ ასეთი ერთსულოვნება ძალზედ იშვიათი იყო 1918-1920 წლების საქართველოსა და აზერბაიჯანის საკანონმდებლო ორგანოებში. ხელშეკრულების მოწინააღმდეგედ მხოლოდ ამ რესპუბლიკაში მოქმედი ბოლშევიკური ორგანიზაციები გამოვიდნენ, რომლებმაც მას უბრალო „ქაღალდის ნაგლეჯი" უწოდეს.

ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დაიწყო ახალი ეტაპი ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის ურთიერთობებში და აქედან გამომდინარე 22 და 27 იენისს ორი მეზობელი ქვეყნისათვის ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო ხელშეკრულების მე-10 მუხლი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ ამოქმედდა. სომხეთის მთავრობამ უარი განაცხადა შეერთებოდა წარმოდგენილ ხელშეკრულებას. და ეს გასაგებიც იყო.

სომხეთის ხელისუფლებასა და რუსეთის თეთრგვარდიულ ძალებს შორის მეგობრული ურთიერთობები ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დამყარდა. სომხეთს თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჰყავდა მოხალისეთა არმიის შტაბში - რუსეთის მე-3 სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი საგატელიანი, ხოლო სომხეთის თავდაცვის სამინისტროში 1918 წლის ბოლოდან იმყოფებოდა ა.დენიკინის წარმომადგენელი პოლკოვნიკი ლესლი. 1919 წლის სექტემბერში ლესლის ადგილზე პოლკოვნიკი ზინკევიჩი დაინიშნა.

თურქეთის იმპერიის მიერ საუკუნეების მანძილზე წარმოებულმა დამპყრობლურმა პოლიტიკამ განაპირობა

სომეხი ხალხის ლტოლვა რუსეთისაკენ. სომხეთის პრორუსული პოლიტიკა კიდევ უფრო გაძლიერდა პირველი მსოფლიო ომისა და თურქეთ–სომხეთის 1918 წლის ომის დროს, რომელთა შედეგები ძალზედ მძიმე იყო სომეხი ხალხისათვის. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ სომხეთი ამ პერიოდში რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორად გეევლინება. დაშნაკური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი თვით აღიარებდა, რომ ა.დენიკინი სომხეთს თელიდა ერთ–ერთ თავის გუბერნიად, ხოლო სომხეთის არმიას – თავის ძალად /94, 87/.

სომხეთის მმართველი პარტია „დაშნაკცუთიუნი", თეთრგვარდიულ რუსეთზე დაყრდნობით ცდილობდა აეცილებინა თურქეთის აგრესია. მმართველი პარტიას, გარდა ამისა, თეთრგვარდიელების ხელით სურდა სხვა პრობლემების მოგვარებაც. როგორც ცნობილია, სომხეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანის მიმართ მთელი რიგი პრეტენზიები გააჩნდა ტერიტორიულ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ, საქართველოს იგი ედავებოდა ლორე–ბორჩალოსა და ახალციხე–ახალქალაქის მაზრებს /95, 6/, აზერბაიჯანს კი ყარაბაღს. დაშნაკები იმედოვნებდნენ, რომ ა.დენინიკის დახმარებით შეძლებდნენ ყველა სადაო ტერიტორიული საკითხების გადაჭრას თავისი ქვეყნის სასარგებლოდ /53/. აქედან გამომდინარე ანტიდენიკინური ფრონტის შექმნაში მონაწილეობა სომხეთის ხელისუფლებას სრულებით არ აწყობდა, პირიქით იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მოხალისეთა არმიის სარდობასთან პოლიტიკური ურთიერთობები კიდევ უფრო გაეღრმავებინა. 1919 წლის დეკემბერში ა.დენიკინმა და სომხეთის პარლამენტმა გაცვალეს ურთიერთ მისალმებები /45, 238/.

ქართველი დიპლომატი ზ.ავალიშვილი თავის მოგონებებში, შეეხო რა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სომხეთის პოზიციას, წერდა: „უშუალო საშიშროება ჩრდილოეთიდან ამ რესპუბლიკას ჯერ არ დატყდომია თავს; ერთად, განსაკუთრებით აზერბაიჯანთან,

მოხალისეთა ლაშქრის წინააღმდეგ გამოსვლა არ შეეფარდებოდა მის გეგმებს. სულ მოკლე ანგარიშიანობით, მას შეეძლო იმედი ჰქონდა, რომ დახმარებას მიიღებს იმათგან, ვისგანაც მეზობლები ელოდნენ მხოლოდ დაქცევასა და არეულობას“ /58, 166/. მოხალისეთა არმიის სარდლობას საქართველოსთან და აზერბაიჯანთან ომის შემთხვევაში სერიოზული გათვლები ჰქონდა გაკეთებული სომხეთის მხარდაჭერაზე. პიატიგორსკში გამომავალი მოხალისეთა გაზეთი „კავკაზსკი კრაი“ იმ დღეებში წერდა: „სომხეთის რესპუბლიკას კარგად აქვს გათვალისწინებული ის განცალკევებული მდგომარეობა, რასაც მას უმსადებს საქართველო-ადერბეიჯანის კავშირი... რა სუსტიც არ უნდა იყოს სომხეთი, ის მაინც დიდი საფრთხეა საქართველო-ადერბეიჯანის კავშირისათვის ზურგიდან. აი, ამაშია რეალური დახმარება მოხალისეთა არმიისათვის. როცა გადასინჯული იქნება რუსთა პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში, ეს არ უნდა იქნას დავიწყებული“ /96/. /აღნიშნული სტატია გადმობეჭდილი იქნა გაზეთ „ერთობის“ ფურცლებზე/.

ამრიგად, საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობების დიდი მცდელობის მიუხედავად, სომხეთის ჩართვა ხელშეკრულებაში არ მოხერხდა. უფრო მეტიც, არ იყო გამორიცხული ის, რომ მოხალისეთა არმიის თავდასხმის შემთხვევაში სომხეთი სოლიდარობას გამოუცხადებდა თეთრგვარდიელებს და გამოვიდოდა საქართველოს და აზერბაიჯანის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელს იმუამად სომხური გაზეთები „პატარა თურქეთსაც“ კი უწოდებდნენ. აღნიშნული საშიშროებას რაღა თქმა უნდა გრძნობდნენ საქართველოს და აზერბაიჯანის პოლიტიკური წრეები. ამას მოწმობს აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრის გენერალ ს.მეხმანდაროვის 1919 წლის 26 ივნისის პატაკი. მინისტრი რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ნ.უსუბეკოვს სწერდა: „სამხედრო შეთანხმებამ საქართველოსთან განამტკიცა ჩვენი ფრონტი

დაღესტანთან და სომხეთთან საზღვრების დაცვის თვალსაზრისით“ /26, 108/.

სომხეთის ხელისუფლებამ 16 ივნისის ხელშეკრულება თავის მხრივ მუქარად მიიღო, ამის მიზეზი, როგორც ჩანს, ხელშეკრულების მე-2 მუხლი გახლდათ, რადგან იგი, ფარულად თუ აშკარად, უშუალოდ სომხეთს ეხებოდა. აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ რომელიმე მეზობელი სახელმწიფო 1-ლი მუხლით ნაჩვენებ საბრძოლო მოქმედებებების დროს ტერიტორიულ პრეტენზიებს წამოაყენებდა და შეიარაღებულ კონფლიქტს დაიწყებდა მოკავშირეებთან /ასეთი კონფლიქტები, როგორც ცნობილია, სომხეთს ჰქონდა კიდეც საქართველოსთან და აზერბაიჯანთან 1918-1920 წლებში/, მაშინ ისიც მოწინააღმდეგე მხარედ ჩაითვლებოდა. ამის პირობები კი იმჟამად ნამდვილად არსებობდა; მოხალისეთა არმიის ნაწილები უკვე აწარმოებდნენ ბრძოლებს საქართველოსთან და აზერბაიჯანთან. დაშნაკები შიშობდნენ, რომ, თუ მათ აღნიშნულ სიტუაციაში მოუხდებოდათ კონფლიქტი. ან საქართველოსთან ან აზერბაიჯანთან, მოკავშირეები ხელშეკრულების ძალით ვალდებული იყვნენ დაეწყოთ სომხეთის წინააღმდეგ ერთობლივი საბრძოლო ოპერაციები.

სომხური გაზეთი „აშხატაეორი“ აგრესიულად იყო განწყობილი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დადებული ხელშეკრულების მიმართ და წერდა: „ქართულმა მენშევიზმმა აასრულა ქართველ შოვინისტურ და თავადურ ელემენტების მოთხოვნილება, დაუკავშირდა ადერბეიჯანის ბეგებს“ /63/, წარმოდგენილი ციტატა გადმობეჭდილ იქნა გაზეთ „ერთობის“ 1919 წლის 29 ივნისის ნომერში. „ერთობის“ ამავე ნომერში მოყვანილია აგრეთვე გაზეთ „აშხატავორის“ ფურცლებიდან კიდევ ერთი საინტერესო ციტატა, რომელიც ნათლად გადმოსცემს სომხეთის მმართველი პარტიის თვალსაზრისს 16 ივნისის ხელშეკრულებაზე: „სასახლის „სოციალისტებმა“ შეძლეს შეექმნათ მაგარი ანტი-რევოლუციონური და რეაქციონური ბლოკი, რომელიც საბოლოოდ უზრუნველყოფს მათ დაუსჯელ მოქმედებებს და

პრიფილეგიურ მდგომარეობას თანამეგრძოლ და „დემოკრატიულ" რესპუბლიკებში" /63/.

როგორც ეხედავთ, სომხეთის ხელისუფლება საკმაოდ აგრესიული იმპულსიით იყო დამუხტული საქართველო–აზერბაიჯანის კავშირის მიმართ და ამის მიზეზით არ მოხდა ამიერკავკასიის ქვეყნების გაერთიანება ერთ სამხედრო ბანაკში.

თავი მეოთხე
საქართველო–აზერბაიჯანის სამხედრო–
პოლიტიკური თანამშრომლობა 1919 წლის მეორე ნახევარში

16 ივნისიდანვე მოკავშირეებმა შესაბამისი ღონისძიებების გატარება დაიწყეს. 18 ივნისს საქართველოს სამხედრო საბჭოს სხდომაზე მოსმენილი იქნა საქართველო–აზერბაიჯანის ხელშეკრულება. სამხედრო საბჭომ დაავალა სამხედრო სამინისტროს ხელშეკრულებაში მოყვანილი ტექნიკური საკითხები დეტალურად დაემუშავებინა და წარედგინა მისთვის /97/. რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებისაგან შეიქმნა ერთობლივი სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა მოემზადებინა საკითხები საქართველოდან აზერბაიჯანში განსაზღვრული რაოდენობის საინჟინრო და საარტილერიო აღჭურვილობის გაგზავნის შესახებ /98/. როგორც ჩანს, ბაქო მწვავედ განიცდიდა აღნიშნული ტექნიკის ნაკლებობას, ვინაიდან მოკავშირეების წინაშე ეს საკითხი არაერთხელ დამდგარა დღის წესრიგში.

გარდა ამისა, აზერბაიჯანის მთავრობამ საქართველოსაგან ამ პერიოდში შეიძინა 12 მსუბუქი და 12 სამთო ზარბაზანი, 24 „მაქსიმის“ სისტემის ტყვიამფრქეევი, დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალები და სამხედრო აღჭურვილობა. შეთანხმების საფუძველზე აზერბაიჯანელთა ერთი ჯგუფი მოსამზადებლად გაიგზავნა საქართველოს სამხედრო სასწავლებლებში /6,137/.

მალე შეიქმნა გაერთიანებული სამხედრო საბჭო. სხდომები რიგრიგობით ტარდებოდა ყოველ თვეში თბილისსა და ბაქოში /99, 60/. ეს ორგანო კონტროლს უწევდა მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას, ხოლო ომის დროს მას უნდა დაესახა ორივე რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ერთობლივი სამოქმედო გეგმა. გაერთიანებული საბჭოს შემადგენლობაში ორივე ქვეყნის სამხედრო უწყების ხელმძღვანელები შედიოდნენ. საბჭოს მუდმივი თავმჯდომარე არ ჰყოლია, მას

წევრები ყოველი სხდომის დროს ხმათა უმრავლესობის პრინციპით ირჩევდნენ. თავმჯდომარის ადგილის დასაკავებლად ერთმანეთს ეცილებოდნენ აზერბაიჯანის სამხედრო მინისტრი, გენერალი ს.მეხმანდაროვი და საქართველოს სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გენერალი ი.ოდიშელიძე. გენერალ გ.კვინიტაძის მტკიცებით, საქართველოს მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ სამოკავშირეო საბჭოს სხდომებზე თავმჯდომარედ მისი წარმომადგენელი ყოფილიყო /100, 162/. უფრო მეტიც, 1919 წლის აგვისტოს ქართულ პრესაში გენერალი ი.ოდიშელიძე რამდენჯერმე არის მოხსენიებული, როგორც „საქართველოს და ადერბეიჯანის შეერთებული ჯარების სარდალი“, მაგრამ ეს საკითხი მოკავშირეებს შორის არასოდეს არ ყოფილა ბოლომდე გარკვეული. ყოველ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებას სურდა, რომ სამხედრო ბლოკში ჰეგემონის უფლებით ესარგებლა. ასეთივე პრეტენზიები, როგორც ირკვევა, თავის მხრივ აზერბაიჯანსაც გააჩნდა. ამგვარი ამბიციური პოლიტიკით საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობები აფერხებდნენ სამოკავშირეო საბჭოს საქმიანობას.

მოკავშირეები ცდილობდნენ, რომ გაერთიანებული საბჭოს სხდომები საიდუმლო ვითარებაში ჩაეტარებინათ. ასე მაგალითად, 1919 წლის 14 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, თბილისიდან ბაქოში გაემგზავრა გენერალი ი.ოდიშელიძე, შტაბის 7 ოფიცრისა და ბადრაგის თანხებით. ამ ვიზიტის შესახებ გაზეთ „კავკაზსკოე სლოვოს“ 15 აგვისტოს ნომერში გაიპარა ინფორმაცია. ეს ცნობა სასწრაფოდ უარყო საქართველოს გენერალურმა შტაბმა, ამასთან იგი მოითხოვდა ამიერიდან ყველა სამხედრო ხასიათის ინფორმაციის გამოქვეყნება აუცილებლად შეთანხმებულიყო სამხედრო სამინისტროსთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ასეთი გამომცემლობა მიცემული იქნებოდა პასუხისგებაში. ხოლო, რაც შეეხება „კავკაზსკოე სლოვოს“, საქათველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 17 აგვისტოს

განკარგულებით, გაზეთი ყალბი ცნობების გაერ-
ცელებისათვის დაიხურა /101/.

რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთ „ეოზროჟდენიეს“ 19 აგვისტოს ნომერში ბაქოში გამომავალი გაზეთებიდან გადმობეჭდილი იქნა იგივე ინფორმაცია, რომელიც „კავკაზსკოე სლოვომ“ გამოაქვეყნა 15 აგვისტოს. საქართველოს გენერალურმა შტაბმა ამჯერად ვეღარ უარყო აღნიშნული ინფორმაცია, მხოლოდ განაცხადა, რომ ი.ოდიშელიძე ბაქოში დიპლომატიურ მისიასთან ერთად გაემგზავრა, როგორც სამხედრო მრჩეველი და მას არცერთი ოფიცერი თან არ ახლდა /102/.

16 ივნისის ხელშეკრულებამ გარკვეული გაელენა იქონია ა.დენიკინის პოლიტიკაზე. თეთრგვარდიელი გენერლისათვის ნათელი იყო, რომ ეს კავშირი პირველ რიგში მის წინააღმდეგ იყო მიმართული და, რომ აშკარა გახდა ერთიანი ანტიდენიკინური ფრონტის შექმნის მცდელობა ამიერკავკასიაში. ამას თან დაერთო თეთრგვარდიელთა მძიმე ბრძოლები წითელ არმისასთან მოსკოვის მიმართულებით. სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების არმიები ცოცხალი ძალით შევსებას საჭიროებდნენ. ამ დროისათვის ა.დენიკინს უკვე ხელს აღარ აძლევდა საქართველოსთან და აზერბაიჯანთან დაპირისპირება, პირიქით, იგი შეეცადა დაემყარებინა მათთან „ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობები“ /103,145/. აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ პროცესებში ბრიტანეთის საგანგებო კომისარი ამიერკავკასიაში ოლივერ უორდროპი. იგი არწმუნებდა საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს, რომ გენერალი ა.დენიკინი იმდენად იყო დაკავებული ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლით, არც კი ფიქრობდა მათზე თავდასხმას /44, 134/.

1919 წლის 4 აგვისტოს ინგლისელების მიერ დაწესებული იქნა ახალი სადემარკაციო ხაზი /ამჯერად უკვე მესამეჯერ/ საქართველოსა და აზერბაიჯანის ჩრდილოეთის საზღვრების გასწვრივ. ა.დენიკინმა შეაჩერა საომარი მოქმედებები სამხრეთ კავკასიაში, რადგან

მნიშვნელოვანი ძალები მან ამ რეგიონიდან ჩრდილოეთით გადაისროლა. ივნისის ბოლოს ა.დენიკინმა თავის წარმომადგენლად ამიერკავკასიაში დანიშნა კავალერიის გენერალი ნ.ბარათოვი.* საქართველოს მთავრობა მას „დენიკინის არაოფიციალურ ელჩად“ მოიხსენიებს. ნ.ბარათოვის ძირითადი მიზანი იყო ამიერკავკასიაში დარჩენილი მეფის ყოფილი ოფიცრების მობილიზება და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების არმიებში მათი გადაგზავნა. მას ევალებოდა აგრეთვე შეეცვალა ის ანტიდენიკინური განწყობილება, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლებაში სუფევდა.

ცხადია, ა.დენიკინის ამგვარი პოლიტიკა დროებითი ნაბიჯი იყო და ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე იგი კვლავ განაახლებდა თავის ძველ პოლიტიკას. ნ.ბართოვისადმი გაგზავნილ ინსტრუქციებში ა.დენიკინი აღნიშნავდა, რომ, მართალია, სამხრეთ კავკასიას ისინი თვლიდნენ რუსეთის განუყოფელ ნაწილად, მაგრამ შექმნილი მდგომარეობა ჯერჯერობით აიძულებდა მათ შეგუებოდნენ დამოუკიდებელი მთავრობების არსებობას /6, 138/.

1919 წლის 3 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე.გეგეჭკორმა მიიღო ნ.ბარათოვი. გენერალმა განუცხადა მინისტრს, რომ მოხალისეთა არმიის სარდლობა არ ემუქრებოდა საქართველოს დამოუკიდებ-

---

* ნიკოლოზ ბარათოვი – რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი /1917 წ./, ა.დენიკინის თანამებრძოლი და მეგობარი. დაბადა 1865 წელს ვლადიკავკაზში. წარმოშობით ქართველი გახლდათ – ბარათაშვილი. მამა სოკოლოს ოსიანის ძე და ბაბუა ოსიკი დავითის ძე ბარათოვები წყარიების მიხედვით რუსეთში ცხოვრობდნენ და მეფის არმიაში მსახურობდნენ. ნ.ნ.ბარათოვს დამთავრებული ჰქონდა რეალური სასწავლებელი, სამხედრო სკოლა და სამხედრო აკადემია. 1890 წლიდან მეფის არმიაში იმყოფებოდა სხვადასხვა სამეთაურო თანამდებობებზე. აქტიური მონაწილეობა მიიღო პირველ მსოფლიო ომში – მეთაურობდა კავკასიის I-ელ კაზაკთა დივიზიას, 1916 წლიდან კი კავკასიის ცალკე საკავალერიო კორპუსს. მცირე ხნის შემდეგ დანიშნა ირანში განლაგებული რუსეთის ჯარების სარდლად. ჯარებმა მისი სარდლობით თეკლსანონო ბრძოლები ჩაატარეს სარიყამიშისა და ალაშკერტის რაიონების დროს. ამიერკავკასიაში ეროსტის დასრულების შემდეგ, 1920 წლის თებერვლიდან სამხრეთ რუსეთის მთავრობაში ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. ა.დენიკინის გადაყენების შემდეგ, ყირიმის თვითგვარდიულ ხელისუფლებაში, სერიოზულად განიხილებოდა ნ.ბარათოვის კანდიდატურა სამხრეთ რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. გარდა იმისა, რომ იგი იყო პროფესიონალი სამხედრო მოღვაწე, წარმატებით ეწეოდა აგრეთვე დიპლომატიურ საქმიანობასაც /104/.

ლობას, მაგრამ შეშფოთებული იყო იმით, რომ ქართული არმია ახდენდა თავდასხმებს მოხალისეთა არმიის ზურგში /ნაგულისხმევი იყო ზღვისპირეთში გამართული საბრძოლო მოქმედებები/, ნ.ბარათოვმა პრეტენზია გამოთქვა იმაზეც, რომ მის ხელთ არსებული ცნობების მიხედვით საქართველოდან მოხალისეების მტრებს, კერძოდ, ინგუშებს, ეგ'ხავნებოდა საბრძოლო იარაღი /ასეთი ფაქტები ნამდვილად არსებობდა, კერძოდ, 1919 წლის 23 იანვარს საქართველოს სამხედრო საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც აღნიშნული იყო: „რადგან ჩვენ აქამდე კეთილ განწყობილებაში ვიყავით ინგუშებთან და სასურველია ეს განწყობილება შემდეგშიაც განვაგრძოთ, სამხედრო საბჭო სცნობს შესაძლოთ გაუმართოს მათ ხელი, რითაც შეიძლება“ /105/. ე.ეგეგეჭკორმა სტუმარს მიუგო, რომ საქართველოს რესპუბლიკას არავითარი აგრესიული გეგმები არ ჰქონდა და ყოველთვის ცდილობდა დაემყარებინა მათთან კეთილმეზობლური ურთიერთობები /106/.

ე.გეგეჭკორისა და ნ.ბარათოვის შეხვედრა საინტერესოდ აღწერა თავის დღიურში სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარემ ვ.ჯუღელმა: „გუშინ ევგენიმ /გეგეჭკორი/ კოწიამ /გვარჯალაძე/ და მე ვინახულეთ გენ. ბარათოვი – დენიკინის არაოფიციალური ელჩი. მე პირველად შევხვდი ამ პოპულარულ გენერალს. იგი მეტად მჭერმეტყველია, მეტად სიტყვა–წყლიანი და ძალიან ტაქტილად მღერის, ახდენს გულწრფელობის შთაბეჭდილებას. მან განაცხადა: „დენიკინი სცნობს თქვენს ხელშეუხებლობას, თქვენს ნეიტრალიტეტს, თქვენს დამოუკიდებლობას და არ თხოულობს თქვენგან არავითარ ძალას. მას უნდა ერთი რამ: – გაათავისუფლეთ იგი თქვენი შეტევის მუდმივი მუქარისაგან, ნუ დაუშლით მას მოსკოვზე შეტევას“–ო. ამაზე ევგენიმ გასცა ღირსეული და მეტად საქმიანი პასუხი. ჩვენ ვუპასუხეთ: „თავი დაგვანებეთ და იცოდეთ, რომ ჩვენ ვარჩევთ სრულიად დაღუპვას, ვიდრე თქვენს წინაშე დამორჩილებას“ /43, 163/.

აღნიშნული შეხვედრის გარდა, ნ.ბარათოეს საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელთან კიდევ ორჯერ ჰქონდა აუდიენცია, რომლის დროს მხარეებმა ძირითადად განიხილეს საქართველოს ჩრდილოეთის საზღვართან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოში ვიზიტამდე ნ.ბარათოვი იმყოფებოდა ბაქოში, სადაც შეხვედრები ჰქონდა პრემიერ–მინისტრ ნ.უსუბეკოვთან. აზერბაიჯანის მთავრობა სრშძ–ის სარდლობისაგან მოითხოვდა: დაღესტნის ნეიტრალურ ზონად გამოცხადებას და ამ ქვეყნიდან მოხალისეთა ჯარის გაყვანას; სავაჭრო ხელშეკრულების დადებასა და პირდაპირი სარკინიგზო გზის ამოქმედებას. მოლაპარაკებები შეეხო აგრეთვე საქონლის გაცვლა–გამოცვლის საკითხებს. მუსავატელების უპირველესი მოთხოვნა კი იყო, რომ ა.დენიკინს ოფიციალურად ელიარებინა ამიერკავკასიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობა. აზერბაიჯანის მთავრობამ, იცავდა რა საქართველო–აზერბაიჯანის 16 ივნისის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, წამოაყენა კიდევ ერთი მოთხოვნა – მოხალისეთა არმიის სარდლობა იმავდროულად უნდა შეთანხმებულიყო საქართველოს მთავრობასთანაც, როგორც აზერბაიჯანის მოკავშირესთან /26, 111/.

აგვისტოს ბოლოს ნ.ბარათოვი აზერბაიჯანის პარლამენტში გამოცხადდა. იგი არწმუნებდა დეპუტატებს, რომ მისი სარდალი არ იყო მტრულად განწყობილი აზერბაიჯანის მიმართ /107/. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის ხელისუფლებას, ისევე როგორც მის მოკავშირეს, არ სჯეროდა ნ.ბარათოვის განცხადებების, რადგან საზღვრებზე სულ სხვა მდგომარეობა იყო. როგორც ეხედავთ, ნ.ბარათოვთან მოლაპარაკებების დროს მოკავშირეები მკაცრად იცავდნენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და ერთიმეორის ინტერესების გათვალისწინებით აწარმოებდნენ საგარეო პოლიტიკას.

აგვისტო–სექტემბერში ორივე მხარისათვის მისაღები შეთანხმება არ მოხდა, ამ'მი დამნაშავე მოხალისეთა არმიის

სარდლობა იყო. იგი აშკარად აჭიანურებდა მოლაპარაკებებსა და არ მიდიოდა სერიოზულ დათმობებზე. დენიკინის ელჩმა მოლაპარაკებების პირველსავე ეტაპზე შეასრულა მთავარსარდლის უმთავრესი დავალება: ნ.ბარათოვს სოციალ–დემოკრატებმა და მუსავატელებმა აღუთქვეს სრული სიმშვიდე რჩდილოეთის საზღვრებზე. გენერალს ნება დართეს თავიანთი ქვეყნების ტერიტორიაზე მოეხდინა თეთრგვარდიული ძალების მობილიზება. ნ.ბარათოვს თავის რეზიდენციები ჰქონდა და შტატი ჰყავდა ბაქოში, თბილისსა და ბათუმში. იგი დაუყოვნებლივ შეუდგა ა.დენიკინის დავალებათა შესრულებას – მეფის არმიის ოფიცრების მობილიზაციას და მოხალისეთა არმიის შემადგენლობაში მათ გადაყვანას, დენიკინელებისათვის საჭირო ნედლეულის და სურსათის მარაგის შეგროვება–გაგზავნას და სხვა /44, 135/.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო და აზერბაიჯანი წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდნენ. მათ, თავის მხრივ, დააკმაყოფილეს ა.დენიკინის სურვილები, ხოლო თავიანთი მოთხოვნები მეორე მხარის მიერ ფაქტიურად შეუსრულებლი დარჩა.

ამრიგად, საქართველომ და აზერბაიჯანმა აშკარად ანტიბოლშევიკური პოზიცია დაიკავა და ღიად დაუპირისპირდნენ საბჭოთა რუსეთს. ა.დენიკინთან დაახლოება ორივე რესპუბლიკისათვის უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე ბოლშევიკებთან. ჯერ ერთი, რომ თეთრგვარდიელთა ძალები კავკასიაში იმ დროისათვის დასუსტებული იყო და მეორე – პროდენიკინური პოზიცია მოკავშირეებს ანტანტის ქვეყნებთან დაახლოების უკეთეს შანსს აძლევდა. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ 1919 წლის ზაფხულის მიწურულში ინგლისელთა საოკუპაციო ჯარები თანდათან სტოვებდნენ ამიერკავკასიის ტერიტორიას, მათ მაგიერ რეგიონში იტალიური სამხედრო ერთეულები უნდა შემოსულიყვნენ.

რაც შეეხება სომხეთის რესპუბლიკას, მას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოხალისეთა არმიის სარდლობასთან საუკეთესო ურთიერთობები ჰქონდა. აქედან გამომდინარე

ნ.ბარათოვის ვიზიტში სომხეთის საკითხს ისეთივე მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, როგორც დანარჩენ ორ რესპუბლიკას.

15 აგვისტოს თბილისში ნ.ბარათოვს შეხვდა სომხეთის სამხედრო წარმომადგენელი საქართველოში გენერალ–მაიორი ქიშმიშევი. საუბრის დროს ბარათოვი შეეხო ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური მოწყობის საკითხს და განაცხადა, რომ ა.დენიკინი აძლევდა მათ სრულ დამოუკიდებლობას რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, რომელიც ყველა ახლადშექმნილი პოლიტიკური ერთეულების ბედს გადაწყვეტდა. აქვე ბარათოვმა დახმარება აღუთქვა ქიშმიშევს სომხეთის არმიისათვის 1 მილიონი ვაზნის გადაცემის საკითხის გადაჭრაში /108, 281–283/.

2 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ა.ხატისიანი /ხატისოვი/ და შეხვდა ნ.ბარათოვს. ა.დენიკინის ელჩმა ამ შეხვედრისას საკმაოდ თამამი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ა.დენიკინი სომხეთს უყურებდა, როგორც მოკავშირეს, და იმედოვნებდა, რომ იგი ასეთივე დარჩებოდა მომავალშიც /44, 139–140/.

ამიერკავკასიაში ნ.ბარათოვის ვიზიტმა ძალზედ შეაშფოთა ბოლშევიკები. მათ ცხადია, არანაირად არ აწყობდათ საქართველოსა და აზერბაიჯანის შეთანხმება ა.დენიკინთან. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა ნ.ბარათოვის მოკვლა /109, 191/.

1919 წლის 13 სექტემბერს თბილისში ნ.ბარათოვზე განხორციელდა ტერორისტული თავდასხმა. რუსთაველის პროსპექტიდან ვერის დაღმართზე მიმავალ საქართველოს სამხედრო უწყების ავტომობილს, რომელშიც ისხდნენ ი.ოდიშელიძე, ნ.ბარათოვი და მისი ადიუტანტი პოლკოვნიკი სელიმ ალხაზი, ხელყუმბარა ესროლა ბოლშევიკ–ტერორისტმა არკადი ელბაქიძემ /110/. ტერაქტის შედეგად ადგილზე დაიღუპნენ: პოლკოვნიკი ს.ალხაზი, ავტომობილის

მძღოლი, მისი თანაშემწე და შემთხვევით გამვლელი ერთი მოქალაქე. მსუბუქად დაიჭრა ი.ოდიშელიძე, ხოლო ნ.ბარათოვი – მძიმედ. მას ყუმბარის ნამსხვრევები ორივე ფეხში მოხვდა, გენერლები სასწრაფოდ გადაიყვანეს მიხაილოვის საავადმყოფოში. რაც შეეხება თავდამსხმელს, იგი მილიციელების მიერ იქნა მოკლული /111/.*

ვინაიდან თავდამსხმელი ბოლშევიკი აღმოჩნდა, მოხალისეთა არმიის სარდლობას არავითარი პროტესტი არ გამოუქთვამს საქართველოს მთავრობისათვის. ნ.ბარათოვის ადიუტანტი გაზეთ „უტრო იუგა"–სთვის მიცემულ ინტერვიუ'ში აღნიშნავდა, რომ ბოლშევიკებს ამ ტერაქტით სურდათ საქართველოს ხელისუფლებასა და მოხალისეთა არმიის სარდლობას შორის დაწყებული მოლაპარაკებების ჩაშლა.

მოხალისეთა არმიის პრესა, რომელიც მიზანმიმართულ საინფორმაციო ომს აწარმოებდა აზერბაიჯანის წინააღმდეგ, ნ.ბარათოვზე თავდასხმის კომენტირების დროს, გასაოცარ თავდაჭერილობასა და სიმშვიდეს იჩენდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ სამხრეთ რუსეთის გაზეთებს თავიდანვე მიეწოდათ სწორი ინფორმაციები პირველწყაროებიდან.

ნ.ბარათოვი საავადმყოფოში მოინახულეს ნ.ჟორდანიამ და ე.გეგეჭკორმა, აგრეთვე უცხოური მისიების ყველა წარმომადგენელმა. ისინი, როგორც ჩანს, ძალზედ შეწუხდნენ მომხდარი ფაქტით, რადგან ო.უორდროპი და პოლკოვნიკი ვ.ჰასკელი დღეში ორჯერ მიდიოდნენ დაჭრილთან. თეთრგვარდიელ გენერალს თანაგრძნობის დეპეშები გაუგზავნეს ნ.უსუბეკოვმა და გენერალმა ს.მეხმანდაროვმა /112/.

ნ.ბარათოვის დაჭრის შემდეგ, მოლაპარაკებებს საქართველოსთან და აზერბაიჯანთან აწარმოებდა

---

* საბჭოთა მთავრობამ ა.ულბაქიძე სიკვდილის შემდეგ, 1928 წელს წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვა, ხოლო ყვრის დალმართს, სადაც ტერაქტი განხორციელდა ულბაქიძის დაღმართი დაარქვა.

მოხალისეთა არმიის მისიის საქმეთა მმართველი გენერალი ეოსკრესენსკი /113/.

1919 წლის შემოდგომაზე მოხალისეთა არმიასა და აზერბაიჯანს შორის ხელახლა დაიძაბა მდგომარეობა. 9 ნოემბერს ა.დენიკინმა გამოსცა ბრძანება, რითაც ფაქტობრივად შეჩერდა ყოველგვარი ურთიერთობები აზერბაიჯანთან. სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ასეთი რადიკალური მოქმედების მიზეზი სომხეთ–აზერბაიჯანის ომიც იყო. იგი ამ ომში მხარს სომხეთს უჭერდა. ზემოთხსენებულ ბრძანებაში მთავარსარდალი წერდა, რომ ვინაიდან აზერბაიჯანის ხელისუფლება მტრულად იყო განწყობილი რუსეთის არმიის მიმართ და აწარმოებდა აგრესიულ ქმედებებს სომხეთის წინააღმდეგ, აზერბაიჯანის ჯარებში მომსახურე ყველა რუს ოფიცერს უნდა დაეტოვებინა რესპუბლიკა აზერბაიჯანისათვის სასიკეთოდ, დენიკინის ბრძანებას არ დაემორჩილნენ რუსი ჩინოვნიკები და ოფიცრები. მათი უმრავლესობა აზერბაიჯანის სახელისუფლებო სტრუქტურებში თბილ ადგილებზე იყენენ მოკალათებული და არ სურდათ პირადი მდგომარეობის გართულება /26, 116–117/.

აზერბაიჯანის მთავრობამ, ქვეყნის ჩრდილოეთის საზღვრებისა და კასპიის ზღვის სანაპიროების დაცვის მიზნით, მიიღო გარკვეული ზომები. სამხედრო მინისტრი ს.შეხმანდაროვი ძალზედ იყო შეწუხებული იმით, რომ შემახის, გეოკჩაის, ლენქორანის მაზრებში მრავალი კარგად შეიარაღებული მოლოკანი იმყოფებოდა და, მისი აზრით, მოხალისეთა ნაწილების რესპუბლიკაში შემოჭრის შემთხვევაში ყველა ისინი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყდებოდნენ. მინისტრმა მთავრობაში დააყენა საკითხი მოლოკნების განიარაღების შესახებ, მაგრამ ეს ოპერაცია ვერ განხორციელდა, რადგან საკმაოდ დიდ ძალებს მოითხოვდა, რისი შესაძლებლობაც, სამწუხაროდ, ქვეყანას არ გააჩნდა. გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა მ.სულკევიჩმა ყუბის რაზმის მეთაურს აცნობა, რომ

მოხალისეთა არმიის მდ. სამურზე შეტევის პარალელურად, მოსალოდნელი იყო დესანტის გადმოსხმა აფშერონის ნახევარკუნძულზე. სამხედრო მინისტრმა გასცა ბრძანება გაეძლიერებინათ დაზვერვა და სასწრაფოდ გაეგზავნათ ყუბის პოლკი არტილერიასთან ერთად პოზიციებზე. აზერბაიჯანის სარდლობის განკარგულებაში მყოფი მთელი ძალები გადასროლილი იქნა ჩრდილოეთის მიმართულებით და ზღვისპირეთის ზოლის დასაცავად, ვინაიდან ყველა პუნქტში იყო მოსალოდნელი მოწინააღმდეგის მიერ დესანტის გადმოსხმა. მთავრობამ დაიწყო მოხალისეთა მცირერიცხოვანი რაზმების ფორმირება, შეიქმნა მუშათა რაზმები, რომლებსაც ევალებოდათ, თეთრგვარდიელების შეტევის დროს, სარკინიგზო გზების აყრა /26, 117/.

12 ოქტომბერს გენერალმა ს.მეხმანდაროვმა მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს. გენერალი მოითხოვდა სამხედრო კონტრდაზვერვის შექმნას, ამასთან ერთად, იგი მოხსენებით ბარათში საუბრობდა ამ ორგანოს პრიორიტეტულ მიმართულებებზე /12, 337–338/.

ბაქოში სექტემბრის დასაწყისში ქართველების მობილიზაცია გამოცხადდა, იგი შეეხო 1896,1897 და 1898 წლებში დაბადებულ მამაკაცებს /114/. როგორც ჩანს, ეს გაწვევა მოხდა საქართველოს მთავრობის და მისი დიპლომატიური წარმომადგენლობის ინიციატივითა და თაოსნობით, რადგან აზერბაიჯანის არმიაში გასაწვევი ქართველები ვალდებული იყვნენ გამოცხადებულიყვნენ, არა ადგილობრივ გამწვევ პუნქტებში, არამედ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში.

საქართველოს ხელისუფლებამ სხვა ზომებსაც მიმართა: მოკავშირის თხოვნის საფუძველზე ბაქოში გაიგზავნა 4 მსუბუქი ზარბაზანი. ამ აღჭურვილობის გადაცემის თაობაზე საქართველოს სამხედრო საბჭომ სპეციალური დადგენილება მიიღო 16 ოქტომბერს /115/.

29 ნოემბერს სამხედრო საბჭოს სხდომაზე მოსმენილი იქნა გენერალ ი.ოდიშელიძის მოხსენება

აზერბაიჯანის არმიისათვის თბილი ტანსაცმლის გადაცემის თაობაზე. საბჭომ დააკალა სამხედრო სამეურნეო კომიტეტის თავმჯდომარეს კ.გოგუას შეესწავლა აღნიშნული საკითხი, გამოერკვია, თუ რისი გაგზავნის საშუალება ჰქონდა საქართველოს და აგრეთვე შეემუშავებინა ინვენტარის გადაცემის პირობები /116/.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, აზერბაიჯანის არმიას სხვა ძალოვანი უწყებებიც უგზავნიდნენ საბრძოლო იარაღს და მასალებს. 1919 წლის 8 სექტემბრის სამხედრო საბჭოს სხდომაზე განხილული იქნა ეს საკითხი და დადგინდა, რომ ყოველი ასეთი ფაქტი აუცილებლად უნდა ყოფილიყო შეთანხმებული საბჭოსთან. იგი შეეხო აგრეთვე აზერბაიჯანიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამხედრო ქონების გამოტანას. დადგენილებაში ხაზგასმული იყო: „სამხედრო საბჭომ გამოსთქვა სურვილი, ემცნოს მთავრობას, – საბჭოს განუხილველად სამხედრო ქონებიდან არაფერი არ მისცეს სხვა სახელმწიფოს. ხოლო აზერბაიჯანში გატანილი ქონების სამაგიეროდ, მოეთხოვოს აზერბაიჯანის მთავრობას ნება დართოს ანგარიშის დამთავრებამდე გამოვიტანოთ ნაწილი იმ საჭირო ქონებისა, რომელიც ხელშეკრულების თანახმად არის მისაღები აზერბაიჯანიდან“ /117/.

აღნიშნული პრობლემა კელავ დადგა დღის წესრიგში ერთი თვის შემდეგაც. 8 ოქტომბერს სამხედრო საბჭომ მოისმინა საბჭოს წევრის რუბენ აუშტროვის შეკითხვა, რომელიც ეხებოდა აზერბაიჯანის მთავრობისათვის იარაღის გადაცემის საკითხს. საბჭომ ამასთან დაკავშირებით გამოიტანა გადაწყვეტილება: „მიღებულ იქნას ცნობად განცხადება სამხედრო მინისტრის თანაშემწისა, რომ იარაღი მიცემული არის განსაზღვრული ვადით და პირველი მოთხოვნილებისამებრ უკან დაგვიბრუნდება. გარდა ამისა, ამ საკითხის შესახებ სამხედრო საბჭომ ისევ იქონიოს მსჯელობა შემდეგ სხდომაზე“ /118/.

მეორე დღეს საბჭო, მართლაც, შეეხო მოკავშირის დახმარების საკითხს, წევრებმა ამჯერად იმსჯელეს

საარტილერიო მასალების გადაცემის საკითხზე და დაადგინეს: „ამტკიცებს რა იმ ქონების სიას, რომელიც აქამდე გადაეცა თანახმად სამხედრო სათათბიროს დადგენილებისა აზერბაიჯანს, სამხედრო საბჭო ხელახლა ადასტურებს, რომ მის განუხილველად და ნებადაურთველად სამხედრო ქონება არავის არ უნდა დაეთმოს“ /119/.

ორი ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ინტერესების თანხვედრამ საქართველოს საშინაო საქმეების მოწესრიგებასაც შეუწყო ხელი. აზერბაიჯანის მთავრობამ მხარი დაუჭირა იმ დროისათვის აჭარის პრობლემატური საკითხის გადაწყვეტას საქართველოს სასარგებლოდ. 1919 წლის 5 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა აზერბაიჯანის სამთავრობო დელეგაცია, მთავრობის თავმჯდომარის ნ.უსუბეკოვის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: აზიზბეგ თაიროვი, მ.გაჯინსკი, ა.სადიკოვი, ად. ხან ხოელი და სხვა ოფიციალური პირები. მათ თან ახლდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანში გ.ალშიბაია /120/. ჩამოსვლისთანავე ნ.უსუბეკოვი შეხვდა მოკავშირეთა უმაღლეს კომისარს ამიერკავკასიაში პოლკოვნიკ ვ.ნ.ჰასკელს /121/. 10 სექტემბერს ქართულ კლუბში საქართველოს მთავრობამ აზერბაიჯანის დელეგაციის წევრებს მოუწყო საზეიმო მიღება, რომელსაც მთავრობის წევრთა უმრავლესობა დაესწრო – ნ.ჟორდანია, ე.გეგეჭკორი, ნ.რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კ.საბახტარაშვილი, სახელმწიფო კონტროლიორი ფ.გოგიჩაიშვილი, სამხედრო მინისტრის პირველი თანაშემწე გენერალი ა.გედევანიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ.ჭიჭინაძე, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა.ლომთათიძე, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილეები ს.მდივანი და ე.თაყაიშვილი, კრების წევრები რ.ასენიძე და გ.გვასავა; გ.ალშიბაია და სხვები. აქვე იყვნენ აგრეთვე აჭარის წარმომადგენლები მემედ ბეგ აბა'შიძე და ჯამალ ბეგ ხიმშიაშვილი.

ნ.უსუბეკოვმა თავის გამოსვლაში, შეეხო რა 16 ივნისის ხელშეკრულებას შემდეგი განცხადება გააკეთა: „ამ კავშირმა უკვე მოგვცა სასურველი თვალსაჩინო შედეგები: მან ხელი შეუწყო აჭარის საკითხის კეთილად დაგვირგვინებას, ამჟამათ აჭარლებს სრულიად თავისუფლად შეუძლიათ თვითგამორკვევა და ისინი ღრმად უნდა იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მათი მოქცევა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მტკიცდება, როგორც თავისუფალი ნებისყოფა საქართველოსა და აზერბეიჯანის მეგობრული კავშირით“ /122/. შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს მ.აბაშიძემ და ჯ.ხიმშიაშვილმა. მათ მადლობა გადაუხადეს საქართველოს მთავრობასა და ქართველ საზოგადოებას იმ მზრუნველობისათვის, რომელსაც ისინი იჩენდნენ ქართველი მუსულმანების მიმართ. ნიშანდობლივი იყო ჯ.ხიმშიაშვილის განცხადება: „მე ამჟამათ ბედნიერი ვარ, რომ პირველი რჩევა საქართველოსთან შეერთებისა მოვისმინე ჩვენი ერთმორწმუნე ერის წარმომადგენლებისაგან. ამას მე ვუამბობ აჭარლებს და იმათ ეცოდინებათ, რომ მათ გადაწყვეტილებას სიხარულით ეგებებიან მათი ერთმორწმუნენიც“. ჯ.ხიმშიაშვილის ამ განცხადებას გამოეხმაურა მ.გაჯინსკი და აღნიშნა: „დიახ, თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ აჭარლებს, რომ მათ ერთმორწმუნე ადერბეიჯანელები სიხარულით ადასტურებენ მათ ბრძნულ გადაწყვეტილებას საქართველოსთან შეერთების შესახებ“ /123/.

1919 წლის შემოდგომაზე ჩრდილო კავკასია, განსაკუთრებით კი დაღესტანი, აჯანყების ცეცხლში გაეხვია. აჯანყებულთა ამოცანას თვითრგვარდიული რეჟიმის დამხობა წარმოადგენდა. ა.დენიკინთან ბრძოლამ სახალხო ხასიათი მიიღო, სისხლისმღერელი შეტაკებები რიგ პუნქტებში დენიკინელთა დამარცხებით დამთავრდა. კავკასიის მთიელთა მეჯლისმა ოქტომბრის შუა რიცხვებში მიმართვა გაუგზავნა საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს. მთიელები დახმარებას სთხოვდნენ რესპუბლიკებს დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში და

მოუწოდებდნენ მათ გადამწყვეტ მომენტში მარტო არ დაეტოვებინათ აჯანყებულები. მიმართვაში მეჯლისი მიანიშნებდა მოკავშირეებს, რომ მთიელი ხალხი თავისი თავდადებული ბრძოლით იცავდა მათ მოხალისეთა ჯარების აგრესიისაგან /124/.

საქართველომ და აზერბაიჯანმა მიიღეს ერთობლივი ზომები აჯანყებულთა დასახმარებლად. თბილისში და ბაქოში ფორმირდებოდა მოხალისეთა შეიარაღებული რაზმები, რომლებსაც შემდგომ ჩრდილო კავკასიაში გზავნიდნენ, მაგრამ სულ მალე საქმეში ჩაერია დიდი ბრიტანეთი და მკაცრად მოსთხოვა საქართველოსა და აზერბაიჯანს შეეწყვიტათ აჯანყებულთა მხარდაჭერა. ინგლისის მთავრობამ ამ შემთხვევაში ა.დენიკინის მხარე დაიჭირა, ვინაიდან თეთრგვარდიელების ომი ბოლშევიკებთან გადამწყვეტ ფაზაში იყო შესული და ინგლისელებს არ სურდათ ჩრდილო კავკასიაში დაწყებულ აჯანყებებს ხელი შეეშალა დენიკინელებისათვის მთავარ მიმართულებაზე.

აზერბაიჯანის მთავრობა ინგლისელთა მოთხოვნის შემდეგ აშკარად ვეღარ მოქმედებდა და მხოლოდ გასაიდუმლოებულ ვითარებაში ახდენდა ჯარების გაგზავნას /46, 37/.

საქართველო, აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, უფრო ურჩი გამოდგა. ინგლისელების თვალწინ იგი კელავ ღიად აგრძელებდა საბრძოლო რაზმების გადასროლას დაღესტანში, აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით.

ქართველი არმიის ოფიცრებს საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავათ ჩრდილოეთ კავკასიის დაცვისათვის გამართულ ბრძოლებში. დერბენტის ფრონტის შტაბის უფროსი გახლდათ პირველი მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე კაპიტანი ჭანია, ფრონტის ცენტრალურ უბანს მეთაურობდა პოდპოლკოვნიკი ნაცვლიშვილი, ქართველთა ასეულს მეთაურობდა ოფიცერი ბახტაძე /Борба за власть Советов в Дагестане /Сборник воспоминании участников/, Махачкала 1957 г. გვ. 117–179/.

საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობები, როგორც ჩანს, ამ პერიოდში მხარს უჭერდნენ აგრეთვე დენიკინის წინააღმდეგ მებრძოლ ყუბანელებს და განიხილავდნენ მათ დასახმარებლად შეიარაღებული ძალების გაგზავნის საკითხს. გენერალი ა.დენიკინი ამასთან დაკავშირებით თავის მოგონებებში წერდა: „სერიოზული მსჯელობა იყო ვიღაც თავად მაღალოვის* წინადადების დაფინანსებაზე, რომელიც პირობას იძლეოდა, რომ გამოიყვანდა ქართველი მოხალისეების /სახალხო გვარდია/ 20 ათასიან კორპუსს“ /125, 197/.

ინგლისელთა ზეწოლა შემოდგომის მიწურულს კიდევ უფრო გაძლიერდა. აზერბაიჯანის მთავრობამ მოსთხოვა საქართველოს მისი ტერიტორიის გაელით შეეწყვიტა ჯარების გადაყვანა. 1919 წლის 20 ნოემბერს აზერბაიჯანის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება დაეკავებინა სადგურ აღსტაფა'ში თბილისიდან შემოსული მატარებელი, რომელშიც განთავსებული იყო აჯანყებულთა დასახმარებლად მიმავალი მოხალისეთა რაზმი გენერალ ლეო კერესელიძის მეთაურობით, ქართველი ოფიცრები და ჯარისკაცები, დადგენილების თანახმად, დააბრუნეს სამშობლოში /46, 38/.

საქართველოს ხელისუფლებაში ამ ფაქტს მწვავე შეფასება მისცეს. ბაქო თავს იმართლებდა და ამგვარ ქმედებას იმით ხსნიდა, რომ ქართველი ოფიცრები და ჯარისკაცები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გაელის დროს მოსახლეობაში გზადაგზა ჰყიდდნენ იარაღს. როგორც ირკვევა, აზერბაიჯანელთა ეს განცხადება, არ იყო უსაფუძვლო, რადგან ნ.ჟორდანია თავის მოგონებებში ვერ უარყოფს ქართველების მიერ იარაღის გაყიდვის ფაქტს და წერს: „გამოკვლევამ დაამტკიცა ნაწილობრივ ბრალდება, ასეთი

---

* საუბარია გენერალ ლ.მაღალოვზე, რომელსაც ახასიათებდა ანტიდაგური სინანციატიული წინადადებებით გამოსვლა. მაგალითად, 1918 წ. 14 დეკემბერს საქართველოს საშინაო მინისტრის სახელზე გაგზავნილ მოხსენებით ბარათში იგი სთავაზობდა მთავრობას ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად კორპუსის შექმნას /14, 353–354/.

ხულიგნები ერიენ ჯარში“ /126, 113/. მაგრამ მთავრობის თავმჯდომარე ამასთან ერთად მომხდარში აზერბაიჯანის მხარეს ადანაშულებს და მის მოქმედებას, საესებით სამართლიანად, პოლიტიკურ სარჩულს უდებს: „ყოველ შემთხვევაში აზერბაიჯანის მთავრობას ეს არ ამართლებდა. ის რომ მეგობარი ყოფილიყო ჩვენი, მდგომარეობას ჩვენ გვაცნობებდა და ზომას ჩვენ მივიღებდით“ /126, 114/. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ნ.ჟორდანიას მოგონებებში, ამ საკითხთან დაკავშირებით, გაპარულია უზუსტობა. ის წერს, რომ ქართველი მოხალისეები ჩრდილო კავკასიაში მიდიოდნენ ბოლშევიკებთან საბრძოლველად. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან წითელი არმია ამ დროისათვის საკმაოდ იყო დაშორებული ამ რეგიონისაგან.

ა.დენიკინის რეჟიმის არსებობას საბოლოო წერტილი ბოლშევიკებმა დაუსვეს. 1919 წლის ბოლოდან თეთრგვარდიელები ძლიერ იქნენ შეიწროებული. 1920 წლის 7 აპრილს კი წითელმა არმიამ დაასრულა მათი განადგურება ჩრდილო კავკასიაში და ამიერკავკასიას მოადგა. საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრებზე მიმწყვდეული დენიკინელები იძულებული იყვნენ, ადგილობრივი მთავრობების მოთხოვნით, იარაღი დაეყარათ და აზერბაიჯან–საქართველოს გაელით ევაკუირებულიყვნენ ყირიმის ნახევარკუნძულზე.

ამრიგად, თეთრგვარდიელების მხრიდან მოკავშირეებს საფრთხე მოეხსნათ. რეაქციონერი გენერლის რეჟიმმა სრული კრახი განიცადა. 1920 წლის 4 აპრილს, ანტანტის ზეწოლით, ა.დენიკინმა ძალაუფლება ოფიციალურად გენერალ პ.ერანგელს გადასცა, თავად კი ემიგრაციაში წავიდა.

თავი მეხუთე
საქართველოსა და აზერბაიჯანის სამშვიდობო დელეგაციები პარიზის საზავო კონფერენციაზე. საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ცნობა კონცერენციის უმაღლესი საბჭოს მიერ

საქართველოსა და აზერბაიჯანის სამხედრო–პოლიტიკური ინტერესების დაახლოებამ ლოგიკური გაგრძელება ჰპოვა საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე. დამოუკიდებლად არსებობის პირველი წელი, როგორც ვნახეთ, ორიეე ქვეყნისათვის მძიმე წელი იყო და შინაურ თუ გარეშე მტრებთან გამუდმებული ბრძოლებით ხასიათდებოდა.

იმ დროს, როცა მთავრობები ზრუნავდნენ გადაეჭრათ ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემები, ქართველი და აზერბაიჯანელი დიპლომატები ერთობლივი ძალისხმევით ცდილობდნენ, რომ პარიზში შეკრებილ გამარჯვებულ სახელმწიფოებს ეცნოთ მათი ქვეყნების დამოუკიდებლობა და დახმარება გაეწიათ ახლად შექმნილი რესპუბლიკებისათვის.

ქართული დელეგაცია პარიზში 1918 წლის დეკემბერში გაეგმგზავრა. დელეგაციის ხელმძღვანელად დანიშნული იქნა ნიკოლოზ /კარლო/ ჩხეიძე,* წევრებად: ირაკლი (კაკი) წერეთელი,** ზურაბ ავალიშვილი და დავით ღამბაშიძე. ქართულ დელეგაციას მგზაერობის დროს მთელი რიგი ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა მოუხდა და მხოლოდ 1919 წლის თებერვლის ბოლოს ჩავიდა პარიზში /58, 145/.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად კ.ჩხეიძის და

---

* 1919 წლის 12 მარტს ნ.ჩხეიძე დაუსწრებლად იქნა არჩეული საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ.

** 1919 წლის 14 თებერვალს ჩატარებულ საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში ი.წერეთელი არჩეული იქნა დამფუძნებელ კრების წევრად სოციალ–დემოკრატიული პარტიიდან.

ი.წერეთლის ავტორიტეტისა, მათი საზავო კონფერენციაზე ქართული დელეგაციის მეთაურებად დანიშნა პოლიტიკური შეცდომა იყო მართალია, ორივე მათგანი ევროპისა და ამერიკის დემოკრატიული წრეების სიმპატიას ადვილად იხვეჭდა, მაგრამ გადამტერებულ იმპერიათა შეტაკებების დროს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მათთვის მოულოდნელი და უცხო ამოცანა იყო. ამასთან, საქართველოს და სამწუხაროდ ამ მსოფლიოს ბედს არა კარლ კაუცკი ან რამზეი მაკდონალდი, არამედ ლოიდ ჯორჯი და ვუდრო უილსონი წყვეტდნენ /გიორგი შარაძე, საქართველოს პირველი რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბ., 2003 წ. გვ. 164/.

1919 წლის 14 მარტს საქართველოს დელეგაციამ პარიზის /ვერსალის/ კონფერენციას გადასცა მემორანდუმი, რომელშიც დაასაბუთა საქართველოს მთავრობის შუამდგომლობა დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ: „... საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციას აქვს პატივი, სთხოვოს დიდ სახელმწიფოებს, რომელთა წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს პარიზის /ვერსალის/ საზავო კონფერენციაზე, ცნონ ეს დამოუკიდებლობა. საქართველოს დელეგაცია ამ სახელმწიფოების ყურადღებას მიაქცევს თხოვნის ღრმა სახალხო ხასიათს. საქართველოს დამოუკიდებლობა – ეს არის ცოცხალი რეალობა, რომელიც ელის მსოლოდ დიდ სახელმწიფოების მიერ ცნობას /ნ.კირთაძე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო, თბ., 1997 წ. გვ. 30/.

აზერბაიჯანის დელეგაციის ხელმძღვანელად დაინიშნა პარლამენტის თავმჯდომარე ალი მარდან ბეგ თოფჩიბაშევი, მის მოადგილედ – მ.გ.გაჯინსკი, დელეგაციის წევრებად – ა.ა.შეიხულისლამოვი და ა.აგაევი, მრჩეველებად – მ.მაგერამოვი და დ.გაჯიბეკოვი. საქართველოს დელეგაციისაგან განსხვავებით, ძალზე გართულდა აზერბაიჯანის დელეგაციის პარიზში შეშვების საკითხი. ინგლისელი სამხედრო მოღვაწეები ყოველნაირად აბრკოლებდნენ დელეგაციის მგზავრობასა და ცდილობდნენ

არ დაეშვათ აზერბაიჯანელები პარიზის საზაეო კონფერენციაზე. ინგლისელებმა ფრანგებთან ერთად დააკავეს დელეგაციის წევრი ა.აგაევი. მას ბრალს დებდნენ, რომ პარლამენტსა და ჟურნალ-გაზეთებში ანტანტის ქვეყნების საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდა. ა.თოფჩიბაშევის დიდი მცდელობის მიუხედავად, ა.აგაევის განთავისუფლება ვერ მოხერხდა. საქმეს ვერ უშველია აგრეთვე ბაქოს ინგლისელი გუბერნატორის გენერალ ტომსონის სარეკომენდაციო წერილმა, რომელიც ა.აგაევის სახელზე იყო გაცემული. ყოველივე ამის შემდეგ აზერბაიჯანიდან 1919 წლის 18 იანვარს გასულმა დელეგაციამ მაისის შუა რიცხვებში, როგორც იქნა, ჩააღწია პარიზში /6, 217-218/.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ეროვნული მთავრობების წარგზავნილებმა მთელი 1919 წელი პარიზსა და ლონდონში გაატარეს იმის მოლოდინში, რომ ანტანტის ქვეყნები იცნობდნენ მათ დამოუკიდებლობას. საამისოდ ისინი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ. ლორდ კერზონის, ლოიდ ჯორჯის, ჟორჟ კლემანსოს, ეუდრო ვილსონის და მსოფლიოს სხვა გაელენიანი სახელმწიფო პირებთან გაგზავნილ მიმართვებში ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობას ითხოვდნენ. თავდაპირველად საქმე წინ ვერ მიდიოდა. ანტანტის მესვეურები დუმდნენ; მათ პირველ რიგში „რუსეთის საკითხი" აინტერესებდათ და ამიერკავკასიას მეორე ხარისხოვან პრობლემად განიხილავდნენ. ლორდმა ჯორჯ კერზონმა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ინგლისური ექსპანსიის თავგამოდებულ მომხრედ ითვლებოდა, გააფრთხილა კიდეც ამიერკავკასიის ხელისუფალნი, რომ ყოველგვარი ცდა მოკავშირეთა საბჭოზე გავლენის მოხდენისა, ინგლისის მიერ დაგმობილი იქნებოდა და გააქარწყლებდა იმ სიმპათიებს, რასაც ინგლისის მთავრობა იჩენდა ამიერკავკასიის მიმართ. ცხადია, კერზონს და ინგლისის მმართველ წრეებს 1919 წელს თეთრგვარდიელების წარმატების იმედი ჰქონდათ და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა დიდად არ აწუხებდათ.

პირველი ხანებში მოკავშირეები იმედს ადმირალ ალექსანდრე კოლჩაკზე ამყარებდნენ. ა.კოლჩაკის მარცხის შემდეგ – ა.დენიკინზე. ა.კოლჩაკიც და ა.დენიკინიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღიარებდნენ „მთლიანი და განუყოფელი რუსეთის“ იმპერიულ პრინციპებს, რომლითაც ამიერკავკასია რუსეთის საშინაო საკითხად მოიაზრებოდა. აქედან იყო, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ცნობა ჭიანურდებოდა და შედეგი მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე იყო დამოკიდებული. ისიც ფაქტია, რომ საზავო კონფერენციის მონაწილე თითოეულ ქვეყანას ამიერკავკასიის მიმართ საკუთარი ინტერესები ჰქონდა. ყველა ისინი ცდილობდნენ თავიანთი გავლენის სფეროში მოექციათ სტრატეგიულად და ეკონომიკურად მრავალმხრივ ხელსაყრელი რეგიონი. სწორედ ამ პერიოდში წარმოიშვა აზრი ამიერკავკასიაზე „მანდატის“ შესახებ*, რის მოპოვებასაც აქტიურად ესწრაფვოდნენ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მესვეურები.

პარიზის საზავო კონფერენციის მუშაობის პერიოდში, როცა გერმანიაზე გამარჯვებული ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგენლები ერთმანეთში ინაწილებდნენ ნადავლს, ამიერკავკასიისადმი ინტერესები აღეძრა იტალიის მმართველ წრეებსაც. როგოც ზემოთ მივუთითებდით, 1919 წლის ივლისში ინგლისის მთავრობამ საჭიროდ სცნო ამიერკავკასიიდან გამოეყვანა თავისი ჯარის ნაწილები, რა თქმა უნდა, ინგლისი ამით სრულიადაც არ აპირებდა ამიერკავკასიაში თავისი გავლენის შესუსტებას. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ ბათუმს ინგლისელები კვლავ იტოვებდნენ თავიანთ განკარგულებაში. ამიერკავკასიაში ისევ დარჩნენ ინგლისური მისიები, რომლებსაც ადგილობრივ მთავრობებსე დიდი გავლენა ჰქონდათ.

---

* საერთაშორისო სამართალში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, მანდატი აღნიშნავდა ამა თუ იმ სახელმწიფოს უფლებამოსილებას ერთა ლიგის სახელით განეხორციელებინა მართვა-გაძღვება იმ ტერიტორიაზე /ქვეყანაში/, რომელიც ომში დამარცხებული სახელმწიფოს ჩამოერთვა.

ნიშანდობლიეია ისიც, რომ ლ.ჯორჯის დაჟინებული მოთხოვნით ამიერკავკასიაში ინგლისის საოკუპაციო ნაწილების შეცელა იტალიის ჯარებს დაევალათ. ინგლისელმა დიპლომატებმა კარგად იცოდნენ, რომ სუსტი იტალია ინგლისს კონკურენციას ვერ გაუწევდა ამიერკავკასიის მფლობელობის საქმეში. იტალიის ჯარის ნაწილებს აქ შეეძლოთ შეესრულებინათ ამიერკავკასიის დაცვის ფუნქცია მანამ, ვიდრე ანტანტის ლაშქრობანი რუსეთში მიზანს მიაღწევდა და ამიერკავკასიის საკითხი საბოლოოდ პარიზის კონფერენციაზე გადაწყვეტილი არ იქნებოდა. ე.ი. ინგლისი ფორმალურად გადასცემდა ამიერკავკასიას იტალიას, ფაქტობრივ მმართველად კი სინამდვილეში თავად რჩებოდა.

ამასთან დაკავშირებით, იტალიის მთავრობას თავისი საკუთარი ინტერესები გაუჩნდა ამიერკავკასიაში, განსაკუთრებული დაინტერესება მან ბაქოს ნავთობისა და საქართველოს ქვანახშირისადმი გამოიჩინა. იტალიის მმართველი წრეები 1919 წლის აპრილიდან ენერგიულად შეუდგნენ საქართველოსა და აზერბაიჯანში შეიარაღებული ძალების გაგზავნისა და დისლოცირებისათვის პირობების მომზადებას. პრემიერ–მინისტრი ვ.ორლანდო, საგარეო საქმეთა მინისტრი ს.სონინო, გენერალური შტაბის უფროსი დიაცი, გენერალი კადორნა და იტალიის სამხედრო–პოლიტიკური ელიტის სხვა წარმომადგენლები აქტიურად მუშაობდნენ საქართველოსა და აზერბაიჯანში სამხედრო ექსპედიციის პროექტზე. ამ პროცესში ჩართული იყვნენ ქვეყნის საფინანსო სამრეწველო წრეებიც. ვ.ორლანდოს მითითებით იტალიის უმაღლესი კომისრის თანაშემწეს კოსტანტინეპოლში კ.სფორცას დაევალა დაემყარებინა კარგი ურთიერთობები საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებთან კოსტანტინოპოლში /127/. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ უკვე 11 აგვისტოს პარიზის საზავო კონფერენციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე იტალიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იტალია ჯარების გაგზავნას აპირებდა მხოლოდ საქართველოსა და აზერბაიჯანში, ხოლო სომხეთის მიმართ, წარმომადგენლის

თქმით, იტალიის მთავრობას არაეითარი ვალდებულება არ ჰქონდა აღებული /128, 170–171/.

1919 წლის აპრილის ბოლოს საქართველოში ჩამოვიდა იტალიის სამხედრო მისია პოლკოვნიკ მელკიადე გაბას ხელმძღვანელობით. ამ მისიას, ყველა პარამეტრით /პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და სხვა/ საქართველოში და აზერბაიჯანში არსებული სიტუაციის გარკვევის შემდეგ, უნდა შეექმნა გარკვეული საფუძველი მთავრობის საბოლოო გადაწყვეტილებისათვის. მისიის დასკვნები, ბუნებრივია, შესაძლებლობას მისცემდა ორნალდო–სონინოს მთავრობას მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება მანდატის საკითხზე.

1919 წლის ივნისის დასაწყისში იტალიის მთავრობამ პოლკოვნიკი მ.გამბა პარიზს მიიწვია და მოისმინა მისი ანგარიში. გადაწყდა, რომ საქართველოში და აზერბაიჯანში გაეგზავნათ მე–12 საარმიო კორპუსის ჯარები /2 ქვეითი დივიზია და ალპური მსროლელი რაზმი/.

საქართველოსა და აზერბაიჯანში იტალიის გეგმებს მოწონებით შეხვდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ექსპედიციას ჩაშლა ელოდა. 1919 წლის ივნისის ბოლოს იტალიის მთავრობა გადადგა, ქვეყანაში მუშათა მასობრივი გაფიცვები დაიწყო. ახალმა მთავრობამ, რომელსაც სათავეში ფ.ნიტი ჩაუდგა, უგნურებად მონათლა საქართველოსა და აზერბაიჯანში ლაშქრობა. იტალიის ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ტ.ტიტონიმ პარიზის საზავო კონფერენციაზე განაცხადა, რომ იტალიის მთავრობას არც საკმაო შეიარაღებული ძალები ჰყავდა და არც ფინანსური საშუალებები გააჩნდა, რათა საქართველოსა და აზერბაიჯანში გადაესროლა ჯარის ნაწილები /129, 108–109/.

იტალიის მთავრობის უარი ამიერკავკასიაში ჯარების გამოგზავნის თაობაზე სხვა მიზეზმაც განაპირობა. დიდი იყო ე.წ. „რუსეთის ფაქტორი“, ადმირალი ა.კოლჩაკი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ იტალია ‘შემოსულიყო ამ რეგიონში. გარდა ამისა ამიერკავკასიის მიმართ დიდი

დაინტერესება გამოხატა ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც. ინგლის–იტალიის შეთანხმება აღნიშნულ რეგიონში, იტალიური ჯარების გამოგზავნის შესახებ, ამერიკის მთავრობის ზურგს უკან იქნა გაფორმებული და, ბუნებრივია, რომ პრეზიდენტი ვ.ვილსონი ინგლისის მთავრობის ამ ნაბიჯს განიხილავდა, როგორც ამერიკისადმი მტრულ მოქმედებას. ამერიკის საქმიანი წრეები თავიანთი მთავრობისაგან ენერგიული საპასუხო აქციების გატარებას მოითხოვდნენ, რადგან ითვალისწინებდნენ, რომ ამიერკავკასიისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ფაზა იწყებოდა. და, მართლაც, ინგლის–იტალიის შეთანხმების მიღწევიდან ერთი კვირაც კი არ იყო გასული, რომ ამერიკის დიპლომატიური აპარატი მთელი დატვირთვით ამუშავდა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაიწყო მოქმედება ამიერკავკასიაში თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესთა გეგმების განხორციელებისათვის. ამერიკის დელეგაციაში გადაწყდა, უპირველეს ყოვლისა, პარიზის საზავო კონფერენციაზე შეხვედრები მოეწყოთ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლებთან. ამ წინასწარ შეხვედრებს ამერიკის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რაც იქიდან ჩანს, რომ დელეგატებთან მოლაპარაკებებს უშუალოდ აწარმოებდა ამერიკის პრეზიდენტი ვ.ვილსონი და მისი მრჩეველი პოლკოვნიკი ე.ჰაუზი.

1919 წლის 2 მაისს პრეზიდენტმა ვ.ვილსონმა პარიზის სამშვიდობო კონფერენციის ოთხთა საბჭოს სხდომაზე მოითხოვა აზერბაიჯანის დელეგაციის პარიზში შემოშვება. ნიშანდობლივი ფაქტია ის, რომ ამ დრომდე აზერბაიჯანის წარმომადგენლობის მოვალეობას ქართული დელეგაცია ასრულებდა. ვ.ვილსონი 27 მაისს შეხვდა ჩრდილოეთ–კავკასიის დელეგაციას, ხოლო მეორე დღეს – აზერბაიჯანელებს. ა.თოფჩიბაშევმა აშშ–ის პრეზიდენტს გადასცა იმ მემორანდუმის დედანი, რომელიც წარდგენილი იყო პარიზის საზავო კონფერენციაზე. დოკუმენტი შედგებოდა 3 პუნქტისაგან:

1. აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის მემორანდუმი, მისი საზღვრების აღწერითა და რუკით.

2. მემორანდუმი აზერბაიჯანის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ფინანსურ შესაძლებლობებზე, ეკონომიკური რუქის თანხლებით.

3. მემორანდუმი აზერბაიჯანის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ, დიოგრამითა და ეთნიკური რუკით.

ეს შეხვედრა ა.თოფჩიბაშევსა და მისი თანმხლები პირებისათვის ნაკლებ დამაიმედებელი აღმოჩნდა. პრეზიდენტმა ვ.ვილსონმა განაცხადა, რომ სამშვიდობო კონფერენციის მიზნებში არ შედიოდა მსოფლიოს დაქუცმაცება პატარა–პატარა სახელმწიფოებად და ასევე აზერბაიჯანის საკითხი ვერ გადაწყდებოდა, ვიდრე ღღის წესრიგში იქნებოდა რუსეთის საკითხი. პრეზიდენტმა ურჩია აზერბაიჯანელებს, რომ მათთვის უმჯობესი იქნებოდა, თუ განიმსჭვალებოდნენ სამხრეთ კავკასიაში ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის იდეით /128, 149/. ამასთან ერთად ვ.ვილსონი დაჰპირდა დელეგატებს, რომ აზერბაიჯანელი ხალხი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის ბრძოლების დროს ამერიკის მხრიდან მიიღებდა მხარდაჭერას /6, 218/.

როგორც ვხედავთ, ვ.ვილსონი მუსავატელთა დელეგაციასთან შეხვედრისას ფაქტობრივად ამიერკავკასიაში ფედერაციის შექმნას მოითხოვდა, რომელიც ამერიკელთა მფარველობაში უნდა გადასულიყო. ამის შესაბამისად მიმდინარეობდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დელეგაციებთან მოლაპარაკებები. ვ.ვილსონი დაშნაკებს ჰპირდებოდა სომხეთზე მანდატის მიღებას. იგივე მოსაზრება იყო გამოთქმული მუსავატელებთან დიალოგისას.

დაახლოებით ასეთივე შინაარსის საუბარი ჰქონდა ნ.ჩხეიძის დელეგაციასაც ამერიკელებთან მაის–ივნისის შეხვედრების დროს. ამერიკელებმა შეძლეს ქართველ მენშევიკთა კეთილად განწყობა ამერიკისადმი, რასაც

მომავალში უფრო მჭიდრო კავშირის ხასიათი უნდა მისცემოდა. ერთ-ერთ ასეთი შეხვედრის დროს გადაწყდა, რომ საქართველოს დელეგაცია ამერიკის მთავრობას წარუდგენდა მემორანდუმს, რომელშიც ჩამოაყალიბებდა თავის თვალსაზრისს ამერიკისა და საქართველოს ურთიერთობისა და სხვა პოლიტიკურ პრობლემებზე. ასე შეიქმნა ნოტა ამერიკის მთავრობისადმი, რომელიც 1919 წლის 10 ივნისს პოლკოვნიკ ე.ჰაუზს წარედგინა. მემორანდუმი განსაკუთრებული ხასიათისა იყო, რადგან მეორე დღისათვის ქართველი დელეგატები გამოძახებული იყვნენ ე.ჰაუზთან. დოკუმენტში გამოთქმული იყო მოსაზრება ბევრ პრინციპულ საკითხზე. მათ შორის უმთავრესი საკითხი იყო აშშ-სთან საქართველოს დამოკიდებულების შესახებ. ცხადია, რომ ქართველმა დელეგატებმა იცოდნენ აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლებთან ამერიკელების საუბრის შინაარსი. მენშევიკები მემორანდუმში სთავაზობდნენ ამერიკის მთავრობას მფარველობა გაეწია საქართველოსათვის, ე.ი. ქართველ სოციალ-დემოკრატებს იმხანად სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები ჰყავდათ წარმოდგენილი დამოუკიდებელი საქართველოს მანდატის მფლობელად.

პოლკოვნიკ ე.ჰაუზთან შეხვედრის წინ, საქართველოს წარმომადგენლებს საუბარი ჰქონდათ ამერიკელ ექსპერტებთან. ზ.ავალიშვილი ექსპერტს მოახსენებდა, რომ საქართველოს ესაჭიროება ფინანსური და სხვა დახმარება, რომ ეს დახმარება არ ეწინააღმდეგება საქართველოს დამოუკიდებლობას. საინტერესოა ამ მხრივ საერთო დასკვნა, რომელიც ექსპერტებთან საუბრისას იქნა გამოტანილი. ამერიკელთა მიერ სომხეთზე მანდატის აღების შემდეგ არ იყო გამორიცხული შესაძლებლობა, რომ აშშ ზოგიერთ ვალდებულებას საქართველოს მიმართაც იკისრებდა /58, 178/.

10 ივნისის ნოტა, რომელიც ე.ჰაუზს წარედგინა, ოფიციალურად აღიარებდა საქართველოს მმართველი პარტიის მისწრაფებას დახმარება მიეღო აშშ-დან. „ქართ-

ველები მიესალმებიან ყოველგვარ დახმარებას და ყოველგვარ ინტერესს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ამჟღავნებენ საქართველოს ეკონომიურ მომავალზე“ – წერდა დელეგაციის მეთაური ნ.ჩხეიძე /44, 179/.

საქართველოს დელეგაციის პოლკოვნიკ ე.ჰაუზთან 11 ივნისის შეხვედრის დაწერილებითი ჩანაწერი, სამწუხაროდ, არ არსებობს. ცნობილია მხოლოდ, რომ საუბარი კარგა ხანს გაგრძელებულა და განხილული ყოფილა ბევრი პოლიტიკური, მათ შორის ამერიკისათვის საქართველოს მანდატის გადაცემის, საკითხი. საუბრის ბოლოს საქართველოზე ამერიკის მანდატის მიღების პრობლემა დაახლოებით იმ ასპექტ'ში გადაიჭრა, როგორც წინასწარ შეხვედრებისას შეთანხმდნენ. თუ ამერიკა აიღებდა მანდატს სომხეთზე, მაშინ იგი დაეხმარებოდა საქართველოსაც. ამ დახმარების შინაარსში რომ გავერკვეთ, საჭიროა, აღვნიშნოთ, თუ რა დახმარებას ჰპირდებოდნენ ამერიკელები სომხეთს. მაშინ ამერიკაში პოლიტიკოსთა ძლიერი ჯგუფი, თვით პრეზიდენტის მეთაურობით, მოითხოვდა სომხეთში ჯარების გაგზავნას. აი, ამ დახმარებას გულისხმოდნენ ამერიკელები საქართველოსათვისაც. ე.ი. ამერიკელთა ჯარის ნაწილებს, რომლებიც სომხეთში შევიდოდნენ, საქართველოც უნდა დაეკავებინა. პოლკოვნიკმა ე.ჰაუზმა, აღნიშნულ შეხვედრასთან დაკავშირებით, შემდეგი ჩანაწერი გააკეთა თავის დღიურში: „მღელვარე დღე მქონდა, მოუცლელი – ხვალ ინგლისში მიევმგზავრები. ჩემი ყველაზე საყურადღებო მნახველები იყვნენ ბრაზილიელი დელეგატი, საქართველოს დელეგაცია და თვით პრეზიდენტი /ვილსონი – გ.ღ./. ქართველები მოვიდნენ, რათა პირადათ გამოეთქვათ პრეტენზიები. მე თანაგრძნობით მოუსმინე მათ და აღუთქვი ყველაფრის გაკეთება, რასაც შევძლებდი“ /128, 153/.

ქართველი დელეგატების ე.ჰაუზთან შეხვედრიდან ერთი კვირის შემდეგ მოხდა ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც სათანადო ყურადღებას იმსახურებს. დიდ სახელმწიფოებსა და ადმირალ ა.კოლჩაკის მთავრობის 4–12

ივნისის შეთანხმების მიხედვით, რუსეთის განაპირა რაიონებისა და ა.კოლჩაკის მთავრობის ურთიერთდამოკიდებულება მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მესვეურთ უნდა დაქვემდებარებოდა. შეთანხმება დასავლეთის ქვეყნებსა და ა.კოლჩაკს შორის მოხდა რუსეთის განაპირა რაიონებში მცხოვრები ხალხების ხარჯზე. როგორც ა.კოლჩაკს, ისე ახლად აღმოცენებულ პატარა სახელმწიფოებს, მოკავშირეთა დეკლარაციის შინაარსის მიხედვით, ეკრძალებოდათ ურთიერთშორის კინკლაობა.

საქართველოს და აზერბაიჯანის საზღვარგარეთულ დელეგაციაში დეკლარაციის ტექსტმა სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. ამის გამო ისინი შეურთდნენ ახლად შექმნილი სახელმწიფოების 17 ივნისის კოლექტიურ განცხადებას, რომელიც ითვალისწინებდა ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის დაცვას. ეს განცხადება წარედგინა პარიზის საზავო კონფერენციას, რომელსაც ხელს აწერდნენ ესტონეთის, ლატვიის, მთიელთა რესპუბლიკის, ბელორუსიის, უკრაინის, საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციის თავმჯდომარეები. განცხადების ავტორები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ა.კოლჩაკთან მოკავშირეთა შეთანხმების გამო, უარყოფდნენ რუსეთის ავტორიტეტს ჩამოთვლილ რესპუბლიკების მიმართ და კონფერენციიდან მათი დამოუკიდებლობის ცნობას მოითხოვდნენ /58, 155/.

აღნიშნული განცხადება იმ პერიოდისათვის საკმაოდ გაბედული ნაბიჯი იყო და გარკვეულწილად პროტესტის ფორმას ატარებდა. როგორც ირკვევა, 17 ივნისის განცხადებამ საკმაოდ გააღიზიანა მოკავშირე სახელმწიფოთა მესვეურები. მათ პასუხის ღირსადაც კი არ ჩათვალეს ეს პროტესტი. ოთხთა საბჭოს მითითებით, მეორე დღესვე, ურჩობისათვის სათანადოდ „დატუქსეს“ დელეგაციათა მეთაურები. საქართველოს, აზრებაიჯანისა და მთიელთა რესპუბლიკის დელეგატები ამის შემდეგ იძულებული გახდნენ 20 ივნისს გამოექვეყნებინათ ახალი განცხადება, რომელშიაც გმობდნენ თავიანთ ნაბიჯს და უსიტყვოდ თანხმდებოდნენ მოკავშირეთა პირობებზე /128,

155/, მაგრამ ამასთან ერთად ხელახლა ადასტურებდნენ კონფერენციის წინაშე იმ თვალსაზრისს, რომ მტკიცედ იდგნენ დამოუკიდებლობისა და რუსეთისაგან სრულიად ჩამო'შორების ერთხელვე დაფიქსირებულ პოზიციაზე /64, 195/. სომხეთის დელეგაცია ზემოთხსენებულ არცერთ კოლექტიურ განცხადებას არ შეერთებია.

საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციებმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს გამოეყენებინათ ამერიკელთა კეთილგანწყობილება მათი ქვეყნებისადმი, რაც საუბრებისა და სახელმწიფო მოხელეებთან შეხვედრების დროს ცხადი გახდა და 20 ივნისს ერთობლივი ნოტით მიმართეს ამერიკის მთავრობას. საბუთი შეიცავდა ორი ქვეყნისათვის დარჩენილი სამხედრო ქონების /ტანსაცმლისა და იარაღის/ მიყიდვის თხოვნას, დელეგატები აღუთქვამდნენ ამერიკის მთავრობას, რომ ისინი შეიძენდნენ საქონელს იმ ფასად და იმ პირობით, როგორსაც მათ შესთავაზებდნენ /128, 156/.

ქართველმა და აზერბაიჯანელმა დელეგატებმა 1919 წლის 24 იელისს პარიზის საზავო კონფერენციას აცნობეს აგრეთვე საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის 16 ივნისს დადებული სამხედრო ხელშეკრულების შესახებ. ერთობლივი ნოტა, რომელსაც ხელს აწერდნენ ნ.ჩხეიძე და ა.თოფჩიბაშევი, გაეგზავნა კონფერენციის თავმჯდომარეს ჟ.კლემანსოს. ვინაიდან გენერალი ა.დენიკინი მოკავშირეთა საბჭოს გაელენის ქვეშ იყო, დელეგაციის თავმჯდომარეები სთხოვდნენ ჟ.კლემანსოს, რომ მას ზემოქმედება მოეხდინა თეორგვარდიელ გენერალზე და აეძულებინა იგი შეეწყვიტა საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ წარმოებული საბრძოლო მოქმედებები – „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ხელშეკრულება, რომელსაც საფუძველად უდევს მხოლოდ თავდაცვა, არ იქნება განხილული, როგორც სამხედრო გამოსვლის აქტი. ამიერკავკასიას, რომელსაც მფარველობენ მოკავშირენი, აშორდება თავდასხმა, მოკავ'შირეთა სახელმწიფოების დენიკინის მოქმედებისადმი თვალყურის დევნების წყალობით“ /130/.

მაისის თვეში მოკავშირეთა საბჭოზე ვ.ვილსონმა უკვე მიაღწია თანხმობას სომხეთზე და კონსტანტინოპოლზე მანდატის დაწესების შესახებ ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები იძულებული იყვნენ შერიგებოდნენ ამერიკის ამ მოთხოვნებს. ინგლისის კოლონიებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმაველობა, წითელი არმიის წარმატებანი ა.კოლჩაკის წინააღმდეგ ბრძოლაში, ინდოეთის ბედის საკითხი და თვით ამიერკავკასიაში არსებული არასტაბილური პოლიტიკური ვითარება, ინგლისელებს აიძულებდა ეფიქრათ ამიერკავკასიიდან თავისი ძალების დროებით ევაკუაციაზე, ხოლო საფრანგეთის ყურადღება ამ დროს უკრაინისაკენ იყო მიპყრობილი.

1919 წლის იენისში, პარიზში, საზავო დელეგაციების მეთაურთა საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება სომხეთში მოკავშირეთა უმაღლესი კომისრის პოსტზე ამერიკელი პოლკოვნიკის ვ.ნ. ჰასკელის დანიშვნის შესახებ. მას იმავდროულად პასუხისმგებლობა დააკისრეს სომხეთისადმი დახმარების ყველა იმ ღონისძიებებისათვის, რომელსაც ახორციელებდა ამ ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაციები. მეთაურთა საბჭომ წინადადება მისცა აშშ-ს, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობათა ყველა წარმომადგენელს სომხეთში, საქართველოში, აზერბაიჯანსა და კონსტანტინოპოლში ეთანამშრომლათ პოლკოვნიკ ვ.ჰასკელთან და მხარი დაეჭირათ მისთვის /68, 185-186/.

ვ.ჰასკელის მისია მარტო სომხეთის მომავალი მოწყობით როდი შემოიფარგლებოდა. იგი ვარაუდობდა ამერიკელთა გავლენა განეერცო საქართველოზე და აზერბაიჯანზე. აგვისტოში ვ.ჰასკელი ჩავიდა თბილისში და საუბარი ჰქონდა საქართველოს მთავრობის წევრებთან. ამავე თვეში იგი ეწვია ბაქოს. მუსავატური მთავრობის ხელმძღვანელებთან ნ.უსუბეკოვთან და მ.ჯაფაროვთან საუბარში ვ.ჰასკელი დაინტერესდა აზერბაიჯანის ეკონომიკით, კერძოდ, ნავთობით. ჩამოსელისთანავე ამერიკელი პოლკოვ-

ნიკი აქტიურად ჩაება სომხეთ–აზერბაიჯანის კონფლიქტის მოწესრიგებაში. მისი ძალისხმევით 1919 წლის ოქტომბერში ნახიჩევანის ოლქი, რომელიც ორ სახელმწიფოს შორის დავის საგანი იყო, გამოცხადებული იქნა ნეიტრალურ ზონად, ხოლო ოლქს სათაეში ჩაუდგა ამერიკული ადმინისტრაცია, კერძოდ, გენერალ–გუბერნატორი პოლკოვნიკი ედმუნდ დელი /44, 187/.

ასეთი რწმუნებით აღჭურვილი ამერიკელი კომისრის გაგზავნა ამიერკავკასიაში, ცხადია, ინგლისელთა მხრივ, სერიოზულ დათმობას წარმოადგენდა. ინგლისელები რეალურად აფასებდნენ მოელენების მსველელობას, მაგრამ ამერიკელთა ზეწოლის ადვილად უკუგდების შესაძლებლობა მაშინ მათ ძალზედ ძნელ და, რაც მთავარია, გაუმართლებელ საქმედ მიაჩნდათ. ამიერკავკასიიდან ჯარების გაყვანის თაობაზე ცნობების ოფიციალურმა გამოქვეყნებამ საგრძნობი ზიანი მიაყენა ინგლისელთა პრესტიჟს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მმართველი წრეების თვალში. ასე რომ ამერიკელებმა თავისი გეგმების განხორციელებისათვის მეტად ხელსაყრელი მომენტი შეარჩიეს. მწვავე პოლიტიკური კრიზისის პირობებში, ინგლისის მთავრობა იძულებული იყო ამერიკელთა სასარგებლოდ გარკვეულ დათმობებზე წასულიყო, უფრო მეტიც, დიდმა ბრიტანეთმა აშშ–ს ამიერკავკასიაში ჯარების შეყვანა შესთავაზა და იმასაც კი დაჰპირდა, რომ 30 სექტემბრამდე იქ თავის ჯარებს მოაცდეინებდა. ინგლისის მთავრობას სრულიადაც არ უფიქრია ფარხმალის დაყრა და ბრძოლა ამიერკავკასიისათვის წაგებულად არ ჩაუთვლია. ინგლისელების ანგარიშით, ამერიკელები ბრიტანეთის წარმომადგენელთა აქტიური მოქმედების შემთხვევაში, თავს ვერ გაართმევდნენ სიძნელეებს, რომელნიც მათ ამიერკავკასიაში უნდა გადალობებოდათ. სამწუხაროდ, ინგლისელთა ეს ვარაუდი გამართლდა.

ამერიკელი პოლიტიკოსები აჩქარებდნენ პრეზიდენტ ვ.ვილსონს. მანდატის საკითხი პარიზის კონფერენციაზე

თავის გადაწყვეტას უახლოვდებოდა. პრეზიდენტს ესაჭიროებოდა უფრო დაწვრილებითი ცნობები ამიერკავკასიის შესახებ, ამიტომ გადაწყდა, სამანდატო ტერიტორიების დათვალიერება ადგილზეე მომხდარიყო. საფრანგეთში დისლოცირებული ამერიკის არმიის შტაბის უფროსის გენერალ ჯემს ჰარბორდის მეთაურობით შეიქმნა 18 კაციანი სპეციალური მისია, რომელსაც მიეცა დავალება შეესწავლა ამიერკავკასია და შეედგინა დაწვრილებითი ანგარიში ქვეყნის პოლიტიკურ, სამხედრო, გეოგრაფიულ, ადმინისტრაციულ–ეკონომიურ და სხვა საკითხებზე. 1919 წლის სექტემბერში ჯ.ჰარბორდის მისია ამიერკავკასიაში ჩამოვიდა*. ორი თვის მუშაობის შემდეგ მისიამ დაასრულა თავისი საქმიანობა და პასუხი გასცა ყველა იმ კითხვას, რომელიც ვ.ვილსონის კარნახით იყო შედგენილი.

ჯ.ჰარბორდის მისიის წინადადებანი მოითხოვდნენ სამანდატო ტერიტორიაზე ამერიკული ჯარის ნაწილების შეყვანასა და ადგილობრივი საიმედო ძალებისაგან უანდარმერიის ჩამოყალიბებას /44, 184/.

ვ.ჰასკელმა, თავის მხრივ, 1919 წლის აგვისტოს ბოლოს მოითხოვა მის განკარგულებაში გადაეცათ ამერიკული ქვეითი ბრიგადა. აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილე ფ.პოლკმა პარიზის კონფერენციის ათთა საბჭოში განაცხადა, რომ ამერიკაში დაიწყო ჯარის ნაწილების ფორმირება, რომლებიც უნდა გაეგზავნათ სომხეთში. განსაზღვრული იყო აგრეთვე ამიერკავკასიაში ამერიკული არმიის 70 ათასიანი კონტინგენტის გადასროლა /47, 239/.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ საბოლოოდ როცა 1919 წელს პარიზის საზავო კონფერენციაზე ამიერკავკასიაში მოკავშირეთა ჯარების გაგზავნის საკითხი დაისვა, ამერიკის წარმომადგენელმა განაცხადა: „ამერიკის მთავრობა ვერ გაგზავნიდა საოკუპაციო ჯარებს იმ სახელმწიფოში, რომელთანაც ამერიკას საომარი მოქმედება არ ჰქონია“.

---

* ჯ.ჰარბორდის მისიის ჩამოსვლამდე 1919 წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში თბილისში მუშაობდა ამერიკელი კაპიტნის ბ.ბურის მისია. ბ.ბური და მისი თანაშემწე ლეიტენანტი ლ.უიტ-ბაუზი აგროვებდნენ მასალებს ამიერკავკასიის შესახებ.

სხდომის დასასრულს ჟ.კლემანსომ შეაჯამა საკითხის განხილვის შედეგები და განაცხადა: „საფრანგეთი უძლურია რაიმე მოიმოქმედოს, იტალია უძლურია რაიმე მოიმოქმედოს, ინგლისი უძლურია რაიმე მოიმოქმედოს და, ამჟამად, ამერიკაც უძლურია რაიმე მოიმოქმედოსო“ /128, 171/.

საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობებმა 1919 წლის შემოდგომისათვის კიდევ უფრო გააქტიურეს პროამერიკული პოლიტიკა. დაახლოებით ამ დროიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში მუდმივად მუშაობდა საქართველოს და აზერბაიჯანის დაქირავებული აგენტი, აშშ–ს წარმომადგენლობითი პალატის წევრი ნიუ–იორკიდან ვ.ჩანდლერი.

ვ.ჩანდლერი 1919 წლის 18 ოქტომბერს პარიზში გაგზავნილ თავის პირველ ანგარიშში წერდა: „მე გადავწყვიტე პრეზიდენტის გამოჯანმრთელებამდე ჩემი სამუშაო შემომეფარგლა აზერბაიჯანის და საქართველოს სასარგებლოდ კერძო საუბრებით, დეპუტატებსა და სენატორებს შორის წიგნებისა და ბროშურების გავრცელებით“. 10 ნოემბერს ვ.ჩანდლერიდან ახალი ცნობა მოვიდა, რომელშიდაც აგენტი 'შეერთებული შტატების პოლიტიკას განიხილავდა საბჭოთა რუსეთთან მიმართებაში. წერილ'ში ნათქვამი იყო, რომ ამერიკის მთავრობა მხოლოდ იმ იმედით ითმენდა კოლჩაკს, რომ ეს უკანასკნელი გაანადგურებდა ბოლშევიზმს. ვ.ჩანდლერისა და აშშ სახელმწიფო მდივნის ლანსინგის შეხვედრის დროს გაირკვა, რომ ადმინისტრაცია უარს არ ეტყოდა საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენლებს ვიზებზე შეერთებულ შტატებში მისაწვევად /131, 44–45/.

ამიერკავკასიის ქვეყნებზე ჰეგემონობას ცდილობდა აგრეთვე საფრანგეთის ხელისუფლებაც. საფრანგეთის წარმომადგენელი მოკავშირეთა საბჭოს პარიზის სხდომებზე წინააღმდეგი არ ყოფილა სომხეთზე ამერიკული მანდატის დაწესებისა, მაგრამ ფარულად ფრანგი დიპლომატები და მათი დავალებით საფრანგეთის მისიები თურქეთსა და ამიერკავკასიაში აღვივებდნენ ამერიკისა და ინგლისის

ინტერესთა წინააღმდეგობას. ამავე დროს, ფარულად ეწეოდნენ მოლაპარაკებას ამიერკავკასიის ხელისუფალთა გაელენიან პირებთან ამ რეგიონში საფრანგეთისათვის უპირატესი მდგომარეობის შესაქმნელად. საქართველოში ფრანგული მისიის მეთაური შარდინი ცდილობდა დაეინტერესებინა თავისი მთავრობა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით, მისი ბუნებრივი რესურსებით და ა.შ. /132/. „იმ დიდ მისიაში, რომელიც ეკუთვნის ამიერკავკასიას მისი გეოგრაფიული მდებარეობით – ღია ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობისათვის იყოს გზა ევროპისა ღა ცენტრალურ და წინა აზიას შორის – საქართველოს რესპუბლიკას შეუძლია დიდი როლი შეასრულოს“. წერდა ფრანგი პოლკოვნიკი /ნ.კირთაძე, საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ–ევროპული ურთიერთობები, თბ., 1997 წ. გვ. 10-11/. 1989 წელს პროფესორ ი.ტაბაღუას მიერ გამოქვეყნებული იქნა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტი, რომელშიც შესაშური სიზუსტით არის აღწერილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა /133/. შარდინმა ფარულად მოამზადა და სათანადო ორგანოებს წარუდგინა ამიერკავკასიის მომავალი მოწყობის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით „ამიერკავკასია უნდა გარდაქმნილიყო მცირე შტატების ქვეყნად, მსგავსად შვეიცარიისა“, შტატების დედაქალაქი – თბილისი – გამოცხადდებოდა თავისუფალ ქალაქად, ხოლო შტატებზე დაწესდებოდა საფრანგეთის პროტექტორატი.ამ პროექტისათვის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად შარდინი ამიერკავკასიაში საიდუმლო მოლაპარაკებას ეწეოდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობის წარმომადგენლებთან და მოუწოდებდა მათ პარიზის საზავო კონფერენციაზე, თუ ეს პროექტი დღის წესრიგში დადგებოდა, გამოეთქვათ თანხმობა. ამასთანავე საფრანგეთის მთავრობის სახელით იგი ამიერკავკასიას მომავალში დახმარებას აღუთქვამდა /44, 191/.

ინგლისის მმართველი წრეების წაქეზებით კავკასიის და, განსაკუთრებით, აზერბაიჯანის მიმართ სერიოზული პრეტენზიები გაუჩნდა ამ დროისათვის ირანის ხელისუფლებასაც. როგორც ცნობილია, ირანი 1918 წლიდან ინგლისელთა სრული გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ბრიტანელმა პოლიტიკოსებმა ირანის ადგილობრივ რეაქციულ წრეებზე დაყრდნობით, შეიმუშავეს ირანის ტერიტორიალური გაფართოების ფანტასტიკური გეგმა, რომელიც ამავე დროს ინგლისელთა კოლონიური სამფლობელოს გაფართოების შინაარსს შეიცავდა. პარიზის საზაეო კონფერენციაზე ირანის დელეგაცია /ცხადია, ინგლისელთა წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად/ წარსდგა მოთხოვნით, რომ სპარსეთის შემადგენლობაში მოქცეულიყო მთელი კასპიისიქითა ოლქი კრასნოეოდსკის, აშხაბადის, მეერის, ხივის და სხვა ქალაქების შემადგენლობით, ჩრდილოეთ აზერბაიჯანი–ქ.ბაქოთი, სომხეთი–ერევნით, დაღესტანი – დერბენდით და სხვა.

ინგლისელებმა პარიზის კონფერენციაზე 1919 წლის მარტში წარმოადგინეს ამ გეგმიდან გამომდინარე პროექტი ირან–აზერბაიჯანის უნიისა. იგი აზერბაიჯანისათვის შეიცავდა შემდეგ პირობებს: რუსეთის იმპერიიდან სამუდამო მოწყვეტას, მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირის შექმნას ირანსა და აზერბაიჯანს შორის; ინგლისი თავის თავზე აიღებდა ირან–აზერბაიჯანის ერთიანი სახელმწიფოს პოლიტიკურ და სამხედრო მფარველობას; ირან–აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკა უნდა გაერთიანებულიყო ინგლისელთა ხელმძღვანელობის ქვეშ /47, 244/. 1919 წლის 31 ოქტომბერს და 1 ნოემბერს, ამ საკითხთან დაკავშირებით, ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებს საუბარი ჰქონდათ პარიზში მუსავატური დელეგაციის წევრებთან. 1919 წლის დეკემბერში ბაქოში ორჯერ ჩავიდა ირანის დელეგაცია. პირველს სათავეში ედგა სეიდ ზიაედინი ტაბა–ტაბაი. აზერბაიჯანში მან კავშირი გააბა შეძლებულ პირებთან და ეწეოდა აზერბაიჯანის ირანთან შეერთების პროპაგანდას. მეორე დელეგაციას

ხელმძღვანელობდა სეიდ-იად-ედინი, რომელმაც ბაქოში მუსავატურ მთავრობასთან გამართა მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ძალთა ერთიანობის მისაღწევად /44, 198-199/.

ინგლის-ირანის აღნიშნულ გეგმას არ ეწერა განხორციელება. პარიზში ირანსა და აზერბაიჯანს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალით ირანმა ცნო აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა. ეს ხელშეკრულება აზერბაიჯანელი დიპლომატების დიდი გამარჯვება იყო საერთაშორისო მაშტაბით /6, 219/.

1919 წელს, საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციების დიდი მცდელობის მიუხედავად, პარიზის საზავო კონფერენციამ არ განიხილა ამ ორი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი. ცხადია, ანტანტის ქვეყნების მმართველ წრეებს 1919 წელს თეთრგვარდიელების წარმატების იმედი ჰქონდათ და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა დიდად არ აწუხებდათ, მაგრამ მას შემდეგ, როცა ანტანტის მიერ ორგანიზებულმა ლაშქრობებმა რუსეთში კრახი განიცადეს, მოკავშირეთა საბჭოს მესვეურები ლ.ჯორჯი, უ.კლემანსო, კერზონი და სხვები სხვაგვარად ალაპარაკდნენ. ა.დენიკინის ჯარების განადგურებამ და ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან რეალურმა საფრთხემ სერიოზულად დააფიქრა ანტანტის ქვეყნები, ისინი იძულებული გახდნენ გადაედგათ კონკრეტული ნაბიჯები. ნათელი იყო, რომ წითელი არმიის შეჭრა ამიერკავკასიაში ხელს შეუწყობდა ბოლშევიკური იდეის გავრცელებას ირანსა და წინა აზიაში. ამასთან დაკავშირებით ბევრი ევროპელი პოლიტიკოსი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება და მათთვის სათანადო რაოდენობის თავდაცვითი საშუალებების მიწოდება, რათა ეს უკანასკნელნი წინ აღსდგომოდნენ საბჭოთა ექსპანსიას. საქართველოსა და აზერბაიჯანზე უფრო ეფექტური დახმარებების გაწევის მიზნით, საჭირო გახდა ამ რესპუბლიკების სუვერენტიტეტის

აღიარება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თეთრგვარდიელების განადგურებასთან ერთად კრახი განიცადა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ იდეამაც, რომელიც ამ ქვეყნების ცნობის ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო. აი, ამიტომ იქცა პარიზის საზავო კონფერენციაზე 1920 წლის დასაწყისში საქართველოსა და აზერბაიჯანის ცნობის საკითხი გადაუდებელ ამოცანად. სწორედ ამ მიზნით, ინგლისის მთავრობის ინიციატივით, 1920 წლის 10 იანვარს მოწვეული იქნა პარიზის საზავო კონფერენციის უმაღლესი საბჭო, რომელსაც დაესწრნენ ინლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობათა მეთაურები და საგარეო საქმეთა მინისტრები, აშშ–ს და იაპონიის მხრიდან კი საზავო კონფერენციაზე წარგზავნილი დელეგატები და ამ ქვეყნების ელჩები საფრანგეთში.

10 იანვრის სხდომაზე ყურადღებას იმსახურებს ინგლისის პრემიერ–მინისტრის ლ.ჯორჯის გამოსელა, რომელმაც დეტალურად გაანალიზა კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და აღნიშნა: საბჭოთა არმია გამოდის შავ და კასპიის ზღვებთან, დენიკინის ჯარები გარბიან, მთელი ჩრდილო–კავკასია სამოქალაქო ომის ალშია გახვეული. თუ მოვლენები მომავალშიაც ასე განვითარდება, მაშინ მთელი კავკასია დაგვეკარგება. გამოენახოთ ამიერკავკასიის სახელმწიფოთა ცნობის საშუალება, დავეხმაროთ იქაურ ხელისუფალთ იარაღითა და აღჭურვილობით. საფრანგეთის პრემიერმა ჟ.კლემანსომ გაიზიარა ლ.ჯორჯის მოსაზრებანი და ინგლისის მთავრობას სთხოვა სათანადო მემორანდუმის შედგენა, რომელიც შემდეგ სამხედრო ექსპერტებს გადაეცემოდა დასკვნისათვის /134, 56/.

სხდომის დამთავრებისთანავე კერზონმა დეპეშა გააგზავნა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში. მინისტრი აცნობებდა კოლეგას, რომ კონფერენციის უმაღ-ლესმა საბჭომ გადაწყვიტა სცნოს საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობები დე–ფაქტოდ. სომხეთის მთავრობის ცნობა მოხდება გვიან, როცა მოკავშირეები

თურქეთთან ზავის პრობლემას განიხილავდნენ. კერზონი ავალებდა საკითხის შესწავლას აღმოსავლეთის კომიტეტს, რომელსაც ლოიდ ჰარდინგი ედგა სათავეში. კომიტეტის გაფართოებულ თათბირს უნდა განეხილა მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც იყო: ბათუმში ინგლისის ჯარების დატოვების, საქართველოს არმიისადმი დახმარების, კასპიის ზღვის თეთრგვარდიული ფლოტის ბაქოს დაცვაში გამოყენების, ყაზვინში ინგლისის სამხედრო შენაერთების გაძლიერებისა და სხვა. კერზონი ატყობინებდა ჰარდინგს, რომ კონფერენციის სამხედრო საბჭო პრობლემას სამხედრო თვალსაზრისითაც შეისწავლიდა /135, 9/.

10 იანვარს, შუადღისას, უკვე საზავო კონფერენციის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ იმსჯელა ამიერკავკასიის შესახებ. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა მოაგონა სხდომას იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ამიერკავკასიას ემუქრებოდა და მოითხოვა საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობათა დეფაქტოდ ცნობა. სხდომა არ გაჭიანურებულა. ყველას კარგად ესმოდა, რომ ა.დენიკინის მარცხის შემდეგ ამიერკავკასია ხდებოდა უკანასკნელ ზღუდედ, სადაც ანტანტის ქვეყნები ვარაუდობდნენ საბჭოთა რუსეთის შეჩერებას. საფრანგეთის წარმომადგენელმა მთლიანად დაუჭირა მხარი კერზონის წინადადებას და დაუმატა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის დეფაქტოდ ცნობა არაეითარ ზიანს არ მიაყენებდა სომხეთს, რადგან მისი ბედი თურქეთის პრობლემასთან ერთად გადაწყდებოდა. ამერიკისა და იაპონიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ვიდრე შეუერთდებოდნენ მოკავშირეთა გადაწყვეტილებას, ისინი საჭიროდ თვლიდნენ საკუთარ მთავრობებთან მოთათბირებას /134, 57/.

ამრიგად, საზავო კონფერენციაზე ყველანაირი პირობა იყო შექმნილი იმისათვის, რომ მოკავშირეებს ოფიციალურად ეცნოთ საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობები. ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ პატარა ბიძგი, რომელიც გააკეთა კიდეც ლორდმა კერზონმა. მისი

წინადადებით, 1920 წლის 11 იანვარს მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, სადაც აღნიშნული იყო: „მოკავშირეები და გაერთიანებული სახელმწიფოები ერთობლივად ცნობდნენ აზერბაიჯანის და საქართველოს მთავრობებს დე-ფაქტოდ“. /6, 222/.

1920 წლის 12 იავარს უორდროპმა გეგეჭკორს შეატყობინა: „მაქეს პატივი გაცნობოთ, რომ ლორდმა კერზონმა დამავალა გაცნობოთ, რომ მან გუშინ აიღო თავის თავზე ინიციატივა, რომ მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს და შესთავაზოს ცნონ დე ფაქტო საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მთავრობები.

ეს წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობების თანხმობით.

ზედმეტია ითქვას, თუ რა დიდი კმაყოფილებით ვუერთდები ამას, რომელიც უპირატესობას აძლევს საქართველოს მთავრობას.

რაც შეეხება ჩვენს მეგობრებს სომხებს, მათი ცნობის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული თურქეთთან მომავალ საზავო ხელშეკრულებასთან“ /საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, ტ. II,თბ., 1995 წ. გვ. 104/.

ასეთ პირობებში მოხდა საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობების დე-ფაქტოდ ცნობა. მომდევნო დღეებში იაპონია შეურთდა მოკავშირეთ გადაწყვეტილებას. 11 თებერვალს კი საქართველო და აზერბაიჯანი დეფაქტოდ იცნო ა.დენიკინმაც, რადგან ამ დროისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის ძლიერებას წყალი ჰქონდა შემდგარი /12, 460/. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 9 თებერვალს „ოფიციალურად უარი განაცხადა საქართველოსა და აზერბაიჯანის ცნობაზე.

ამერიკის მთავრობის ასეთი ნაბიჯი განპირობებული იყო იმით, რომ ის ჯერ კიდევ არ ღალატობდა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ იდეას და ამასთან ერთად კავკასიაში დიდი ბრიტანეთის გაძლიერების გავლენის ეშინოდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საზავო კონფერენციის

დასკვნით ეტაპზე შეერთებულ შტატებსა და მის ევროპელ მოკავშირეებს შორის სერიოზული უთანხმოებები წარმოიშვა, მაგრამ ამერიკისა და ინგლისის დაპირისპირების ძირითადი მიზეზი, ალბათ, მაინც ბაქოს ნავთობი იყო. ამერიკული და ბრიტანული ნავთობკომპანიები ამ დროისათვის გაცხარებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ ერთმანეთში ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდების მიზნით. ამერიკის მთავრობამ განაცხადა რა უარი საქართველოსა და აზერბაიჯანის ცნობაზე, ამით იგი იტოვებდა უფლებას კავკასიის ნავთობის განაწილების შემთხვევაში გამოეთქვა პროტესტი /136, 27/.

აზერბაიჯანისა და საქართველოს ეროვნული მთავრობები დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ მათ ცნობას აღფრთოვანებით შეხვდნენ. მთავრობის მესვეურებმა მისასალმებელი წერილებით მიმართეს ანტანტის სახელმწიფოთა მეთაურებს, სადაც ამ აქტს ამიერკავკასიისათვის ისტორიულ მოვლენად თვლიდნენ, ამავე დროს აღუთქვამდნენ ერთგულ სამსახურს მომავალში. საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა.ლომთათიძემ შემდეგი შინაარსის ტელეგრამა გაუგზავნა აზერბაიჯანის პარლამენტის თავმჯდომარეს: „საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი აზერბაიჯანის პარლამენტის პრეზიდიუმს უგზავნის მილოცვას და გამოხატავს სიხარულს აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობასთან დაკავშირებით". საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ საპასუხო ტელეგრამაში აზერბაიჯანის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ა.აგაევი გამოთქვამდა იმედს, რომ კავკასიის რესპუბლიკები ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობებით შეძლებდნენ პროგრესისა და კულტურის გზით სვლას და მიაღწევდნენ ბედნიერებასა და კეთილდღეობას /12, 429/.

მისალოც წერილებს ერთმანეთს უგზავნიდნენ არა მარტო მაღალი სახელისუფლებო სტრუქტურები, არამედ შედარებით უფრო დაბალი რგოლებიც. 1920 წლის 12

იანვარს ქ.ქუთაისის სათათბიროს თავმჯდომარის სერგო რობაქიძის მიერ ქ.ბაქოს სათათბიროს სახელზე გაგზავნილ ტელეგრამაში ნათქვამი იყო: „ქუთაისის საქალაქო საბჭო ულოცავს თავის თანამოძმეს, ბაქოს სათათბიროს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობას. ორი მეზობელი ხალხის მეგობრობა პოლიტიკური ძლევამოსილების საფუძველია“ /137/.

აზერბაიჯანის პარლამენტს მისალოცი წერილი გაუგზავნა აგრეთვე საქართველოს მუსულმანურმა საბჭომ, კერძოდ, საბჭოს თავმჯდომარე ნარიმანოვი აღნიშნავდა: „საქართველოს მუსულმანური საბჭო ულოცავს სისხლით და ეროვნოვნებით მოძმე აზერბაიჯანელ ხალხს დიდ ისტორიულ დღეს, ანტანტის მიერ ჩვენი ახალგაზრდა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ცნობას“ /12, 429–430/.

1920 წლის 13 იანვარს ლ.ჰარდინგმა წარუდგინა ლ.ჯორჯსა და კერზონს აღმოსავლეთის კომიტეტის სხდომის მოკლე ანგარიში, რომელიც ძირითადად ეყრდნობოდა ინგლისის გენერალური შტაბის დასკვნებს. საბჭოთა რუსეთის საფრთხისაგან აღმოსავლეთის ქვეყნების დაცვასთან დაკავშირებით გენერალური შტაბი კომიტეტს სთავაზობდა 3 სავარაუდო სანიტარული კორდონის შექმნას. პირველ ხაზს უნდა გაევლო კონსტანტინეპოლ–ბათუმ–ბაქო–კრასნოვოდსკ–მერეზე. ჯებირის შექმნას დაჭირდებოდა 2 დივიზია კავკასიაში,5 კრასნოვოდსკიდან მერვამდე. ინგლისს ამ ვარიანტის განხორციელებისას უნდა უზრუნველეყო თავისი ბატონობა შავ და კასპიის ზღვებზე. მეორე ხაზი გაიელიდა კონსტანტინოპოლ–ბათუმ–ბაქო–ენზელ–თეირან–მაშედზე. ამ შემთხვევაშიაც საჭირო იყო 7 დივიზია, ბატნობა შავ ზღვაზე და კასპიის ზღვის ნაწილზე. მესამე ხაზი შეიძლებოდა გაელებულიყო ჩრდილოეთ პალესტინასა და მოსულს შორის. აღმოსავლეთის კომიტეტმა მისაღებად სცნო მხოლოდ პირველი ორი ვარიანტი. სამხედრო სამინისტროს მოსაზრებით, კავკასიაში 2 დივიზია იმ შემთხვევაში იქნებოდა საკმარისი, თუ მოკავშირეები აამოქმედებდნენ ყველა ანტიბოლშევიკურ ძალებს,

განსაკუთრებით კი პოლონეთისა და დენიკინის ფრონტს /135, 12/.

ამიერკავკასიის საკითხებზე მუშაობის დღეებში კონფერენციის ხელმძღვანელებს რამდენჯერმე დასჭირდათ საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარგარეთული დელეგაციების სამსახური. პირველი შეხვედრა მათთან, მას შემდეგ, რაც ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები გაეცვნენ ინგლისის მთავრობის აღმოსავლეთის კომიტეტის სხდომის ანგარიშებს, მოეწყო 15 იანვარს. ამ დღეს დელეგატები, მათთვის მოულოდნელად და ისე, რომ არ იცოდნენ რისთვის, გამოიძახეს ფრანგმა ჟ.კამბონმა, ინგლისელმა ფ.კერმა და იტალიელმა დ.ტორეტიმ. ამ სამეულს კონფერენციის უმაღლესი საბჭოსაგან დავალებული ჰქონდა დეტალური ინფორმაციის მოპოვება ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამხედრო ძალებზე, მათ რესურსებზე. როგორც ირკვევა, საუბარს უფრო ფართო ხასიათი ჰქონდა. თავისი მოსაზრებანი პოლიტიკურ საკითხებზე გამოთქვეს ი.წერეთელმა, ზ.ავალიშვილმა და ა.თოფჩიბაშევმა /58, 189–190/.

მეორე დღეს, 16 იანვარს, საზავო კონფერენციაზე მთავარი სახელმწიფოების დელეგაციათა მეთაურების საბჭო კელავ დაუბრუნდა ამიერკავკასიის საკითხს. სხდომა სპეციალურად იქნა მოწვეული ფ.კერისა და მისი კოლეგების ინფორმაციის მოსასმენად საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციებთან შეხვედრის შედეგებზე. პოლიტიკურ სიტუაციაზე გავლენას ახდენდა აგრეთვე ის გარემოება, რომ სოციალ–დემოკრატიულმა და მუსავატურმა მთავრობებმა უარით უპასუხეს საბჭოთა რუსეთის 2 იანვრის წინადადებას დენიკინის ჯარების წინააღმდეგ ერთიანი სამხედრო ბლოკის შექმნის თაობაზე.

ჟ.კლემანსოს დავალებით, ფ.კერიმ და ჟ.კამბონმა დამსწრეთ მოახსენეს კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა. ფ.კერიმ ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და აზერბაიჯანის სამხედრო შესაძლებლობებზე. მან საბჭოს გადასცა ი.წერეთლის თხოვნა

საქართველოსათვის დაუყოვნებლივ მსხვილი ფინანსური, სამხედრო და სხვა დახმარების გაწევის აუცილებლობაზე. ლ.ჯორჯი განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა ი.წერეთლის განცხადებით, რომ კავკასიის პლაცდარმის შენარჩუნება შეიძლებოდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ იქ მოკავშირეთა სამხედრო ნაწილების გაგზავნა ვერ მოხერხდებოდა. უ.კლემანსო არ დააკმაყოფილა ფ.კერის სამხედრო ინფორმაციამ და გადაწყდა, რომ მეორე დღეს მოკავშირეთა ექსპერტები ხელმეორედ შეხვდებოდნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებს /6, 224/.

იმავე დღეს ლონდონიდან პარიზს გამოიძახეს სამხედრო ექსპერტთა მეტად ავტორიტეტული შემადგენლობა – ინგლისის გენერალური შტაბის უფროსი ჰენრი ვილსონი, ადმირალი ლორდი ბიტი, სამხედრო მინისტრი უ.ჩერჩილი, პირველი ლორდ–ადმირალი უ.ლანგი და სხვები. 17 იანვარს მათ გამართეს თათბირი საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციის წევრებთან სასტუმრო „კლარიცში“ /თავმჯდომარეობდა ჰ.ვილსონი/. თათბირზე განხილული იქნა პრობლემის ყველა მხარე – სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკურიც კი. ხანგრძლივი მსჯელობის საგანი გახდა იმის გამორკვევა, თუ რა მატერიალური დახმარება დასჭირდებოდათ საქართველოსა და აზერბაიჯანს საბჭოთა ჯარების თავდასხმის შემთხვევაში. ადმირალ ბიტის შეკითხვაზე, შეეძლო თუ არა აზერბაიჯანს სხვის დაუხმარებლად მოეწყო თავისი სამხედრო საზღვაოსნო თავდაცვა კასპიის ზღვის ნაპირებზე, დელეგაციის მეთაურმა ა.თოფჩიბაშევმა უპასუხა, რომ ვერ შეძლებდა /58, 192–193/.

1920 წლის 19 იანვარს გაიმართა პარიზის საზავო კონფერენციის უმაღლესი საბჭოს სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ლ.ჯორჯი, უ.კლემანსო, ფ.ნიტი, ჟ.კამბონი, უ.ჩერჩილი, კერზონი, ჰ.ვილსონი, ფ.ფოში, ბიტი და სხვები. საქართველოსა და აზერბაიჯანის სამშვიდობო დელეგაციები მიწვეული იყვნენ სრული შემადგენლობით. სხდომაზე მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობის წევრებმა

დეტალურად განიხილეს სამხრეთ კავკასიაში შექმნილი ვითარება. ინგლისის დელეგაციამ წარმოადგინა სპეციალური მემორანდუმი, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ახალ ვითარებაში დასავლეთის ქვეყნების დამოკიდებულება ამიერკავკასიისადმი. მემორანდუმი შეიცავდა შემდეგ მთავარ პუნქტებს: 1. მოკავშირეთა მიერ საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობების დამოუკიდებლობის დე–ფაქტოდ აღიარება /ეს პუნქტი ამ დროისათვის უკვე შესრულებული იყო/. 2. ყველა იმ მარაგის საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში გაგზავნა, რომელიც თავის დროზე ა.დენიკინისათვის იყო განკუთვნილი. 3. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის დამატებითი დახმარების აღმოჩენა ფინანსების, საბრძოლო საჭურველის, განსაკუთრებით ვაზნების, ფეხსაცმლის, სურსათისა და პურის მიწოდების საქმე'ში; სათანადო სამხედრო დახმარება ბათუმისა და ბაქოს დაცვის საქმეში /44, 208/.

სხდომის დასაწყისში გაიმართა სერიოზული კამათი ამიერკავკასიის რესპუბლიკებისადმი დახმარების ფორმის შესახებ. მარშალი ფერდინანდ ფოში, სამხედრო ექსპერტთა ხელმძღვანელი, იცავდა ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულ თვალსაზრისს ამიერკავკასიაში დივიზიების გაგზავნის თაობაზე. ფელდმარშალი ჰ.ვილსონი ძირითადად ეთანხმებოდა ფ.ფოშს, მაგრამ მიუთითებდა, რომ, თუ ბრიტანეთის ფლოტი არ უზრუნველყოფდა კასპიის ზღვაზე თავის ბატონობას, მაშინ ბათუმ–ბაქოს კომუნიკაციის შენარჩუნება შეუძლებელი გახდებოდა. ჰ.ვილსონს მხარს უჭერდა უ.ჩერჩილი. იგი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა კასპიის ზღვაზე მოკავშირეების ბატონობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აზრით, კავკასიაში გაგზავნილ მთელ იარაღს ბოლშევიკები ჩაიგდებდნენ ხელში.

სამხედრო ექსპერტებს არ ეფანხმებოდა ლ.ჯორჯი, რომელმაც აღნიშნა, რომ სამხედროებს პოლიტიკის არაფერი გაეგებოდათ. ინგლისის პრემიერის ამგვარი პოზიცია არ არის ძნელი ასახსნელი. მან კარგად იცოდა, რომ

მოკავშირეებს არ ჰქონდათ ამიერკავკასიაში სამხედრო შენაერთების გაგზავნის არავითარი საშუალება. სხდომაზე ეს პირდაპირ ითქვა. ამასთან, სამხედრო ექსპერტები გაგზავნილი საჭურელის საერთოდ დაკარგვის საშიშროებაზე მიუთითებდნენ. პოლიტიკოსებიდან ამიერკავკასიაში შეიარაღებული ძალების ნაწილების გაგზავნას მხარს უჭერდა ჟ.კლემანსო და უ.ჩერჩილი, ხოლო ლ.ჯორჯი და ფ.ნიტი მოითხოვდნენ სამხრეთ კავკასიის მთავრობებისადმი მხოლოდ იარაღით, ფულითა და სურსათით დახმარებას /6, 225–226/.

კამათის დროს ლორდმა კერზონმა საბჭოს წევრებს შესთავაზა მისაღებში მყოფი ქართველი და აზერბაიჯანელი დელეგატების სხდომაზე მოწვევა. – კონფერენცია განიხილავს თქვენი მთავრობებისადმი დახმარების საკითხს – მიმართა ჟ.კლემანსომ ნ.ჩხეიძეს, ი.წერეთელს, ზ.ავალიშვილს, ა.თოფჩიბაშევსა და მ.მაგერამოვს, – ჩვენ გვსურს მივიღოთ თქვენგან ინფორმაცია თქვენს ქვეყნებზე წითელი არმიის მოსალოდნელი თავდასხმის თაობაზე, იმაზე, თუ რა გჭირდებათ თავდაცვისათვის, მაგრამ ვიდრე მოგვცემათ ჩვენი შესაძლებლობების გამოყენების საშუალება, მოკავშირეებს სურთ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ წარმატებით გამოიყენებთ დახმარებას და არ დაჰკარგავთ დოვლათს, როგორც ეს მოუვიდა დენიკინს. ჟ.კლემანსომ თავისი გამოსლვის ბოლოს კვლავ გაუსვა ხაზი, რომ დახმარების გაწევა განზრახულია წითელი არმიის მოსალოდნელი შემოტევისაგან თავის დასაცავად /135, 16/.

ქართველი და აზერბაიჯანელი დელეგატები ერთმანეთში შეთანხმდნენ და საბჭოს სხდომაზე ირაკლი წერეთლი ორივე დელეგაციის სახელით გამოვიდა. ქართველმა დელეგატმა თავისი სიტყვის დასაწყისშიც განაცხადა, რომ, მართლაც, მოსალოდნელია წითელი ჯარების შეტევა ამიერკავკასიაზე, თუმცა თარიღის თქმა, როდის მოხდებოდა ეს შეტევა, ძნელი სათქმელი იყო, ამიტომ მან მოკავშირეთაგან მოითხოვა დახმარება. ყველაზე

უკეთესი გამოსავალი, რაღა თქმა უნდა, იქნებოდა ამიერკავკასიაში საექსპედიციო კორპუსის გაგზავნა, თუმცა სამხედრო აღჭურვილობის სასწრაფოდ მიწოდებაც, მისი აზრით, დიდი დახმარება იქნებოდა. ი.წერეთელი აგრძნობინებდა მოკავშირეებს, რომ საქართველოს მთავრობა, ბოლოს და ბოლოს, მათ საქმეს აკეთებდა /134, 62/.

სხდომის დროს საქართველოს და აზერბაიჯანის დელეგატებს ბევრი შეკითხვა მისცეს, რომელთა უმეტესობა შეიარაღებულ ძალებს ეხებოდა. საქართველოს მხრიდან კითხვებს პასუხს სცემდა ი.წერეთელი, აზერბაიჯანის დელეგაციიდან კი –მ.მაგერამოვი /138/. აქვე ბევინდა შევნიშნოთ, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს არ სურდათ სომხეთის რესპუბლიკის მოწყვეტა ერთიანი კავკასიური რგოლიდან. ამის გამო მათ რამდენჯერმე დასვეს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე, სომხეთის მთავრობის დეფაქტოდ ცნობის შესახებ /139/. ქართველი და აზერბაიჯანელი დელეგატების ძალისხმევამ გამოიღო სასურველი შედეგი, რაც თვალნათლივ ჩანს კიდეც უმაღლესი საბჭოს მიერ 19 იანვარს მიღებულ დადგენილებაში.

19 იანვარს კონფერენციის უმაღლესმა საბჭომ ცხარე დებატების შემდეგ მიიღო დადგენილება, რომელიც შედგებოდა 4 პუნქტისაგან: 1. უნდა ვცნოთ სომხეთისა და დაღესტნის მთავრობები დეფაქტოდ. ეს არ შეეხება სომხეთის საზღვრებს. სომხეთის საზღვრების საკითხი თურქეთის პრობლემის განხილვისას გადაიჭრება. 2. მოკავშირეებს არ აქვთ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ჯარების გაგზავნის შესაძლებლობა. 3. მოკავშირეები დაეხმარებიან ამიერკავკასიის რესპუბლიკებს იარაღის, აღჭურვილობისა და პროდუქტების გაგზავნით. 4. ეთხოვოს მარშალ ფ.ფოშსა და ფელდმარშალ ჰ.ვილსონს გამოიკვლიონ კონკრეტულად, თუ რა სამხედრო საჭურველი უნდა გაიგზავნოს ამიერკავკასიაში და რით უნდა მოხდეს ტვირთის გადაზიდვა /135, 18/.

როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, უმაღლეს საბჭოში გაიმარჯვა იმ თვალსაზრისმა, რომელიც ამიერკავკასიაში ჯარების გაგზავნას ეწინააღმდეგებოდა, ჩანს, რომ ომებიდან დაღლილ დასავლეთს აღარ სურდა ამიერკავკასიის გამო საბჭოთა რუსეთთან კონფრონტაცია. საინტერესოა ამ მხრივ აზიის რეგიონის ცნობილი ინგლისელი სპეციალისტის არტურ მურის მიერ გამოთქმული აზრი, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ტაიმსის“ 1922 წლის 10 ივლისის ნომერში. ინგლისელი სპეციალისტი წერს: „ზავის შემდეგ, ჩვენ უამრავი ჯარი გაეგზავნეთ კავკასიაში, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მუსულმანია. კასპიის ზღვის იქითა მხარეს ჩვენი რაზმები ცნობილ მერვ'ზიც კი იდგნენ. დასაწყისში მათ კარგი გავლენა მოახდინეს და ჩვენ განვაცხადეთ, რომ არ დაეუშვებდით ბოლშევიკების შემოსვლას. მაგრამ, როდესაც ბოლშევიკური საფრთხე რეალური გახდა, ჩვენ გავიპარეთ. ამ შემთხვევაში ისმის შეკითხვა – მაშ რატომ წავედით ჩვენ კავკასია'ში? ჩვენ წავედით იმის გამო, რომ დაეუფლებოდით ბაქოს ნავთობის სარეწებს, მაგრამ ვერ გადავწყიეტეთ გვეომა მათი გულისათვის“ /136, 25/.

როგორც ვხედავთ, 1920 წლის იანვარში მოკავშირეებმა, შეიძლება ითქვას, ბედის ანაბარად დატოვეს ამიერკავკასიის რესპუბლიკები. ცხადია, რომ აღნიშნული სამხედრო ტექნიკური დახმარება და პოლიტიკური მხარდაჭერა ვერ გადაარჩენდა ამიერკავკასიას საბჭოთა რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიისაგან. ყოველივე ამის შემდეგ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქართველოს და აზერბაიჯანის ოკუპაცია მხოლოდ დროის საკითხი იყო.

ქართველი და აზერბაიჯანელი დელეგაციების ყველა მცდელობა, მათ ქვეყნებში განთავსებულიყო მოკავშირეთა ჯარის ნაწილები, უშედეგოდ დამთავრდა. მიუხედავად ამისა, ქართველი და აზერბაიჯანელი დიპლომატების საქმიანობას უკვალოდ არ ჩაუვლია. სწორედ მათი დიდი ძალისხმევის შედეგი იყო 1920 წლის იანვარში

საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ცნობა, რაც უდავოდ ორი რესპუბლიკის დიპლომატიის დიდი გამარჯვება გახლდათ საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე.

საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციები შემდგომშიაც აწარმოებდნენ კოორდინირებულ მუშაობას, კერძოდ, ეს ნათლად ჩანს 1920 წლის თებერვალ–მარტში ლონდონში გამართულ უმაღლესი საბჭოს მორიგ სხდომებზე. აზერბაიჯანის დელეგაციამ ლონდონში ცალმხრივად დაუჭირა მხარი ქ.ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოსათვის გადაცემის საკითხს. უფრო მეტიც, ზ.აბალიშვილის ცნობით, აზერბაიჯანელები დაჟინებით მოითხოვდნენ ქართველი დელეგატებისაგან, კონფერენციაზე დაესვათ საკითხი, რომ მთელი ყარსის ოლქი საქართველოს შემადგენლობაში მოქცეულიყო /58, 206/.

ამრიგად, 1920 წლის დასაწყისში საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების პოლიტიკური იზოლაცია ერთობლივი ძალისხმევით იქნა აღმოფხვრილი. ამ ქვეყნების მთავრობებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და იქ გაწევრიანების ფართო ასპარეზი მიეცათ.

თავი მეექვსე
წითელი არმიის ინტერვენცია აზერბაიჯანში და საქართველო

1920 წლის გაზაფხულიდან ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ჩრდილოეთიდან საბჭოთა რუსეთი დაუმეზობლდა. საქართველოსა და აზერბაიჯანს ა.დენიკინზე უფრო ძლიერი და საშიში მტერი დაემუქრათ. ე.ლენინის მთავრობა მარტიდანვე შეუდგა სამხრეთ კავკასიის დამორჩილებას. მისი უპირველესი მიზანი ბაქოს საეთოობის ხელში ჩაგდება იყო. აქედან გამომდინარე დღის წესრიგში იდგა აზერბაიჯანის ოკუპაციის საკითხი.

ჯერ კიდევ 1920 წლის 2 იანვარს საბჭოთა მთავრობამ მიმართა საქართველოსა და აზერბაიჯანს, შეეკრათ მასთან სამხედრო კავშირი და ერთიანი ძალით გამოსულიყვნენ ა.დენიკინის წინააღმდეგ.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გიორგი ჩიჩერინის მიერ საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობების სახელზე გაგზავნილ ნოტაში ხაზგასმული იყო: „საბჭოთა მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია მიუთითოს, რომ სამხრეთის კონრტრევოლუცია წარმოადგენდა და წარმოადგენს დაუძინებელ მტერს არა მარტო რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისა, არამედ ყველა მცირე ხალხებისა, რომლებიც ყოფილ რუსეთის იმპერიაში შედიოდნენ. დენიკინი მტერია არა მარტო რუსი, არამედ ქართველი და აზერბაიჯანელი მუშებისა და გლეხების, – ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს და აზერბაიჯანის მუშები და გლეხები მასში მტერს ხედავენ. ჩვენ ისიც გვჯერა, რომ ისინი მოუთმენლად ელიან იმ დღეს, როცა თეთრგვარდიული მიჯნა საბჭოთა რუსეთსა და კავკასიას შორის დამსხვრეული იქნება და აღსდგება ურთიერთობა იმ ხალხებისა, რომლებიც წინათ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ცხოვრობდნენ. საჭიროა, დავაჩქაროთ ეს მომენტი. საჭიროა, დარტყმას, რომელსაც დენიკინს აყენებს ჩრდილოეთიდან რუსეთის მუშები და

გლეხები, შეეუერთოთ საქართველოს და აზერბაიჯანის მუშებისა და გლეხების შეიარაღებული დარტყმა“ /14, 527; 12, 420–421/.

აღნიშნული მიმართვის უკან საბჭოთა მთავრობის მზაკვრული გეგმა იმალებოდა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოსა და აზერბაიჯანის რუსეთის სამოქალაქო ომში ჩათრევას. ყოველივე ამის შემდეგ ვ.ლენინის მთავრობის წინაშე იშლებოდა საკმაოდ კარგი პერსპექტივა საქართველოსა და აზერბაიჯანის ოკუპაციისათვის. მოკავშირეებს ასეთი შეთანხმება, რასაკვირველია, არ აწყობდათ. საბჭოთა რუსეთთან სამხედრო კავშირი ამავე დროს მათ დაუკარგავდა დასავლეთის სახელმწიფოთა მფარველობას.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა, საქართველოს მთავრობასთან კოორდინირებული მოქმედების მიზნით, 7 იანვარს სპეციალური დეპეშა მისცა თავის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოში: „გთხოვთ დაუყოვნებლივ მოინახულოთ გეგეჭკორი და ზუსტად გამოარკვიოთ საქართველოს მთავრობის აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით და ის ღონისძიებები, რომელთა გატარებასაც ის ფიქრობს, ჩვენ მთავრობას მიაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობების ერთობლივი მოქმედებები“ /12,423/.

სოციალ–დემოკრატიული და მუსავატური მთავრობების წარმომადგენლებმა ეს საკითხი სპეციალურ თათბირზე განიხილეს. განხილვაში მონაწილეობდა ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი ამიერკავკასიაში ო.უორდროპი. მოკავშირეებმა ამოიცნეს მოსკოვის ფარული გეგმა და საკუთარი სწორი პოზიცია დაიკავეს. 2 იანვრის მიმართვას მათ უარით უპასუხეს იმ მიზეზით, რომ იცავდნენ ნეიტრალიტეტს და არ სურდათ რომელიმე მხარესთან სამხედრო კავშირის შეკვრა. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ფ.ხან ხოელის 14 იანვრის საპასუხო ნოტაში ხაზგასმული იყო: „აზერბაიჯანის რესპუბლიკა

მტკიცედ დგას იმ აზრზე, რომ ყველა ხალხს აქვს ხელშეუვალი უფლება მოაწყოს თავისი ცხოვრება, თავისივე შეხედულებისამებრ, ამიტომ აზერბაიჯანის მთავრობა, არასოდეს არ დაუშვებს სხვათა ჩარევას თავისი ხალხის საშინაო საქმეებში და თავის მხრივაც მუდამ მხარს დაუჭერს სხვა ხალხის შინაურ საქმეებში ჩაურეველობის პრინციპს“ /12, 421/.

საბჭოთა მთავრობამ ამის შემდეგ კიდევ სცადა დაეყოლიებინა აზერბაიჯანის ხელისუფლება, შეეკრა მასთან სამხედრო კავშირი, მაგრამ ყველა მისი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

1920 წლის 14 იანვარს ნ.ჟორდანიამ დამფუძნებელი კრების სხდომაზე საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა: „თქვენ იცით, რომ საბჭოთა რუსეთმა ჩვენ სამხედრო კავშირი შემოგვთავაზა. ჩვენ მას გადაჭრილი უარით ვუპასუხეთ. რას ნიშნავს ეს კავშირი? იგი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა მოვწყვეტოდით ევროპას, როგორც მათ მოიმოქმედეს, და ჩვენი მზერა აღმოსავლეთისაკენ მიგვეპყრო... ჩვენი გზა ევროპისაკენ მიემართება, რუსეთისა – აზიისაკენ. ვიცი, მტრები იტყვიან, რომ ჩვენ იმპერიალისტების მხარეზე ვართ. ამიტომ მე აქ უნდა განვაცხადო: დასავლეთელ იმპერიალისტებს ვამჯობინებ აღმოსავლეთელ ფანატიკოსებს“ /135, 11–12/.

მოკავშირეთა ამგვარ პოზიციას მხარს უჭერდა ო.უორდროპი. მან ინგლისის მთავრობას დაუყოვნებლივ აცნობა კავკასიაში ვითარების გართულება. ყოველივე ამან აამოქმედა ანტანტის ქვეყნები და დააჩქარა დამოუკიდებელი საქართველოსა და აზერბაიჯანის ცნობა /44, 152/.

საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს, როგორც ჩანს, სურდათ გამოეყენებიათ ჩრდილო კავკასიაში თეთრგვარდიელების დასუსტება. სწორედ ამ დროისათვის ინგლისის დაზვერვისათვის ცნობილი გახდა ამ ორი მთავრობის შეთანხმება იმის შესახებ, რომ თუ ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა, პირველს დაეკავებინა ვლადიკავკაკი, ხოლო მეორეს – დაღესტანი /135, 13/.

ორი რესპუბლიკის პოლიტიკურმა დაახლოებამ ეკონომიკურ და საევაჭრო კავშირების გაღრმავებასაც შეუწყო ხელი. ამის თვალსაჩინო მაგალითია აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობების 1920 წლის 5 თებერვლის შეთანხმება საქონელგაცვლის შესახებ /12, 455/. აზერბაიჯანის მხრიდან შეთანხმებას ხელი მოაწერა ვაჭრობის, მრეწველობისა და სურსათის მინისტრმა მამედ გაჯინსკიმ და გზათა მიმოსვლების მინისტრმა ხ.შელიქ ასლანოვმა, საქართველოს მხრიდან დიპლომატიურმა წარმომადგენელმა აზერბაიჯანში – გ.ალშიბაიამ. შეთანხმების თანახმად ორ რესპუბლიკას შორის სარკინიგზო გზებზე ტვირთების მოძრაობაზე დაწესდა შეღავათიანი პირობები. კერძოდ, გაუქმებული იქნა საბაჟო გადასახადი და აიკრძალა ტვირთების დაკავება. გაუქმებული იქნა აგრეთვე ტვირთების გადაზიდვებზე სათანადო ორგანოებში შუამდგომლობის წარდგენა და ნებართვის მიღება. საევალდებულო დარჩა მხოლოდ საბაჟო ფორმალობის შესრულება.

აზერბაიჯანში 1919 წლის ბოლოდან მოყოლებული მეტად გართულდა სოციალ–პოლიტიკური მდგომარეობა. ბაქოში ნავთობის მოპოვება საგრძნობლად დაეცა. ნავთობის ექსპორტი, 1918 წელთან შედარებით, სამჯერ შემცირდა. იმის გამო, რომ არ იყო მონახული გასაღების ბაზარი, ბაქოს ნავთობსაცავებში 300 მილიონ ფუთზე მეტი ნავთობი დაგროვდა /48,207/. სამთავრობო კრიზისის ლიკვიდირება მხოლოდ სოციალისტების დახმარებით მოხერხდა, რის გამოც მმართველმა პარტიამ ისინი ახალ კოალიციურ მთავრობაში შეიყვანა. 1919 წლის 24 დეკემბერს პარლამენტმა დაამტკიცა აზერბაიჯანის პირველი რესპუბლიკის მეხუთე და უკანასკნელი მინისტრთა კაბინეტი შემდეგი შემადგენლობით: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე – ნ.უსუბეკოვი /მესაეატი/, შინაგან საქმეთა მინისტრი – მ.გაჯინსკი /მუსავატი/, საგარეო საქმეთა მინისტრი – ფ.ხან ხოელი /უპარტიო/, იუსტიციის მინისტრი – ხალილ ბეგ ხასმამედოვი /მუსავატი/, სამხედრო მინისტრი – ს.მეხმანდაროვი /უპარტიო/, სახალხო განათლების

მინისტრი – ჰამიდ შახტახტინსკი /„იტტიხადი“/, ვაჭრობის, მრეწველობისა და მიწათმოქმედების მინისტრი – რაშიდ კაპლანოვი /„ეხრარი“/, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი – ჯამო გაჯინსკი /სოციალისტი/, სახელმწიფო კონტროლის მინისტრი – ეიბატ ყული მამედბეკოვი /„იტტიხადი“/, გზათა მიმოსვლების მინისტრი ხ.მელიქ ასლანოვი /უპარტიო/. /12, 556/.

ახალი მთავრობა მუშაობის დაწყებისთანავე იძულებული გახდა შეგუებოდა ისეთ პოლიტიკურ ფაქტორს, როგორიც იყო ბოლშევიკური მოძრაობის გააქტიურება. ბოლშევიკთა გავლენა მოსახლეობაზე 1918 წლის ზაფხულისაგან შედარებით 1919 წლის მიწურულს რამდენჯერმე გაიზარდა. 1919 წლის მარტიდან ბაქოელი ბოლშევიკების იდეურ სულისჩამდგმელად ანასტას მიკოიანი გვეველინება.

როგორც უკვე ეთქვით, ამ პერიოდში დაემთხვა თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ინტერესები. მათ აერთიანებდათ ერთი მიზანი: ბრძოლა ანტანტის სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ბრძოლისათვის საჭირო შეიქმნა ძალთა გაერთიანება, კერძოდ, რუსეთის მიერ ოსმალეთისათვის დახმარების გაწევა იარაღით, ფულით და ტექნიკოსებით. ამისათვის აუცილებელი იყო, რომ ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს დამეზობლებოდნენ. თურქეთისათვის რუსეთთან დაახლოების ყველაზე იოლი გზა აზერბაიჯანზე გადიოდა. ამიტომ ოსმალეთმა განსაკუთრებული ყურადღება აზერბაიჯანს მიაქცია და, ვინაიდან იქ მას დიდი გავლენა ჰქონდა, აამოქმედა ამ გავლენის მანქანა. აზერბაიჯანის სახელისუფლებო სტრუქტურებში ბევრი თურქი მოხელე მუშაობდა. ოსმალეთის აგენტურამ აამოქმედა ფარული ძალები და პრესის მეშვეობით დაიწყო გაცხარებული პროპაგანდა იმისა, რომ რუსეთი დახმარების ხელს უწვდიდა ოსმალეთს.

1920 წლის 26 აპრილს თურქეთის ხელისუფლებამ რუსეთს დახმარების თხოვნით მიმართა. პარლამენტისა და მთავრობის თავმჯდომარემ მუსტაფა ქემალ ათათურქმა შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა საბჭოთა რუსეთის

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვ.ლენინს: „თუ საბჭოთა ძალებს განზრახული აქვთ დაიწყონ სამხედრო ოპერაციები საქართველოს წინააღმდეგ ან დიპლომატიური გზით, თავისი გავლენის მეშვეობით, აიძულოს საქართველო შეეიდეს კავშირში, ამასთან დაიწყებს ინგლისელების განდევნას კავკასიის ტერიტორიიდან, თურქეთი თავის თავზე აიღებს სამხედრო ოპერაციებს იმპერიალისტური სომხეთის წინააღმდეგ და ვალდებულებას იღებს, რომ იაძულებს აზერბაიჯანის რესპუბლიკას შეეიდეს საბჭოთა სახელმწიფოების წრეში“. ამის საფასურად თურქეთი თხოვდა საბჭოთა რუსეთს პირველადი დახმარების სახით 5 მილიონ თურქულ ლირას ოქროთი, იარაღს, საბრძოლო მასალებს, რომლის რაოდენობა უნდა დადგენილიყო მოლაპარაკებებზე. თურქეთი ითხოვდა აგრეთვე რიგ სამხედრო–ტექნიკურ საშუალებებს, სანიტარულ მასალებსა და სურსათს /70, 107/. გათვალისწინებული იყო, რომ მე–11 წითელი არმია, სადაც ფორმირებული იყო თურქი სამხედრო ტეეებისაგან დაკომპლექტებული ნაწილები, ბაქოს დაკავების შემდეგ, ყარაბაღისა და სომხეთის გავლით დაიძვრებოდა ანატოლიაში და ჩაერთვებოდა ანტანტის სახელმწიფოთა წინააღმდეგ ომში.

საქართველოს გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე ამ ფაქტთან დაკავშირებით, თავის მოგონებებში წერდა: „იმის და მიხედვით, თუ რამდენად უარესდებოდა ანკარის მთავრობის მდგომარეობა საბერძნეთთან ომის გამო, ქემალ ფაშა ყველანაირ ზომას ღებულობდა, რომ რუსეთს დაახლოებოდა და მისგან დახმარება მიეღო. რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა მზად იყო დიდ დათმობებზე წასულიყო, ოღონდ ოსმალეთში ჩავდგა ფეხი და ინგლისელებისათვის რაიმე ზიანი მიეყენებინა. შეთანხმება მოხდა, მაგრამ შუაში იდგნენ ამერკავკასიის რესპუბლიკები. იქვე გადაწყდა ამ რესპუბლიკების მოსპობა, რომ რუსეთსა და ოსმალეთს ჰქონოდათ საერთო საზღვარი და უშუალო კავშირი. ამით აიხსნება, რომ აზერბაიჯანში გაძლიერდა შეთანხმებული

მუშაობა ქემალისტების და ბოლშევიკების აგენტებისა“ /140, 49/.

ამიტომ იყო, რომ ბაქოში შესულ წითელარმიელებს მკლავებზე ეკეთათ წითელი სამკლაური ე.წ. „პოვიაზკა“, რომელზედაც გამოსახული იყო თეთრი ნახევარ მთვარე /141, 81/. აზერბაიჯანის გასაბჭოების ცნობას კი ანკარაში დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ /6, 262/.

1920 წლის თებერვალში პოლიტიკური პარტიების დაპირისპირება აზერბაიჯანში ახალ ფაზაში შევიდა. 1 თებერვალს პარლამენტის სოციალისტურმა ფრაქციამ გამოიწვია თავისი წარმომადგენლები მინისტრთა კაბინეტიდან, რამაც ხელახლა შემნა სამთავრობო კრიზისი. ეს კრიზისი პირველი რესპუბლიკის ბოლო დღემდე გრძელდებოდა. პარლამენტში განსაკუთრებით მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს მუსავატი და სიდიდით მეორე პარტია „იტტიხადი“, რომელსაც პროროუსული პოზიციები ეკავა. ამ პარტიის ლიდერებს სჯეროდათ, რომ ბოლშევიკები მხარს დაუჭერდნენ მუსულმანურ სამყაროს დასავლეთის „იმპერიალისტებთან“ ბრძოლაში. უფრო მეტიც. ისინი მოითხოვდნენ წითელი არმიის გატარებას აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით თურქეთში, რათა მას დახმარება გაეწია ამ უკანასკნელისათვის /6, 249/. განხეთქილება მოხდა აგრეთვე თვით მმართველ პარტიაშიც. ჩამოყალიბდა მემარცხენეთა ფრთა, რომელიც აკრიტიკებდა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკას.

15 აპრილისათვის მინისტრთა კაბინეტი ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა დატოვა. ამრიგად, კოალიციური მთავრობა არ შედგა. მუსავატი დღითი დღე კარგავდა გავლენას. მთავრობის თავმჯდომარე ნ.უსუბეკოვი იძულებული გახდა თავის კაბინეტთან ერთად გადამდგარიყო. ახალი მთავრობის ფორმირება დაევალა მუსავატელ მ.გაჯინსკის, მაგრამ მან მთავრობის შედგენა ვერ მოახერხა, რადგან უძლურ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოხვედრა სხვა პოლიტიკურ ძალებს აღარ სურდათ.

სახელისუფლებო კრიზისი და პოლიტიკურ–ეკონომიკური არასტაბილურობა ნეგატიურ გავლენას ახდენდა ყველა სტრუქტურის საქმიანობაზე. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი არმიაში. ჯარისკაცები უკმაყოფილო იყვნენ თავიანთი მდგომარეობით. დეზერტირობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. მაგალითად, 1920 წლის აპრილის შუა რიცხვებში ბაქოს მე–5 პოლკში 1000 ასკერიდან 300 იყო დარჩენილი, ყუბის მე–4 პოლკში – 400, პირველ ცხენოსან პოლკში – 380, ალდაშის მე–8 პოლკში – 400, ყარაბაღის მე–2 ცხენოსან პოლკში – 250, შექის მე–3 ცხენოსან პოლკში – 200, განჯის მე–3 ქვეითთა პოლკში – დაახლოებით 400 კაცი /48, 210/. საგრძნობლად დაეცა ბრძოლისუნარიანობა. ამასთან დაკავშირებით ერთ–ერთ დოკუმენტში სამხედრო მინისტრი მოითხოვდა: „ამ დროისათვის, როცა დეზერტირობამ და სამხედრო ბეგარის მოხდისაგან თავის არიდებამ დიდი მასშტაბი მიიღო, აუცილებელია გამკაცრდეს სასჯელი. მხილებულ პიროვნებას დაედოს არა ერთი სასჯელი, როგორიც არის ფულადი ჯარიმა, ან პატიმრობა, არამედ შეიძლება ერთიც და მეორეც ერთად. ... სოფლის ხელისუფლებას, რომლის თვალწინ ცხოვრობენ დეზერტირები და სამსახურში გაწვევისაგან თავის ამრიდებლები, დაედოთ ისეთივე სასჯელი, რაც გათვალისწინებულია შემფარებლებზე, დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლებასთან ერთად. იმ შემთხვევაში, თუ დეზერტირმა თან წაიღო სახაზინო ქონება და მის ნათესაობას, ან შემფარებლებს არ აქვთ საშუალება გადაიხადონ გაფლანგული ქონების ფასი, მაშინ სასჯელი უნდა დაეკისროს იმ საზოგადოებას, რომლის თვალწინ ცხოვრობენ დეზერტირები და სამსახურში გაწვევისაგან თავის ამრიდებლები“ /142, 46–47/.

ქვეყნის მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა სომხეთთან ომი. 1920 წლის 22 მარტს სომხეთის არმიამ გენერალ დროს მეთაურობით განაახლა ბრძოლები ყარაბაღის, ზანგებურის, განჯისა და ყაზახის მაზრებში. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლები წარმოებდა ყარაბაღისა

და შუშის რაიონებში, ამ მიმართულებით გადასროლილი იქნა აზერბაიჯანის არმიის მთავარი ძალები გენერალ-მაიორ გაბიბ სალიმოეის მეთაურობით. 1920 წლის აპრილის ბოლოსათვის აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა ღირსეულად შეასრულეს მათზე დაკისრებული ამოცანა და ქვეყნის ტერიტორიიდან განდევნეს სომხეთის ჯარები /6, 246/, მაგრამ ამ ომმა დაასუსტა აზერბაიჯანის ჩრდილოეთის საზღვრების დაცვა. მთავრობა იძულებული გახდა ძირითადი ძალების კონცენტრირება მოეხდინა დასავლეთის საზღვარზე, დანარჩენი სამხედრო ნაწილები კი რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე იყო დაქსაქსული და მათი თავმოყრა სარდლობას აღარ შეეძლო.

ბოლო დროს აზერბაიჯანში გამოცემული ისტორიული ნაშრომების ცნობით, ყარაბაღში მომხდარი ბრძოლები პროვოცირებული იყო სომხეთის ხელისუფლების მიერ და წარმოადგენდა ერევნისა და საბჭოთა სარდლობის წინასწარ მომზადებული კოორდინირებული მოქმედების გეგმას. ბოლშევიკებისა და დაშნაკების მთავარი მიზანი იყო გაავადვილებინათ მე-11 წითელი არმიის წინსვლა აზერბაიჯანში /6, 247/.

აზერბაიჯანის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეზღვაურების დიდი ნაწილი გაბოლშევიკებული იყო და მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებდა. მათ სათავეში ედგნენ ბაქოს სამხედრო-საზღვაო პორტის უფროსის მოადგილე ჩინგიზ ილდირიმი და ცნობილი ბოლშევიკი ა.ლუკიანენკო /143, 98/.

1920 წლის მარტიდან ბაქოელმა ბოლშევიკებმა დაიწყეს შეიარაღებული აჯანყების მზადება, შეიქმნა ცენტრალური საჯანყებო შტაბი, რომელმაც კონტაქტი დაამყარა მე-11 წითელი არმიის შტაბთან. აპრილის შუა რიცხვებში ამ არმიამ დერბენდი დაიკავა და მიადგა აზერბაიჯანის საზღვარს. ამავე დროს შემუშავებული იქნა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა აჯანყებულებისა და წითელი არმიის ნაწილების ერთობლივ მოქმედებას.

წითელი არმიის სარდლობასა და ბაქოელ

კომუნისტებს შორის რეგულარული კავშირის დამყარების მიზნით, ბაქოელმა კომუნისტებმა პეტროვსკში, მე-11 არმიის შტაბში, მიავლინეს ცნობილი ბოლშევიკი ეპიფანე კვანტალიანი /144, 224/.

1920 წლის 17 მარტს ვ.ლენინი ს.ორჯონიკიძეს წერდა: „ბაქოს აღება ჩვენთვის უკიდურეს, უკიდურეს აუცილებლობას წარმოადგენს. მთელი ძალ-ღონე მიმართეთ აქეთკენ“ /145, 229/. საბჭოთა სარდლობა მარტის შუა რიცხვებში არ იყო დარწმუნებული, რომ კავკასიის ფრონტის ჯარები შეასრულებდნენ ვ.ლენინის მითითებებს. ფრონტის ჯარები ლაშქრობისათვის მოუმზადებლები იყვნენ, ამასთან ერთად წითელ მეთაურებს ეშინოდათ, რომ აზერბაიჯანში ლაშქრობის დროს საქართველო მხარს დაუჭერდა მოკავშირეს და ჩაებმებოდა მათ წინააღმდეგ ომში. 20 მარტს ვ.ლენინისაღმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობა აღნიშნავდა: „იმ შემთხვევაში, თუ საქართველო და აზერბაიჯანი მოემზადნენ შეუპოვარი თავდაცვისათვის, მაშინ პირველ პერიოდში შესაძლოა მარცხი განეიცადოთ“, მაგრამ მთავარსარდლობას მიზანშეწონილად მიაჩნდა ოპერაციის დაწყება იმ შემთხვევაში, თუ ორივე, ან ერთ-ერთ რესპუბლიკაში მომწიფებული იქნებოდა რევოლუციური სიტუაცია /146, 734-735/.

ვინაიდან ქვეყანაში წითელი არმიის შემოჭრის საფრთხე აშკარა გახდა, მუსავატელებმა მიიღეს გარკვეული ზომები. ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა. ეს უწყება ერთრადერთი იყო მთავრობის სტრქტურაში, რომლის კოლექტივი ჯერ კიდევ არ იყო გახრწნილი ბოლშევიკური პროპაგანდით. მმართველი პარტიის ინიციატივით თებერვლის ბოლოს შეიცვალა სამინისტროს ხელმძღვანელობა. შინაგან საქმეთა ორგანოებს სათავეში ჩაუდგა ყველაზე ახალგაზრდა მინისტრი მუსტაფა ბეგ ვექილოვი. მის მოადგილედ დაინიშნა მუსავატური პარტიის რადიკალური ფრთის ლიდერი შაფი

ბეგ რუსტამბეკოვი. მათი ხელმძღვანელობით უშიშროების ორგანოებმა გააძლიერეს ბრძოლა ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფების წინააღმდეგ: დაკეტეს რკინიგზის მუშათა კლუბი, დახურეს ყველაზე რეაქციული ბოლშევიკური გაზეთების „ნოეი მირის“ და „ედინაია როსიას“ გამოცემა. 15 მარტს პოლიცია თავს დაესხა ბოლშევიკების მიტინგს და დააპატიმრა 24 კაცი. 18 მარტს პოლიციამ დააპატიმრა ბოლშევიკთა ერთ–ერთი ლიდერი ალი ბაირამოეი და ღამით ფარულად მისი ლიკვიდაცია მოახდინა.

ა.ბაირამოვის და სხვა კომუნისტების მკვლელობის ორგანიზებას ბოლშევიკები მათ დაუძინებელ მტერს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს შ.რუსტამბეკოვს მიაწერდნენ /67, 435–436/.

ჩრდილოეთიდან მომდგარმა საფრთხემ ერთგვაარად გამოაცოცხლა აზერბაიჯანის და საქართველოს სამხედრო უწყებების საქმიანობაც. გაზაფხულზე საქართველოში ეიზიტით იმყოფებოდა აზერბაიჯანის სამხედრო მინისტრის თანაშემწე /მოადგილე/, საქართველო–აზერბაიჯანის გაერთიანებული სამოკავშირეო სამხედრო საბჭოს წევრი, არტილერიის გენერალი ალი აღა შიხლინსკი. ის შეხვდა მთავრობის წევრებს და გენერალიტეტს, დაათვალიერა ქართული სამხედრო /იუნკერთა/ სკოლა /147, 44/.

ბაქოში ბოლშევიკური ამბოხის დაწყების წინ აზერბაიჯანის მთავრობა ტელეფონით დაუკავშირდა თბილისში მყოფ ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს ჰ.ს.ლუკის. მუსავატელებმა სთხოვეს მას დაეყენებინა საქართველოს ხელისუფლების წინაშე აზერბაიჯანში ჯარების გაგზავნის საკითხი. ბაქო ამასთან ერთად ითხოვდა ჰ.ლუკისაგან ზეწოლა მოეხდინა სომხეთის მთავრობაზე და აეძულებინა იგი შეეწყვიტა საბრძოლო მოქმედებები ყარაბაღსა და ზანგეზურში, რათა შესაძლებელი გამხდარიყო აზერბაიჯანული ჯარის ნაწილების გადასროლა სომხეთის საზღვრიდან ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ჰ.ლუკიმ შეტყობინების მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ მიიწვია თავისთან თბილისში მყოფი

საფრანგეთის, იტალიისა და აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლები, საქართველოს მთავრობის წევრები – ე.გეგეჭკორი, სამხედრო მინისტრი გ.ლორთქიფანიძე და მთავარსარდალი გენერალი გ.კვინიტაძე. შეხვედრის დროს განხილული იქნა მთელი რიგი საკითხები, რომელიც ეხებოდა აზერბაიჯანისათვის საჭირო დახმარების აღმოჩენას /47, 264/. მეორე დღეს, როცა უკვე ცნობილი გახდა ბაქოში ბოლშევიკური გადატრიალების ამბავი, ინგლისის წარმომადგენლობაში კელავ გამოიძახეს ე.გეგეჭკორი /135, 83/.

აზერაბიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფ.ხან ხოელმა იმ დღეებში მიმართვა გაუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ე.ეგეგეჭკორს. იგი მოითხოვდა სასწრაფო ზომების მიღებას სამხედრო ხელშეკრულების ასამოქმედებლად. აზერბაიჯანელი ისტორიკოსების ცნობით, ე.გეგეჭკორმა ფ.ხან ხოელს პასუხად განუცხადა, რომ საქართველოს მთავრობა ამ საკითხს განიხილავდა იმ შემთხვევაში, თუ აზერბაიჯანის ხელისუფლება ოფიციალურად აღიარებდა ბათუმსა და მის ოლქს საქართველოს განუყოფელ ნაწილად. ფ.ხან ხოელმა მაშინვე გამოთქვა მზადყოფნა, იგი თანახმა იყო გაეკეთებინა მთავრობის სახელით ოფიციალური განცხადება, რომ აზერბაიჯანს არავითარი პრეტენზიები არ გააჩნდა ბათუმზე და მის ოლქზე. აზერბაიჯანელი ისტორიკოსების მტკიცებით, ამ პასუხმა არ დააკმაყოფილა ქართული მხარე და, მათი აზრით, ორი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების კოორდინირებული მოქმედება ვერ განხორციელდა /6, 261/.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ამგვარი მოქმედების მიზეზი გახლდათ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ფ.ხან ხოელის მიერ 1920 წლის გაზაფხულზე გაკეთებული განცხადება, რომლთაც აზერბაიჯანული მხარე გარკვეულ პრეტენზიებს გამოთქვამდა ბათუმის ოლქის მფლობელობაზე. ეს ოლქი საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ჯერ კიდევ 1919 წლის 25 დეკემბერს საქართველოს განუყოფელ ნაწილად

გამოაცხადა, მაგრამ მას იმუამად, როგორც ცნობილია, ინგლისური ადმინისტრაცია განაგებდა გუბერნატორ გენერალ კუკ–კოლისის სახით. აზერბაიჯანის მთავრობა, როგორც ჩანს, მოლაპარაკებებს აწარმოებდა დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებასთან და მასთან გარიგებით ცდილობდა აღნიშნული საკითხის თავის სასარგებლოდ გადაჭრას. აზერბაიჯანის მთავრობის ასეთ მუხანათურ პოლიტიკას, რომელიც ეწინააღმდეგებოდა 1919 წლის ხელშეკრულებას, საქართველოში მწვავე რეაქცია მოჰყვა. ქართული პრესა იმ დღეებში წერდა: „ბათუმზე ფარულ, შემდეგ აშკარა პრეტენზიას აცხადებას აზერბაიჯანიც... გაუსინჯეთ ჩვენს მოკავშირეს ბათუმის საქმეში მეგობრული გული. იგი შავია ვითარცა ბაქოს კუპრი. გუშინ მან ფიცი დასდო, რომ ჩვენს საერთო მტერს მტრად მიიჩნევდა, დღეს კი თამამდ აცხადებს ხან–ხოელი, რომ მას მოლაპარაკება ჰქონდა ძლიერ უცხოელებთან, რომელთაც იგი დაანუგეშეს ბათუმის გამო. ...რაც მოხდა–მოხდა, ჩვენ ბათუმს მალე დავიბრუნებთ, ხოლო ბაქო ჩვენს გულს ვეღარ დაიბრუნებს“ /148/.

როგორც ვხედავთ, აზერბაიჯანის მთავრობამ ბათუმის საკითხთან დაკავშირებით მკვეთრად შეცვალა თავისი პოზიცია, რომელიც დააფიქსირა საქართველოში ვიზიტის დროს 1919 წლის სექტემბერში. ცხადია, ამგვარმა პოლიტიკამ საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს შორის გარკვეული უნდობლობის ფაქტორი წარმოშვა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ქართული მხარე ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და ბოლო მომენტამდე ცდილობდა თავისი მოკავშირის დახმარებას. გ.ლამბაშიძე, ამასთან დაკავშირებით, თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ მენშევიკური მთავრობა თანაგრძნობით შეხვდა მუსავატელთა თხოვნას დახმარების შესახებ. მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რომელზედაც ეს საკითხი იხილებოდა, ყველა იმ აზრისა იყო, რომ აზერბაიჯანში გაგაზვნილიყო საქართველოს ჯარი, მაგრამ მენშევიკებმა ბაქოში ჯარის გაგზავნა ვერ მოასწრეს, ხოლო მას შემდეგ,

რაც მუსავატური მთავრობა დაეცა, სამხედრო შენაერთების დაღუპვის შიშით, ასეთი აქტისაგან საერთოდ შეიკავეს თავი /135, 90/.

15 აპრილს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მთავრობის თავმჯდომარე ნ.ჟორდანია. საბჭოს შემადგენლობაში შეეიდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი ე.გეგეჭკორი, სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, სამხედრო მინისტრის თანაშემწე, გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე ვალერიან ჯუღელი. საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი გიორგი კვინიტაძე, რომელიც ასევე შეყვანილი იქნა თავდაცვის საბჭოს შემადგენლობაში. მობილიზაცია გამოცხადდა ქ.თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში /149/. სწორედ ქართული მხარის მოთხოვნით, 26 აპრილს ბაქოში დაინიშნა გაერთიანებული სამოკავშირეო სამხედრო საბჭოს სხდომა.

20 აპრილს აზერბაიჯანში გაემგზავრა სამხედრო დელეგაცია ახლად დანიშნული მთავარსარდლის გენერალ გ.კვინიტაძის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: საქართველოს სამხედრო საბჭოსა და სამოკავშირეო სამხედრო საბჭოს წევრი არტილერიის გენერალი კირილე ქუთათელაძე, საინჟინრო–ტექნიკური ჯარების უფროსი ინჟინერ–გენერალი გ.თაყაიშვილი, რომელიც აპროექტებდა მდინარე სამურისა და ბაქოს გამაგრებული პოზიციების მშენებლობას. 21 აპრილიდან სამოკავშირეო საბჭო შეუდგა ინტენსიურ მუშაობას. გენერალი გ.კვინიტაძე ჩასელისთანავე შეხვდა მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ნ.უსუბეკოვს. სამხედრო მინისტრს გენერალ ს.მეხმანდაროვსა და მის თანაშემწეს, გენერალ ა.შიხლინსკის. შემდეგ დელეგაციამ დაათვალიერა ქ.ბაქოს სახმელეთო და საზღვაო სიმაგრეები, რომელიც ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ბევრი მათგანი

დაუმთავრებელი იყო. სამშენებლო სამუშაოებს კი ხელისუფლება ვერ აწარმოებდა. ბაქოდან დელეგაციის წევრები გაემგზავრნენ აზერბაიჯან–რუსეთის საზღვარზე, მდინარე სამურის გამაგრებული პოზიციების მოსანახულებლად. დელეგაციას მეგზურობას უწევდნენ აზერბაიჯანის პირველი რესპუბლიკის გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე, ბაქოს გამაგრებების კომენდანტი, გენერალ–მაიორი იბრაჰიმ მუსა უსუპოვი* და აზერბაიჯანის არმიის გენერალური შტაბის გენერალ–კვარტირმეისტერი, პოლკოვნიკი ვასილ კარგარეთელი.** სამურის გამაგრებებზე გ.კვინიტაძეს და მის თანმხლებ პირებს იგივე სურათი დახვდათ, რაც ბაქოში. სიმაგრეების უმრავლესობა აქაც მშენებლობის სტადიაში იმყოფებოდა. მდინარე სამურის ხიდი აზერბაიჯანის რესპუბლიკას ეკუთვნოდა, მაგრამ მას, გაურკვეველი მიზეზის გამო, წითელი არმია აკონტროლებდა. გ.კვინიტაძის ცნობით, გამაგრების მთელს ზოლზე, რომელიც 20 კილომეტრზე მეტი სიგრძის იყო, იდგა მხოლოდ ერთი ბატალიონი. დანარჩენი 3 ბატალიონი კი საზღვრიდან 100–300 კილომეტრის მოშორებით იყო განლაგებული /100, 164/.

პოზიციების დათვალიერების პარალელურად ტარდებოდა სამოკავშირეო საბჭოს სხდომები. სხდომებს აზერბაიჯანის სამხედრო მინისტრი გენერალი ს.მეხმანდაროვი თავმჯდომარეობდა. საბჭოს წევრთათვის ნათელი იყო, რომ საბჭოთა რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის ომის შემთხვევაში ძალთა უპირატესობა აშკარად პირველის მხარეზედ იქნებოდა. ს.მეხმანდაროვი დაუინებით მოითხოვდა გ.კვინიტაძისაგან დაესახელებინა მას რა რაოდენობის ჯარის

---

* დახვრეტილი იქნა ბოლშევიკების მიერ 1920 წელს.

** 1919 წლის ბოლოს ვ.კარგარეთელს კონფლიქტი მოუხდა აზერბაიჯანში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელთან გ.ალიბაბაიასთან, რის გამოც დატოვა ქართული არმიის რიგები და გადავიდა აზერბაიჯანის არმია'ში. ამერკავკასიის გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში იყო.

გაგზავნა შეეძლო საქართველოს აზერბაიჯანის დასახმარებლად, მაგრამ ამ საკითხზე მან ქართული მხარისაგან გარკვეული პასუხი მაინც ვერ მიიღო. ბოლოს, დაისახა საერთო თავდაცვის გეგმა. გეგმის მიხედვით, აზერბაიჯანის არმიას ისე უნდა ემოქმედა, რომ არ მომხდარიყო მისი ნაწილ–ნაწილ განადგურება. ქართული არმია კი დროულად უნდა შესულიყო აზერბაიჯანში და მიშველებოდა მოკავშირეს /6, 165/.

ვიზიტის შედეგად საქართველოს დელეგაცია დარწმუნდა, რომ, ომის შემთხვევაში, აზერბაიჯანი რუსეთს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. გენერალი გ.კვინიტაძე, ამასთან დაკავშირებით, იგონებს: „ჩემთვის ნათელი იყო, რომ აზერბაიჯანი ომისათვის არასაკმარისი ინტენსიობით ემზადებოდა და, რომ ბაქოს აღება მხოლოდ დროის საკითხი იყო“ /100, 164/.

26 აპრილის საღამოს სამოკავშირეო საბჭომ მოსთხოვა ქართულ მხარეს, გაეგზავნა აზერბაიჯანში ჯარის ნაწილები, საქართველოს მთავრობამ სასწრაფოდ გამოჰყო 3 ქვეითი ბატალიონი, 1 საარტილერიო დივიზიონი /18 ქვემეხი/, რიგი ტექნიკური ჯარის ქვედანაყოფები /140, 50/. ამ ნაწილების მეთაურად დაინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე, პირველი მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, ყოფილი მეფის რუსეთის არმიის გენერალ–მაიორი გიორგი სუმბათაშვილი. 28 აპრილს ეს ჯარი ეშელონებში იყო მოთავსებული და ელოდა გამგზავრებას.

აზერბაიჯანში ქართული ჯარის ნაწილების გადასროლის საკითხი ამ დროისათვის უკვე ისე იყო მომწიფებული, რომ ჰ.ს.ლუკიმ 28 აპრილს თავის მთავრობას აცნობა – „საქართველომ გაგზავნა ჯარები ბაქოში“ /150, 599/.

სამოკავშირეო საბჭოს მიღებული ზომები დაგვიანებული აღმოჩნდა. 27 აპრილს ბოლშევიკებმა ბაქოში დაიწყეს დიდი შეიარაღებული ამბოხება კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. სახელმწიფო გადატრიალების

მომზადებასა და განხორციელებაში აქტიური როლი შეასრულეს აზერბაიჯანის არმიაში მომსახურე თურქმა ოფიცრებმა. მხოლოდ მათი ძალისხმევით მოხერხდა ქალაქში სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების ხელში ჩაგდება. ჯარების მმართველობის მოშლის მიზნით დატყვევებული იქნა ყველაზე აქტიური მხედართუფროსი, ბაქოს გამაგრებული რაიონის გუბერნატორი გენერალ–მაიორი მურატ გირეი ტლეხასი. სწორედ თურქმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა არ მისცეს მთავრობის წევრებს ბაქოდან გაქცევის საშუალება, რისთვისაც ისინი ბოლშევიკებმა წითელი დროშის ორდენებით დააჯილდოვეს /70, 108–109/.

ამბოხების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა ე.წ. აზერბაიჯანის დროებითი სამხედრო–რევოლუციური კომიტეტი /აზრევკომი/. კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ: ნარიმან ნარიმანოვი /თავმჯდომარე/, მირზა დაიეთ ჰუსეინოვი, გაზანფარა მუსაბეკოვი, ჰამიდ სულთანოვი, დადაშ ბუნიატზადე, აღმოვი და ალი ჰეიდარ კარაევი. აზრევკომის ბრძანებით, რკინიგზის სადგურის რაზმმა შეაჩერა ბაქოდან მატარებლების გაგზავნა და შეწყვიტა სარკინიგზო ურთიერთობა სხვა ქალაქებთან. განიარაღებული იქნა ოფიცერთა ჯგუფები. მეზღვაურთა საბრძოლო რაზმებმა ხელთ იგდეს სამხედრო გემები „ყარსი“ და „არდაგანი“. ჯარისკაცების ნაწილი გადავიდა აჯანყებულთა მხარეზე. რიგ ყაზარმებში ჯარისკაცებმა იარაღი დაჰყარეს. ბოლშევიკთა რაზმები შემოერტყა მთავრობის შენობას, ფოსტა–ტელეგრაფს. ამბოხებულთა დელეგაცია შეხვდა მთავრობის ხელმძღვანელებს და წაუყენა მათ ულტიმატუმი უახლოესი 12 საათის განმავლობაში ხელისუფლების ჩაბარების შესახებ.

27 აპრილს შეიკრიბა აზერბაიჯანის პარლამენტის საგანგებო სხდომა. დეპუტატებს უნდა განეხილათ აზრევკომის მიერ მთავრობის წევრებისადმი გადაცემული ულტიმატუმი. დასაწყისში პარლამენტის წინაშე წარსდგა სამხედრო მინისტრი ს.მეხმანდაროვი და განაცხადა, რომ

შეუძლებელი იყო შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა. დეპუტატები გვიან საღამომდე ბჭობდნენ. საბოლოოდ, როცა საკითხი კენჭისყრაზე მიდგა, ხელისუფლების მშვიდობიანად ჩაბარებას მხარი დაუჭირა ყველამ /მხოლოდ ერთი დეპუტატი იყო წინააღმდეგი, სამმა თავი შეიკავა და სამმა არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში/. როდესაც იხილებოდა ხელისუფლების ჩაბარების საკითხი და ფაქტიურად წყდებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის ბედი, პარლამენტში მყოფი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შ.რუსტამბეკოვი ტიროდა /12, 534/.

ამრიგად, 27 აპრილს პარლამენტმა ბოლშევიკებს ძალაუფლება ოფიციალურად ჩააბარა. როცა პარლამენტში ჯერ კიდევ მსჯელობდნენ ხელისუფლების ჩაბარების შესახებ, ბაქოს ქუჩებში ფაქტიურად წყდებოდა ხელისუფლების საკითხი. ამბოხებულთა მხარეზე ზედიზედ გადადიოდნენ მთავრობის ჯარები. საღამოსათვის სამხედრო გემების, „ყარსისა“ და „არდაგანის“ ეკიპაჟს, კასპიის ფლოტილიის სხვა გემებმაც მიბაძეს და ქვემეხთა ლულები მომართეს მთავრობის სასახლისაკენ. ქალაქი უკვე ამბოხებულთა განკარგულებაში გადავიდა.

ბაქოში ბოლშევიკთა ამბოხების დაწყებამდე, 27 აპრილს საღამოს მე-11 წითელი არმიის ნაწილებმა მიხეილ ლევანდოვსკის* სარდლობით /რევსამხედრო საბჭოს წევრები კ.მეხანოშინი და ი.ეესნიკი. შტაბის უფროსი ა.რემეზოვი/ დაიწყეს ბაქოს ოპერაციის განხორციელება. ოპერაციის გეგმა წინასწარ იყო დამუშავებული კავკასიის ფრონტის შტაბში ფრონტის სარდალ მიხეილ ტუხაჩევსკის**, შტაბის უფროსის სერგეი პუგაჩოვისა*** და რევსამხედრო

მ.ლევანდოვსკი /1890–1938/, საბჭოთა საშხედრო მოღვაწე, მე-2 რანგის კომანდარმი. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების პირველი სარდალი. დახვრიტეს რეპრესიების წლებში.

** მ.ტუხაჩევსკი /1893–1937/. ცნობილი საბჭოთა მხედართუფროსი, საბჭოთა კავშირის მარშალი. რეპრესირებულია.

*** ს.პუგაჩოვი /1889–1943/, საბჭოთა საშხედრო მოღვაწე, კომკორი, ამიერკავკასიის გასაბჭოების აქტიური მონაწილე. იბრძოლებდა რა კავკასიის ცალკეული არმიის

საბჭოს წევრის სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით. ფრონტის სარდლობის 1920 წლის 21 აპრილის დირექტივის თანახმად, მე–11 არმიას მიეცა დავალება 27 აპრილს გადაელახა აზერბაიჯანის საზღვარი და უმოკლეს დროში დაეკავებინა ბაქოს გუბერნია. შეტევითი ოპერაცია უნდა დამთავრებულიყო არაუმეტეს ხუთი დღის განმავლობაში, რადგან საქართველოსა და ჩრდილოეთ ირანში განლაგებულ ინგლისის ჯარებს აზერბაიჯანისათვის დახმარების გაწევა ვერ უნდა მოესწრო. ვოლგა–კასპიის სამხედრო–საზღვაო ფლოტილიის სარდალს ფ.რასკოლნიკოვს* ებრძანა სადგურ ალიატში გადაესხა საზღვაო დესანტი და დაეკავებინა ბაქოს ნავთობსარეწები, სანამ მე–11 არმია გადავიდოდა შეტევაზე. 23 აპრილს დამატებით გამოცემულ დირექტივაში მე–11 არმიის საბოლოო ამოცანად განისაზღვრა აზერბაიჯანის მთელი ტერიტორიის დაკავება.

27 აპრილისათვის მე–11 არმიის შემადგენლობაში შედიოდა მე–20, 28–ე და 32–ე მსროლელი დივიზიები, მე–2 ცხენოსანი კორპუსი, პირველი საკავალერიო დივიზია და რიგი დამხმარე ნაწილები. ეს ჯარები ითვლიდა 23000 მეტ ხიშტს და ხმალს, 129 ქვემეხს, 732 ტყვიამფრქვევს, 8 ჯავშანმატარებელს და 15 თვითმფრინავს /151, 301/.

აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები აპრილისათვის ითვლიდა 30000 ხიშტს და ხმალს. 1919 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკაში ფორმირებული იყო 2 ქვეითი და 1 საკავალერიო დივიზია, 2 საარტილერიო ბრიგადა და მსუბუქი არტილერიის დივიზიონი. პირველი ქვეითი დივიზიის შტაბი მდებარეობდა განჯაში, დივიზიის შემადგენლობაში შედიოდა პირველი ჯევანშერის, მე–2 ზაქათალისა და მე–3 განჯის პოლკები, ქურთების მსროლელი ბატალიონი. მე–2 ქვეითი დივიზია, რომლის

სარდლის თანამდებობაზე, სისხლში ჩაახშო 1924 წლის აგვისტოს აჯანყება საქართველოში.

* ფ.რასკოლნიკოვი /1892–1939/, საბჭოთა სამხედრო–საზღვაო მოღვაწე და დიპლომატი. 1938 წელს წაიყვანა ემიგრაციაში. 1939 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ გამოაცხადა კანონგარეშეულ.

შტაბი განთავსებული იყო ბაქოში, შედგებოდა მე–4 ყუბის, მე–5 ბაქოს და მე–6 გეოკჩაის პოლკებისაგან. მალე შეიქმნა მე–7 შირვანის პოლკი და ამით საფუძველი ჩაეყარა მე–3 ქვეითი დივიზიის ფორმირებას. საკავალერიო დივიზიის შემადგენლობაში შედიოდა პირველი თათრების, მე–2 ყარაბაღისა და მე–3 შექის ცხენოსანი პოლკები, ქურთების ცხენოსანი დივიზიონი. დივიზიის შტაბი მდებარეობდა განჯაში. აღნიშნული ნაწილების გარდა ფორმირებული იქნა აგრეთვე ლენქორანის სარეზერვო ბატალიონი, პოლიციის სარეზერვო პოლკი /„იარდიმ ალაი“/ და პარლამენტის დაცვის განსაკუთრებული რაზმი. სარდლობის განკარგულებაში იყო 5 თვითმფრინავი, 3 ჯავშანმატარებელი და ჯავშანმანქანები. აზერბაიჯანის სამხედრო–საზღვაო ფლოტილია ითვლიდა 2 საკანონერო ხომალდს /„არდაგანი“ და „ყარსი“/ და რამოდენიმე დამხმარე გემს /6, 163/.

აზერბაიჯანის არმია განლაგებული იყო შემდეგნაირად: დაღესტნის საზღვარზე, ყურასი–ყუბა–ხუდათის რაიონში იდგა სხვადასხვა ნაწილები 3000 კაცის რაოდენობით, უშუალოდ საზღვრის პირას კი ჟანდარმთა დივიზიონი. ბაქოში განთავსებული იყო ქვეითი პოლკი, იუნკერთა სასწავლებელი /ამ სასწავლებლის უფროსი გახლდათ გენერალი ს.ჩხეიძე/ და პოლიციის პოლკის მთავარი ძალები. სულ 6000 კაცი /47, 261/. როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ბაქოს მისადგომებთან შენდებოდა გამაგრებული პოზიციები – მავთულხლართების სამი მწკრივით. გარდა ამისა, იალამას და ხუდათის რაიონში იყო გამაგრებული პოზიციები მავთულხლართების ორი მწკრივით.

მესავატური არმიის მთავარი ძალები 20000 კაცის რაოდენობით განლაგებული იყო ყარაბაღის და ზანგეზურის რაიონებში.

მე–11 არმიის ავანგარდში იყო ჯავშანმატარებელთა

რაზმი მიხეილ ეფრემოვის* მეთაურობით. ბაქოს ოპერაციაში ავანგარდს განსაკუთრებული როლი ჰქონდა დაკისრებული სწრაფი, გაბედული იერიშით უმოკლეს დროში უნდა შეჭრილიყო ბაქოს რაიონში და ამით ჩაეშალა მუსავატური მთავრობის ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა. მ.ეფრემოვის განკარგულებაში იყო რუსეთის სამოქალაქო ომის ფრონტებზე ბრძოლებ'ში ნაცადი 4 ჯავშანმატარებელი – „მე–3 ინტერნაციონალი", „წითელი დაღესტანი", „ტიმოთე ულიანცევი" და „წითელი ასტრახანი". ჯავშანმატარებლები გაძლიერებული იყვნენ სანაპირო შორსმსროლელი არტილერიით და სადესანტო რაზმით /350 კაცი/.

მ.ეფრემოვის ჯგუფი 27 აპრილს დილადრიან გადაეიდა მდინარე სამურის ხიდზე და შეუტია სამურის გამაგრებულ პოზიციებზე მდგარ ერთადერთ აზერბაიჯანულ ბატალიონს, რომელსაც ქართველი ოფიცერი პოლკოვნიკი ნიკოლოზ თუმანიშვილი მეთაურობდა /ზოგიერთ ნაშრომში მოხსენიებულია, როგორც თუმანოვი/. ქართველ მეთაურს რთული ამოცანა ჰქონდა დაკისრებული. მის ბატალიონს ძირითადი ძალების მოსვლამდე უნდა შეეკავებინა მე–11 არმიის ავანგარდი. ნ.თუმანიშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მოწინააღმდეგის წინსვლა შეეჩერებინა, მაგრამ ძალები მეტისმეტად არათანაბარი იყო. ამასთან წითლების ელვისებურმა შეტევამ დააბნია სამურის ხიდის მცველი ასკერთა ოცეული. მ.ეფრემოვის ჯგუფმა სძლია ნ.თუმანიშვილის ბატალიონს და უკუაგდო იგი. ნ.თუმანიშვილი ბოლშევიკებმა ტყვედ ჩაიგდეს და 1920 წლის მაისის შუა რიცხვებში დახვრიტეს. ნ.თუმანიშვილის ბრძოლებთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის ფრანგი მოქალაქე რემონ დიუგე: „ბატალიონს, რომელიც მდ.სამურის ხიდს იცავდა, ხელმძღვანელობდა ენერგიული

---

*მ.ეფრემოვი /1897–1942/, საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, გენერალ–ლეიტენანტი. გერმანია–საბჭოთა კავშირის ომის დროს სარდლობდა ცენტრალურ ფრონტს, მე–10 და 33–ე არმიებს. ეიაზმასთან გაჩაღებული ბრძოლების დროს ალყაში მოხვედა, გამუდმებულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მოწინააღმდეგის ხელში ჩაკარდას თავის მოკვლა ამჯობინა.

ქართველი ოფიცერი თუმანოვი. მას შეუძლებელი ამოცანა ჰქონდა დავალებული – დაეცვა ჩრდილოეთის საზღვარი. იგი მაინც მამაცურად იბრძოდა თითოეული გოჯი მიწისათვის. ყოველგვარ რაინდულ და კეთილშობილურ თვისებებს მოკლებულმა უცხოელებმა – რუსებმა დახვრიტეს ეს გულადი და ღირსეული ადამიანი. მან ბოლომდე აღასრულა თავისი სამხედრო მოვალეობა, თუმცა გამარჯვების იმედი არ ჰქონდა“ /152, 55/. ნ.თუმანიშვილის დაღუპვასთან დაკავშირებით გენერალი გ.კვინიტაძე თაეის მოგონებებში წერს: „ბატალიონს, რომელიც სამურის გამაგრებებზე იდგა, მეთაურობდა პოლკ. თუმანიშვილი. რამდენიმე დღის შემდეგ ის დახვრეტილი იქნა ბოლშევიკების მიერ, ჩაბარებული საგუშაგოს დაცვისა და წინააღმდეგობის გაწევის მცდელობისათვის“ /100, 164/.

მწვავე ბრძოლა გაჩაღდა სადგურ იალამასთან. სადგურს ყუბის პოლკის 2 ასეული იცავდა 4 ქვემეხით და 10 ტყვიამფრქვევით, მათ მხარს უჭერდა საკავალერიო დივიზიონი /300 ხმალი/ და ჟანდარმთა რაზმი /დაახლოებით 200 კაცი/. ორ საათიანი სისხლისმღერელი ბრძოლის შემდეგ წითლებმა მოახერხეს ამ სადგურის დაკავება. ბრძოლის დროს დაიღუპა 6 წითელარმიელი და 8 დაიჭრა. ლიადუატის სარკინიგზო გზის ასაქცევთან მ.ეფრემოვის რაზმს წინ აღუდგა აზერბაიჯანის არმიის №1 ჯავშანმატარებელი შტაბს–კაპიტან პავლე ლორთქიფანიძის მეთაურობით. ეს მატარებელი ჩვეულებრივი შეიარაღებით /2 ქვემეხი და 14 ტყვიამფრქვევი/ ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია 4 ჯავშანმატარებლისათვის. პ.ლორთქიფანიძის ამოცანა იყო მწყობრიდან გამოეყვანა იალამა–ბაქოს სარკინიზო გზის მონაკვეთი, თუ ვერ მოხერხდებოდა მოწინააღმდეგის შეჩერება. ბრძოლამ მცირე ხანს გასტანა. აზერბაიჯანის ჯავშანმატარებელმა უკან დაიხია. სარკინიგზო გზის ასაქცევი ბოლშევიკებმა გამართულ მდგომარეობაში იგდეს ხელთ /153, 147/.

აზერბაიჯანის №1 ჯავშანმატარებელმა ხელახლა სცადა შეეჩერებინა წითელი ჯავშანმატარებლები სადგურ

ხუდათთან, რომელსაც ქურთთა ბატალიონის ორი ასეული და სამთო–ცხენოსანი დივიზიონიც იცავდა. წითლების შეჩერება აქაც ვერ მოხერხდა.

მე–11 არმიის სარდლობამ ბაქოში ლაშქრობამდე და ლაშქრობის დროსაც არაერთხელ სცადა თავის მხარეს გადაებირებინა პ.ლორთქიფანიძე, მაგრამ ამაოდ. მოლაპარაკებებს მასთან აწარმოებდნენ მ.ეფრემოვი და ა.მიქოიანი. ქართველი ოფიცრის ჯავშანმატარებელი ბოლომდე აგრძელებდა ბრძოლას. ა.მიქოიანი პ.ლორთქიფანიძესთან გამართულ მოლაპარაკებებს შემდეგნაირად აღწერს: „ტანმაღალი, ეფრემოეზე ხნიერი, ულვაშიანი კაცი იყო. სახეზე ღრმა ნაიარევი აჩნდა. სიმსუქნე შეპარვოდა, მაგრამ მხნედ გამოიყურებოდა. თავდაჭერილად, ოფიციალურად იქცეოდა. ერთმანეთს გავეცანით. გვითხრა, მეფის არმიის შტაბს–კაპიტანი ლორთქიფანიძე ვარო. დაძაბულობა რომ შეგვენელებინა და მისი გული მოგვეგო, თანაც შეგვეტყო რა კაცთან გვქონდა საქმე, ლაპარაკში ჩაურთეთ:

– ომი არ იქნება. თქვენ მეფის არმიის კაპიტანი, გამოცდილი მეთაური ხართ. ჩვენთან რომ გემსახურათ, დივიზიის მეთაურობას მოგცემდნენ, რადგანაც ოფიცრები ცოტა გვყავს. გადმოდით ჩვენთან, სიხარულით მიგიღებთ.

აქამდე ოფიცერი მშვიდად იყო, თავშეკავებით ლაპარაკობდა, მაგრამ, როცა ჩვენ მხარეზე გადმოსელა შეეთავაზეთ, ხმას აუმაღლა:

– ამას როგორ მთავაზობთ! მე, ქუთაისის გუბერნიის აზნაური, რუსეთის არმიის ოფიცერი, ომში დაჭრილი, მიგვითითა ნაიარევზე, – ბოლშევიკებს მიეემხრო? ეს არასოდეს არ მოხდება!

– რამ აგაღელვათ, შტაბს – კაპიტანო? ჩვენ ბევრი გვყავს მეფის არმიაში ნამსახური ოფიცერი.

– არა და არა! – გვიპასუხა მან.

– თქვენი ნებაა.

ჩვენ ერთმანეთს მაინც მშვიდობიანად დავშორდით“ /154, 568/.

სადგურ ხაჩმაზთან პ.ლორთქიფანიძის ჯავშნოსანმა კიდევ სცადა შეეჩერებია წითლების წინსვლა. მისი ბრძანებით დაზიანებული იქნა რკინიგზის ეკიპი, მაგრამ რკინიგზელი მუშების მიერ დაზიანება სწრაფად იქნა აღდგენილი. მცირე ხნის საარტილერიო დუელის შემდეგ პ.ლორთქიფანიძე იძულებული გახდა უკან დაეხია. სადგურიდან გასვლისას მან გასცა ბრძანება ცეცხლი წაეკიდათ ხიდისთვის, მაგრამ ეს ბრძანებაც ვერ იქნა შესრულებული, გაცდა თუ არა ხიდს მისი მატარებელი, რკინიგზელებმა ხანძარი უმალ ჩააქრეს.

27 აპრილს 21 საათზე, სადგურ ხირდალანთან მუსავატური არმიის №1 ჯავშანმატარებელმა უკანასკნელად სცადა შეეჩერებინა მ.ეფრემოვის ჯგუფი, მაგრამ „III ინტერნაციონალისა“ და „წითელი დაღესტანის“ საარტილერიო ცეცხლის გახსნის შემდეგ ბაქოსკენ დაიხია, ამასთან ჯავშანმატარებლის მებრძოლებმა ვერ მოასწრეს რკინიგზის აყრა და ხიდის აფეთქება.

სადგურ ბალაჯარის დაკავების შემდეგ მ.ეფრემოვს აცნობეს, რომ საქართველო აზერბაიჯანის დასახმარებლად ჯარებს აგზავნიდა. ა.მიქოიანი ამასთან დაკავშირებით თავის მოგონებებში წერს: „შევიტყვეთ, რომ საქართველოს მთავრობამ ბრძანება გასცა, გამოეყოთ ჯავშნოსანი მატარებელი და აგრეთვე სხვა ძალებიც. ამის გამო ეფრემოვმა გადაწყვიტა, ერთი ჯავშნოსანი მატარებელი ელიზავეტოპოლის მიმართულებით 150–200 კილომეტრზე გაეგზავნა. თუ გზაზე საქართველოს ჯავშნოსანი მატარებელი გამოჩნდებოდა, შეტაკებას უნდა მორიდებოდნენ და ხიდი აეფეთქებინათ, რომ ჯავშნოსანი მატარებლის წინსვლა ორი დღით შეეჩერებინათ, ვიდრე ჩვენი მთავარი ძალები მოვიდნენ“ /155, 144/.

ქართული არმიის ნაწილების შეყვანა აზერბაიჯანში საბოლოოდ მაინც ვერ მოხერხდა. როდესაც ქართული ჯარები მზად იყვნენ აზერბაიჯანში შესასვლელად, საქართველოს გენერალურ შტაბს მეტად საჭირო ინფორმაცია მიაწოდა აზერბაიჯანის გენერალური შტაბიდან

ქართველმა ოფიცერმა. საინტერესო ცნობებს გვაწვდის ამ ფაქტთან დაკავშირებით გენერალი აღექსანდრე ზაქარიაძე: „საღამოს ცხრა საათზე ღენ. სუმბათაშვილი ჩემ კაბინეტში იჯდა და ღებულობდა ჩემგან უკანასკნელ ინფორმაციებს და ინსტრუქციებს*. ამ დროს მიმიწვიეს ტელეგრაფში პირდაპირ მავთულზე. მელაპარაკება ბაქოდან ერთი ქართველი ოფიცერი, რომელიც მსახურობდა აზერბაიჯანის მთავარ შტაბში**, მეუბნება: „იყავით ფხიზლად, მეშინია, რომ აქ ქართული სამხედრო ერთეულები არ ჩაეარდნენ სახიფათო მდგომარეობაში. აქ საკითხი გათავებულია, ეს-ეს არის პარლამენტმა დაადგინა გადასცეს ძალაუფლება ბოლშევიკებს და რუსული ბოლშევიკური ნაწილები შემოუშვას ბაქოში და მთელ აზერბაიჯანში. ბოლშევიკური ეშელონები რკინიგზაზე უკვე მზად არიან და რამდენიმე საათის განმავლობაში აქ იქნებიან. ბ-ნ. უსუბეკოვის მუსავატური მთავრობა გადადგა და სადღაც მიიმალა. არც ღენერალი მეხმანდაროვი სჩანს“. ...მოვახსენე რა ყველაფერი ეს მთავრობის თავმჯდომარეს, მან დაუყოვნებლივ მოიწვია თავდაცვის საბჭოს კრება. საბჭომ დაადგინა მიყვანა ჩვენი რაზმის აზერბაიჯანის საზღვრამდე და იქ მისი შეჩერება ჩვენ ტერიტორიაზე ფოილოს ხიდის მიდამოებში“ /140, 56/.

მართალია, გენერალი ა.ზაქარიაძე არ ასახელებს ქართველი ოფიცრის ვინაობას, მაგრამ გვინდა შევნიშნოთ, რომ იგი უთუოდ პოლკოვნიკი ვ.კარგარეთელი იქნებოდა, ვინაიდან ქართველებიდან მხოლოდ მას შეეძლო აზერბაიჯანის გენერალური შტაბიდან ასეთი საგანგებო ინფორმაციის პირდაპირი ხაზით გადაცემა.

28 აპრილს, დილის 4 საათზე, საბჭოთა ჯავშანმატარებელი „III ინტერნაციონალი“ ბაქოში შევიდა. 30 აპრილს ქალაქში შევიდნენ მე-11 არმიის მთავარი

---

* გენერალი გ.სუმბათაშვილი, როგორც ზემოთ აღენიშნეთ მეთაურობდა ქართული არმიის იმ ნაწილებს, რომლებიც უნდა შესულიყვნენ აზერბაიჯანში.

** აზერბაიჯანის არმიის მთავარ შტაბს, იმჟამად უკვე გენერალური შტაბი ეწოდებოდა.

ძალებიც. მათ წინსელას აქტიურ დახმარებას უწევდა თურქი ოფიცრები ხალილ ფაშას მეთაურობით, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობაში აგიტაციას ატარებდნენ წინააღმდეგობა არ გაეწიათ წითელი არმიისათვის.

1920 წლის მაისის შუა რიცხვებში მე–11 არმიამ თითქმის მთელ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დაამყარა კონტროლი. რუსეთის ინტერვენციის შედეგად დამხობილი იქნა აზერბაიჯანის ეროვნული მთავრობა და არსებობა შეწყვიტა აზერბაიჯანის პირველმა რესპუბლიკამ.

აქვე გვინდა შეეხოთ ერთ საინტერესო ფაქტს: ბაქოში წითელი არმიის შესვლის დროს, აზერბაიჯანიდან სამშობლოში ბრუნდებოდა ქართული სამხედრო დელეგაცია. ბოლშევიკებისათვის ცნობილი იყო, რომ დელეგაციის მატარებელი იმყოფებოდა ქ.განჯაში. ძალაუფლების ხელში აღებისთანავე მათ რკინიგზის სადგურებს ბრძანება მისცეს დაეკავებიათ აღნიშნული მატარებელი, ხოლო იქ მყოფი დელეგაციის წევრები დაეპატიმრებინათ.

ქართული დელეგაცია აზერბაიჯანის მუსავატური არმიის ქართველმა ოფიცრებმა გადაარჩინეს. დელეგაციის ხელმძღვანელი გ.კვინიტაძე ამასთან დაკავშირებით იგონებს „როგორც მოგვიანებით გამოირკვა ბოლშევიკების ტელეგრამა მატარებლის დაკავების შესახებ გაგზავნილი იყო, მაგრამ ვინაიდან სადგურის კომენდანტების უმრავლესობა ქართველი ოფიცრები იყვნენ, მხოლოდ ამ გარემოებამ იხსნა ჩემი მატარებელი დაკავებისაგან“ /100, 166/.

საინტერესოდ აღწერს ამ ფაქტს რ.დიუგეც: „საგანგებო მატარებელი ისე გამოვიდა ბაქოდან, რომ გენერალმა არც სახელმწიფო გადატრიალების ამბავი იცოდა და არც აზერბაიჯანსე წითლების თავდასხმის ცნობა ჰქონდა. იგი კინაღამ ბოლშევიკებს ჩაუვარდა ხელში. ბაქო–თბილისის რკინიგზის მახლობელ საგუშაგოებს წითლებმა ბაქოდან დეპეშები დააყარეს ბრძანებით – გაეჩერებიათ გენერალ კვინიტაძის მატარებელი და თავად იგი დაეპატიმრებიათ. მაგრამ საგუშაგოების უმეტეს ნაწილს

ქართველი ოფიცრები მეთაურობდნენ. სადაც ბრძანება დროზე მოვიდა, იქ არავინ განძრეულა. არც უფიქრიათ გენერლის დაპატიმრება. კვინიტაძეს მატარებელში ტკბილად ეძინა, არც იცოდა, რა საფრთხე ემუქრებოდა. მთელი ღამე მ'შვიდათ იმგზავრა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. დღით კი დაუბრკოლებლად ჩავიდა საქართველოში" /152, 56/.

საქართველოს მთავრობამ სავსებით სწორად შეაფასა აზერბაიჯანში შექმნილი მდგომარეობა და თავი აარიდა ნაჩქარევ გადაწყვეტილებების მიღებას. ამას მოწმობს მთავრობის თავმჯდომარის საინტერესო გამოსვლა დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომაზე 30 აპრილს. სხდომა მეზობელ რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობას განიხილავდა. ნ.ჟორდანიამ კრების წევრებს მთავრობის პოზიცია გააცნო და აღნიშნა: „27 აპრილს ადერბეიჯანის მთავრობამ გვამცნო ბოლშევიკების ჯარი მოადგა ჩვენს საზღვრებსო, ჩვენი ჯარები მათ ებრძვიან და სამხედრო დახმარება აღმოგვიჩინეთო. მაშინვე შეიკრიბნენ მინისტრები და ჩვენ დავსვით ასეთი წინასწარი კითხვა: სურს ადერბეიჯანის ხალხს შეებრძოლოს ბოლშევიკებს და მიიღებენ ამ ბრძოლაში ისინი მთავარ სიმძიმეს? ამ შემთხვევაში ჩვენ მოვალე ვიქნებით დავეხმაროთ, მოვალე ვიქნებით არა მარტო ხელშეკრულების ძალით, არამედ – პოლიტიკურად და მორალურადაც და, მართლაც, ერის თვითგამორკვევა, მის ნება–სურვილებში ჩვენ მიგვაჩნია ერთადერთ გადამჭრელ ფაქტორად ერთა დამოკიდებულებისა და შეურყეველ საძირკვლად საგარეო პოლიტიკისა. ამიტომ ჩვენ ვთქვით: თუ გარეშე ძალა ადერბეიჯანის ერის თვითგამორკვევას ემუქრება, თუ ის მის საზღვრებში ძალით შემოდის! – ეს არის აღმაშფოთებელი დარღვევა ერის უფლებების და ჩვენ მასთან ვიქნებით. მაგრამ თუ ეს ასე არ არის, თუ თვით ერი, ხალხია, მომხრე უცხო ძალის შემოყვანის, მაშინ ამ ძალის წინააღმდეგ გალაშქრება ერის უფლებების შელახვა იქნებოდა ჩვენის მხრით და იმავე დროს გაგზავნილი ჯარის დაღუპვაც. აი, ეს ჩვენი აზრი დაუყოვნებლივ ვაცნობეთ ბაქოში და შევუდექით

გამორკვევას იქაური პოლიტიკური ატმოსფეროსი, მაგრამ საათის პირველზე უკვე მივიღეთ ცნობა, რომ ბალშევიკები უკვე ხაჩმაზში მოვიდნენ, ხოლო საღამოს შვიდ საათზე სადგურ სანგაიცში, ბალაჯარის ახლო, ე.ი. ექვსი საათის განმავლობაში განვლეს ორი ვერსი. მაშინ კი გავიგეთ, რაშიც იყო საქმე და ვთქვით ბოლშევიკები მიდიან სწრაფი მატარებლით, სრულიად უბრძოლველად და, მაშასადამე, ადერბეიჯანის თანხმობით. მივიდნენ სრულიად უმნიშვნელო ძალებით, ორი ჯავშნიანი მატარებლით, მათი უკან გარეკვა და მატარებლის დატყვევება მცირე ძალას შეეძლო, მაგრამ ვინაიდან ამის სურვილი არ იყო, ბალშევიკების შესვლა უბრალო გასეირნებად გადაიქცა.

ჩვენი ეჭვები, როგორც ხედავთ, სავსებით გამართლდა...

როგორც ხედავთ, ადერბეიჯანის ბედი დღეს შეერთებულია ბალშევიკურ რუსეთთან და ქემალ ფაშას ოსმალეთთან. ეს კომუნისტურ–ფაშური ქურქი ახასიათებს ბაქოს დღევანდელ მესვეურთ“ /156/.

აზერბაიჯანში შექმნილი პოლიტიკური ვითარება საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნიდა. მე–11 არმიის ნაწილები სწრაფი ტემპით მიიწევდნენ მისი საზღვრებისაკენ. აშკარა იყო, რომ აგრესორს სურდა ერთი დაკერით ხელში ჩაეგდო აზერბაიჯანი და საქართველო. 1920 წლის 2 მაისს მე–11 არმიის ჯარები თავს დაესხნენ ქართული არმიის ნაწილებს წითელ ხიდთან, დაიკავეს ხიდი და 5 კილომეტრზე მეტით შეიჭრნენ საქართველოს ფარგლებში. 5 მაისს დილით ჯავშანმატარებელი „ტიმოთე უღანცევი“ მიადგა ფოილოს ხიდს /144, 225/ და ქართული არმიის საგუშაგოს ცეცხლი გაუხსნა. აზერბაიჯანის წითელი ჯარის ქვედანაყოფებმა დაიკავეს სოფელი მუღანლო ბორჩალოს მაზრაში /157, 72/.საბჭოთა რუსეთის მთავრობა ამასთან ერთად თვალთმაქცობდა და საომარ მოქმედებებს საქართველოსთან საბჭოთა აზერბაიჯანს აბრალებდა, ეითომდაც საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებობდა სადაო საკითხები. ლენინის მთავრობა მე–

11 არმიის შენაერთების მონაწილეობას ბრძოლებში ჯიუტად უარყოფდა. მხოლოდ სამი ათეული წლის გასვლის შემდეგ აღიარა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ, რომ 1920 წელს საქართველოს არმიის წინააღმდეგ ძირითადად მოქმედებდა მე–11 არმიის ძალები.

დაიწყო რა შეტევა მე–11 არმიამ წითელ ხიდთან, საქართველოში მოქმედმა ბოლშევიკებმა მოაწყვეს შეიარაღებული ამბოხი მთავრობის წინააღმდეგ. მათი მიზანი იყო არეულობა და პანიკა შეექმნათ დედაქალაქში. დაეტყვევებინათ მთავრობა და გაეადვილებინათ მე–11 არმიის წინსვლა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაძლევს ქართველ ბოლშევიკთა ერთ–ერთი ლიდერი ფილიპე მახარაძე: „ეს მომენტი მეტად მოხერხებული იყო მენშევიკური ხელისუფლების დამხობისათვის. ირგვლივ მღელვარება და შფოთი სუფევდა. ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით წითელი ჯარი იდგა, სომხეთში დაშნაკების გაელენა შეირყა, რამაც ძლივს არ გამოიწვია მათი დამხობა, თვით საქართველოში მეტისმეტად დაჭიმული მდგომარეობა იყო – დიდი ცვლილებების, დიდი კატასტროფის მოლოდინში. ასეთ პირობებში დამშვიდებით და წყნარად ყოფნა ძნელი იყო; ძნელი იყო, მით უფრო, რამდენიმე წლის განმავლობაში იატაკ–ქვეშ მყოფ ორგანიზაციისათვის. ე.ი. ჩვენი საოლქო კომიტეტისთვის. მას მოუვიდა ნამდვილი ცნობა, რომ 3 მაისს, საღამოთი, მთავრობის მთელ შემადგენლობას თავი უნდა მოეყარა სახალხო სახლში; ჯარის ორი ნაწილის საშუალებით, რომლებიც ჩვენი ერთგული იყვნენ, ადვილად მოხერხდებოდა მთავრობის დატუსაღება, რასაც უნდა მოჰყოლოდა საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება და მიმართვა წითელი ჯარისადმი დახმარების აღმოსაჩენად. როგორც კი ზარბაზანი გაეარდებოდა, თბილისის მთელი ორგანიზაცია უნდა გამოსულიყო და დაეკავებინა ყველა მთავარი დაწესებულებანი. ამიტომ 3 მაისს მთელი ღამე თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია მთლად ფეხზე იდგა და მზად იყო მოქმედებისათვის. პარტიულ ორგანიზაციას ამ საქმეში

დიდ დახმარებას უწევდა ახალგაზრდა კომკავშირი, – მაშინდელი სპარტაკელები“ /109, 199/. განზრახული იყო აგრეთვე ამბოხების მოწყობა საქართველოს სხვადასხვა მაზრებშიც.

2 მაისს ბოლშევიკთა 25–30 კაციანი ჯგუფი, ცნობილი ბოლშევიკის ალექსანდრე /სანდრო/ მახარაძის ხელმძღვანელობით, თავს დაესხა თბილისის სამხედრო /იუნკერთა/ სკოლას. სკოლაზე თავდასხმა განპირობებული იყო იმით, რომ იმჟამად ეს სასწავლებელი წარმოადგენდა ყველაზე ბრძოლისუნარიან და დისციპლინირებულ ნაწილს, არამარტო თბილისის გარნიზონში, არამედ მთელ რესპუბლიკაში. სკოლის გაუნებელყოფის შემდეგ ბოლშევიკები ადვილად შეძლებდნენ თავიანთი ამოცანის შესრულებას.

3 მაისს ს.ორჯონიკიძემ მოსკოვს აცნობა, რომ არა უგვიანეს 15 მაისისა, თბილისს აიღებდა. მეორე დღეს კი ს.ორჯონიკიძემ შემდეგი შინაარსის დეპეშა გააგზავნა: „ამბები ისე დატრიალდა, რომ იმედი მაქვს თორმეტს მაინც თბილისს ვიქნეთ, საამისოდ ყველაფერი გაკეთებულია. ბრწყინვალედ გამოვა. საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა აჯანყებულთა საშინელ ხოცვა–ულეტას გამოიწვევს“ /158, 13/.

საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ მიიღო ზომები ქვეყნის დაცვისათვის. დამფუძნებელმა კრებამ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა მთავრობას ბოლშევიკებთან ბრძოლის საქმეში და მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს მთავრობას ხაზინიდან გამოყოფოდა 300 მილიონი მანეთი /159/.

მთავრობამ იმის გამო, რომ მოსახლეობა პანიკას არ მოეცვა, გაავრცელა ინფორმაცია, ვითომდაც საქართველოს ჯარებს აღმოსავლეთის საზღვარზე ეომებოდა არა რუსეთის ჯარი, არამედ აზრევეკომის შეიარაღებული ძალები. ნ.ჟორდანია ამასთან დაკავშირებით წერს: „რადგანაც მთავარი მეომარი ელემენტი იყო გვარდია, როგორც გადაჭრით ანტიბოლშევიკური, გადაეწყვიტეთ მორალი მისი გაგვემაგრებია ხმის გავრცელებით, მოდის არა რუსეთის,

არამედ აზერბაიჯანელთა ჯარი, აზერბაიჯანელთა მთავრობის ბრძანებით. ხერხმა გასჭრა. გვარდიელები ყალყზე დადგნენ, როგორ გვიბედავენ ეს „ჩაჩნები“ ომსო. პირველი შეტაკება მოხდა წითელ ხიდზე. მტერი დაამარცხა გვარდიამ, მხოლოდ გაკვირვებით ამბობდნენ – თათრები ყველა გაიქცნენ და მათ შორის არეულ რუსებმა თავი შემოგვაკლესო, მოკლულები აღმოჩნდნენ ყველა რუსი, არც ერთი აზერბაიჯანელი! ეს გარემოება ძალიან აფიქრებდა ბევრს, ვინ გვებრძვის – მართლა რუსი თუ თათარიო. საზოგადოდ რუსის შიში დიდი იყო. თუ რუსეთი დაიძრა, ვერას გავაწყობთ. საჭირო იყო დიდი მუშაობა, რომ ასეთი პანიკური განწყობა შეგვესუსტებია“ /126, 116/.

საბჭოთა რუსეთის მთავრობის მზაკერული გეგმა 1920 წლის გაზაფხულზე ვერ განხორციელდა. ქართულმა არმიამ მოიგერია მოწინააღმდეგის შეტევები წითელი და ფოილოს ხიდის რაიონებში და თავად გადავიდა კონტრშეტევაზე /100, 184/. თბილისში ბოლშევიკების შეიარაღებულმა რაზმმა სკოლა ხელში ვერ ჩაიგდო და აქედან გამომდინარე ამბოხებულებმა ქალაქში გამოსვლა ვერ გაბედეს. ეს იყო სკოლის ოფიცრებისა და იუნკრების დიდი დამსახურება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სკოლამ გადაარჩინა მთავრობა და სამშობლოს სახელმწიფო გადატრიალება თავიდან ააშორა. საქართველოს იმუამინდელი სამხედრო მინისტრი გ.ლორთქიფანიძე ამ მოვლენებთან დაკავშირებით თავის მოგონებებში წერდა: „საქართველოს აღმოსავლეთის საზღვარზე გაჩაღდა ეგრეთწოდებული აზერბაიჯან–საქართველოს ომი. ნამდვილად კი ეს იყო წმინდა რუსულ–ქართული ომი, რადგან იმავე მოსკოვის კარნახით ტფილისში შინაგანი ამბოხება უნდა მოეხდინა მის აგენტებს... საქართველოს მხედრობამ უკუაქცია და სდევნა აზერბაიჯანული პასპორტით მოსული რუსის ლაშქარი და მხოლოდ მაშინ ჩაერია ოფიციალურად მოსკოვის მთავრობა და საქართველოს მხედრობის წინსვლის შეჩერება და აზერბაიჯანთან ზავის შეკერა მოითხოვა. ამრიგად, ის ომი

რომელსაც ფორმალურად აზერბაიჯან–საქართველოს ომი ეწოდება, წარმოადგენს რუსეთის საქართველოზე აშკარა თავდასხმას“ /160, 151/.

ვ.ლენინი და ი.სტალინი 5 მაისს ს.ორჯონიკიძის სახელზე გაგზავნილ ტელეგრამაში წერდნენ: „ცკ–ა გავალებთ თქვენ გამოიყვანოთ ნაწილები საქართველოს ფარგლებიდან საზღვრისაკენ და თავი შეიკავოთ საქართველოზე შეტევისაგან.

თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ზავი საქართველოსთან არ არის გამორიცხული“ /145, 236/.

საქართველოს ირგვლივ შექმნილი რთული მდგომარეობის გამო, ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი პარიზის საზავო კონფერენციაზე ნ.ჩხეიძე 1920 წლის 5 მაისს ინგლისის დელეგაციის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნავდა, რომ ბოლშევიკებმა დაიკავეს აზერბაიჯანი, სოჭის რაიონები და, ამასთან დაკავშირებით, საქართველოს საზღვრებს ახლა საშიშროება მოელის აღმოსავლეთ და სამხრეთ–აღმოსავლეთ საზღვრებიდანო. საქართველოს მთავრობა ამასთან ერთად მოკავშირეთა უმაღ-ლეს საბჭოს სთხოვდა, დაეჩქარებინა საქართველოში იარაღისა და აღჭურვილობის გაგზავნა /68, 202–203/. ასეთ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში საქართველოს მთავრობას დამოუკიდებლობის დაცვის საიმედო გარანტად საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება მიაჩნდა. ამ მისიით მოსკოვში გაემგზავრა მთავრობის რწმუნებული, დამფუძნებელი კრების წევრი, გრიგოლ ურატაძე. ნ.ჟორდანიას მთავრობამ მიაღწია მიზანს; გ.ურატაძისა და რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ლევ კარახანის ხელმოწერით 1920 წლის 7 მაისს რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ხელშეკრულების მეორე მუხლით რუსეთმა აიღო ვალდებულება არ ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში. ეს ხელშეკრულება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია /161, 223–225; 336–345/. მან განამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლობის სამართლებლივი სტატუსი საერთაშორისო მაშტაბით და გაზარდა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მსოფლიოს სახელმწიფოთა ნდობა /162, 193/, მაგრამ ამასთან ერთად ხელშეკრულებას უარყოფითი შედეგებიც ჰქონდა, კერძოდ შექმნა ხელხაყრელი წინა პირობები საქართველოს დასაპყრობად /163, 13–14/. /ხელშეკრულების ავკარგიანობა საფუძვლიანად აქვთ შესწავლილი ლ.თოიძესა და პ.სურგულაძეს, ჩვენს მიერ მითითებული ლიტერატურის 161, 162 და 163 ნომრებზე მოთავსებულ შრომებში/.

მიუხედავად იმისა, რომ ორ მხარეს შორის დაიდო ხელშეკრულება, ბრძოლები სასაზღვრო რაიონში ისევ გრძელდებოდა. საქართველოს მთავრობის მოთხოვნებზე შეეჩერებინათ საბრძოლო ოპერაციები, მოსკოვი პასუხობდა, რომ ეს იყო „ადგილობრივი ინციდენტი“. მდგომარეობას ართულებდა ქართველი ბოლშევიკების ს.ორჯონიკიძის, ფ.მახარაძის, მ.ორახელაშვილის და მათი თანამოაზრეების ანტიეროვნული და კოსმოპოლიტური კურსი, რომლებიც ყოველმხრივ აფერხებდნენ რუსეთ–საქართველოს ურთიერთობის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებას და მათ შორის არსებულ საშხედრო კონფრონტაციას კიდევ უფრო აღრმავებდნენ. ს.ორჯონიკიძემ ყოველმხრივ დააბრკოლა 7 მაისის ხელშეკრულების დადება, მაგრამ, როგორც კი დაიდო მისი ნება–სურვილის საწინააღმდეგოდ, იგი „ფარატინა ქაღალდად“, პოლონეთის წინააღმდეგ „ლენინურ შესვენებად“ და საქართველოს მთავრობის „პროვოკაციების ალაგმვის“ საშუალებად მიიჩნია.

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარი კონფლიქტის შესახებ ყურადღებას იპყრობს რუსულ ენაზე შედგენილი რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც მოგვყავს სრული სახით:

ამრიგად, 1920 წლის 28 აპრილს რუსეთმა ამიერკავკასიაში ფეხი შემოდგა და აზერბაიჯანი ისევ

რუსეთის გაელენის სფეროდ იქცა. აზერბაიჯანის ხელისუფლების სათაეეში მოსული ბოლშეეიკები აქტიურად ჩაებნენ საქართვეელოს წინააღმდეგ ომში.

მიუხედავად მოვლენების ამდაგვარი ტრაგიკული განვითარებისა, აზერბაიჯანის ეროვნული ძალები განაგრძობდნენ ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობის აღსადგენად.

თავი მეშვიდე
აზერბაიჯანელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და საქართველო

აზერბაიჯანის მოწინავე საზოგადოება და ჯანსაღად მოაზროვნე პოლიტიკოსები ცხადია, ვერ ეგუებოდნენ საბჭოთა რუსეთის მიერ თავისი ქვეყნის ოკუპაციას. აზერბაიჯანში თანდათან იზრდებოდა უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. მიუხედავად ქვეყნის ოკუპაციისა, საბჭოთა ხელისუფლების გაბატონება რთულ პოლიტიკურ და სამხედრო ვითარებაში მიმდინარეობდა. აზრევკომის მდგომარეობა ქალაქებში და სოფლებში არ იყო მყარი. აქ ჯერ კიდევ ძლიერი იყო მიწათმფლობელებისა და ძველი ხელისუფლების გავლენა. სწორედ მათ უჭერდა მხარს მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელსაც საბჭოთა ისტორიოგრაფია „ბნელ მუსულმანურ მასებს" უწოდებდა. დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლები სოფლებში ეწეოდნენ ფართო აგიტაციას, მოუწოდებდნენ მოსახლეობას გამოსულიყვნენ საბჭოთა ხელისუფლებისა და წითელი არმიის წინააღმდეგ. ერცელდებოდა არც თუ უსაფუძვლო ხმები, რომ ბოლშევიკები ანგრევდნენ მეჩეთებს და ბილწავდნენ მუსულმანთა სიწმინდეებს. სასულიერო პირები ცდილობდნენ მუსულმანთა დარაზმვას და მოუწოდებდნენ მათ დაეწყოთ „საღვთო ომი" ბოლშევიკების წინააღმდეგ /45, 289/.

პერიფერიებში მოსახლეობის დაბალ ფენებში არ იგრძნობოდა პოლიტიკური აქტიურობა. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებში სამუშაოდ იშვიათად მიდიოდნენ გლეხები და მუშები. ამიტომ ხელმძღვანელი თანამდებობები ისევ ძველი მთავრობის მოხელეებს ეკავათ. ასეთი სიტუაცია იყო შექმნილი განსაკუთრებით ყარაბაღის, ლენქორანისა და გეოკჩაის რაიონებში. ძველი მთავრობის მოხელეები ანტაგონისტურად იყენენ განწყობილი აზერბაიჯანის ახალი მარიონეტული მთავრობის მიმართ, ცდილობდნენ ჩაეშალათ აზრევკომის ღონისძიებები,

ეწეოდნენ ანტისაბჭოთა აგიტაციას, აერცელებდნენ ხმებს, რომ აზერბაიჯანში დაემხობოდა საბჭოთა ხელისუფლება და რესპუბლიკას მალე დაიკავებდანენ ინგლისისა და თურქეთის ჯარები.

აჯანყების სულისჩამდგმელები იყენენ მუსავატური ხელისუფლების ის წევრები, რომლებიც დაპატიმრებას გადაურჩნენ. მათმა დიდმა ნაწილმა თავი საქართველოს შეაფარა და განაგრძობდა ბრძოლას კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის. 1920 წლის მაისში, ანტანტის სახელმწიფოების დახმარებითა და საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით თბილისში ჩამოყალიბდა აზერბაიჯანის ხსნის კომიტეტი. ამ კომიტეტს სათავეში ედგნენ მუსავატური მთავრობის ყველაზე რადიკალური ფრთის წარმომადგენლები – შ.რუსტამბეკოვი და გენერალი ზეინალოვი. ეს პირები, დიდი ავტორიტეტით და სიმპათიით სარგებლობდნენ ქართველ მენშევიკებს შორის. აჯანყების მართვის ძირითადი ცენტრი სწორედ ეს კომიტეტი უნდა გამხდარიყო. საქართველოს მთავრობასთან ფარული გარიგებით, ინგლის–საფრანგეთის დაფინანსებითა და მფარველობით კომიტეტის წევრები შეუნელებლად ეწეოდნენ აზერბაიჯანში ანტისაბჭოთა გამოსვლების მომზადებას. ამ საქმიანობაში განსაკუთრებულ აქტიობას იჩენდა ამიერკავკასიაში საფრანგეთის სამხედრო მისია.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ანტანტის ქვეყნების პოლიტიკის უდიდეს მარცხს ნიშნავდა. მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ბაქოს ნავთობზე კონტროლის აღდგენას, არამედ იმასაც, რომ ბოლშევიკურ რუსეთს აღეკვეთებოდა ფეხი ამიერკავკასიიდან.

აჯანყების უშუალო ორგანიზაცია დაკისრებული ჰქონდა ყოფილი მეფის არმიის ოფიცერს, რომელსაც კონსპირაციის მიზნით „X“ უწოდებდნენ. სამწუხაროდ, ჩვენთვის ამჟამად უცნობია ამ პიროვნების ვინაობა. X–ის მეთაურობით რკინიგზის ხაზებზე თავს იყრიდნენ აჯანყებულთა რაზმები. მათ უნდა გადაეჭრათ რკინიგზები,

ტელეფონის ხაზი, ხელთ ეგდოთ სარკინიგზო სადგურები. აჯანყების გეგმას გაცნობილი იყო აგრეთვე ყირიმის თეთრგვარდიული არმიის შტაბი. საქართველოს მთავრობას, სწორედ ამ ხანებში გადაეცა დენიკინელი გენერალ ი.ერდელის ჯარებიდან 6000 თოფი, 150 ტყვიამფრქვევი, 13 ქვემეხი და 2 ტანკი /44, 158/. საბჭოთა ისტორიოგრაფიის ცნობით, მენშეეიკური მთავრობა ოფიციალურ პრესაში ეწეოდა აზერბაიჯანსა და კავკასიის სხვა ნაწილებში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის პროპაგანდას. მისი უაღრესად პასუხისმგებელი მოხელეები, როგორც მაგალითად საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანში, უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას აჯანყების მზადებაში /164, 330/.

აზერბაიჯანის ხსნის კომიტეტს `გააჩნდა თავისი აგენტურული ქსელი ოკუპირებულ აზერბაიჯანში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მუსავატელთა დასაყრდენი იყო არა მარტო საფინანსო-სამრეწველო წრეები და თავადაზნაურობა, არამედ მოსახლეობის ფართო ფენებიც. ასე მაგალითად, გლეხობის ერთმა ნაწილმა უარი განაცხადა დაეხნა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მემამულეებისათვის ჩამორთმეული მიწები /47, 278/. აზერბაიჯანის ცალკეულ მაზრებში მოქმედებდნენ მუსავატისტთა შეიარაღებული რაზმები და რუს ოფიცერთა ჯგუფები /ე.წ. დენიკინელები/, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ აზერბაიჯანის რევკომს და მე-11 არმიის ნაწილებს თავს ესხმოდნენ ადგილობრივ საბჭოთა დაწესებულებებს და წითელი არმიის ქვედანაყოფებს.

რთული მდგომარეობა ჰქონდა აზრევკომს შეიარაღებულ ძალებშიც. საბჭოთა ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა სომხეთის ფრონტზე მოქმედი მუსაეატური მთავრობის ჯარები, რომლის გაუნებელყოფა მე-11 არმიამ და აზერბაიჯანის რევკომმა ვერ შეძლო, რადგან მათი რიცხვი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 20 000 კაცს აღწევდა. გარდა ამისა მუსავატური არმიის იმ ნაწილებშიც, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ აზერბაიჯანის წითელ არმიაში გააერთიანა, მრავალად იყვნენ მეფის რუსეთის

არმიის ყოფილი ოფიცრები. ისინი თავის მხრივ ჯარებში ეწეოდნენ ანტისაბჭოთა პროპაგანდას და ამზადებდნენ შეიარაღებულ გამოსვლას.

როგორც აღინიშნა აზერბაიჯანის არმიაში არაერთი ქართველი ოფიცერი მსახურობდა. ისინი თავისი სამშობლოს პატრიოტები იყვნენ და ამას საქმით ამტკიცებდნენ: საბჭოთა აზერბაიჯან–საქართველოს დაპირისპირების დროს, განჯაში შეიკრიბა 11–12 ქართველი ოფიცერი. მათ ფიცი დადეს, რომ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდნენ მონაწილეობას სამშობლოს წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში და, თუ საჭირო იქნებოდა მსხვერპლადაც კი შეეწირებოდნენ ამ საქმეს. განსაკუთრებით აქტიურობდა აზერბაიჯანის არმიის №2 ჯავშანმატარებლის ინსტრუქტორი კანდელაკი. ოფიცრებმა ეს გადაწყვეტილება, შეატყობინეს დივიზიის მეთაურს გენერალ ჯ.შიხლინსკის, რომელმაც ნაცვლად იმისა, რომ ანგარიში გაეწია აღნიშნული გადაწ-ყვეტილებისათვის დააპატიმრა ისინი. ჯ.შიხლინსკის ბრძანებით სულ 23 ქართველი ოფიცერი დააპატიმრეს და გაგზავნეს ბაქოში. მათ ერთი პერიოდი დახვრეტასაც კი უპირებდნენ, მაგრამ საბედნიეროდ ქართველი ბოლშევიკების ბ.ნანეიშვილისა და ჩხეიძის შუამდგომლობით განთავისუფლდნენ ბაქოს ციხიდან /165/. ტყვეობიდან განთავისუფლებული იქნა აგრეთვე 40 ქართველი ოფიცერი, რომელთაც ებრძანათ დაბრუნებოდნენ თავიანთ ნაწილებს /166/. განჯისა და ყაზახის მაზრებში ბოლშევიკების მიერ ქართველი ოფიცრების დაპატიმრება სამართლიან გაღიზიანებას იწვევდა მოსახლეობაში. მოკლე დროის მიუხედავად, ქართველებმა თავიანთი კეთილსინდისიერი და ერთგული სამსახურით დიდი ნდობა დაიმსახურეს აზერბაიჯანელთა თვალში. 1920 წლის 15 ივლისს გ.ალშიბაიას მოთხოვნით კიდევ 56 ქართველი მოქალაქე განთავისუფლდა ტყვეობიდან. მათ შორის იყო ცნობილი პოლკოვნიკი ხორონოვი. ბოლშევიკებმა გადადეს 3 ოფიცრის ავალიანის, ბაბულაიშვილისა და დვალის გათავისუფლება /167/. 1920 წლის 12 აგვისტოსთვის ქ.ბაქოში მცხოვრები

41 ქართველი მოქალაქე ითვლებოდა სამხედრო ტყვედ. /168/ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველები, რომლებიც აზერბაიჯანის სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურებში მსახურეობდნენ, გასაბჭოების შემდეგაც აგრძელებდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას, აქედან გამომდინარე ბევრი მათგანი ამ დროისათვის, თავისდა უნებურად, საქართველოს მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა. საქართველოს თავდაცვის საბჭომ მათ მიმართ 1920 წლის 24 მაისს სპეციალური დადგენილება მიიღო, სადაც ხაზგასმული იყო: „საქართველოს ყველა ქვეშევრდომნი, რომლებიც დღეს მსახურობენ საბჭოთა აზერბაიჯანის დაწესებულებებში და უწევენ მას ამა თუ იმ დახმარებას საქართველოს წინააღმდეგ ომის წარმოებაში, გარდა კანონის წინაშე პასუხისმგებლობისა, გაძევებულნი იქნებიან საქართველოდან, ხოლო მათ ქონებას გაუკეთდება კონფისკაცია“ /169/.

ეროვნულ–განმათავისუფლებელმა მოძრაობამ აზერბაიჯანში, მესამე და მეექვსე თავში აღნიშნული მიზეზების გამო, მხარდაჭერა არ ჰპოვა თურქეთისა და სომხეთის მხრიდან. უფრო მეტიც თურქეთის ხელისუფლება საბჭოთა რუსეთისაგან ახალი დახმარებების მიღების იმედით სოლიდარობას უცხადებდა ბოლშევიკებს აჯანყებულებთან ბრძოლაში. მუსტაფა ქემალ ათათურქი 1920 წელს თავის ერთ–ერთ გამოსელაში, შეეხო რა საბჭოთა რუსეთ–პოლონეთის ომს, სინანულით აღნიშნავდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოსათვის ასეთ მძიმე პერიოდში ინგლისელთა წაქეზებით აზერბაიჯანის მუსავატურმა მთავრობამ თავის თანამზრახველებთან ერთად მოაწყო კონტრრევოლუციური აჯანყება განჯაში, ბოლშევიკთა ჯარების ზურგში /170, 102/. მიუხედავად ამისა, თურქეთის არმიის მეთაურთა მცირე ნაწილმა პირადი ინიციატივით, მაინც მიიღო მონაწილეობა 1920 წელს აზერბაიჯანში მომხდარ შეიარაღებულ გამოსელაში.

რაც შეეხება სომხეთის რესპუბლიკას. აზერბაიჯანთან მისი მუდმივი დაპირისპირების პირობებში,

გამორიცხული იყო აჯანყებულებისათვის დახმარების გაწევა. თუმცა მ.ისკანდეროვი 1958 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში ამტკიცებს, რომ ყარაბაღში მომხდარი აჯანყების დროს მუსავატელებმა და დაშნაკებმა მიაღწიეს შეთანხმებას ეწარმოებინათ ერთობლივი საბრძოლო მოქმედებები წითელი არმიისა და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების წინააღმდეგ /67, 484/.

არ იყო მოსალოდნელი, რომ აჯანყებულებს დახმარებას გაუწევდა ირანი, ვინაიდან 1920 წლის 18 მაისს მე-11 წითელი არმიის ნაწილები, ბაქოს დაცვის მოტივით, შევიდნენ ირანში. ამას მოჰყვა საბჭოთა რუსეთსა და ირანს შორის ხელშეკრულების დადება /153, 161/. იმ დროისათვის ირანში მეტად რთული ეკონომიკური მდგომარეობა იყო შექმნილი, მაგრამ, ამის მიუხედავად, ინგლისელებმა მაინც არაერთხელ სცადეს გამოეყენებინათ ირანის ტერიტორია პლაცდარმად აზერბაიჯანიდან საბჭოთა რუსეთის განსადევნად.

პირველი და ყველაზე დიდი შეიარაღებული გამოსვლა, რომელიც მოეწყო აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით, იყო ქ.განჯა. თუმცა, ცალკეული შეტაკებები სხვა მაზრებში 20-23 მაისსაც მოხდა. განჯის აჯანყება უნდა ყოფილიყო ერთგვარი სიგნალი მთელ აზერბაიჯანში საერთო აჯანყების დასაწყისის.

15-26 მაისს განჯაში თავი მოიყარეს მუსავატური მთავრობის ყოფილმა წევრებმა, აქტიურად მუშაობდა აზერბაიჯანის ხსნის კომიტეტი. ამასთან დაკავშირებით გ.ხაჭაპურიძე თავის ნაშრომში წერს: „ეს ამბოხება თბილისში მზადდებოდა. ბათუმში მიმდინარეობდა ანტანტის დიდი სამხედრო საზღვაო ძალების კონცენტრაცია, რაც იმას მოწმობდა, რომ ანტანტას აგრესიული გეგმა ჰქონდა და ამ გეგმის განხორციელება განზრახული იყო საქართველოს მეშვეობით“ /171, 310/.

აჯანყებულთა ძირითად ძალას წარმოადგენდნენ ყარაბაღის ფრონტზე მოქმედი ჯარის ნაწილები, რომელსაც

გენერალი ჯავად ბეგ შიხლინსკი მეთაურობდა. ამის გარდა იყო აგრეთვე სხვა ცალკეული რაზმებიც. აჯანყების უშუალო ორგანიზატორები იყვნენ ფ.ხან ხოელი, მისი ძმა – სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი რუსტამ ხან ხოელი /143, 108/ და ჰუსეინ ყული ხანი. არტილერიის მეთაურად დანიშნული იყო მოხალისეთა არმიის პოლკოვნიკი ნიკოლაევი. მათ დახმარებას უწევდნენ გენერალი ნური ფაშა და თურქეთის სამხედრო ატაშე საქართველოში პოლკოვნიკი ქიაიზიმ ბეი /ქიაიზიმბეიოვი/ /172, 691/.

შეიარაღებული გამოსვლა განხორციელებული იქნა წინასწარ მომზადებული გეგმის მიხედვით. მოვლენებამდე რამოდენიმე დღით ადრე განჯის დასავლეთით 20 კილომეტრში, ნიუზგერის რაიონში თავი მოიყარეს აჯანყებულთა შეიარაღებული რაზმების საკმაო ძალებმა. მათ განკარგულებაში იყო 2 საველე ქვემეხი და ტყვიამფრქვეევები. დაზვერვის უზრუნველყოფის შემდეგ გაგზავნილი იქნა მზვერავთა ჯგუფები ქალაქის ჩრდილოეთით და სოფ. ბოლჩალში. მეთაურები უცდიდნენ ხელსაყრელ მომენტს განჯაზე იერიშის მისატანად.

აჯანყებულთა ხელმძღვანელებმა შეიარაღებული გამოსვლისათვის შესაფერისი დრო შეარჩიეს. ძირითადი ძალა, რომელიც მათ დაუპირისპირდებოდა, იყო მხოლოდ მე–11 არმიის ნაწილები. ეს არმია კი იმჟამად ძალიან სუსტი იყო. მე–11 არმიის ჯარებმა, რამოდენიმე თვის განმავლობაში, მკაცრი ზამთრის პირობებში, თითქმის განუწყვეტელ ბრძოლებში ჩაატარეს უმძიმესი ლაშქრობა ასტრახანიდან დაწყებული, აზერბაიჯანზე გავლით, დამთავრებული საქართველოს საზღვრებამდე. ზოგიერთი დივიზია თავის შემადგენლობაში ნორმალურად დაკომპლექტებულ პოლკზე უფრო ცოტა მებრძოლს ითვლიდა. ჯარის ერთი ნაწილი აზერბაიჯანში შევიდა შეუსვენებლად პოლონეთის და ყირიმის ფრონტებიდან. საბრძოლო მოქმედებების წარმოებისათვის არმიის მომარაგება ცუდად იყო მოწესრიგებული, რადგან საბჭოთა რუსეთი იმ ხანებში საერთო სირთულეებს განიცდიდა. ცუდი

მომარაგების მიზეზი ისიც იყო, რომ მომმარაგებელი ბაზები არმიის ზურგიდან საკმაო მანძილით იყო დაშორებული. წითელი არმიელების უმრავლესობა განიცდიდა ტანსაცმლისა და განსაკუთრებით ჩექმების უქონლობას /153, 155/. მე–11 არმიის სარდლობას არ ჰქონდა პერსპექტივა იმისა, რომ უახლოესი დროის განმავლობაში მიიღებდა დამხმარე ძალებს, ვინაიდან წითელი არმიის მთავარი ძალები იმ დროისათვის ჩაბმული იყვნენ პოლონეთთან და გენერალ პ.ვრანგელის ჯარებთან ომებში.

გარდა ამისა, მე–11 არმიის ნაწილები 2 მაისიდან მოყოლებული აწარმოებდნენ სისხლისმღვრელ ბრძოლებს ქართულ არმიასთან წითელი ხიდისა და ფოილოს ხიდის მიდამოებში. საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა საქართველოსა და რუსეთს შორის 7–12 მაისს დადებული ხელშეკრულებითაც ვერ მოხერხდა. საქართველოს საზღვრებთან თანდათან თავი მოიყარეს მე–11 არმიის მნიშვნელოვანმა ძალებმა, რომლებიც აზერბაიჯანის სხვადასხვა რაიონებიდან იქნენ გადმოსროლილი. აქედან გამომდინარე ძალზედ დასუსტდა წითელი არმიის დაჯგუფება აზერბაიჯანში.

საქართველოს ხელისუფლება, რასაკვირველია, გაცნობილი იყო აჯანყებულთა გეგმას. უფრო მეტიც, გენერალი გ.კვინიტაძე თავის მოგონებებში აღნიშნავდა: „ჩვენ გვქონდა ადერბაიჯანელებთან დადებული პირობა, რომ ისინი მოახდენდნენ რუსების ზურგში აჯანყებას, რაც, მართლაც, მოახდინეს 25 მაისს განჯაში“ /173, 12/. რუსეთის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი საქართველოში სერგეი კიროვი 1920 წლის 10 იენისს ვ.ლენინისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში წერდა: „არის მონაცემები, ვიფარაუდოთ, რომ განჯაში აზერბაიჯანის მუსავატელების გამოსვლა გულმოდგინედ მზადდებოდა თბილისში“ /14, 579/. ქართველი მხედართმთავრების ერთ ნაწილს განზრახული ჰქონდა გამოეყენებინა განჯის აჯანყება, მე–11 არმიის სისუსტე და ფართომაშტაბიანი შეტევით განედევნათ ბოლშევიკები აზერბაიჯანიდან. ამ ფაქტს ადასტურებს

საბჭოთა ისტორიოგრაფიაც: „მენშევიკურ შეიარაღებულ ძალთა მნიშვნელოვანი ნაწილების თავმოყრა საზღვარზე გამოწვეული იყო არა მარტო „თავდაცვითი“ ხასიათის მოსაზრებებით, – მას სხვა დანიშნულებაც ჰქონდა. ...მენშევიკურმა სარდლობამ იმ მოსაზრებით მოუყარა თავი თავის დიდძალ შეიარაღებულ ძალებს, საზღვრებთან – აჯანყების კერათა მისადგომებთან, რომ საჭიროების შემთხვევაში დახმარება აღმოეჩინა მუსავატელი მეამბოხეებისათვის“ /11, 174–175/.

საქართველოს მხრიდან, განჯის აჯანყების მხარდაჭერამ გააღიზიანა რკპ(ბ) ცკ–ის კაბინეტოროს წევრები. მათი აზრით, აღნიშნული პროცესიდან საქართველოს გამოთიშვის გარეშე საკმაოდ გაჭიანურდებოდა აჯანყების ლიკვიდაცია. ს.ორჯონიკიძე და ს.კიროვი 1920 წლის 7 მაისს ვ.ლენინს, ი.სტალინსა და გ.ჩიჩერინს წერდნენ: „საქართველოს გარეშე აზერბაიჯანის შენარჩუნება შეუძლებელია, ის აგრესიულ ზომებს იღებს აზერბაიჯანის წინააღმდეგ, „ხელს გვიშლის კავკასიაში“ /158, 25/.

აზერბაიჯანის საზღვართან ქართული არმიის 4 მსხვილი დაჯგუფება შეიქმნა. 16 მაისისათვის დასრულდა რეგულარული არმიის ნაწილებისა და სახალხო გვარდიის ბატალიონების მობილიზაცია. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მოთხოვნით აქ გადასროლილი იქნა აგრეთვე ქართული სამხედრო სკოლა. შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი გიორგი კვინიტაძე პირადად ჩაუდგა სათავეში ქართული არმიის აღმოსავლეთის ჯარების დაჯგუფებას. საბჭოთა ისტორიოგრაფიის ცნობით ქართული არმიის აღმოსავლეთის დაჯგუფება 10000–მდე კაცს ითვლიდა /11, 173–174/, ხოლო გენერალ გ.კვინიტაძის ცნობით 40000 /173, 12/.

19 მაისს დაგეგმილი იყო ქართული არმიის საერთო შეტევაზე გადასვლა მთავარსარდალმა ბრძანება ამის შესახებ 18 მაისს გასცა /100, 192; 143, 48/. გ. ა. ვინიტაძე ამასთან დაკავშირებით წერდა: „დადგა ერთ–ერთი ის მომენტი, როდესაც წყდებოდა სახელმწიფოს ბედი. საჭირო

იყო გაბედული გადაწყვეტილების მიღება. ვიყავით თუ არა ჩვენ მზად ამგვარი შეტევისათვის? მე მინდა ვაღიარო, რომ შექმნილი მდგომარეობის მიხედვით, ჩვენ მზად ვიყავით" /100, 189/.

ნ.ჟორდანიას თანხმობის შემდეგ, საქართველოს სამხედრო მინისტრმა გ.ლორთქიფანიძემ და გენერალმა გ.კვინიტაძემ შეტევის წინ დაათვალიერეს წინა პოზიციებ'ზე განლაგებული ჯარის ნაწილები. სამხედრო მინისტრი ძალზედ კმაყოფილი დარჩა რეგულარული არმიის ნაწილების დისციპლინით /147, 48; 100, 190–192/.

ასეთ ვითარებაში მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ: სადალახო'ში მყოფმა მთავარსარდალმა მიიღო მთავრობის თავმჯდომარის ტელეგრამა, სადაც ნაბრძანები იყო, რომ შეეწყვიტა საბრძოლო მოქმედებები და დაეწყო სამშვიდობო მოლაპარაკება მოწინააღმდეგე მხარესთან. გ.კვინიტაძე, ამასთან დაკავშირებით, აღნიშნავდა: „19 მაისს, 12 დღის შემდეგ ბოლშევიკებთან ხელშეკრულების დადებისა, სადალახო'ში მივიღეთ ნ.ჟორდანიას ბრძანება ომის შეჩერებისათვის. ...ერთ ღამეში მოხდა უმიზეზოდ ცვლილება" /173, 12/. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის თარიღთან მიმართებით არსებობს სხვა თვალსაზრისიც. ნ.მირიანაშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ მთავრობის თავმჯდომარემ საბრძოლო მოქმედების შეწყვეტის ბრძანება გასცა 15 მაისს /157, 72–73/.

მთავარსარდალმა თავის მხრივ თვითონაც დაუყოვნებლივ დააგზავნა ჯარის ნაწილებში შესაბამისი ბრძანება. პირველ ჯგუფში გ.კვინიტაძის ბრძანება მაშინ მივიდა, როდესაც ჯარებს უკვე დაწყებული ჰქონდათ მოძრაობა. ჯგუფის მეთაური გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე ამასთან დაკავშირებით წერს: „15 საათზე გამოვედი სადალახოდან, უკვე ცხენზე ვიჯექი და ჩემს წინ გავატარე სამხედრო სკოლა, რომელიც წინმავალში იყო დანიშნული,

რომ მოირბინა პოლკოვნიკმა ნიკოლოზ გედეევანიშვილმა* და გადმომცა მთავარსარდლის ბრძანება: – „განსაკუთრებულ ბრძანებამდე შესრულებული არ იქნეს საბრძოლო ბრძანება“. ეს იყო ფაქტი, მაგრამ მას დიდი შედეგები ჰქონდა“ /147, 48/.

გენერალური შტაბის უფროსის გენერალ ა.ზაქარიაძის აზრით, საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა განპირობებული იყო იარაღისა და ტყვია–წამლის სიმცირით /140, 52/. ა.ზაქარიაძისაგან განსხვავებით, სრულიად სხვა სურათს ხატავს გ.კეინიტაძე. თუმცა ისიც ვერ უარყოფს, რომ არმიაში იყო ტყვია–წამლის ნაკლებობა და აღნიშნავს: „შედარებით სუსტად იდგა საკითხი ტყვიების შესახებ“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ოპტიმისტურად იყო განწყობილი: „ასეა თუ ისე საბრძოლო მარაგი საკმარისი იყო, რათა ბოლშევიკები გაგვედევნა ამიერკავკასიიდან; მე დარწმუნებული ვიყავი, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობა მხოლოდ ბიძგს ელოდა და ის აჯანყდებოდა“ /100, 189–190/.

ნიშანდობლივია აგრეთვე მთავარსარდლის კიდევ ერთი თვალსაზრისი ამ საკითხზე: „ვფიქრობ, რომ ჩვენს გამარჯვებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ჩრდილო კავკასიელების აჯანყება ბოლშევიკების წინააღმდეგ. როგორც აზერბაიჯანში, აი, როდის დავკარგეთ ჩვენ სამშობლო და არა 1921 წელს“ /173, 12/.

შეტევაზე გადასვლის მომხრე იყო აგრეთვე გენერალი ა.ჩხეიძეც, რომელიც აღნიშნავს: „ამ მომენტიდან ბოლშევიკები გადარჩენილი იყვნენ და საქართველო განწირული დასაღუპავად. – ეს შეიძლება ისტორიულ დღედ ჩაითვალოს და მთავრობის განკარგულება – საშინელ შეცდომად. მთავარსარდალი ტფილისს წავიდა, გლეჯდა იქაურობას, მაგრამ ვერაფერს გახდა. მთავრობა დასთანხმდა

---

* პოლკ. ნ.გედეევანიშვილს იმჟამად ეკავა გენერალური შტაბის უფროსის თანაშემწის თანამდებობა.

ბოლშევიკების წინადადებაზე – დაეწყოთ მოლაპარაკება. ...ჩვენ შევკარით ზაეი და ბოლშევიკები გავიხადეთ ჩვენს მეზობლად; მიეეცით შინაურ ბოლშევიკებს ლეგალური მუშაობის საშუალება და, ამგვარად, მოვამზადეთ 1921 წლის დამარცხება“ /147, 48/.

20–26 მაისს ფრონტის ხაზზე შიხილოში მიმდინარეობდა ქართული არმიისა და აზრევკომის წარმომადგენელთა მოლაპარაკებები საომარი მოქმედებების შეწყვეტასთან დაკავშირებით. ქართული მხარე იძულებული გახდა გამოეყვანა არმიის ნაწილები აზერბაიჯანის ტერიტორიიდან. 23 მაისს ვ.ჯუღელმა აშასთან დაკავშირებით შემდეგი ჩანაწერი გააკეთა თავის დღიურში: „ჩვენ ძალიან ხელსაყრელი მდგომარეობა გვაქვს და იოლად შეგვიძლია მოწინააღმდეგის ფრონტის გარღვევა. ...მაგრამ ახლა ჩვენ მივიღეთ ქაღალდი: თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით დავახევინოთ ჯარებს თბილისის გუბერნიის საზღვრებამდე. ჩვენ ფრონტელებს მთავრობის ეს დამთმობლური მოქმედება არ გვესიამოვნა, მაგრამ მაინც ვაუწყეთ აზერბაიჯანის დელეგაციას ამ გადაწყვეტილების შესახებ“ /43, 219/.

ეფიქრობთ, რომ შეტევის შეჩერების ბრძანება პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. საქართველოს მთავრობისათვის უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის იურიდიულ აღიარებას საბჭოთა რუსეთის მიერ, რაც ვ.ლენინის მთავრობამ 7 მაისის ხელშეკრულების პირველსავე მუხლში დაადასტურა. საქართველოს ხელისუფლება ამის შემდეგ მოერიდა შემდგომი ურთიერთობების გამწვაეებას საბჭოთა რუსეთთან და ეს იყო ძირითადი მიზეზი ჯარებისადმი 19 მაისს გაცემული ბრძანებისა.

საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტით დაინტერესებული იყო აგრეთვე თვით ლენინის მთავრობაც, რადგან მის წინაშე მაშინ არაერთი რთული პრობლემა იდგა – ომი პოლონეთთან და გენერალ პ.ვრანგელის ჯარებთან. ახალი სერიოზული საომარი კერის გაჩენა რუსეთისათვის კი

მეტად სარისკო საქმე იყო.

საქართველოს ხელისუფლებამ უმალვე გამოძებნა საომარი მოქმედებების შეწყვეტის საბაბი – იარაღისა და ტყვია–წამლის სიმცირე. ამან თავის მხრივ ქართველ გენერალთა შორის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი წარმოშვა. საომარი მოქმედებების შეწყვეტას, ცხადია, იმ მხედართმთავრებმა დაუჭირეს მხარი, რომლებიც მმართველი პარტიის .პოლიტიკის გამტარებლები იყვნენ არმიაში, მათ რიცხვში იყო ა.ზაქარიაძეც. რაც შეეხება გ.კვინიტაძეს, იგი სოციალ–დემოკრატიული პარტიის ლიდერებთან მუდმივ დაპირისპირებაში იყო და იმჟამად წმინდა სამხედრო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. 19 მაისის მთავრობის განკარგულება, გ.კვინიტაძის აზრით, არა სამხედრო, არამედ პოლიტიკური შეცდომა იყო: „საბჭოთა მოქმედებების შეწყვეტას მე ძალიან დიდ პოლიტიკურ შეცდომად ვთვლი. არ დავიწყებ მარჩიელობას, თუ რა მოხდებოდა, მაგრამ ვიტყვი, რომ ეს იყო ის მომენტი, როდესაც ბოლშევიკები ყველაზე უფრო სუსტები იყვნენ ამიერკავკასიაში. ... დაიკავეს რა ბაქო ბოლშევიკებმა და დაიძრნენ თბილისისაკენ, ისინი სრულებით არ ფიქრობდნენ იმას, რომ პირველსავე მარცხის შემდეგ უარს იტყოდნენ მთელ ამიერკავკასიის მფლობელობაზე. ნათელი იყო, რომ ისინი გაიმეორებდნენ თავიანთ მცდელობას. და თუ ეს ასეა, ამიტომ მასთან უნდა გვეომა მაშინ, როდესაც ისინი სუსტები იყვნენ, როცა მდგომარეობა ასე ხელსაყრელი იყო ჩვენთვის. ახლად დაკავებულ აზერბაიჯანში ხელისუფლების სისუსტე, მათი ძალების სიმცირე /ამ ფრონტზე იყო მხოლოდ წითელი არმიის 3–4 დივიზია/, მტრულად განწყობილი მოსახლეობა /განჯის აჯანყება/, აზერბაიჯანის არმიის სიმპატიები ჩვენს მიმართ, ომები პოლონეთთან და ვრანგელთან, ყველაფერი ეს არ შეიძლება არ ჩაითვალოს იშვიათ ხელსაყრელ პირობებად.

ბოლშევიკები თავის დროზე ვერ შეძლებდნენ ჯარების გადასროლას იმდროინდელი ტრანსპორტის პირობებში და მომზირებული საბრძოლო მოქმედებების გამო. ჩვენი

წარმატებული შეტევა ბაქოზე აუცილებლად გამოიწვეეღა მთიელების აჯანყებას და აქედან გამომდინარე შეწყდებოდა კავშირი რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის. შეიძლება მე ვაჭარბებდე სასიკეთო მონაცემების ჩვენებას, დაე, მომავალი თაობის ობიექტურმა ისტორიამ, მიუკერძოებლად აწონ-დაწონოს და გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება" /100, 193-194/.

უფრო მკაცრად აკრიტიკებს მთავრობის პოლიტიკას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი რევაზ გაბაშვილი: „ადერბაიჯანს არ დაეხმარნენ არც მაშინ, როცა პირველად მოადგნენ ბოლშევიკები, თუმცა „სამხედრო კავშირი" გექონდა მასთან და არც მეორედ, როცა პირველად ამ რიცხვის /და უკანასკნელად/ ჩვენმა 40.000-ანმა ჯარმა კვინიტაძის სარდლობით, სასტიკად დაამარცხა იქაური ბოლშევიკები და ბაქომდინ, ბაქოს იქითაც დევნის მაგიერ, მთელი ადერბეიჯანის გაწმენდით, - დამარცხებული ზავი ჩამოაგდეს რუსეთის ბოლშევიკებთან 1920 წლის 7 მაისს" /174, 299-300/.

გ.კვინიტაძისა და რ.გაბაშვილის თვალსაზრისს იზიარებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აგრეთვე ცნობილი დიპლომატი და მეცნიერი ზურაბ ავალიშვილი. მის მოგონებებში ვკითხულობთ: „მე ზუსტად არ ვიცი ქართულ-რუსული მოლაპარაკებების კულუარებს იქითა მხარეები, რამაც მიგვიყვანა 1920 წლის 7 მაისის საქართველო-საბჭოთა რუსეთის ხელშეკრულებამდე, ცოტა მოგვიანებით კი /1920 წლის 16 ივნისი/ საქართველო-საბჭოთა აზერბაიჯანის ხელშეკრულებამდე, მაგრამ გავეცანი რა ხელშეკრულების ტექსტებს, გაცებული დავრჩი, თუ როგორ იოლად და სწრაფად სცნო საქართველოს ხელისუფლებამ ბაქოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება და, მაშასადამე, უარი თქვა საქართველო-აზერბაიჯანის 1919 წლის ხელშეკრულების იდეაზე, განცვიფერებული დავრჩი, როგორ საჩქაროდ მოიწვია მან საბჭოთა ხელისუფლება მოსამართლედ საბჭოთა აზერბაიჯანის საზღვრებთან დაკავშირებული უთანხმოებისათვის" /64, 286-287/.

მართალია საქართველოსა და რუსეთს შორის საბრძოლო მოქმედებები შეწყდა, მაგრამ აღმოსავლეთის საზღვრის მონაკვეთზე მდგომარეობის სირთულის გამო, ქართული არმიის აღმოსავლეთის დაჯგუფება მთელი ზაფხულის განმაელობაში მოყვანილი იყო სრულ საბრძოლო მზადყოფნაში. გენერალი ა.ზაქარიაძე ამასთან დაკავშირებით თავის მოგონებებში წერს: „ერთი სიტყვით, ჩვენ და ბოლშევიკებს შორის შეიქმნა გასაოცარი მდგომარეობა: არც მშვიდობიანობა, არც ომი, ბოლშეეიკები იყენენ მუდმივ მზადებაში ჩვენზე თავდასასხმელად, ჩვენ კი – თავდასაცავად“ /136, 58–59/.

ამრიგად, 26 მაისს განჯაში დაიწყო აჯანყება, ქალაქის ქუჩებში სისხლისმღვრელი ბრძოლები გაჩაღდა. წითელი არმიის მე–20 დივიზიის სამხედრო კომისარმა კურბატოვმა განაცხადა, რომ „ქვას ქვაზე არ დატოვებდა“ და დაანახებდა ყველას, თუ როგორ იციან საბჭოთა ჯარებმა სამაგიეროს გადახდა“ /175/. როგორც ჩანს, აჯანყების ხელმძღვანელები გაცნობილი იყენენ ქართული არმიის შეტევითი ოპერაციის გეგმას და მოელოდნენ ქართული არმიის დახმარებას. ამ დროისათვის აჯანყებულთა რიგებში გაერცელდა ხმები, რომ მათ დასახმარებლად საქართველოდან მოემართებოდა 20 ათასიანი არმია /47, 279/. მაგრამ აჯანყებულებს იმედი გაუცრუედათ. მიაღწია რა შეთანხმებას, საქართველოსთან საბჭოთა რუსეთმა სასწრაფოდ დაიწყო ჯარების გადასროლა საქართველოს საზღვრებიდან აჯანყების რაიონში.

31 მაისს საღამოსათვის განჯაში აჯანყება მთლიანად იქნა ლიკვიდირებული, აჯანყებულთა ერთმა ნაწილმა მოახერხა მთებში გაქცევა, დანარჩენებმა კი იარაღი დაჰყარეს და ქალაქში მიიმალნენ. ბოლშეეიკთა გამარჯვებას ხელი შეუწყო ქალაქის სომხური მოსახლეობამ, რომლებიც აშკარად მიემხვრნენ საბჭოთა ჯარებს. ბრძოლებმა ეროვნული ულეტის ხასიათი მიიღო – წერდა იმ დროის ქართული პრესა. ტყვედ აყვანილ აჯანყებულებს ბოლშეეიკები სასტიკად გაუსწორდნენ, დახვრეტილი იქნა

მრავალი ოფიცერი და ჯარისკაცი, მათ შორის ქართველებიც – განჯის სამხედრო სკოლის უფროსი გენერალ–მაიორი ა.მაყაშვილი და კორნეტი თოფურიძე. ქართველი დიპლომატების დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მათი გადარჩენა ვერ მოხერხდა. აზრეეკომი ა.მაყაშვილს აჯანყებაში აქტიური მონაწილეობის მიღებას, ხოლო თოფურიძეს საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობას აბრალებდა /176/. შ.მაღლაკელიძე ა.მაყაშვილის დღუპვას შემდეგნაირად აღწერს: „ჩვენი გენერალი მაყაშვილი კი როდესაც რომ გასაბჭოება მოხდა... შეიპყრეს, ხელფეხი შეუკრეს, კასპიის ზღვაში გადააგდეს და დაახრჩეს. ასეთია მისი ხვედრი“ /27, 48–49/.

8000 დახოცილი აზერბაიჯანელის გვამი კარგა ხნის მანძილზე განჯის ქუჩებში ეყარა, რის გამოც ქალაქში ათასგვარი სენი გავრცელდა. ქალაქის დამორჩილების დროს საბჭოთა ჯარების მიერ გაუპატიურებული იქნა 1500 მუსულმანი ქალი. იმ დროინდელი ქართული პრესა ამასთან დაკავშირებით წერდა: „მთელი მუსულმანობა, განურჩევლათ პარტიათა, განუსაზღვრელ გლოვასა და მწუხარებაშია“ /177/.

განჯის აჯანყება იყო პირველი და, ამასთან ერთად, ყველაზე დიდი შეიარაღებული გამოსელა მთელ ამიერკავკასიაში, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ აჯანყების ჩახშობისთანავე აზერბაიჯანში იფეთქა ახალმა აჯანყებებმა.

ზაქათალაში მოსახლეობის აჯანყების საბაბი გახდა საოლქო რევკომის ბრძანება, რომლის მიხედვით მოსახლეობას ევალებოდა იარაღის ჩაბარება. 9 ივნისს დაიწყო შეიარაღებული გამოსელა. აჯანყებულთა რაზმებმა მალე ქალაქი დაიკავეს, გავიდნენ საქართველოს საზღვარზე და კავშირი დაამყარეს საქართველოსთან. საქართველოს ხელისუფლება ამ შემთხვევაშიც, შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევდა აჯანყებულებს.

ბოლშევიკებმა აჯანყების ლიკვიდაციისათვის ზაქათალაში მე–11 არმიის ნაწილები გადაისროლეს. 18

ივნისს წითელმა არმიამ, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ დაასრულა აჯანყებულთა რაზმების განადგურება და ზაქათალა დაიკავა.

საქართველოს ხელისუფლებას ‘ზაქათალას ოლქში თავისი ინტერესები ჰქონდა. საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის 7 მაისს ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, საბჭოთა რუსეთმა ზაქათალის ოლქი საქართველოს ფარგლებ’ში შემავალ ტერიტორიად აღიარა /161, 339/, მაგრამ საბჭოთა აზერბაიჯანის მესვეურებმა, გაიგეს რა ეს ფაქტი, იმ დღესვე სასწრაფო დეპეშები აფრინეს მოსკოვში: უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ საკითხის ამგვარად გადაჭრის გამო. მოსკოველმა მმართველებმა არ აწყენინეს ბაქოელ კოლეგებს. ამის შედეგი ის იყო, რომ 12 მაისს საქართველო–რუსეთის დამატებითი შეთანხმების ძალით, ზაქათალის ოლქის მიკუთვნების საკითხი უნდა გადაეჭრა შერეულ კომისიას. თანაბარი რაოდენობის ქართველი და აზერბაიჯანელი წარმომადგენლების შემადგენლობით, კომისიის თავმჯდომარე კი რუსეთიდან იქნებოდა, არც საქართველოს და არც აზერბაიჯანს კომისიის გადაწყვეტილებამდე უფლება არ ჰქონდათ შეეყვანათ ოლქის ტერიტორიაზე ჯარების ახალი კონტიგენტი, ესე იგი, იმაზე მეტი, რაც 12 მაისს იქ იმყოფებოდა /14, 571–572/.

დამატებითი შეთანხმების წამგებიანობა საქართველოსათვის აშკარა იყო. როგორც ვხედავთ, რუსეთმა მთლიანად დაუქვემდებარა თავის კონტროლს ზაქათალის საკითხის გადაწყვეტა. 12 მაისის მდგომარეობით ზაქათალაში მხოლოდ მე–11 არმიის ნაწილები იმყოფებოდნენ და ქართულ მხარეს არ შეეძლო სამხედრო ძალების შეყვანა. თუ კომისია საკითხს განიხილავდა და კენჭისყრაზე მივიდოდა საქმე, რუსეთის წარმომადგენლის პოზიცია გადამწყვეტი აღმოჩნდებოდა. იგი აზერბაიჯანელებს დაუჭერდა მხარს და საკითხი საქართველოს საზიანოდ გადაწყდებოდა.

ნი’შანდობლივი ფაქტია ის, რომ 7 მაისის

ხელშეკრულების დადების შემდეგ ზაქათალის ოლქიდან, მთელი ოლქის მინდობილობით თბილისში ჩამოვიდა საგანგებო დელეგაცია, რომელმაც თხოვნით მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს: „7 მაისის ხელშეკრულებით მთელი ზაქათალის ოლქი აღიარებულია საქართველოს განუყოფელ ნაწილად. ამით აღდგენილია უდიდესი ისტორიული მომენტი – შეერთება ჩვენი საერთო სამშობლოსი – საქართველოსთან, ხელოვნურად მოგლეჯილი მისი ნაწილი ზაქათალის ოლქის. მოგმართავთ თქვენ, ბატონო თავმჯდომარევ, დააჩქაროთ ქართული ჯარების შემოყვანა ოლქში მოძმე ხალხის უფლებების დასაცავად“ /157, 73/.

საქართველოს მთავრობა სხვადასხვა ხერხებს მიმართავდა, რათა ზაქათალის ოლქის საკითხი გადაეწყვიტა თავის სასარგებლოდ. ერთ–ერთ ასეთ ღონისძიებას ახორციელებდა აზერბაიჯანში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი და მისი თანამშრომელი ივანე კარბელაშვილი*. ისინი ოლქში მცხოვრები საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების მეშვეობით მოსახლეობაში ეწეოდნენ ზაქათალის ოლქის საქართველოსთან შეერთების პროპაგანდას. ამ სამუშაოს შესრულებისათვის საქართველოს მთავრობამ დიპლომატიურ წარმომადგენლობას მილიონი მანეთი გამოუყო /178/.

1920 წლის 12 ივნისს სასაზღვრო ქალაქ აღსტაფა'ში დაიდო ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის, რომლის ძალით მხარეები ვალდებული იყვნენ შეეწყვიტათ საბრძოლო ოპერაციები და გაემიჯნათ სახელმწიფო საზღვარი. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სამხედრო მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილემ ს.მდივანმა და ალექსანდრე

---

* გაურკვეველ ვითარებაში იქნა მოკლული ზაქათალაში ბოლშევიკების შესვლის შემდეგ.

ანდრონიკაშვილმა. საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდან – საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მ.ჰუსეინოვმა. მოვიყვანთ ხელშეკრულების VI მუხლს, რომელიც ზაქათალის საკითხებს ეხება:

საკითხი ზაქათალის ოლქისა უნდა გადაეცეს გადასაჭრელად საარბიტრაჟო კომისიას. ეს კომისია გათვალისწინებულია დამატებითი შეთანხმებით, რომელიც დაიდო რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის 12 მაისის თარიღით. ვიდრე ეს საქმე გადაწყდებოდეს საარბიტრაჟო კომისიაში, არც ერთ მონაწილე მხარეს ნება არ აქვს ახალი ჯარი შეიყვანოს ზაქათალის ოლქში, თანახმად მოსკოვის დამატებითი შეთანხმების მეორე პუნქტით 1920 წლის 12 მაისის თარიღით.

შენიშვნა 1: ეს მუხლი ჩართული იქნა ამ ხელშეკრულებაში იმიტომ, რომ ზაქათალის საქმის გამო სხვადასხვა აზრს დაადგენენ დელეგაციები აზერბაიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, როცა შეუდგენენ მოსკოვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მეათე მუხლისა და მის დამატება 1920 წლის 12 მაისის თარიღით დადებული შეთანხმების პირველი პუნქტის განმარტებას, აგრეთვე იმ მიზეზითაც, რომ არსებითად ამ სადავო საგნის გამო შეთანხმება ვერ მოხერხდა.

შენიშვნა 2: ამ მუხლის მტკიცედ აღსრულებისათვის თვალყურის სადევნებლად, რომ ოლქში ახალი ჯარი შეყვანილი არ იქნეს, არსდება განსაკუთრებული საკონტროლო კომისია, რომელშიც ოთხი კაცი უნდა იყოს, ორ–ორი თითო მხრიდან... /157, 74/.

როგორც ვხედავთ, ხელშეკრულების ძალით ორივე მხარეს ეკრძალებოდა ზაქათალის ოლქში ჯარების დამატებითი კონტიგენტის შეყვანა. მიუხედავად ამისა, ამ რაიონში ანტისაბჭოთა შეიარაღებული გამოსვლის დროს ბოლშევიკებმა აქ შეიყვანეს მსხვილი საჯარისო ნაწილები,

რაზედაც საქართველოს ხელისუფლებამ 21 ივნისს გამოთქვა პროტესტი და საესებით სამართლიანად მოითხოვა წითელი არმიის ნაწილების გაყვანა ოლქის ტერიტორიიდან. წინააღმდეგ შეთხვევაში გენერალი გ.სუმბათაშვილი, რომელიც მეთაურობდა ამ რაიონში ქართული არმიის ნაწილებს, აცხადებდა, რომ მისცემდა თავის ჯარებს ზაქათალის ოლქში თავისუფალი მოქმედების ბრძანებას /45, 300/. მე-11 არმიის სარდლობა არ დაელოდა მითითებებს მოსკოვიდან და უბრძანა ნაწილების მეთაურებს ქართული ჯარების მიერ ზაქათალის ოლქის საზღვრის გადმოლახვის შემთხვევაში წინააღმდეგობა გაეწიათ მათთვის. საქართველოს ხელისუფლებამ ამ შემთხვევაშიც აარიდა თავი საბჭოთა რუსეთთან დაპირისპირებას და ქართული არმიის ნაწილების შესვლა ზაქათალაში, არ შედგა. გენერალი გ.კვინიტაძე ამასთან დაკავშირებით თავის მოგონებებში აღნიშნავდა: „ბოლშევიკები შევიდნენ რა ზაქათალაში, დაარღვიეს ხელშეკრულება. ჩვენი იქ შესვლა ნიშნავდა ომის დაწყებას ბოლშევიკებთან, რომელთა წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების წარმოებაზე ჩვენ უარი ვთქვით 18 მაისს.

ეს გარემოება იძულებულს გვხდიდა ჩვენ ზაქათალის ფრონტზე ეყოფილიყავით პასიურად და დავლოდებოდით სამშვიდობო ხელშეკრულების გადაწყვეტილებებს. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა წითელ აზერბაიჯანთან. ზაქათალის მოსახლეობის ნაწილი ითხოვდა ჩვენთან ყოფნას და ბოლშევიკებს შეიარაღებული წინააღმდეგობაც კი გაუწიეს. ჩვენ არ შეგვეძლო მათთვის დახმარების გაწევა. თავდაპირველად არ ვიყავით მზად ომისათვის, შემდეგ კი იმიტომ, რომ დაიწყებოდა ახალი ომი ბოლშევიკებთან, რასაც გაურბოდა ჩვენი მთავრობა“ /100, 226/.

გარდა ამისა, ბოლშევიკებმა მოახერხეს ის, რომ მათი აგიტაციის შედეგად ქართული არმიის ლაგოდეხის ჯარების ჯგუფში შემავალი მე-6 პოლკი ამბოხდა. საქართველოს არმიის სარდლობამ მხოლოდ დიდი ძალისხმევის შედეგად მოახერხა ამ ამბოხის ლიკვიდაცია /100, 226-229; 147,49/.

ზემოთ ხსენებული მე-6 პოლკის ამბოხების შემდეგ სარდლობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ზაქათალის მიმართულებით განლაგებულ ჯარებში ეროვნული სულისკვეთების ამაღლებას. ამ მიზნით ეწყობოდა სხვადასხვა ღონისძიებები. ასე მაგალითად, 1920 წლის 14 აგვისტოს გენერლების სუმბათაშვილისა და თავაძის ხელმძღვანელობით დაბა ლაგოდეხის კლუბში, მე-6 ქვეითთა რაზმის სცენის მოყვარულთა წრემ გამართა ჯარისკაცებისათვის უფასო წარმოდგენა, რომელსაც დაესწრო სამხედრო მინისტრი გ.ლიორთქიფანიძე. წარმოდგენილი იქნა აკ.წერეთლის ცნობილი 5 მოქმედებიანი დრამა „პატარა კახი“ /179, 11/.

ზაქათალის აჯანყების პარალელურად ყარაბაღშიც დაიწყო შეიარაღებული გამოსვლა. აჯანყებას ხელმძღვანელობდა გენერალი ნური ფაშა, რომელიც გამოცხადებული იქნა ყარაბაღის დიქტატორად. ხოლო აჯანყებულთა ჯარების სარდლად დაინიშნა თბილისში მყოფი აზერბაიჯანის ხსნის კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გენერალი ზეინალოვი. აჯანყებულებმა დასაწყისში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, რაც დროებითი აღმოჩნდა. მე-11 არმიის ჯარებმა ეს აჯანყებაც სასტიკად ჩაახშვეს.

ამ პერიოდში მოხდა ორი ტრაგიკული შემთხვევა, რომელმაც დიდად დააზარალა აზერბაიჯანის განთავისუფლებისათვის მებრძოლი ძალები. 20 იენისს თბილისში საეჯვო ვითარებაში მოკლეს მთავრობის პირველი თავმჯდომარე ფ.ხან ხოელი /180/. ცოტათი ადრე კი კიურდამირის მაზრაში ბანდიტების მიერ მოკლული იქნა მთავრობის ბოლო თავმჯდომარე ნ.უსუბეკოვი /12, 558/. ორივე ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ აზერბაიჯანში დაწყებულ ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, აქედან გამომდინარე მათი ლიკვიდაცია მხოლოდ ბოლშევიკებს აძლევდა ხელს.

შეიარაღებულმა გამოსვლებმა ძალიან შეაშინა ბოლშევიკური ხელისუფლება. იყო ინფორმაციები ახალი

აჯანყებების მზადების შესახებ. წითელი არმიის სარდლობა იძულებული იყო აზერბაიჯანში განელაგებია ჯარების მნიშვნელოვანი კონტინგენტი. ცხადია, მრავალრიცხოვანი ჯარების უზრუნველყოფა მძიმე ტვირთად აწვა რესპუბლიკას, მაზრებში ხანგრძლიეი დროით იყო მობილიზებული მოსახლეობა. გლეხებიდან ახდენდნენ პურის, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის რეკვიზიციას, რაც საესებით სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა მოსახლეობის დაბალ და საშუალო ფენებში.

1920 წლის შემოდგომაზე ანტანტის ქვეყნებმა ხელახლა დაიწყეს მზადება აზერბაიჯანიდან წითელი არმიის გასადევნად. საქართველოს ხელისუფლება ჩართული აღმოჩნდა ამ პროცესებში. 1920 წლის დეკემბერში თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის უმაღლესი კომისარი საქართველოში ა.შევალიე გენერალური შტაბის ოფიცერთა ჯგუფთან ერთად. ა.შევალიე მოლაპარაკებას აწარმოებდა, როგორც საქართველოს, ისე დევნილი მუსავატური და დაშნაკური მთავრობის წევრებთან აზერბაიჯანსა და სომხეთში აჯანყების მოწყობასა და ამ ქვეყნებიდან ბოლშევიკების განდევნის შესახებ. ამავე ხანებში ბათუმში ჩამოვიდა საფრანგეთის ფლოტის კონტრ–ადმირალი დიუმენილი, ბათუმის ნავსადგურს მოადგნენ საფრანგეთის სამხედრო ხომალდები. მთავრობისადმი გაგზავნილ პატაკში ადმირალი დიუმენილი წერდა: „ჩემი აზრით, საბჭოებს შეექმნებათ სიძნელეები, თუ აზერბაიჯანელთა გარდაუვალი აჯანყების შედეგად, დაკავებული იქნება დერბენდი. საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ხალხი ფარულად ე მზადება აჯანყებისათვის და ეს აჯანყება გახდება რეალური, თუ მათ შეუქმნით სათანადო პირობებს“ /181/.

ა.შევალიესა და დიუმენილის ჩამოსვლამ გააააქტიურა საქართველოს ხელისუფლება, ქართული არმიის ნაწილები თავს იყრიდნენ აზერბაიჯანის საზღვართან.

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ 1920 წლის 18 ნოემბერს მიმართა ანტანტის ქვეყნებს. ამ შიმართეაში ლენინის მთავრობა პროტესტს გამოთქვამდა იმ თანამშრომ-

ლობაზე, რომელიც არსებობდა დასავლეთის ქვეყნებსა და საქართველოს შორის. ბოლშევიკების აზრით, ამგვარი ურთიერთობები საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა რუსეთ–საბჭოთა აზერბაიჯანის კავშირს და ქ.ბაქოს /47, 293/.

1920 წლის სექტემბერში ანტისაბჭოთა აჯანყებამ მოიცვა მთელი დაღესტანი. ამ აჯანყების მომზადებასა და განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მთავრობა, აზერბაიჯანის ხსნის კომიტეტი და მთიელთა რესპუბლიკის დევნილი მთავრობა. აჯანყებულთა ხელში ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მოექცა. ყოველივე ეს ჩრდილოეთიდან საფრთხეს უქმნიდა ბოლშევიკურ რეჟიმს აზერბაიჯანში. დაღესტანში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების პარალელურად, საქართველოს ხელისუფლებამ აზერბაიჯანის საზღვრის ახლოს მოაწყო სპეციალური თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინგლისელმა სამხედრო სპეციალისტებმა, დაღესტნის აჯანყების ორგანიზატორებმა და მუსავატური მთავრობის წევრებმა. ს.ორჯონიკიძემ ამ პერიოდში მოსკოვს აცნობა: „ინგლისი ხრიკებს მიმართავს ამ რაიონში, საქართველოს მენშევიკური მთავრობა ემუქრება საბჭოთა აზერბაიჯანს, ანტანტა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მეშვეობით ამზადებს ომს საბჭოთა აზერბაიჯანის წინააღმდეგ“ /158, 34/.

საბჭოთა რუსეთის მთავრობა ძალიან იყო შეშფოთებული აზერბაიჯანში და მის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობით. ვ.ლენინი ს.ორჯონიკიძისაგან დაჟინებით მოითხოვდა აჯანყებულთა რაზმების სწრაფ ლიკვიდაციას. ვ.ლენინის დავალებით ოქტომბრის ბოლოს ბაქოში ჩავიდა ი.სტალინი. მან ხელში აიღო ხელისუფლების სადაოები. 26 ოქტომბერს ი.სტალინმა მოსკოვს აცნობა, რომ საქართველოს მთავრობას განზრახული ჰქონდა ინგლისელებისათვის ბათუმის გადაცემა და ამით გაუხსნიდნენ მათ გზას ბაქოზე შეტევისათვის. ვ.ლენინის პასუხში აღნიშნული იყო: „უეჭველია, რომ საქართველო აუცილებლად გადასცემს ბათუმს ანტანტას, ალბათ ანტანტა გაილაშქრებს ბაქოზე. მოიფიქრეთ და სასწრაფოდ მიიღეთ ზომები ბაქოს მისადგომების გასამგრებლად ხმელეთიდან და ზღვიდან,

მიზიდეთ მძიმე არტილერია და სხვა“ /24, 271/. 13 ნოემბერს ლენინი კვლავ დაინტერესდა აზერბაიჯანის საკითხით, გამოიკითხა საკმარისად იყო თუ არა გაძლიერებული კავკასიის ფრონტი და თუ როგორ მიდიოდა ბაქოს მისადგომების გამაგრებების საკითხი /182/.

ორი დღის შემდეგ, ი.სტალინმა ბაქოდან კვლავ გაუგზავნა დეპეშა ვ.ლენინს, სადაც წერდა, რომ აუცილებლად მიაჩნდა ბაქოს საიმედოდ დაცვის მიზნით, კავკასიის ფრონტის დამხმარე ძალებით გაძლიერება. მისი აზრით, მოსალოდნელი იყო აგრეთვე საქართველოს მხრიდან თავდასხმა /158, 32/. ვ.ლენინისათვის ბაქოდან გაგზავნილ კიდევ ერთ დეპეშაში ი.სტალინი აღნიშნავდა: „თუ ანტანტა დაიკავებს ბათუმს, მაშინ ჩვენ უნდა გადავიდეთ შეტევაზე, დავიკავოთ თბილისი და ავაფეთქოთ გვირაბი სურამის გადასასვლელთან, ე.ი. საჭიროა ვაწარმოოთ აქტიური თავდაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში დავკარგავთ ელიზავეტოპოლს და შეიძლება დავკარგოთ ბაქოც“ /158, 32/.

1920 წლის ბოლოს საბჭოთა ხელისუფლებამ აზერბაიჯანის სამხრეთ–აღმოსავლეთ მაზრებში მომხდარი კიდევ ერთი აჯანყება ჩაახშო და ამით საბოლოოდ განამტკიცა ბოლშევიკური რეჟიმი აზერბაიჯანში.

შეიარაღებულ გამოსვლებს აზერბაიჯანში ეროვნულ–განმანთავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა. საქართველოს ხელისუფლება, დასავლეთის ქვეყნებთან ერთად ამ შემთხვევაში ეროვნული ძალების მხარდამჭერად გვევლინება.

წითელ არმიას ამიერკავკასიის მასშტაბით არსად არ უწარმოებია ისეთი სისხლისმღვრელი და ხანგრძლივი ბრძოლები, როგორც აზერბაიჯანში. განჯის, ზაქათალისა და ყარაბაღის აჯანყებები პირველი ანტისაბჭოთა გამოსვლებია ამიერკავკასიაში და წარმოადგენს აზერბაიჯანელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თვალსაჩინო მაგალითს.

დ ა ს კ ვ ნ ა

მე–20 საუკუნის დასაწყისში ორი მოძმე ხალხის სახელმწიფო დამოუკიდებლობისკენ სწრაფვამ განაპირობა საქართველოსა და აზერბაიჯანის პოლიტიკური ინტერესების დაახლოება. ოზაკომისა და ამიერკავკასიის კომისარიატის მმართველობის პერიოდში საქართველოსა და აზერბაიჯანის საზოგადოება კიდევ უფრო გააქტიურდა, საგარეო ორიენტაციაში გარკვეული უთანხმოების მიუხედავად, მათ მაინც ერთი უმთავრესი მიზანი ამოძრავებდათ – რუსეთის იმპერიის მარწუხებიდან თავის დაღწევა.

ამიერკავკასიაში შექმნილმა რთულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ უბიძგა მხარეებს ერთობლივად გადაედგათ კონკრეტული ნაბიჯები: 1918 წლის იანვარში გაერთიანებული ძალებით მათ განაიარაღეს სამშობლოში მიმავალი რუსეთის არმიის ნაწილები. ქართული და აზერბაიჯანული ეროვნული კორპუსების ჯარებმა, სადგურ შამქორთან გამართული ბრძოლების დროს, რუს ჯარისკაცებს ჩამოართვეს დიდი რაოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალები. ამ ბრძოლებში ქართულმა და აზერბაიჯანულმა კორპუსებმა პირველად მიიღეს ერთობლივი საბრძოლო ნათლობა და ამით საფუძველი ჩაეყარა ორი ქვეყნის სამხედრო თანამეგობრობას 1918–1920 წლების ურთიერთობებში. იმავე წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ქართველმა პოლიტიკოსებმა და სამხედროებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი აზერბაიჯანში ეროვნული ძალების გამარჯვებას.

1919 წელს კი ორი ქვეყნის ურთიერთობებში ახალი ეტაპი იწყება. ა.დენიკინის აგრესიამ და ინგლისელების მიერ წარმოებულმა ორმაგმა პოლიტიკამ საქართველოსა და აზერბაიჯანის სამხედრო და პოლიტიკური ძალების გაერთიანება განაპირობა. დღევანდელი გადასახედიდან ჩვენ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ 1919 წლის სამხედრო ხელშეკრულება დიდმნიშვნელოვანი ფაქტია საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობების

ისტორიაში. მიუხედავად განსხვავებული რწმენისა და იდეოლოგიისა, ახალგაზრდა რესპუბლიკებმა თავშიეე გამონახეს საერთო ენა და დაიწყეს შეთანხმებული პოლიტიკის წარმოება.

1919 წლის სამხედრო ხელშეკრულებას მოწინააღმდეგე არც საქართველოს დამფუძნებელ კრებაში და არც აზერბაიჯანის პარლამენტში არ გამოუჩნდა. სოციალ-დემოკრატიულ და მუსავატურ მმართველ პარტიებთან ერთად ხელშეკრულების რატიფიკაციას ყველა ოპოზიციურმა პარტიამ დაუჭირა მხარი.

1919 წლის ხელშეკრულების დადებას ხელი ვერ შეუშალა თურქეთის ფაქტორმა. როგორც ცნობილია, აზერბაიჯანელი დეპუტატების უმრავლესობა პროთურქულ ორიენტაციას ადგა. საქართველოს რესპუბლიკას კი, აზერბაიჯანის საპირისპიროდ, თურქეთთან ხშირად შეიარაღებული დაპირისპირება ჰქონდა. ამ სიტუაციაში აზერბაიჯანის პოლიტიკური პარტიების პოზიციების თანხვედრა გამოიწვია რუსეთის თეთრგვარდიული ძალების მხრიდან რეალურმა საფრთხემ. რაც შეეხება ბოლშევიკურ რუსეთს, მისმა მუხანათურმა პოლიტიკამ, განაპირობა აზერბაიჯანის პოლიტიკური კურსის ორიენტირება პირველ რიგში თურქეთზე, შემდგომ საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებზე.

ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოსა და აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა კიდევ უფრო გააქტიურდა. ა.დენიკინის წარმომადგენლებთან გამართული მოლაპარაკებების დროს მხარეები მკაცრად იცავდნენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებსა და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებდნენ.

პოლიტიკური და სამხედრო ინტერესების თანხვედრამ ხელი შეუწყო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას. 1918 წლის დეკემბერში მხარეებმა დადეს ხელშეკრულება, რომლითაც ორ ქვეყანას შორის ტვირთების მოძრაობაზე დაწესდა თავისუფალი ტრანზიტი. 1920 წლის

თებერვალში კი საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საქონელგაცვლის შესახებ.

ორ მეზობელ რესპუბლიკას შორის, რა თქმა უნდა, იყო უთანხმოებაც. კერძოდ, როცა დღის წესრიგში დადგა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ტერიტორიების გამიჯვნის საკითხი, მაგრამ ამას სერიოზული კონფრონტაცია არ გამოუწვევია, როგორც ეს მოხდა ამიერკავკასიის მესამე რესპუბლიკასთან მიმართებაში. საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებმა სულ მოკლე დროში მიაღწიეს კომპრომისულ შეთანხმებას. 1919 წელს დადებული ხელშეკრულებით კი მხარეები საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ყოველგვარი უთანხმოება გადაეწყვიტათ არბიტრაჟის მეშვეობით. უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების ეს მუხლი არასოდეს არ დარღვეულა დემოკრატიული მთავრობების მმართველობის პერიოდში.

საქართველო–აზერბაიჯანის სამხედრო კავშირმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთ სამხედრო ბანაკად გაერთიანების საფუძველი შექმნა. ამას შესაძლოა მიეცა სამივე რესპუბლიკისათვის დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობა, მაგრამ სამწუხაროდ, აღნიშნული სამხედრო გაერთიანება არ შედგა, ვინაიდან მას ხელს უშლიდნენ არა მარტო ამიერკავკასიის მიმართ მტრულად განწყობილი მეზობელი სახელმწიფოები, არამედ კავშირის შექმნის აუცილებლობამ ვერ ჰპოვა მხარდაჭერა თვით სომხეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობაშიც კი. სომხეთის მთავრობამ აზერბაიჯანსა და საქართველოსთან კავშირს შეგნებულად აარიდა თავი. გენერალ ა.დენიკინთან დაახლოებით სომხეთის მმართველი წრეები იმედოვნებდნენ, რომ თავიანთ ინტერესებში გამოიყენებდნენ ამიერკავკასიაში შემოჭრილი დენიკინის ჯარებს. მათი აზრით, თეთრგვარდიელები დაიცავდნენ სომხეთს თურქეთის აგრესიისაგან და თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვეტდნენ საქართველოსა და აზერბაიჯანთან არსებულ ტერიტორიულ პრობლემებს. აქედან გამომდინარე სომხეთის მთავრობას

სრულებით არ აწყობდა საქართველოსა და აზერბაიჯანთან სამხედრო კავშირის დადება. დიდი საერთო საქმისაგან სომხეთის განდგომამ ჩაშალა ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანება ერთ სამხედრო ბანაკში, რამაც, ჩვენი აზრით, უმძიმეს შედეგებამდე მიიყვანა სამივე ქვეყანა.

1918–1920 წლებში საქართველო–აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობის ერთ–ერთი თვალსაჩინო მაგალითია ქართველი და აზერბაიჯანელი დიპლომატების თავდაუზოგავი ბრძოლა პოლიტიკური იზოლიაციის აღმოფხვრისათვის. სწორედ მათი ერთობლივი ძალისხმევის შედეგად მოხერხდა ის, რომ პარიზის საზავო კონფერენციის უმაღლესმა საბჭომ სცნო საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა. ამით ახალგაზრდა რესპუბლიკებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და იქ გაწევრიანების ფართო ასპარეზი მიეცათ. სამწუხაროდ, ნ.ჩხეიძისა და ა.თოფჩიბაშევის დელეგაციების წარმატებები სოციალ–დემოკრატებმა და მუსავატელებმა ბოლომდე ვერ გამოიყენეს, პოლიტიკურმა აღიარებამ ვერ იხსნა ამიერკავკასიის ქვეყნები რუსეთის აგრესიისაგან.

1919 წლის სამხედრო ხელშეკრულება, სამწუხაროდ, ზოგადი და მხოლოდ თავდაცვითი ხასიათისა იყო. წინასწარ არ ყოფილა დაზუსტებული კავშირისათვის აუცილებელი კონკრეტული სამხედრო საკითხები. არ დასახულა მომავალი სამოქმედო გეგმები. დროულად არ დამუშავებულა საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებული ჯარების ერთობლივი მოქმედების კონკრეტული გეგმა. საქართველოსა და აზერბაიჯანის უმაღლესი მთავარსარდლობის ახლო თანამშრომლობას შეეძლო ეს კავშირი ძალზედ ეფექტური გაეხადა, მაგრამ არ იყო ურთიერთგაგება. აზერბაიჯანის მთავრობაში საგარეო ორიენტაციის კუთხით ერთგვარი ყოყმანი და გადაუწყვეტელობა იგრძნობოდა. ზოგიერთი პოლიტიკოსი თურქულ ორიენტაციას ადგა, ზოგიერთს სურდა აზერბაიჯანი ისევ რუსეთს, თუნდაც ბოლშევიკურს, შეერთებოდა, ნაწილი კი ელტვოდა ქვეყნის

დამოუკიდებლობას. სამწუხაროდ, უკანასკნელნი უმცირესობას შეადგენდნენ. საქართველოს მთავრობა კი ბოლო დროს უფრო მეტად ევროპის ქვეყნებთან დაახლოებით იყო დაკავებული და მათგან მოელოდა ეფექტურ დახმარებას.

1919 წლის სამხედრო კავშირმა ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა დენიკინის ჯარების მხრიდან საფრთხის თავიდან აცილების საქმეში, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ეზრუნათ სამხედრო პარტნიორობის შემდგომი განვითარებისათვის, მიღწეული შეთანხმებები, შეიძლება ითქვას, ერთ ადგილზე გაიყინა. დენიკინის განადგურების შემდეგ, რესპუბლიკებს უფრო დიდი ძალა დაუპირისპირდა საბჭოთა რუსეთის სახით და ისინი ახალი საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. ზუსტად იმ პერიოდში დიდი სახელმწიფოების მიერ მიმდინარეობდა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება და ამიერკავკასიას ამ ასპექტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

საბჭოთა რუსეთის და თურქეთის მთავრობებმა 1920 წელს ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო კავშირი არ განხორციელებულიყო. პირველი მსოფლიო ომით დასუსტებულმა დასავლეთმა, შეიძლება ითქვას, ზურგი შეაქცია ამიერკავკასიას და აგრესიულად განწყობილი ორი დიდი მეზობლის პირისპირ მარტოდ დატოვა. გარდა ამისა, ამიერკავკასიისათვის დამღუპველი აღმოჩნდა თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ინტერესების თანხვედრა. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკა ელვის სისწრაფით იქნა ოკუპირებული წითელი არმიის მიერ 1920 წლის აპრილში.

1918-1920 წლებში საქართველოსა და აზერბაიჯანის სამხედრო პარტნიორობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი იყო აზერბაიჯანის არმიაში ქართველი ოფიცრების მოღვაწეობა. აღნიშნულ პერიოდში აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა ოფიცერთა კადრების სიმცირეს კატასტროფულად განიცდიდა. ამის გამო ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ბრავალი ქართველი ოფიცერი

მსახურობდა, რამდენიმე მათგანს საკმაოდ მაღალი თანამდებობაც კი ეჭირა. ქართველებმა დიდი წელიწადი შეიტანეს აზერბაიჯანული არმიის მშენებლობის საქმეში. მოკლე დროის მიუხედავად, მათ თავიანთი კეთილსინდისიერი და ერთგული სამსახურის გამო, მოსახლეობის თვალში დიდი ნდობა დაიმსახურეს. მეთაურთა ერთმა ნაწილმა თავი შესწირა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

სერიოზული მსჯელობის საგანია საქართველოს მთავრობის მოქმედება 1920 წლის აპრილ–ივნისში. ვფიქრობთ, მან ამ შემთხვევაში სწორად შეაფასა აზერბაიჯანში შექმნილი მდგომარეობა, დაინახა, რომ მოკავშირე თავად არ აპირებდა თავის დაცვას და ამის გამო ბოლო მომენტში გადაწყვიტა, აღარ შეეყვანა ჯარები აზერბაიჯანში. ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობის ამგვარი მოქმედების მთავარი მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებას კაპიტულიანტური პოზიცია ეკავა. ნ.ჟორდანიას მთავრობისათვის ნათელი იყო, რომ აზერბაიჯანის ბედი დიდ სახელმწიფოებს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ და მოცემულ ვითარებაში საბჭოთა რუსეთს და მის მოკავშირეს, თურქეთს, მარტო საქართველო წინ ვერ აღუდგებოდა.

აღნიშნულ საკითხს, თუ იურიდიული კუთხით მივუდგებით, მაშინ საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია 1919 წელს დადებული ხელშეკრულება. ქართულ მხარეს ნაცვლად იმისა, რომ შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და სასწრაფოდ გაეგზავნა ჯარის ნაწილები მოკავშირის დასახმარებლად, აზერბაიჯანში არსებულ შიდა პოლიტიკური ვითარების გამორკვევას შეუდგა. საქართველოს მთავრობა, როგორც ჩანს, ამის შემდეგ ერთგვარ უხერხულობასაც კი გრძნობდა აზერბაიჯანის დევნილი ხელისუფლების წინაშე. 1920 წლის 30 აპრილს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომაზე ნ.ჟორდანია ცდილობდა მოცემულ სიტუაციაში მთავრობის მოქმედების გამართლებასა და თითქმის არაფერი არ უთქვამს

იმ ვალდებულებებზე, რომელიც საქართველოს 1919 წლის ხელშეკრულებით ჰქონდა აღებული.

დაახლოებით იგივე სიტუაცია შეიქმნა 1920 წლის მაის–ივნისში, როდესაც აზერბაიჯანში ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ იფეთქა რამდენიმე აჯანყებამ. საქართველო შეძლებისდაგვარად მხარს უჭერდა ეროვნულ ძალებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. დასავლეთის ქვეყნებმა ამ შემთხვევაშიც მარტო დატოვეს აზერბაიჯანი და საქართველო. წითელმა არმიამ ადგილობრივ ბოლშევიკებთან ერთად ეროვნული გამოსვლები აზერბაიჯანში სისხლში ჩაახშო. საქართველომ ამჯერადაც ვერ გაბედა აჯანყებულთა დასახმარებლად ჯარების გაგზავნა. დასავლეთის ქვეყნების ინერტულობამ და 7 მაისს რუსეთთან დადებულმა ხელშეკრულებამ ფაქტიურად შებოჭა საქართველოს ხელისუფლება, რაც აისახა კიდეც მის გაუბედავ მოქმედებებში. საქართველოს მთავრობას სხვა გზა აღარ ჰქონდა დარჩენილი გარდა იმისა, რომ შეგუებოდა ბოლშევიკების გაბატონებას აზერბაიჯანში.

1918–1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას სამხედრო ხელშეკრულება მხოლოდ აზერბაიჯანთან ჰქონდა დადებული. აქვე გვინდა შევნიშნოთ ისიც, რომ აღნიშნულ წლებში ყველაზე მეტი რაოდენობის სამხედრო და ეკონომიკური ხასიათის შეთანხმება საქართველოს ხელისუფლებას სწორედ აზერბაიჯანის მთავრობასთან ჰქონდა გაფორმებული.

აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ შეწყდა ორი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ურთიერთობები და მათ შორის დადებული მთელი რიგი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების არსებობა. საქართველომ დაკარგა მოკავშირე და საბჭოთა რუსეთთან პირისპირ მარტო დარჩა. მომავალში მას თავი მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა დაეცვა.

სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის შენარჩუნება იმჟამად ვერც საქართველომ შეძლო. აზერბაიჯანის ოკუპაციიდან ათი თვის თავზე საბჭოთა რუსეთმა ეროვნული ხელისუფლება საქართველოშიც დაამხო.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ 1918–1920 წლებში საქართველოს ყველაზე ახლო ურთიერთობები აზერბაიჯანის პირველ რესპუბლიკასთან ჰქონდა დამყარებული. 1919 წლიდან კი, ამიერკავკასიის ირგვლივ შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო, ამ ორი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები გადაჯაჭვული აღმოჩნდა.

1918–1920 წლებში საქართველოსა და აზერბაიჯანს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, მცირე ხნით მოუხდათ თანაარსებობა, მაგრამ, მოუხედავად ამისა, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ აღნიშნულ წლებში დამყარებულმა კონტაქტებმა ახალ საფეხურზე აიყვანა ორი ხალხის ურთიერთობები.

ბუნებრივია, რომ ისტორიული ტრადიციები გრძელდება, რის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს საქართველო–აზერბაიჯანის დღევანდელი ურთიერთობები.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. а.сурвукаыд, брынка снъиакистури рденкуъиис валаряедбисаэеис алидрйаейасиаши /1917-1918 ьь./, зб., 1957 ь.
2. Документы по русской политике в Закавказье, выпуск первый, Баку 1920 г.
3. А. Раевский. Партия Мусават и её контрреволюционная работа, Баку 1927 г.
4. сахарзедкнс истнриис марйедедби. т. V|, зб., 1972 ь.
5. Гражданская война и военная интервенция в СССР /энциклопедия/, М., 1987 г.
6. Азербайджанская демократическая республика /1918-1920 гг./, Баку 1998 г.
7. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919 г.
8. в.лажмиашеики, лнвнмдбами, базули 1990 ь.
9. е.вуруки, аюаки харзуки салюдгрн гнхтрнмис истнриигам /1917-1918 ь.ь./, зб., 1998 ь.
10. История Азербайджана, Т2, Баку 1960 г.
11. т.кабартчаеа. рденкуъиури лныранба яарис маьикдбши сахарзедкнши 1917-1921 ь.ь. зб., 1977 ь.
12. Азербайджанская республика/документы и материалы, 1918-1920 гг./ Баку 1998 г.
13. важ. „саюакюн вамазкдба", 1990 ь. 22 эдбдреаки
14. Борьба за победу Советской власти в Грузии /документы и материалы 1917-1921 гг./Тб.,1958 г.
15. к.гнкиыд, вдмдракисилуси, ларшкдби, вдмдркдби, аглиракдби, щедми замалдлалукдми,

зб., 2000 ь.
16. важ. „дрэнба", 1918 ь. 11 иамеари
17. важ. „дрэнба", 1918 ь. 16 иамеари
18. Победа Советской власти в Закавказье, Тб., 1971 г.
19. И. Дубинский Мухадзе. Нариманов. Жизнь замечательных людей /серия биографий/, М., 1977 г.
20. пурм. „вамэиаги" 2001 ь. N3-4
21. Л. Денстервиль. Британский империализм в Баку и Персии 1917-1918 гг. /воспоминания/, Тифлис 1925 г.
22. С. Калтахчян, А. Калтахчян. Шаумян /выдающиеся мыслители марксисты/, М., 1981 г.
23. к.шаулиами, йнлумижлисзеис лалаъми лдбрынкми /бахндки 26 йнлисрис шдсаюдб/, зб., 1956 ь.
24. В. Ленин. Военная переписка /1917-1922 гг./, М., 1987 г.
25. важ. „дрэнба", 1918 ь. 31 нхтнлбдри
26. А. Раевский. Английская интервенция и Мусаватское правительство, Баку 1927 г.
27. харэедкдби вдрламуки грншис хедш лднрд лснфки нлши, зб., 1994 ь.
28. важ. „дрэнба", 1919 ь. 15 ларти
29. важ. „дрэнба", 1919 ь. 31 иамеари
30. р.ъуюишеики, имвкис-сахарэедкнс урэидрэнба 1918-1921 ь.ь. зб., 1995 ь.
31. важ. „дрэнба", 1919 ь. 30 иамеари
32. важ. „дрэнба", 1919 ь. 5 эдбдреаки
33. важ. „дрэнба", 1919 ь. 7 эдбдреаки
34. й.ъдръеаыд, л.баютаыд, ралгдмилд гнйулдмти сахарэедкн-щргикн йаейасиас шнрис арсдбуки сасажцерн рдпилис шдсаюдб 1918-1921 ькдбши, зб., 2000 ь.
35. пурм. „рдсоубкийис яари", 1919 ь. N7 /15 иамеари/

36. важ. „дрзнба", 1919 ь. 8 здбдреаки
37. сахарздкнс ъдмтракури саюдкльифн саистнрин архиеи фнмги 2037, ацьдра 1, сахлд 13. фуръ. 2.
38. важ. „дрзнба", 1919 ь. 9 здбдреаки
39. важ. „дрзнба", 1919 ь. 24 иемиси
40. важ. „дрзнба", 1919 ь. 1 иекиси
41. г.эулбуриыд, аэарис сайизюи 1918-1921 ькдбши га харзуки сажнвагндбриеи ажри. зб., 1999 ь.
42. "Демократическое правительство" Грузии и английское командование, Тифлис 1928 г.
43. В. Джугели. Тяжелый крест /записки народногвардейца/, Тифлис 1920 г.
44. а.сурвукаыд, снъиакистури рденкуъиис валаряедба алидрйаейасиаши /1918-1921 ь.ь./, зб., 1961 ь.
45. А.Кадишев. Интервенция и гражданская война в Закавказье, М., 1960 г.
46. А.Раевский. Английские "друзья" и Мусаватские "патриоты", Баку 1927 г.
47. Е.Токаржевский. Из истории иностранной интервенции и гражданской воины в Азербайджане, баку 1957 г.
48. История Азербайджана, Т3. част 1., Баку 1963 г.
49. В. Адамия. Помощь грузинских меньшевиков русской контрреволюции /1919 - начало 1920 годов/, Научные доклады высшей школы; Исторические науки, 1961 г. №2.
50. важ. „дрзнба", 1919 ь. 1 иемиси
51. важ. „дрзнба", 1919 ь. 11 иемиси
52. важ. „дрзнба", 1919 ь. 7 иемиси
53. важ. „дрзнба", 1919 ь. 15 иемиси
54. сахарзедкнс ъдмтракури саюдкльифн саистнрин

архиеи, фнмги 1969, ацьдра 2, сахлд 203, фуръ. 5.
55. важ. „дрэнба", 1919 ь. 3 иемиси
56. важ. „дрэнба", 1919 ь. 4 иемиси
57. важ. „дрэнба", 1919 ь. 12 иемиси
58. ж.аеакишеики, сахарзедкнс галнуйигдбкнба 1918-1921 ькдбис садрэашнрисн онкитийаши, лнвнмдбами, марйедедби. зб., 1929 ь.
59. В. Адамия. Из истории английской интервенции в Грузии /1918-1921 гг./, Сухуми 1961 г.
60. сахарзедкнс ъдмтракури саюдкльифн саистнрин архиеи, фнмги 2037, ацьдра 1, сахлд 1, фуръ. 2.
61. важ. „дрэнба", 1919 ь. 13 иемиси
62. важ. „дрэнба", 1919 ь. 25 иемиси
63. важ. „дрэнба", 1919 ь. 29 иемиси
64. З.Авалов. Независимость Грузии в международной политике 1918-1921 гг. /воспоминания, очерки/, Paris, 1924
65. История Азербайджана /под редакцией Дж. Б. Гулиева/, Баку 1979 г.
66. История гражданской воины в СССР /1917-1922 гг./, Т4, М., 1959 г.
67. М. Искандеров. История борьбы коммунистической партии Азербайджана за победу Советской власти, Баку 1958 г.
68. Д. Енукидзе. Крах империалистической интервенции в Закавказье, Тб., 1954 г.
69. важ. „дрэнба", 1919 ь. 11 здбдреаки
70. А. Хеифец. Советская Россия и сопредельные страны востока в годы гражданской воины /1918-1920/, М., 1964 г.

71. важ. „дрзнба", 1919 ь. 14 иемиси
72. важ. „дрзнба", 1919 ь. 22 ларти
73. важ. „дрзнба", 1919 ь. 23 ларти
74. в.шараыд, уъюндзис ъис хедш, ьивми |, зб., 1991 ь.
75. сахарзедкнс ъдмтракури саюдкльифн саистнрин архиеи, фнмги 1833, ацьдра 1, сахлд 96, фуръ. 27.
76. сахарзедкнс ъдмтракури саюдкльифн саистнрин архиеи, фнмги 1839, ацьдра 1, сахлд 96, фуръ. 15,16.
77. важ. „дрзнба", 1919 ь. 19 иемиси
78. сахарзедкнс ъдмтракури саюдкльифн саистнрин архиеи /съсса/, фнмги 1833: ацьдра 1, сахлд 96, фуръ. 4
79. съсса, фнмги 1833, ацьдра 1, сахлд 96 фуръ. 6,7.
80. съсса, фнмги 1833, ацьдра 1, сахлд 96 фуръ. 9,10.
81. важ. „дрзнба", 1919 ь. 14 нхтнлбдри
82. съсса, фнмги 1833, ацьдра 1, сахлд 96 фуръ. 17,18.
83. съсса, фнмги 1833, ацьдра 1, сахлд 96 фуръ. 21,22
84. съсса, фнмги 1833, ацьдра 1, сахлд 96 фуръ. 68.
85. съсса, фнмги 1833, ацьдра 1, сахлд 96 фуръ. 68,69.
86. важ. „саюакюн сахлд", 1919 ь. 22 иемиси
87. съсса, фнмги 1833, ацьдра 1, сахлд 96 фуръ. 49.
88. съсса, фнмги 1833, ацьдра 1, сахлд 96 фуръ.

50.

89. съсса, фнмги 1833, ацьдра 1, сахлд 96 фуръ. 51.

90. съсса, фнмги 1833, ацьдра 1, сахлд 96 фуръ. 24.

91. важ. „дрэнба", 1919 ь. 10 нхтнлбдри

92. важ. „дрэнба", 1919 ь. 5 иекиси

93. важ. „дрэнба", 1919 ь. 6 иекиси

94. А. Эльчибекян. Великая Октябрьская социалистическая революция и победа Советской власти в Армении, Ереван 1957 г.

95. г.эулбуриыд, сахарзедкн-снлюдзис урзидрэнба 1918-1921 ькдбши га харзуки сажнвагндбриеи ажри, зб., 1999 ь.

96. важ. „дрэнба", 1919 ь. 24 авеистн.

97. съсса, фнмги 2037, ацьдра 1, сахлд 6, фуръ. 1

98. съсса, фнмги 2037, ацьдра 1, сахлд 8, фуръ. 1

99. пурм. „людгари", 1992 ь. №1-2

100. Г. Квинитадзе. Мои воспоминания в годы независимости Грузии. 1917-1921, Paris 1985.

101. важ. „дрэнба", 1919 ь. 17 авеистн

102. важ. „дрэнба", 1919 ь. 21 авеистн

103. Г. Хачапуридзе. Борьба грузинского народа за установление Советской власти, М., 1956

104. сахарзедкнс ъдмтракури саюдкльифн саистнрин архиеи фнмги 1437, ацьдра 1, сахлд 1, фуръ. 57,63; фнмги га ацьдра ивиед - сахлд 34, фуръ. 1; сахлд 40, фуръ. 1; сахлд 52, фуръ 2; сахлд 86; фуръ. 1; сахлд 88, `фуръ. 3 сахлд 89, фуръ. 2.

105. съсса, фнмги 2037, ацьдра 1, сахлд 7, фуръ. 2.
106. съсса, фнмги 2030, ацьдра 1, сахлд 1, фуръ. 95.
107. важ. „дрзнба", 1919 ь. 2 сдхтдлбдри
108. Великая Октябрьская Социалистическая революция и победа Советской власти в Армении /Сборник документов/, Ереван 1957 г.
109. ф.лаюараыд, сабэндби га брынка сабэнэа юдкисуфкдбисазеис с ахарзедкнши, зб., 1927 ь.
110. важ. „дрзнба", 1919 ь. 14 сдхтдлбдри
111. важ. „дрзнба", 1919 ь. 16 сдхтдлбдри
112. сахарзедкнс ъдмтракури саюдкльифн саистнрин архиеи фнмги 2030, ацьдра 1, сахлд 1, фуръ. 97.
113. съсса фнмги 2030, ацьдра 1, сахлд 1, фуръ. 96.
114. важ. „дрзнба", 1919 ь. 4 сдхтдлбдри
115. съсса, фнмги 2037, ацьдра 1, сахлд 32, фуръ. 2
116. съсса, фнмги 2037, ацьдра 1, сахлд 43, фуръ. 2
117. съсса, фнмги 2037, ацьдра 1, сахлд 21, фуръ. 1
118. съсса, фнмги 2037, ацьдра 1, сахлд 29, фуръ. 2
119. съсса, фнмги 2037, ацьдра 1, сахлд 30, фуръ. 1
120. важ. „дрзнба", 1919 ь. 6 сдхтдлбдри
121. важ. „дрзнба", 1919 ь. 9 сдхтдлбдри
122. важ. „сахарзедкнс рдсоубкийа", 1919 ь. 13

сдхтдлбдри
123. важ. „дрзнба", 1919 ь. 12 сдхтдлбдри
124. важ. „дрзнба", 1919 ь. 21 нхтнлбдри
125. А. Деникин. Поход на Москву /очерки русской смуты/, Минск 1991 г.
126. м.пнргамиа, щдли ьарсуки, зб., 1990 ь.
127. и.табацуа, сахарзедкнс ламгати /урзидрзнба дерноис хедчмдбзам 1918-1921 ьь/, важ. „йнлумисти", 1989 ь. 6 иемиси.
128. в.цалбашиыд, имвкисиса га ашш аврдсиуки онкитийа сахарзедкнс га алидрйаейасиис лиларз /1919 ь./, зб., 1964 ь.
129. г.яняуа, сахарзедкн-итакиис урзидрзнба 1918-1921 ькдбши, зб., 1997 ь.
130. важ. „сахарзедкнс рдсоубкийа", 1919 ь. 14 нхтнлбдри.
131. Г.Гамбашидзе. Из истории политики США в отношении Грузии 1917-1921 гг., Тб., 1960 г.
132. и.табацуа, сахарзедкн га дерноис саюдкльифндби, важ. „збикиси" 1989 ь. 12 иекиси
133. и.табацуа, сахарзедкн га дерноис саюдкльифндби, важ. „збикиси" 1989 ь. 15 иекиси
134. в. цалбашиыд, сахарзедкнши уъюндкза имтдредмъиис истнриигам 1917-1921 ьь. зб., 1961 ь.
135. в.цалбашиыд, илодриакистури саюдкльифндбис аврдсиуки онкитийа сахарзедкнса га алидрйаейасиис лиларз 1920 ьдкс, зб., 1970 ь.
136. Л.Фишер. Империализм нефти, М., 1927 г.